

290/2

29



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

1998

თბილისის უნივერსიტეტის შრომები

PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

331

ქურნალისტიკა

JOURNALISM

ЖУРНАЛИСТИКА



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА



თბილისის
უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო
და სამეცნიერო ცენტრი

331

JOURNALISM
ЖУРНАЛИСТИКА

TBILISI 1998 ТБИЛИСИ

ქურნალისტიკა

თბილისი 1998

საქართველოს
პარლამენტის
ქართული
ენციკლოპედია

სარედაქციო კოლეგია


ნ. ბასილაია, შ. გაგოშიძე, ნ. ლეონიძე, ნ. მახარაძე, მ. თავამაიშვილი,
ივ. მჭედლიშვილი, ნ. ტაბიძე (რედაქტორი)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Н. Басилая, Ш. Гагошидзе, Н. Леонидзе, Н. Махарадзе,
М. Тавамаишвили, И. Мchedlishvili, Н. Табидзе (редактор)

EDITORIAL BOARD

N. Basilaia, Sh. Gagoshidze, N. Leonidze, N. Makharadze,
M. Tavamaishvili, I. Mchedlishvili, N. Tabidze (editor).





შოთა გაგოშიძე

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული ჟურნალისტიკის განვითარების მეთოდოლოგიური ასპექტები

დიდი ხნის განმავლობაში მკვლევართა ყურადღება, ძირითადად, XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხებისადმი იყო მიპყრობილი. რაც შეეხება XX საუკუნის პირველ ოცწლეულს, ამ პერიოდიდან მხოლოდ ბოლშევიკურ პრესას იკვლევდნენ, სხვა ჟურნალ-გაზეთები კი იგნორირებული იყო. 1900—1921 წლების ქართული ჟურნალისტიკის შესახებ არა თუ ფუნდამენტური გამოკვლევები, არამედ ატრიბუტული თუ ბიბლიოგრაფიული მასალებიც კი არ მოგვეპოვება. მკვლევართა ასეთი უყურადღებობა ამ პერიოდის პრესისადმი, პირველ რიგში, აიხსნება კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური დიქტატით, გარდა ამისა, იმით, რომ განსახილველი ეპოქა სირთულით ხასიათდება. სახელდობრ, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ამ წლებში აღინიშნება პოლიტიკურ შესვლულებათა სიჭრელით, პარტიათა მომრავლებით, რომელთაც განსხვავებული ინტერესები გააჩნდათ.

მართალია, ორი ათეული წელი დიდი პერიოდი არ არის, მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზე საქართველოში გაცილებით მეტი გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა, ვიდრე მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. კერძოდ, თუ XIX საუკუნეში სულ 40-მდე პერიოდული გამოცემა გვექონდა, 1900—1921 წლებში მათი რაოდენობა 470-ს აჭარბებდა და, რაც მთავარია, ეს გახლდათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წლები და, ცხადია, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს

პრესის საშუალებით ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. ამავე დროს, მკვლევარებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ფაქტს, რომ მართალია XX საუკუნის პირველ ოცწლეულში აშკარად შეინიშნება პრესის ინტენსიური რაოდენობრივი ზრდა, მაგრამ ეს ზრდა უთანაბრო იყო, მას უფრო ნახტომისებური ხასიათი ჰქონდა, რაც განპირობებული იყო ამ პერიოდის მძაფრი პოლიტიკური ქართველბით და სავსებით ბუნებრივია, რომ ქართული პრესის თავისებურებას წარმოადგენდა მისი არასტაბილურობა. ერთი ნაწილის სწრაფად გაქრობა და მეორეს წარმოქმნა. ეს აიხსნება როგორც გამომცემელთა მატერიალური სიმწიფებითა და ორგანიზაციული სახის წინააღმდეგობებით, ისე მეფის რუსეთის მიმე ცენზურული პირობებით.

ბუნებრივია, რომ, პირველ ყოვლისა, საჭიროა მოვიპოვოთ ემპირიული მასალა, რაც საშუალებას მოგვცემს საერთო მონახაზებით დავახასიათოთ XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული ჟურნალისტიკის სისტემა, გამოავლინოთ მისი განვითარების კანონზომიერებანი, გამოცემათა ტიპები და მათი ევოლუცია. კვლევის შემდგომი ეტაპი იქნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესწავლა მთელი მათი კავშირებისა და სხვადასხვაობის თვალსაზრისით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამდენ ხანს ეს არ გაკეთებულა. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის გააზრება სისტემური მიდგომის პოზიციებიდან ვართულებულია სხვადასხვა გარემოებით, სახელდობრ, ამ მხრივ ჯერ არ გაგვაჩნია არა მარტო ზუსტად ჩამოყალიბებული წანამძღვრები, არამედ ისეთი გამოკვლევებიც კი, რომლებიც სისტემური კვლევის ელემენტებს მაინც შეიცავდნენ.

ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლისადმი სისტემური მიდგომის მთავარი არსი ის არის, რომ ანალიზის მეთოდის გამოყენების პარალელურად ჟურნალისტიკის ცალკეული მოვლენების გამოკვლევისას გადავიდეთ სინთეზზე, ე. ი. ვეცადოთ შევქმნათ სრული სურათი საქართველოში ინფორმაციის საშუალებათა სისტემის მთლიანობაზე. სისტემაში კი იგულისხმება არა ყველა გამოცემის უბრალო ჯამი, რამდენადაც წარმოდგენის შექმნა მოცემულ პერიოდში პრესის ყველა ტიპზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებას.

საერთოდ კი პრესის სისტემა ისტორიული ცნებაა, იგი შეიცავს ინფორმაციის საშუალებებზე საზოგადოების მოთხოვნილებათა დონის მდგომარეობის განსაზღვრას და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე,


კერძოდ, ტექნიკურ შესაძლებლობებზე, მკითხველთა მასების განათ-
ლებასა და მატერიალურ მდგომარეობაზე და თვით ჟურნალისტიკის
როგორც ადამიანური საქმიანობის სფეროს განვითარებაზე. მაშასა-
დამე, პრესის სისტემა ეს არის მოცემულ მომენტში გამოცემული ყვე-
ლა გაზეთისა და ჟურნალის ერთობლიობა, რომელთა ფუნქციონირე-
ბა განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნილებათა გავლენით და
მკითხველთა აუდიტორიის ინტერესებით. ამასთანავე, პერიოდული
ორგანოები, რომლებიც სისტემაში შედიან, ურთიერთმოქმედებენ,
მათ შორის ურთიერთბრძოლაც წარმოებს და ყველა ისინი მთლიან-
ნობაში უდიდეს ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ შეგნებაზე.

ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ცხადი ხდება, რომ ჟურნალისტიკის
ისტორიის საკითხების კვლევა უკვე აღარ შეიძლება ამ მნიშვნელო-
ვანი ასპექტის გაუთვალისწინებლად. და როდესაც ქართული ჟურნა-
ლისტიკის შესწავლისადმი სისტემური მიდგომის საკითხზე ვმსჯე-
ლობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთის ბევრი მკვლევარი,
მათ შორის უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი რუსი ავტორიც (ი. ბლა-
უშბერგი, ბ. ესინი, ს. მიხანკოვა და სხვები)¹, სწორედ ამ მეთოდს
ანიჭებენ უპირატესობას და სამართლიანად მიაჩნიათ ჟურნალისტი-
კის ისტორიის კვლევის ყველაზე ოპტიმალურ მეთოდად.

ქართული პრესის სისტემის სტრუქტურა XX საუკუნის პირველ
ოცწლეულში შეიძლება განვიხილოთ როგორც „ჰორიზონტალურ“,
ისე „ვერტიკალურ“ ზრდილში.

ახლა განვიხილოთ ამ პერიოდის საქართველოს ბეჭდვითი სიტყ-
ვის სისტემის ჰორიზონტალური აღნაგობა, გავარკვიოთ რა შედარე-
ბით ვიწრო სისტემები შედის ერთ მთლიანში — XX საუკუნის პირ-
ველი ოცწლეულის ქართული ჟურნალისტიკის სისტემაში. ამისათვის,
უწინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს პრესაში
ისტორიულად შექმნილი ვითარება. კერძოდ, მხედველობაშია მისა-
ღები ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში პერიოდიკა ძირითადად სამ ჯგუ-
ფად იყოფა: თბილისის, ქუთაისისა და პერიფერიულ (პროვინციულ)
პრესად. ამრიგად, ჰორიზონტალური აგებულება ეს არის რეგიონალუ-
რი სისტემის იერარქია, საგაზეთო და საჟურნალო პერიოდიკის ურ-
თიერთმიუყარდება, გამოცემათა სხვადასხვა თავისებურებათა წარმო-

¹ იხ. Из истории русской журналистики начала XX века, М., 1984;
Б. Есин, Русская газета и газетное дело в России, М., 1981.



ჩენა და სხვ. უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ პრესის სისტემის განვითარების მსგავსი რეგიონალური პრინციპი ყველაზე უფრო რადიკალურია, რადგანაც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ბეჭდვითი სიტყვა შედგება მისი რეგიონების პრესის ქვესისტემისაგან.

ბუნებრივია, რომ სისტემის იერარქიულ კიბეზე პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს დედაქალაქის — თბილისის პრესას, რადგანაც იგი საქართველოს ჟურნალისტიკის სისტემაში ყველაზე უფრო მძლავრი ქვესისტემაა. ამაზე ნათლად მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც, თუ 1903—1905 წლებში აქ გამოდიოდა მხოლოდ 15-მდე ახალი გაზეთი და ჟურნალი, 1906—1907 წლებში — 35, 1908—1909 წ. — 78, 1910—1913 წლებში — 62, 1914—1917 წლებში — 36, 1918—1921 წლის 25 თებერვლამდე — 87. ამასთანავე, თბილისის პრესა ყველაზე უფრო გავლენიანი იყო, ტონს აძლევდა მთელ საქართველოს პრესას, სწორედ აქ გაჩნდა გამოცემათა ახალი ტიპები და სახეები, რომლებიც XIX საუკუნის პერიოდიკაში არ გვქონდა და, რაც მთავარია, დედაქალაქის პრესის სისტემაში ყველაზე უფრო ნათლად აისახა ქართული ჟურნალისტიკის განვითარების კანონზომიერებანი. საგულისხმოა, რომ საუკუნის დასაწყისში კვლავ განაგრძობდა გამოსვლას თბილისში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გამოცემა, რომელთაც XIX საუკუნეში ჩაეყარათ საფუძველი („ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“). მრავალწლიანი ისტორიის მქონე ბეჭდვითი ორგანოების გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, გამოჩნდა მრავალი ახალი გაზეთი და ჟურნალი, რომელთა არსებობა, მართალია, ხანგრძლივი არ იყო, მაგრამ მოკლე ხნის მანძილზე მათ მკითხველთა ფართო ფენებში პოპულარობა მოიპოვეს.

XX საუკუნის პირველი ოცწლეული თბილისში პარტიებისა და მათი ორგანოების მომრავლებით ხასიათდება. საბჭოთა პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდის მხოლოდ ბოლშევიკურ პრესაზე იყო ყურადღება გამახვილებული. სინამდვილეში კი მისი ხვედრითი წონა ერთობ მცირე იყო. და რაგინდ ცდილობდნენ ასეთი გაზეთების როლის გაზვიადებას, ფაქტი ფაქტად რჩება: ამ ისტორიულ მონაკვეთში სულ რაღაც ათიოდე ასეთი გამოცემა არსებობდა. საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მათი გავლენა უმნიშვნელო იყო, მაშინ როდესაც სხვა პარტიები გაცილებით უფრო მეტ ჟურნალ-გაზეთებს გამოსცემდნენ და სწორედ ისინი აყალიბებდნენ



საზოგადოებრივ აზრს. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პრესა, ასევე სოციალ-ფედერალისტური პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ანარქისტული და სხვა პარტიების გამოცემები, გამოდიოდა აგრეთვე უპარტიო გაზეთებიც. თბილისში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ დარგობრივი გამოცემებიც სახალხო განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები კოოპერატორებისა და საქმიანი წრეებისათვის, ექიმებისათვის, რელიგიური ხასიათის გამოცემები და სხვ. დიდი რაოდენობით გამოდიოდა სატირულ-იუმორისტული გაზეთები, ჟურნალები და ალმანახები, მათი რაოდენობა 80-ს აღარბედა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბილისში შეიქმნა ახალი ტიპის გამოცემები — ე. წ. გაზეთების სურათებიანი დამატებები.

რაც შეეხება ქუთაისის რეგიონს, მართალია, მისი პრესის ზრდის ტემპი თბილისისას ჩამორჩებოდა, მაგრამ მისი პრესის ქვესისტემის განვითარება ემორჩილებოდა იმავე კანონზომიერებებს, რაც თბილისისათვის იყო დამახასიათებელი. ქუთაისის პრესაშიც შეინიშნება გამოცემათა სიჭრელე. აქ გამოდიოდა 22 სოციალ-დემოკრატიული, 6 სოციალ-ფედერალისტური, 13 ეროვნულ-დემოკრატიული, 8 ლიტერატურული, 14 სატირულ-იუმორისტული გამოცემა. ასევე მცირე რაოდენობით იბეჭდებოდა ანარქისტული, სოციალისტ-რევოლუციონერთა, საეკლესიო, სპორტული, ქალთა და სხვა ჟურნალ-გაზეთები. აღსანიშნავია ერთი საგულისხმო მოვლენა. ქუთაისის ზოგიერთ გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ თბილისელი საზოგადო მოღვაწენი და პუბლიცისტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქუთაისის პრესა ერთგვარად საერთო ეროვნული ხასიათისა იყო და არა მხოლოდ რეგიონალური დანიშნულებისა.

პერიფერიულ პრესაში ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) და სოციალ-ფედერალისტური გამოცემები. როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში იგი პრაქტიკულად არ არსებობდა. მხოლოდ XX საუკუნეში დაიწყო საქართველოს, დაბებსა და ქალაქებში ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. კერძოდ, 1900—1921 წლებში ბათუმში გამოვიდა 11 პერიოდული ორგანო, ფოთში — 4, გორში — 2, ოზურგეთში — 3, ახალციხეში — 3, თითო-თითო გაზეთი სოხუმში, სიღნაღში, ხაშურსა და სამტრედიისში. პროვინციაში ძირითადად გაზეთები

გამოდის. როგორც ჩანს, გაზეთისა და ჟურნალის ერთდროულად გამოსაცემად არ გააჩნდათ არც სათანადო პოლიგრაფიული ტექნიკა და არც შესაფერი ლიტერატურული ძალები. ამიტომ იძულებული იყვნენ არჩევანი გაეკეთებინათ და უპირატესობას ანიჭებდნენ გაზეთს, როგორც უფრო ოპერატიულ ორგანოს. დამახასიათებელია, რომ გამოცემათა ხანგრძლივობა პროვინციაში უფრო მოკლე იყო, ვიდრე თბილისსა და ქუთაისში.


საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სისტემის ჰორიზონტალურ აგებულებაზე მსჯელობისას საჭიროა ზუსტად განვსაზღვროთ თითოეული რეგიონის პრესის არსი საერთო საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სისტემაში, გავარკვიოთ მათი ურთიერთქმედების თავისებურებანი. ამასთანავე, ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა ადგილი უჭირავს მოცემულ სისტემას სხვა სისტემებს შორის, შევაჯეროთ მისი განვითარების კანონზომიერებანი ზოგადი განვითარების კანონზომიერებებთან.

ეს რაც შეეხება პრესის სისტემის ჰორიზონტალურ აგებულებას. ახლა ვიმსჯელოთ, თუ რას ნიშნავს პრესის სისტემის განხილვა ვერტიკალურ ჭრილში. როგორც ზემოთ ვთქვით, ჟურნალისტიკის ჭეშმარიტი ისტორიის შესწავლისათვის ორივე ეს ასპექტია გასათვალისწინებელი.

პირველ ყოვლისა, ვერტიკალურ სტრუქტურაში იგულისხმება სისტემის დონეები და მათი ურთიერთობა. პრესის სისტემის პირველ, საერთო დონეს წარმოადგენს მოცემულ მომენტში პერიოდიკის ყველა ორგანოს ერთობლიობა. ახლა განვსაზღვროთ სხვა დონეებიც.

ჟურნალ-გაზეთები ურთიერთზემოქმედებას, ურთიერთგავლენას განიცდიან და ხშირ შემთხვევაში მათ შორის ბრძოლაც კი მიმდინარეობს იმისდა კვალობაზე, თუ როგორია თითოეული მათგანის მსოფლმხედველობა, რომელი პროცესებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ ისინი. ამ საკითხების გამოკვლევით ჩვენ მივდივართ უშუალოდ ჟურნალისა თუ გაზეთის მიმართულების გაგებამდე. ხოლო მიმართულების სისტემა კი წარმოადგენს პრესის სისტემის შემდგომ დონეს.

გარდა ამისა, შეიძლება განვიხილოთ პრესის სისტემის კიდევ რამდენიმე დონე. საქმე ის არის, რომ ნებისმიერი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა მთლიანის შიგნით კავშირებისა და ურთი-



ერთობების არსებობა. ხოლო პრესის სისტემაში კავშირების, შიდა
 თადი ტიპების, როგორც დამოუკიდებელი სისტემების შესწავლა
 ლისხმობს პერიოდიკისა და სოციალური სინამდვილის, აგრეთვე პრე-
 სისა და მკითხველის ურთიერთობის გააზრებას.

ქართული პრესის სისტემის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა აქვს,
 აგრეთვე, ინფორმაციული სამსახურის კვლევას. საჭიროა პასუხი გაე-
 ცეს კითხვებზე: ინფორმაციის რა წყაროებს და როგორ იყენებდნენ
 ჟურნალ-გაზეთები? როგორი იყო კორესპონდენტთა კორპუსის საქ-
 მიანობა, ცალკეული მათგანის მუშაობის სტილის თავისებურებანი?
 ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ პრობლემებსაც, როგორიცაა გამო-
 ცემათა ფინანსური მხარე, მათი ბიუჯეტი, რეკლამის ადგილი, პოლი-
 გრაფიული ბაზის რაობა, გავრცელებისა და ექსპედიციის საკითხები
 და სხვ.

დაბოლოს, უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან პრობლემასაც. მი-
 უხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკის მეცნიერებაში ჟანრების თეო-
 რია ყველაზე უფრო დამუშავებულია, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთე-
 ბელი მათი განვითარების ისტორიის სფეროში. ჟანრების ისტო-
 რიულ ასპექტში გააზრებისათვის საჭიროა მას მივუდგეთ არა მარ-
 ტო შინაარსის, სტრუქტურისა და, საერთოდ, პუბლიცისტური ნაწარ-
 მოების თვალსაზრისით, არამედ ისინი უნდა განვიხილოთ აგრეთვე,
 როგორც ჟურნალისტთა მუშაობის გარკვეული შემოქმედებითი მე-
 თოდი, როგორც საქმიანობის სახე. აქედან გამომდინარე, ჟურნალის-
 ტიკის ისტორიის მკვლევარმა უნდა დაადგინოს თუ როგორ მიმდინა-
 რებოდა ჟურნალისტ-რეპორტიორის მიმომხილველის, ფელეტონის-
 ტის, რეცენზენტის, საკუთარი კორესპონდენტის პროფესიული ჩვეე-
 ბის ჩამოყალიბება, როგორ იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ ისინი
 დროის მიხედვით.

ამრიგად, მოკლედ დავახსიათეთ, თუ რას გულისხმობს ჟურნა-
 ლისტიკის ისტორიის კვლევისადმი სისტემური მიდგომა და ვფიქ-
 რობთ, ეს მარტო XX საუკუნის პირველი ოცწლეულის პრესის ისტო-
 რიის შესწავლას არ უნდა ეხებოდეს. მიგვაჩნია, რომ სხვა პერიოდე-
 ბის მკვლევარებიც წარმატებით გამოიყენებენ სისტემური მიდგომის
 მეთოდს, რათა სრულყოფილად გადმოგვცენ ქართული ჟურნალისტი-
 კის ისტორია.

ივანე აქაღლიშვილი

პუბლიცისტური ცნებებისა და ტერმინების შესახებ

როცა ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი პერიოდული გამოცემის, მწერლის შემოქმედებისა თუ ცალკეული თხზულების მონოგრაფიულ შესწავლას ჰკიდებს ხელს, იდეურ-შინაარსობრივი ანალიზის დროს ვალდებულია გამოავლინოს ის მხატვრული და პუბლიცისტური ხერხები და საშუალებები, რომლებიც თხზულების მთავარ იდეასა და შინაარსის მიმართებას ხორცს ასხამენ და შემოქმედებისა და ეფექტურობის ხარისხით მუხტავენ. ამას გარდა, საკმაო ადგილი უნდა ეთმობოდეს გამოკვლევაში წიგნისა თუ პერიოდული ორგანოს მხატვრული და ტექნიკური გაფორმების სპეციფიკას, მისი საერთო სახის განსაზღვრას.

იქნებ მიზეზიც თანამედროვე წიგნების გაფორმების დაბალი დონისა მკვლევართა ან კრიტიკოსთა ამ საგნისადმი უყურადღებობა ან გულგრილი დამოკიდებულებაა.

პუბლიცისტური ცნებებისა და ტერმინების დამკვიდრება თავისთავად ჟურნალისტიკის განვითარებაზე მიგვანიშნებს, ე. ი. ჟურნალისტიკის განვითარება არა მარტო ცხოვრებასთან მის მიახლოვებას, ასახვის ახალ-ახალი ფორმების ძიებას, მკითხველის სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ნიშნავს, არამედ ეპოქისათვის შესაბამისი გამოსახვის საშუალებების, თხზულებათა ფორმობრივი სრულყოფის დამკვიდრება-განვითარებას, მის მოქნილ ფორმად გადაქცევასაც.

ბევრ შემთხვევაში მკვლევარები ზოგად ფრაზას სჯერდებიან —

ამა და ამ ჟურნალმა ან გაზეთმა მრავალი ახალი სიტყვა დაამკვიდრა და არც ერთი მათგანი არ ასახელებს, თუ რომელი ახალი ცნება თუ სიტყვა შესძინა ქართულ წერით კულტურას მწერალმა, ჟურნალისტმა თუ საერთოდ პერიოდულმა გამოცემამ.

გასული საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის თანდათანობით დახვეწა, შინაარსის გამდიდრება, მოქალაქეობრივი გარდაქმნა და სრულყოფა, სინამდვილის ასახვისადმი სწრაფვა და ბოლოს თავისი ფუნქციის პირნათლად შესრულება სწორედ ახალი სიტყვების, ცნებებისა და ტერმინების დამკვიდრებით მიიღწეოდა.

როგორადაც უნდა მოგვეჩვენოს, მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთების მესვეურნი და თანამშრომლები თავიანთი ნიჭისა, ენერგიის დაძაბვისა და აუნაზღაურებელი შრომის გარდა, დღენიადაგ ელოლიავებოდნენ ყოველ ცოცხალ სიტყვას, თხზავდნენ ახალ ცნებებს და დრო-ჟამისაგან დაკარგულ, საუკუნეთა წყვედიდში დაშრეტილ და უკვალოდ გამქრალთა ნაცვლად, ანდა საგნის უქონლობის გამო საერთოდ მათ არქონას რუსული და ევროპული ენების ლექსიკაში ეძიებდნენ, ქართული ენის კონსტრუქციაში აქცევდნენ და მთლად გაქართულებასაც აღწევდნენ.

დღეს ქართული პუბლიცისტიური ენის სიმდიდრით განებივრებულებს ყოფიერებასა თუ დამწერლობაში დამკვიდრებული მრავალი სიტყვა გვაქვს, რომელთა პირველად ხმარებისათვის ამა თუ იმ ავტორს არამცოდნეთაგან მრავალი შენიშვნა მიუღია და იქნებ მისი მხმარებელი ენის წამსდენთა კატეგორიაშიც მოხვედრილა.

ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის არსებობა განაპირობებდა შემორჩენილ ცნებათა მარაგის მტკიცედ დაცვას და სისტემურ გამოყენებას, ახალი ცნებებისა და ტერმინების შემოღება-დამკვიდრებას, სხვა ენებიდან მათ მიზანდასახულებით გადმოტანასაც და ხალხური მეტყველების ძვირფასი ფონდიდან მის გამდიდრებას.

მაშასადამე, ძიებისას უნდა გამოვლინდეს ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წინსვლითა და მოთხოვნილებებით მშობლიური ენის წიაღში აღმოცენებული, სხვა განვითარებული ენებიდან გადმოღებულ-გადმოქართულებული და ხალხის მეტყველებიდან გამორჩეული ტკბილხმოვანი სიტყვა-ცნებები თუ სიტყვა-თქმანი.

ჩვენი ცდაც მათი გამოვლენისა და სისტემური განხილვისა უნაკლო არ იქნება თავად დასადგენი ობიექტის სირთულის გამო. საკითხის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას აძნელებს იმ თხზულებათა სიუხ-

ვე, რომლებიც ქვეყნდებოდა პერიოდული გამოცემის ფურცლებზე და ისინი მარგალიტებივითაა გაბნეული. ამასთან, გასარკვევია ცნებებისა და ტერმინების განსხვავებული გაგება იმ დროს, როცა ისინი გამოიყენეს და ამჟამადაც; ისიც დასადგენია, თუ რომელმა გამოცემამ ან ავტორმა იხმარა იგი პირველად.

პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ ჟურნალ „ცისკრის“ უდიდესი როლის შესახებ ახალი ქართული ენის ჩამოყალიბების საქმეში შეიძლება სპეციალური მონოგრაფიაც დაიწეროს¹. ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ ახალი ქართული ენის გამდიდრება-სრულყოფის საკითხის შესასწავლად ზღვა მასალას შეიტავენ მე-19 საუკუნის ქართული პერიოდული გამოცემები. ამგვარი სოლიდური ნაშრომის შექმნის სტიმულის მიმცემიც რომ იყოს ეს ნარკვევი, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ცუდი.

თუ თანამედროვე თვალთახედვით პირველ ქართულ გამოცემებში აშკარად შეიმჩნევა ენობრივი სიღარიბე და პრიმიტივიზმი, არაა გასაკვირი. იგი გამოწვეულია, პირველ რიგში, უტრადიციობით. რაკი არა გვექონდა ჟურნალისტიკა, არ გვექონდა ამ საზოგადოებრივი მოვლენის სწრაფად დამკვიდრებისათვის შესაფერისი გამოთქმები თუ ცნებები, ამიტომ მშობლიურ ენაში პუბლიცისტურ ტერმინთა თუ ცნებათა ქმნადობის, ძიების, მიგნებისა და დაზუსტება-დამკვიდრების პროცესი უაღრესად ძნელად და მრავალი დაბრკოლების გადალახვით მიმდინარეობდა. მართებულად შენიშნავდა ზ. ჭიჭინაძე, რომ 1832 წლიდან 1869 წლამდე „ქართველთათვის ყველაფერი ხამ მოვლენას შეადგენდა, მარტოდ საგაზეთო წერილების წერა და ტერმინების გამოკვეთვა აჭირვებდა საქმეს“².

ამ მხრივ ყველაზე მეტად „საქართველოს გაზეთს“ უჭირდა. როგორც ვიცით, მისი ტექსტები რუსულიდან ითარგმნებოდა და ლექსიკაშიც მრავლადაა ბარბაროზმები — ნაჩაღნიკი, ოკრუჟნი, კოლიასკა, ფამილია, ნალივკა, სუდი, სეკრეტარი, კოროლი, უქაზი და სხვ.; იხმარებოდა ძველი ქართული სიტყვებიც — მუნ, თვინიერ, ვითარ, ყოველმან, დაშთებოდენტა, მწუხარე ჰყო და სხვ. მიუხედავად ამისა, გაზეთმა სცადა ზოგიერთი საერთაშორისო სიტყვის დამკვიდრება —

¹ გუგუშვილი პ., ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 223.

² ჭიჭინაძე ზ., ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალებისა, თბ., 1902, გვ. 33.



რეპორტი, ანგლია, ფრანცია, მუზიკა და სხვ.; ქართულ პრესაში დიდხანს ხანს იხმარებოდა მის მიერ შემოღებული ტერმინი — ბუნებიანი თული ენა.

ახალ საგანთა ან მოვლენათა შესატყვის ცნებების ძიებისათვის ნამდვილი ჭიდილი სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში აღინიშნება. დიდი მამულიშვილი ახალგაზრდული ენერგიითა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის ჟინით ანთებული, მშობლიური ენის გამდიდრებას თავის უწმინდეს მოქალაქებრივ მოვალეობად რაცხდა და თანამემამულეებსაც ამგვარი სამსახურისაკენ მოუწოდებდა.

მართალია, შესატყვისი სიტყვების ტერმინების მიუგნებლობის გამო „ტფილისის უწყებანში“ საკმაოდაა რუსული სიტყვები — კარტინკა, რუმკა, სტოლი, დროშკა, ვოენნი, პოხოლნი, ლიტეინი, სვოდნი და სხვ.; მაგრამ იმავე გაზეთის ფურცლებზე სხივნათლად გამობრწყინდა სიტყვები — მამული და თანამემამულე. 1829 წ. მე-3 ნომერში დასტამბულ წერილს „რაიმე რუსთაველისათვის“ დართული აქვს ლ. ა-დ-ს (ლუარსაბ ანდრონიკაშვილ-მხარგრძელის) კომენტარი, რომელშიც ავტორმა უკვდავი პოემის თარგმნა მისაბაძად დასახა: „სასურველ არს, — წერდა იგი, — სხვანცა შეუდგენენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისთა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა და ბედნიერებისათვის თავისათვისისა“. ხაზგასმული სიტყვები პირველად იხმარა გაზეთმა.

ილიას სიტყვებით, პუბლიცისტიკაში ეს სასწაულთმოქმედი სიტყვა „მამული“ პირველად სოლომონ დოდაშვილის გამოცემებმა ამომაშვევა, ხოლო „ცისკრის“ ფურცლებზე მან დაკარგული მნიშვნელობა დაიბრუნაო.

„ტფილისის უწყებანის“ მე-5 ნომერში პირველად შემოდის სიტყვა პატრიოტნი, რომელსაც აქვს განმარტება — მამულის მოყვარულნი.

ამავე გაზეთის 1832 წლის 35-ე ნომრის სარედაქციო განცხადებაში გაზეთზე ხელმოწერის აუცილებლობის შესახებ ყურადღებას იქცევს სიტყვები — „თანამემამულეთა“ და „გამოცემა განგძრედეს საქებლად მამულისა“.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ მე-3 ნომერში ახალი ჟღერადობა შეიძინა გორდეევის წინააღმდეგ მიმართულმა გამოთქმებმა — „მდაბლისა სულისა“, „ყოვლისა განხილვისა“, „მრავალსა ტყუილსა“ და „გამოჩენილსა სიცრუესა“, აგრეთვე გამოთქმებ-

მა: „გამომცემელი რუსულისა გაზეთისანი“; მე-2 ნომერში — „და არა იწარმოებდა თავისუფლებითი სული, წმინდა სიყვარული სწავლათა“, „რათა ვისარგებლოთ ჩვენ კეთილობითა მისითა, განვინათლოთ სული და გონება“, „მე აღვიწერ აწინდელსა მდგომარეობასა საყვარელისა მამულისა ჩვენისასა“ და „განათლება არს უმეტეციესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“; „ტფილისის უწყებანის“ მე-10 ნომერში — „ეგზემპლარი“, „ხელმოწერა“, „არ მიიღოს თვისსა ღროსა რომელიმე ნომერი“, „დაბეჭდოს ყოველი საჭირონი და სასარგებლონი წიგნნი“.

სოლომონ დოდაშვილის გამოცემებმა დასაბამი მისცა ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ აღორძინებას და ეს საშვილიშვილო საქმე თანამემამულეთა მომდევნო თაობებს უანდერძა. ამ პირველმა განმანათლებელმა „წამოჭრა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხი, საფუძველი ჩაუყარა მისი ღირსებისა, გამდიდრებისა და უფლებებისათვის ბრძოლას“¹.

სოლომონ დოდაშვილს პრიორიტეტი ეკუთვნის ქართული ჟურნალის ფუნქციის განსაზღვრაშიც. 1832 წ. 6 თებერვალს თანამოაზრესა და მეგობარს ფილადელფოს კიკნაძეს ჟურნალის გავრცელების თაობაზე წერდა: „როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე“.

ეს შეძლო მისმა თანამოაზრემ მეგობარმა გიორგი ერისთავმა კარგა მოგვიანებით, 20 წლის შემდეგ. გიორგი ერისთავის „ცისკარმა“ სახელოვნად გააგრძელა 20—30 წლის წინათ დაწყებული მართლაც მივიწყებული საქმე. სწორედ მან განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ჟურნალისტური ენა, გაამდიდრა იგი როგორც ხალხური ენიდან აღებული, ისე უცხო ენებიდან შემოტანილი ტერმინებით.

თუმცა გიორგი ერისთავის „ცისკრის“ ფურცლებზე კვლავ გვეჩოთირება — „მინუტი“, „ბუთილკა“, „სტოლი“, „ზაღაჩა“, „სტოლოვოი“, „ბოჩკა“, „პორცია“, „კაპლი“, „სტაქანი“ და სხვ., მაგრამ სიხარულის გრძნობა ეუფლება მკითხველს, როცა აქვე ნახავს უცხო ენებიდან შემოტანილ, ამჟამადაც სრულფასოვან და შინაარსიან სიტყ-

¹ კალანდაძე ალ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 1977, ტ. I, გვ. 105.

ვებს — „კოსმოგრაფია“, „ბიუსტი“, „ელექსირი“, „რეცეპტი“, „ექსპედიცია“, „ეტიკეტი“, „ლაქია“, „პერიოდი“, „ეპოსა“, „კუთხედი“, „სოციალური წოდებები — „პრინცი“, „მარშალი“, „გრაფი“, „გვარდიანი“, „მარკიზი“ და სხვ.


ივანე კერესელიძის მიერ განახლებულმა „ცისკარმა“ ტრადიციას არ უღალატა და ექვსი წლის მანძილზე (1857—1863) ქართული სიტყვიერების უბადლო ქომაგი შეიქნა. მართალია, მამათა და შვილთა ბრძოლა ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდისათვის მის ფურცლებზე გაჩაღდა, იქ მოღვაწეთა კონსერვატიული ნაწილი გარკვეულწილად ძველი პრინციპებით ხელმძღვანელობდა, ვერ დააღწია თავი ძველის გავლენას, მაგრამ ამ ბრძოლამ სასურველი შედეგაც გამოიღო — გაიმარჯვა ახალმა, პროგრესულმა და ამალელებულმა აზრმა.

ამ დავის ფონზე და ზოგჯერ მისგან გამომდინარე ყურნალის ფურცლებზე საბოლოოდ დამკვიდრდა ეპოქისა და საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენათა შესაბამისი, თავად ქართული ენიდან ამოტივტივებული თუ უცხო ენებიდან შემოტანილი ცნებები, ტერმინები, სატოვანი სიტყვა-თქმანი.

თვითონ ძველი პრინციპების დამცველნიც — ალ. ორბელიანი, სარდიონ ალექსეევ-მესხიშვილი და მათი ბანაკის წარმომადგენელნი მომხრე იყვნენ იმისა, რომ „სხვადასხვა ჭრელი წერა არ გამოვიდეს ხოლმე „ცისკარში“¹, ე. ი. მოითხოვდნენ ერთიანი ენობრივი ნორმების დაცვას. პლატონ იოსელიანმა მოიწონა პირველი ქართული კომედიის ავტორის ენა: მან „დაბადა ქართული ახალის გუარისა მწერლობისთვისა და მას მიბაძეთო“. ეს ალ. ორბელიანმა არ მოიწონა და უსაყვედურა კიდეც — რატომ თვითონ არ წერს ამგვარი ენითო და კომედიას „დაუწვილი ლაპარაკით“ შედგენილი კითხვა-მიგება უწოდა.

იმის ნათელსაყოფად, თუ „ცისკრის“ ფურცლებზე როგორ უპირისპირდებოდა ანდა ენაცვლებოდა ერთმანეთს ძველი და ახალი, მოვიტანთ ორ მაგალითს. 1861 წლის მე-6 ნომერში დაბეჭდილი სარდიონ ალექსეევ-მესხიშვილის სტატია „უსტარი ანტიკრიტიკული“ არქაული, ეკლესიური მჭურმეტყველებითი სიტყვებით იტყვევს ყურადღებას. ავტორი ილიას მომხრეებს ასეთ დარიგებას აძლევდა: „მოვალს უამი, როდესაც სიჭაბუკისა სიფიცხე თქვენთ განგრილდების და ზეფიროსანნი მოლექსისა ლანდები მიმოიფანტებიან და მაშინ მკაცრად

¹ „ცისკარი“, 1859, № 5.



ალარ განსჯით და შევრიგდებით. ნიჭიერება თქვენი, ნამეტნავად ლექსობისა, გამომჭვირვალებს და, სანუგეშოდ ქართველთა, რომელთა ცმაწველი კაცი, მაღალს სასწავლებელში მყოფი, რასაკვირველია, უცდებით ყოველი ნაკლულოვანება თქვენი განმართოთ, მრავალი კეთილი მსწავლა შეიძინოთ და აღმოსჩნდეთ სასიქადულო შეილად მამულისა, ორსავე ნაწილში ქართული სიტყვიერებისა, როგორც წყობილსიტყვაობაში აგრეთვე სადაგსიტყვაობაში¹.

ამ მსჯელობისაგან სრულიად განსხვავებულია ალ. სავანელის ახალი ქართულით აუღერებული სიტყვები: „ხალხი შედგება ყველასაგან, ვინც კი ცხოვრობს იმ მხარეს, განურჩევლად სახელწოდებისა, შეძლებისა, ჩამომავლობისა, სარწმუნოებისა და განათლებისა. ხალხს შეადგენს ყოველი გონიერი ცხოველი, რაც კი ცხოვრობს სამეფოში და შემოაქვთ მამულში თავიანთი სურვილი, შეძლება, შრომა, ჭკუა, მწუხარება და სიამოვნება. ხალხი არის შეერთებულია პირთა, რომელნიც ცხოვრობენ ერთს მთავრობის და ერთს სამოქალაქო დაწესებულს კავშირს ქვეშ“².


„ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ანტონ ფურცელაძის, კირილე ლორთქიფანიძის, ვიორგი წერეთლის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე სავანელის თხზულებები არა მარტო ენის სიწმინდის, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით არიან გამსჭვალული, არამედ გვიჩვენებენ — უბადლო მაგალითს ახალი სიტყვებისა და ტერმინების გაბედულად შემოტანა-დამკვიდრებისა.

1863 წელს ანტონ ფურცელაძემ პირველად იხმარა სიტყვები — „კონსერვატორები“ (№ 2), „ბედანტობა“ (№ 3), მისივე გამოთქმებია „სურამის ციხემ“ მხოლოდ დასცა თავზარი და აუშალა ტანში ჟრუანტელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებს“, „ამალეს თავის თანამომემ“, „მიაგებეს დაფნის გვირგვინი“.

„ცისკრის“ ფურცლებზე მკვიდრდება უცხო ენებიდან გადმოქართულებული ტერმინები — „ტარტაროზები“, „ორანგუტანგები“ (1860, № 7), „აგრონომი“ (1861, № 1), „დიამეტრულად“, „მიმართულება“ (1862, № 9), „პოლიტიკური ეკონომია“ (1863, № 3), „ელემენტები“ (1867 № 6), „კლასი“ (1867, № 2).

1 „ცისკარი“, 1861, № 6.

2 იქვე, 1864, № 4.



ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში ყველაზე დიდი წვლილი ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის. მეცნიერულად დასაბუთებული და ხალხის მეტყველებასთან შეფარდებული უცხო და თავისი მიგნებით ახლად შექმნილი სიტყვები ეპოქის სიახლის ქროლვას გვაგრძნობინებს. „ორიოდ სიტყვაში“ პირველად აუღერდნენ: „ესთეტიკური კრიტიკა“, „სენტიმენტალური მიმართულება“, „ტალანტი“, „დრამატიზმი“, „თანხა“, „კაპიტალი“, „ბლასტიკა“, „ფორმა“, „სიუჟეტი“, „რიტორიკა“, „ცრუ-კლასიკური მიმართულება“, „ფანტაზია“, „პარმონიული“, „კონსტრუქცია“, „ტელეგრაფი“, „ტელესკოპი“, „ორიგინალური“, „მეხანიკური“; ნაცვლად ძველი გამოთქმისა „ოდენ“ იხმარა „როცა“; ხალხური მეტყველების წიაღიდან ამოატივტივა მოხდენილი სიტყვა-თქმანი: „წირბლიანი“, „მორახუნეები“, „აგანაგალა-განგალა“, „პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლი“, „პაწაწკინტელა პოეტები“, „ფრჩხილის ოდენად“ და სხვა მრავალი.

მოპაექრების შენიშვნათა მიუხედავად ილიამ დაამტკიცა უცხო სიტყვების შემოღების საჭიროება და „პასუხში“ განდნენ: „იდეა“, „ქრესტომათია“, „კრიტიკოსი“, „რომანტიკული მიმართულება“, „ლოლიკა“, „ფილოლოგები“, „კვარტეტი“, „კომპლემენტი“, „ფილოსოფია“, „ხელოვნება“, „პოეტური ენა“, „თანამშრომლები“.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის „პასუხი“ დაისტამბა ალექსანდრე ორბელიანის ჩარევით 1861 წლის მე-6 ნომერში. მოწინააღმდეგეთაღმი მამხილებელ მიმართვას — „თუ „ცისკარი“ უვარგისია კიდევ თქვენგან, ყვავებო, ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო, ყორნის ჩხავილითა“ — რედაქციამ გაუკეთა შენიშვნა — „საკვირვლად მჭერმეტყველობსო“.

თუ როგორ ძნელად მკვიდრდებოდა ქართულ ჟურნალისტიკაში ყოველი ახალი სიტყვა, მოწმობს ტერმინ „კრიტიკის“ ისტორია. იგი „ცისკარმა“ პირველად იხმარა 1857 წლის მე-4 ნომერში. აქვე მოცემული იყო მისი განმარტებაც. 1859 წლის მე-9 ნომერში ლავრენტი არღაზიანმა კვლავ გაიმეორა იგი, ხოლო ილია ჭავჭავაძემ „პასუხში“ ასე დასაბუთა მისი საჭიროება: „თუ ცისკრელები მოითხოვენ „კრიტიკას“ შესატყვისი გამოენახოსო... ამის თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა რომ იყოს. თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ ყოფილიყო, რადგან ეგ დავვიმტკიცებდა, რომ ჩვენი „მამა-პაპანი მაგ მხრივ განვითარებული ყოფი-

ლან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ესლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდნად განათლებული, ხმარობს თავის ენაში.... „კრიტიკა“ არის განხილვაც, გარკვევაც, გარჩევაც და ფასდადებაც¹.

1857—1862 წლებში „ცისკარი“ ერთადერთი გამოცემა იყო, რომლის ფურცლებზე პირველად წამოიჭრა ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების, მისი დახვეწისა და შემდგომი განვითარების პრობლემა. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მრავალი ენობრივი ნორმისა და ცნება-ტერმინის დამკვიდრება.

1863—1866 წლებიდან ეს ეროვნული საქმე „საქართველოს მოამბემ“ და გაზეთმა „დროება“ ითავეს. „ცისკარი“ მათ მიერ მიგნებულ ახალ სიტყვასა თუ ენობრივ სტრუქტურას სესხულობდა და მხარს უბამდა ამ საპატიო მოვალეობის აღსრულებაში.

ალექსანდრე კალანდაძის „საქართველოს მოამბეზე“ დაწერილ ვრცელ მონოგრაფიაში ამგვარი სიტყვებისა და ცნებების გამოვლენამ სათანადო ადგილი ვერ ჰპოვა. ეს საკითხი კი არც თუ მეორეხარისხოვანია.

ილია ჭავჭავაძის მოწინავე სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ საიმედოდ აღმობრწყინდნენ: „პოპულარული ლიტერატურა“, „მიზანდასახულობა“, „ცნობიერება“, „ცხოვრების მაჯის ცემა“, „გენიოსი“, „ცნობადი“, „ფაქტი“ და სხვ.

ამავე ეურნალის ფურცლებზე დამკვიდრდა უცხოური სიტყვები: „რუტინისტები“ (№ 4), „კონკურენცია“ (№ 2), „პარლამენტი“, „დეპუტატები“, „დემოკრატია“, „კომუნა“ № 11—12), „დეკლამაცია“ (№ 5); ასევე ახლად მიგნებული ქართული სიტყვები: „კეთილწარმართება“, „მომაკვდინებელი“.

ეურნალ „მნათობში“ პირველად იხმარეს სიტყვები: „ეპოქა“, „აქსიომა“, „ეგოიზმი“ (1870, № 1), „ანალიტიკური“.

განუზომელია გაზეთ „დროების“ როლი ქართული ენისა საერთოდ და სალიტერატურო ენის დახვეწისა და ენობრივი ნორმების დადგენაში. გაზეთის რედაქცია, თავად რედაქტორი სერგეი მესხი მძიმე შრომის ფასად ადგენდა ახალ-ახალ ენობრივ კონსტრუქციებს, ხოლო ახლად შემოტანილ უცხოურ სიტყვებს განმარტავდა სქოლიოში. პირველსავე ნომერში იხმარეს სიტყვები: „მმართველობა“, „საზოგადო ყოფა-

¹ „ცისკარი“, 1961, № 6.

ცხოვრება“, „ნეიტრალური პოლიტიკა“, „მილიარდი“, მე-2 ნომერში — „ფედერალისტების დოლარი“, მე-3-ში — „ექსტრაორდინალური შემოსავალი“, „პრინციპი“, „სტატისტიკური ცნობები“, „მილი“ (№ 4); „საინჟინრო“ „საინტენდანტო“ (№ 6), მომდევნო ნომრებში — „ბასტიონი“, „პროცენტი“, „პენსი“, „შილინგი“, „დივიდენდი“, „ფრანგი“, „ეთნოგრაფიული ცნობები“, „პროლეტარიატი“; 1867 წლიდან — „ახალი ერა“, „ჯეროვანი ყურადღება“, „კლერიკალი“, „კილოგრამი“, „დეკატი“, „მიკროსკოპი“, „მერესპუბლიკე“, „კოსმოპოლიტი“, „დემოკრატი“, „დემონსტრაცია“, „კონგრესი“, „მონარხია“, „ნოტა“; 1868 წლიდან — „მიტინგი“, „ემანსიპაცია“, „მარსელიეზა“, „აფიცერი“, „ბობოლა“ (ეს სიტყვა ჯიმშერიძის (ილია ჭავჭავაძე) არისო), „კომუნიზმი“, „სინოტიკური კალენდარი“, 1871 წლის გაზეთის ნომრებში სწორად დაწერეს „ინგლისი“, 1877 წლიდან — საფრანგეთი“.

ამ ღრმადშინაარსიანი სიტყვების გვერდით შესატყვისი ვერ მოუძებნეს და 1876 წელსაც წერდნენ: „სტოლი“, „ლოშპიტალი“, „ფორტის სტანცია“, „ტორგი“, „კამისსია“, „კამიტეტი“.

„დროების“ რედაქციას ზოგჯერ საყვედურობდნენ, რომ იგი ასწორებდა შემოსულ მასალებს; გაეხსენოთ თუნდაც გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“, სადაც სტრიქონებს — „ვანი, საბრალოს... ვაი, ჩვენს ენას“ ახლავს განმარტება — „წაიკითხეთ დროება“ და იხილავთ ქართულის ენის დაპრანჭვას“, აგრეთვე მისივე დაწერილი ლექსი „დროების“ ათი წლის იუბილე“, რომელშიც მგოსანი აშარჟებს კიდევ გაზეთის ენას: „ნეტა მესხის რათ არ ესმის ყვედრება, რომ მან ენა წაგვიხდინა, წაბილწა“.

ყველა მომჩივანის საპასუხოდ 1867 წლის 3 (16) ნოემბრის ნომრის სარედაქციო განცხადებაში სერგეი მესხი მკითხველებს განუმარტავდა: „მხოლოდ ის („დროება“) ენაზე ცოტა ოდნათ დრტვიანავდა. თუ გამოერეოდა იმერული ლექსთა-თხზვა, ეს ქართლელებს ეჩოთირებოდათ და თუ ქართლელი ლექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ეჩოთირებოდათ. ამისთანა მოვლენა ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ საზოგადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა. რაოდენმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საჭიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს და თავისი შესაფერისი ლიტერატურული ფორმა მიიღოს“¹.

¹ „დროება“, 1967, 3/10 ნოემბერი, № 44.

ასეთსავე განმარტებას აძლევდა რედაქტორი 1869 წელსაც. იგი მკითხველებს შეახსენებდა: „მიიღეთ ყურადღებაში და კარგათ სწო-
ნეთ ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა, ცენზურის კანონები და
რედაქციის მიმართულება. უამისოთაც გვეუბნებიან ჩვენ, რომ ენა
გააფუჭეთო, გააჭრელეთო, კონსტრუქცია სულ ქართული არ არისო
და სხვ.“¹.

„დროების“ მესვეურთა ცდასა და წადილს, სურვილსა და მისწ-
რაფებებს ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფისათვის უქმად
არ ჩაუვლია. 80-იანი წლებისათვის გაზეთი ქართული ენის ნამდვილ
მესიტყვედ გადაიქცა, მთელის სრულფასოვნებით გასხვივონდა და
ერის შემდგომი კულტურული აღმავლობის ჩაუქრობელ ნიშანსვეტად
გაფერადოვნდა, გაჩირაღდნდა.

ბევრი ახალი შემოღებული სიტყვა-თქმა, ცნება თუ ტერმინი თა-
ვისი შეუფერებლობის და ხალხისაგან არმოწონება-მიუღებლობის გა-
მო იმ ეპოქაშივე იქცა ანაქრონიზმად, ხოლო რომელთაც სიცოცხლის-
უნარიანობა გამოავლინეს, მათ ჩვენი ენა დინამიზმით დამუხტეს.

პუბლიცისტური ცნებებისა თუ ენის ლექსიკური მარაგის გამდიდ-
რებისათვის ზრუნვა თავისთავად ნიშნავდა მრავალი ჟურნალისტური
თუ პოლიგრაფიული ტერმინის შემოღება-დამკვიდრებას. სიამაყის
გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭდვითი სიტყვის ყოველ წარმა-
ტებას თან ახლდა პუბლიცისტის უანრობრივი ფორმების, თუნდაც
მისი სახელწოდებების დადგენის ცდები. ანონიმურობა, ფსევდონიმით
საკუთარი პიროვნების დაფარვა-შენიღბვა, ცენზურის სიმკაცრე,
მკითხველთა ცოდნის დაბალი დონე, თავად საგნის უქონლობა თავის-
თავად ზღუდავდნენ, ბოჯავდნენ შინაარსის განსაზღვრულ ფორმაში
მოქცევას. მიუხედავად ამისა, მკვეთრად ვლინდება ჟურნალისტური
ცნებების დამკვიდრების ტენდენცია.

ყურადღებას იქცევს პირველი ქართული გაზეთის ცდა რუბრიკის
დამკვიდრებისა. სწორედ მან იხმარა პირველად — „პოლიტიკურნი ამ-
ბაენი“, „შინაგანი ამბაენი“, „გამართულ არს სტამბა“ და „ჩინებული
გამოცემა“. ეს ტრადიცია გააგრძელა „ტფილისის უწყებანმა“. მის
ფურცლებზე პირველად ვხვდებით: უცხოეთის ახალი ამბები, ბიბლიო-
გრაფია. პირველი რუბრიკა ინფორმაციებს აჯგუფებდა, ხოლო მეორე
— ნაწარმოების უანრულ ფორმას გულისხმობდა.

¹ „დროება“, 1869, 23 მაისი, № 23.

მრავალი ჟურნალისტური ტერმინი დამკვიდრდა ჟურნალ „ცისკრის“ გვერდებზე. განსაკუთრებული ტონი მისცა ჟურნალს „სალაყბო ფურცელმა“. ალეგორიულ-სარკასტული სიმახვილით, ირონიითა და შეფარვითი მსჯელობით მან მყისვე მიიქცია ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება და მალე საერთო აღიარებაც ჰპოვა. მისი შინაარსისა და ფორმის ქმედითობაზე მეტყველებს ივანე კერესელიძისადმი ილია ჭავჭავაძის მიერ მიწერილი წერილი:

„ამას წინათ მგონია შენი სტატიები იყო „ცისკარში“ და მოლაყბედ აცხადებდი შენს თავს... პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ; ჰაზრიც არ იყო დასაწუნი, დასაწუნი-მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილით დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველის უბედურებაზედ დაცინება და რა ლამაზი ქართულ ჯარაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა. რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა, კარგის გულიდამ გამოსულს“¹.

მის მნიშვნელობას აღიარებს კირილე ლორთქიფანიძეც (თერგ-დალეული) იგი წერდა: „სხივები, რომლებიც გამოჩნდნენ მის („ცისკრის“) გამოცოცხლების წელიწადშივე მოლაყბის თხზულებებში მიჭფარა ჩვენგან ტევრით ცაზედ გასხმულმა ღრუბლებმაო“².

როგორც ვხედავთ, „სალაყბო ფურცლის“ შემოღებით ერთგვარად დაჯგუფდა მსგავსი შინაარსის მქონე ფაქტები და მან კრიტიკული მიმოხილვის სახე მიიღო. ამგვარი დაჯგუფების ქმედითობა საზოგადოებაზე იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი იყო, რომ „ცისკრის“ ყველაზე ძლიერ ნაწილად არის მიჩნეული თანამედროვეთა მიერ. მის ეფექტურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აკაკიმ თავის მახვილ კრიტიკულ გამოსვლებს „ახირებული ფურცელი“ უწოდა.

„ცისკრის“ ფურცლებზე შეიმჩნევა სწრაფვა ჟურნალისტიკის ფუნქციური დანიშნულების განსაზღვრისა. 1862 წ. მეორე ნომერში დაბეჭდილ „სალაყბო ფურცელში“ ივანე კერესელიძე ახალი ამბების ზეპირად გავრცელების თაობაზე წერდა: „ახალ-ახლის ამბის მომტანნი პირნი გახლდნენ სიტყვით ჟურნალისტები და სიტყვითვე რედაქტორები“. აქ ავტორი ჟურნალისტს ახალი ამბების გამავრცელებელს, თანამედროვეობის ამსახველს უწოდებს.

¹ „ცისკარი“, 1863, № 7.

² „ცისკარი“, 1862, № 9.

„ცისკრის“ ფურცლებზე იღებს დასაბამს რამდენიმე ჟურნალისტურ პოლიგრაფიური ტერმინიც. 1857 წლის მე-6 ნომერში ლად იხმარეს ტერმინები: სახე ჟურნალისა, ქაღალდის ზომა, სხვადასხვა ზომის ასოები (შრიფტები), მე-19 ნომერში — ვრცლად გამოცემა, 1858 წლის პირველ ნომერში — სტატიების გარიგება, საკუთარი სარჩევი; 1859 წლის მე-4 ნომერში — ჟურნალის გამშვენირება; 1862 წლის მე-3 ნომერში — კეკლუცი ჟურნალი; 1864 წლის მე-9 ნომერში — ჟურნალის განვრცელება და გამშვენირება; 1860 წლის მე-12 ნომერში „პორტრეტის“ ნაცვლად იხმარეს სურათი.

1868 წლის მე-8 ნომერში „დროებამ“ იხმარა სიტყვა ვინიეტა და განმარტებაც დაურთო — რაზედმე შემოვლებული მხატვრობა.

არასრულად მოხსენიებული ტერმინები და გამოთქმები მოწმობენ ჟურნალისტური ენის თანდათანობით შევსებას ახალი შინაარსის მქონე სიტყვებით, ენის გამდიდრებას, მის სრულყოფაზე ზრუნვას.

ჟურნალისტური ენის სრულყოფასთან ერთად თანდათანობით იკვეთება ძირითადი ჟანრების სპეციფიკაც. მართალია, ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ვაგება აქვს ე. ი. ერთი ტერმინის ქვეშ სხვადასხვა საგანი იგულისხმება, მაგრამ აშკარა ხდება სწრაფვა გამოცემათა ჟანრობრივი გამრავალფეროვნებისაკენ. ცნობილია ტერმინის „სტატიის“ რამდენიმე მნიშვნელობა¹. ივანე კერესელიძეც „ცისკარში“ მას მრავალი მნიშვნელობით ხმარობდა. ერთგან იგი წერდა: „თუმცა ბევრი კარგი სტატიების დაბეჭდვა ვესურვებია... ყოველის ღონისძიებით ვცდილობთ კარგის სტატიების მოპოვებასა“².

მოწინავე სტატია პირველად „საქართველოს მოამბემ“ გამოიყენა (ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეზედ“). „დროებაში“ მან დასრულებული სახე მიიღო და აქ შეიძინა პრობლემათა დაყენების საზოგადოებრივ-პოლიტიკური უღერადობა. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ სერგეი მესხის პირადი წერილი ეკ. მელიქიშვილისადმი, სადაც იგი წერდა: „მე ისე შევეჩვიე გაზეთის თითოეულ ნომერში მოწინავე წერილის არსებობას, რომ მის გარეშე იგი არასრულყოფილი მგონია“³.

¹ იხ. „ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები“ პროფ. ნ. ტაბიძის „ზოგიერთი პუბლიცისტური ტერმინის შესახებ“, თბ., 1979, გვ. 65—66.

² „ცისკარი“, 1865 წ. № 12.

³ მ ე ს ხ ი, წერილები, სოხუმი, 1950, გვ. 174.



გარდა ამისა, „დროების“ ფურცლებზე დასრულებული სახე მდილო მიმოხილვამ და კორექსონდენციამ. ეს უკანასკნელი პირველად გამოჩნდა 1866 წლის 25-ე ნომრის პირველ გვერდზე. აქ რედაქცია აცხადებდა, რომ ვებჭდავთ ერთ კორექსონდენციასო. იგი აღნიშნავდა საქართველოს სხვადასხვა ადგილას მომხდარი ამბებისა თუ მოვლენების, ან მდგომარეობის აღწერას. შემდგომ წლებში ამგვარ მასალებს აწოდებდნენ სათაურებით — „დროების“ კორექსონდენცია“, „კორექსონდენცია ქუთაისიდან“, „კორექსონდენცია სიღნაღიდან“ და ა. შ. ჟურნალ „ცისკარში“ გაჩნდა და „დროებაც“ ხშირად იყენებდა წერილს. იგი ხან რედაქტორისადმი იყო მიმართული, ხან წარმოადგენდა გამომავლებს, კრიტიკულ გამოსვლას საზოგადოებრივი მოვლენის ან ახალი წიგნის გამოცემის შესახებ.


„დროებაში“ თავისი ფუნქციით აღიჭურვა შენიშვნა. მასში გადმოიცემოდა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და რუსეთის ამბები. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბიბლიოგრაფიულმა შენიშვნამ.

საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოიპოვა აკაკის „ცხელ-ცხელმა ამბებმა“.

ცნობილია, რომ ფელეტონი მე-19 საუკუნის რუსულ და ქართულ გაზეთებში გვერდის ადგილს (სარდაფს) მიუთითებდა. იქ თავსდებოდა როგორც სოლიდური პუბლიცისტური ნაწარმოებები, ისე მხატვრული ლიტერატურული თუ კრიტიკული თხზულებები. მაგრამ ამ ტერმინით უნარსაც რომ აღნიშნავდნენ, მკაფიოდ ჩანს ანჩისხატისუბნელის (პეტრე უმიკაშვილი) სიტყვებიდან „ჩვენდა სამწუხაროთ **ფელეტონის-ტები** (ხაზი ჩვენია ი. მ.) არ გვყავს, ჩვენ, რომელთაც გვიყვარს ოხუნჯობა, ხუმრობა, სიცილი, სხარტი სიტყვა კალამბური, მახვილობა და ყოველგვარი ფრანცუზული ლაპარაკის კილო. ჩვენ მწერლობას დიდ-მარხვის ფერი ადევს. არა ჩანს მაჭრის დუღილის მსგავსი დუღილი ჩვენს მწერლობაში. არ არის მაჭრის შუშში ჩვენს სიტყვაში, მაჭრის სიტყვო, ჩვენის ლიტერატურის დაობებულს, დახავსებულ ტკბილობაში — ფელეტონი სწორეთ მარილია მწერლობისა. ეს მარილი ჩვენ არა გვაქვს“¹. ეს სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ ფელეტონის უნარულ სპეციფიკაზე მიუთითებენ.

ამასვე ადასტურებს ნიკო ნიკოლაძის წერილი სერგეი მესხისადმი. გაზეთ „დროების“ გაუმჯობესების შესახებ იგი წერდა: „კრიტი-

¹ „დროება“, 1869, 18 ივნისი, № 25.



კული ნაწილი ხომ ჩემი საქმეა, — მაგაში რამდენიც გინდა იმდენი დამ-
 საქმე — უღელს პატიოსნად გავსწევ. საქმე ფელეტონშია, სადაა ჩემი
 ნაირი ფელეტონი?“.

ქართული პუბლიცისტური ცნებებისა და გამოთქმების, აგრეთვე
 ზოგიერთი ჟურნალისტურ-პოლიგრაფიული ტერმინების ქმნალობა-
 ფორმირება ძირითადად ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე წარმოებს.
 მათზე საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება შემდეგი გარემოებების
 გამო: 1. ისინი ტექსტების შინაგანი ფორმის, მისი ზემოქმედებითი
 ხარისხის ძირითადი საშუალებებია. 2. ფორმის ესთეტიკურობა შინა-
 არსის ესთეტიკურობის გამაძლიერებელია. 3. ჟურნალისტიკის ისტორი-
 ის თითქმის ყველა მკვლევარი უგულებელყოფს მათ გამოვლენას და
 ეპოქასთან შესაბამისობის შინაარსობრივი ფუნქციის განსაზღვრას.
 4. ანაქრონიზმად გადაქცეული ზოგიერთი ცნება, რომლებიც მაშინ-
 დელი განვითარების დონეს არ შეეფერებოდნენ, შესაძლოა კვლავ
 აღდგეს და თავისი მნიშვნელობა შეიძინოს ან დაიბრუნოს.

ლიანა ტყეშელაშვილი

რიტორიკული ფიგურები პუბლიცისტურ ტექსტში

ლიტერატურის თანამედროვე თეორეტიკოსები „ჟურნალისტურ რიტორიკას“ განიხილავენ, როგორც სიტყვის საშუალებით დარწმუნებისა და შემოქმედების ხელოვნებას¹.

ჯერ კიდევ პლატონი და არისტოტელე იკვლევდნენ ეფექტური რიტორიკული შემოქმედების პრობლემებს: რა გზითა და საშუალებით მოხერხდება უფრო ლოგიკურად, უფრო მკაფიოდ, უფრო ლაკონიურად და გამომსახველად აზრის გადმოცემა, აუდიტორიაზე ეფექტური შემოქმედების მოხდენა?

საუკუნეთა მანძილზე იხვეწებოდა საზოგადოებაზე სიტყვიერი ზეგავლენის ხელოვნება. ძველ ბერძენთა მიერ დასმული პრობლემები კი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. «Должна быть воскрешена старушка риторика так же, как воскресла поэтика», წერდა ბ. ვ. ტომაშევსკი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, გამოდიოდა რა „სიტყვიერების თეორიის“ სქოლასტიკის წინააღმდეგ². ამ აზრს ავითარებს ვ. ვ. ვინოგრადოვიც, გახსნავს რა ახალი ტენდენციების წარმოშობას ფილოლოგიურ მეცნიერებაში. იგი რიტორიკისადმი ინტერესს უკავშირებს ლინგვისტური მეცნიერების ზოგად მიმართულ-

¹ ჟურნ. «Вестник МГУ», Серия—10, Журналистика, 1983 г., № 4, стр. 19—29.

² იქვე, გვ. 24 (იხ. აგრეთვე) Томашевский Б. В., Конструкция тезисов, Леп., № 1 (5).

ბათა შეცვლას: «Возрождается интерес к риторике и держивают требования общественного быта»¹.

არისტოტელეს რიტორიკის ძირითად მიზნად დარწმუნება მიაჩნდა. მისი აზრით, დასაბუთება, როგორც თავდაცვა, საჭიროა იქ, სადაც მსჯელობის საგანი სადავოა ან — ორპარტიანი, ან — დაუდგენელი, რადგან, სადაც ყოველივე გარკვეულია, იქ აღარც მსჯელობაა საჭირო. აქედან, რიტორიკის შემდეგ მიზნად მას თავდაცვა მიაჩნია: „შეუსაბამობაა, რომ სამარცხვინოდ ვთვლით იმას, როცა ფიზიკური თავდაცვა არ შეგვიძლია, იმას კი აღარ ვთვლით სამარცხვინოდ, რომ სიტყვით ვერ ვიცავთ თავს, მაშინ, როცა ადამიანისათვის უფრო მეტად დამსახურიათებელია მეტყველება, ვიდრე ფიზიკური ძალა“².

არისტოტელემ რიტორიკის საბოლოო მიზნად სიკეთე გამოაცხადა და ის მშვენიერებასთან გააიგივა: „მშვენიერია ის, რაც არის თავისთავად სასურველი, საქებიცაა. ანდა — არის რაკეთილი, სასიამოვნოცაა. თუ მშვენიერება ესაა, აუცილებელია, რომ სათნობა მშვენიერება იყოს“³. სხვაგან ბერძენი ფილოსოფოსი აღნიშნავს: „ყოველი სიტყვის საბოლოო მიზანია წინასწარგანზრახული სიკეთე: სარგებლობა, მშვენიერება, სამართლიანობა“⁴.

არისტოტელეს თქმით, „ყოველი წამოწყებისა და საქმის წარმატების საწინდარია ადამიანის თავისუფალი ნება, მოქმედება საკუთარი სურვილით და გატაცებით და არა იძულებით“⁵. იგი მიიჩნევდა, რომ თუ დასაბუთების მეთოდი ფილოსოფიაში არის სილოგიზმი, რიტორიკაში ამგვარ საშუალებად ენთიმეა გვევლინება. ფილოსოფია და რიტორიკაც სწავლობს წინააღმდეგობას, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ ორივე მხარე ჭეშმარიტებად მიიჩნიოს, არამედ — საგნის ნათელყოფის მიზნით.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი რიტორიკას დიალექტიკისა და ეთი-

¹ Виноградов В. В., Избр. труды, О языке художественной прозы, М., стр. 337.

² არისტოტელე, რიტორიკა, თბილისი, გვ. 19.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 29.

კის ნაწილად მიიჩნევა. აახლოებდა რა რიტორიკასა და დიალექტიკას, გამოჰყოფდა და უპირისპირებდა მათ სოფისტიკას, მიიჩნევა, რომ „თუ დიალექტიკა და რიტორიკა ცოდნაა, სოფისტიკა — მხოლოდ მისწრაფებაა ცოდნისაკენ“¹.

საინტერესოა და ყურადსაღებია თანამედროვე ქართველი ფილოსოფოსის თ. კუკავას შენიშვნა იმის შესახებ, რომ: „ზოგიერთი მკვლევარი უარყოფდა არისტოტელეს დამსახურებას რიტორიკული ხელოვნების განვითარების საქმეში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ არისტოტელეს მჭევრმეტყველება ესმოდა მხოლოდ კამათის და კამათში ნებისმიერი ხერხით გამარჯვების ხელოვნებად. მათ წინააღმდეგ კრახისი ამტკიცებდა, რომ არისტოტელესათვის რიტორიკა იყო ეთიკური პოლიტიკური იარაღი, რომელიც გზას კაფავდა სამართლიანობის, სარგებლობისა და ზნეობისაკენ, რომ არისტოტელე არ იყო მხოლოდ კრიტიკოსი და სისტემატიკოსი, არამედ, რეფორმატორი და ორიგინალური მოაზროვნე“².

ამგვარი წინასწარი უმოკლესი ექსკურსი არისტოტელეს გენიის ბრწყინვალე ძეგლის — „რიტორიკის“ სამყაროში იმიტომ დაგვჭირდა, რომ გაგვეხაზა უმთავრესი მომენტები — შეხების წერტილები რიტორიკასა და პუბლიცისტურ სიტყვას შორის, კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ წარმოგვედგინა რიტორიკული ხელოვნების, რიტორიკული ოსტატობის ძალა და მნიშვნელობა საუკეთესო აზრით გაგებული პუბლიცისტური, ჟურნალისტური მოღვაწეობის არსენალში. იმედს ვიტოვებთ, რომ დაკვირვებულ, ანალიტიურად მოაზროვნე მკითხველს არ გაუჭირდება ამგვარი პარალელების გაგება, „შეხების წერტილთა პოვნა“. ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. საკმარისად მიგვანინია მიეუთითოთ რიტორიკის ძირითად მიზანთა (დარწმუნება, თავდაცვა), საბოლოო მიზნის (სიკეთის დამკვიდრება, არისტოტელესეული — წინასწარგანზრახული სიკეთე, სარგებლობა, მშვენიერება, სამართლიანობა), დასაბუთების მეთოდი (ენთიმემა), შესწავლის საგნის (წინააღმდეგობა, პრობლემა) ერთიანობა, ამასთან, „არა იმ მიზნით, რომ ორივე მხარე ჭეშმარიტად მიიჩნიოს, არამედ — საგნის ნათელყოფის

¹ არისტოტელე, რიტორიკა, თბილისი, გვ. 18.

² იქვე, გვ. 17. (იხ. აგრეთვე: O Kraus, Heue studenzu Arisiotelischen Rhetorik, Halle, 1907)

მიზნით“. დაბოლოს, რიტორიკა (ისევე, როგორც ჭეშმარიტი უზრუნველ-
ლისტური სიტყვა) არის „ეთიკურ-პოლიტიკური იარაღი, რომელიც
გზას კაფავს სამართლიანობის, სარგებლობისა და ზნეობისაკენ“. განა-
რაიმე სხვას გულისხმობდა პუბლიცისტიკის უდიდესი ქართველი თეო-
რეტიკოსი ილია ჭავჭავაძე, როდესაც „საქართველოს მოამბის“ საბ-
როგრამო წერილში ბრძანებდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის
ცხოვრებაა, მისი გამჯობინება, ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურ-
ვილი“¹.

პუბლიცისტური ტექსტის რიტორიკული ასპექტით ანალიზის მი-
ზანმეწონილობას და საინტერესოობას ადასტურებენ თანამედროვე გა-
მოკვლევათა ავტორებიც², რომლებიც, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის
კვალბაზე, განიხილავენ რიტორიკულ ხელოვნებას, როგორც „მეც-
ნიერებას დარწმუნების ხერხებსა და საშუალებებზე“.

სიტყვიერი საშუალებით საკუთარი პოზიციის გამოხატვის უნარის
სრულყოფა პუბლიცისტიკის უმთავრესი ამოცანაა. იგი გულისხმობს
ადექვატური აღქმის, ტექსტში კოდირებული აზრის მკითხველამდე
(მსმენელამდე) უდანაკარგოდ მიღწევის ხერხთა და საშუალებათა მთელ
სისტემას.

თანამედროვე რიტორიკულ მეცნიერებაში რიტორიკული ფიგურები
განიხილება, როგორც „ტექსტის ლექსიკური, აშკარა მნიშვნელობიდან
ფარულ, ქვეტექსტურ აზრზე გადასვლის გზად, რიტორიკული ფიგურე-
ბი აპელირებენ არამართო მკითხველის ინტელექტის ცნობიერ თვისე-
ბებზე, არამედ ინტუიციურზეც, გრძნობადი შთაბეჭდილებებით წარმო-
ქმნილზე, რაც ადრესატის ქვეცნობიერზე გაცილებით ძლიერ შთაბეჭ-
დილებას ახდენს, ჩართავს რა მის წარმოსახვას აღქმის პროცესში“³.

¹ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ, საქართველოს მოამბე,
თბ., 1991, გვ. 145.

² იხ.: Рождественский Ю. В., Проблемы риторики в стили-
стической концепции В. В. Виноградова, в кн.: Русский язык, Проблемы
худ. речи, лексикология и лексикография, М., 1981 г., его же: Об одном
из приемов семиотического анализа текстов массовой информации. В кн.:
Предмет семиотики. Теоретические и практические проблемы взаимодей-
ствия средств массовой коммуникации, М., 1975 г.

³ Журн. «Вестник МГУ», Серия—10, Журналистика, 1988 г., № 1
стр. 39.

პუბლიცისტურ ტექსტში რიტორიკული ფიგურები გვევლინებიან ფორმის ელემენტებად, რომელთა საშუალებითაც რელიეფურად იკვეთება პუბლიკაციის უმთავრესი აზრი, არსი ავტორისეული ციხისა.

რიტორიკული ფიგურები იდეისაკენ ზესვლის ეფექტურ საშუალებებს წარმოადგენენ, რიტმულობას, სიმძაფრეს, ემოციურ მუსტს სძენენ თხრობას და სინამდვილის მოვლენებისა და ფაქტების ავტორისეულ შეფასებებს დამაჯერებლობას მატებენ.

როგორც ყურნალისტური პრაქტიკა ადასტურებს: „პუბლიცისტიკა რიტორიკული „უანრია“. თანამედროვე რიტორიკა კი განიხილება როგორც მეცნიერება ეფექტური დამარწმუნებელი კომუნიკაციის ფორმებისა და შესაძლებლობების შესახებ. როგორც ლინგვისტური დისციპლინა, რომლის კვლევის საგანია ისეთი ტექსტები, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება აუდიტორიაზე ზემოქმედება“¹.

რიტორიკის ამოცანა სამეცნიერო ლიტერატურაში განსაზღვრულია აგრეთვე როგორც მიმღების ეფექტური მდგომარეობის მიზანმიმართული ფორმირების მექანიზმთა გამოვლენა, რაც მასზე ამა თუ იმ ინფორმაციის გადაცემის შედეგია.

„რიტორიკულ ფიგურათა“ თანამედროვე თეორიას ეძღვნება ლიეჟელ მეცნიერთა წიგნის — „ზოგადი რიტორიკა“² მეორე ნაწილი. ამ ნაშრომის ავტორთა ტერმინოლოგიით მეტაბოლები (ან რიტორიკული ფიგურები) წარმოადგენენ რიტორიკული ფუნქციის რეალიზების ფორმებს ენის სხვადასხვა დონეზე³.

აღნიშნული ნაშრომის ავტორები გამოჰყოფენ მეტაბოლის ოთხ სახეს, რაც რიტორიკული ანალიზის არსის განსაზღვრის საშუალებას იძლევა დაწყებული მეტაბოლაზმის (გრაფემის, ფონემის გარდაქმნები) ანალიზიდან, მეტასემემის (სემანტიკური გარდაქმნების), მეტატაქსისის (სინტაქსური გარდაქმნების) და მეტალოგიზმების (აზრობრივ ფიგურათა ექსტრალინგვისტური არე) ანალიზამდე.

პუბლიცისტურ ტექსტში რიტორიკული ფიგურების გამოყენებათა

¹ Журн. «Вестник МГУ», С.—10, Журналистика, 1988 г., № 1, стр 31 (См. так же: Гиндик С. И., Риторика и проблемы структуры текста (Дюбуа Ж., Менге Ф., Пир Ф. и др. Общая риторика, М. 1985, стр. 364);

² Дюбуа М., Менге Ф., Пир Ф. и др. Общая риторика, М., 1985.

³ Журн. «Вестник МГУ», С.—10, Журналистика, 1988 г., № 1, стр. 32.

შესწავლის მიზნით განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება მეტაბოლის იმ სახეზე, რომელსაც მეტატაქსისი ეწოდება. ვინაიდან სტილური თავისებურებანი ყველაზე მეტად სწორედ ტექსტის სინტაქსურ აგებულებაში ვლინდება. დავიმოწმებთ თეორიას: „ძველი ენობრივი სისტემებიდან მხოლოდ სინტაქსი შეესაბამება უშუალოდ აზროვნებისა და კომუნიკაციის პროცესს“¹.

მეტატაქსისის რიტორიკულ ფიგურებს განეკუთვნება ლექსიკურ-სემანტიკურ გამეორებათა სხვადასხვა სახე (ანაფორა, ეპიფორა, რეკურენცია, ეპანაფორა, და სხვ.) სინტაქსური პარალელიზმის სახეები, წინადადებების სიმეტრიულად გართულებული სტრუქტურები, რიტორიკული კითხვები, ინვერსიები და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა ხერხები, ტენდენციის ინტონაციურ-აზრობრივი გამოკვეთისა და ტექსტის რიტმულ-მელოდიური ორგანიზაციისა“².

„ზოგადი რიტორიკის“ ავტორები ხერხებს, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა წინადადების, ტექსტის ნაწილთა თანაფარდობა (соразмерность), მიაკუთვნებენ რიტორიკულ ფიგურებს.

ჩვეულებრივ დისკურსში (ტექსტში) არავინ ზრუნავს მის სტრუქტურულ მოწესრიგებულობასა და ბალანსირებულობაზე.

ტექსტის ფორმირების მხოლოდ მეორე ეტაპზე ვესწრაფვით სიტყვათა ლამაზად განლაგებას, გარკვეული ნულოვანი განწყობიდან გამომდინარე: ვცდილობთ ყურადღება გავამახვილოთ ინფორმაციაზე ან წინა პლანზე წამოვიწიოთ აზრის გამოსატვის ხერხი“³.

სინტაქსურ საშუალებათა (ანუ — მეტატაქსისის რიტორიკულ ფიგურათა) სიმეტრიული ორგანიზაცია ტექსტის მთლიანობისა და შეკავშირებულობის ფორმირებას ახდენს. ტექსტის ამგვარი ორგანიზების სხვადასხვა ხერხი არსებობს. განვიხილავთ ზოგიერთს: შიდა-ტექსტური რეფერენცია³ (внутритекстовая реф.) ტექსტის დიდი ფრაგმენტები, ზეფრაზობრივი ერთეულების მთელი რივი დაიყვანება

¹ Журн. «Вестник МГУ», 1988 г. № 1, стр. 32 (см. так же: Золотова Г. А., Очерк функционального синтаксиса русского языка, М., 1967, стр. 3).

² Журн. «Вестник МГУ», С.—10, Журналистика, 1988 г., № 1, стр. 32.

³ Дюбуа Ж., Менге Ф., Пир Ф. и др. Общая риторика, М., 1985 г., стр. 130.

⁴ ტერმინი იხ.: Одинцов В. В., Целевая установка и организация языковых средств// Синтаксис текста, М., 1979 г., стр. 230—231.

ერთ წინადადებაზე: ერთი კონსტრუქციული ბირთვი განსაზღვრავს (განაპირობებს) ტექსტობრივ სტრუქტურას.

შიდატექსტური რეფერენცია განაპირობებს ტექსტის ცალკეული ელემენტების თანაფარდობას და ურთიერთკავშირს.

რეპრეზენტაციის სინტაქსურ საშუალებათა სიმეტრიული ორგანიზაციის ბირთვის გაშლა წარმოადგენს ძირითადი თეზისის ემოციური გაძლიერების ფაქტორს. მაგ: მ. სტურუას ნარკვევში „მიწისძვრა ჰარვარდში“ მეტყველი რიტორიკული ფიგურაა გამოყენებული, რომელიც შიდატექსტური რეფერენციის ნიმუშია: „უკვე „მიწისძვრის“ შემდეგ ერთი ჰარვარდელი პროფესორი გამომიტყდა:

— ქარიშხალმა გადაიარა, მაგრამ ტრავმა დარჩა: ვინდ დაიჯერეთ, ვინდ არა: როცა მესმის სიტყვა „სტუდენტი“, უნებურად ვთრთი და თავს მხრებში ვმაღავ.

— ბ-ნო პროფესორო, თქვენი ჩივილი მაგონებს ფრაზას, რომელსაც, მგონი, ჰებელსს მიაწერენ: „როცა მესმის სიტყვა „კულტურა“, უნებურად ჩემი პისტოლეტის სასხლეტს ვბღუჯავ“.

— შესაძლოა... მაგრამ ეს სულ სხვა ოპერიდანაა, შემეკამათა აშკარად ნაწყენი პროფესორი. იგი ცდებოდა, ან უნდოდა, მე შეევეყანე შეცდომაში. ერთიც და მეორეც ერთი ოპერიდან იყო, ოღონდ სხვადასხვა აქტიდან: ჰებელსის არია პირველი აქტიდან, როცა პროგრესის სიძულვილი უფრო ძლიერია, ვიდრე შიში. ჰარვარდელი პროფესორის არია კი — უკანასკნელიდან, როცა შიში პროგრესისადმი სჭარბობს მის სიძულვილს“...¹

აქ სემანტიკური ბირთვი ჰებელსის სიტყვებია, იგი არა მარტო მოვლენის არსს ჰფენს ნათელს, ექსპრესიული, ემოციური მუხტის თანხლებით, არამედ განაპირობებს ეპიზოდის ტექსტობრივ სტრუქტურასაც. ამ „ბირთვის“ განვითარება-განშტოებაა ავტორის კომენტარი, რაც წარმოადგენს ძირითადი თეზისის ემოციური და რაციონალური (იდუური) აქცენტირების ფაქტორს.

ზოგჯერ პუბლიცისტურ წერილში შიდატექსტური რეფერენცია ხორციელდება რიტორიკულ კითხვათა ჯაჭვით, როდესაც: «Сами вопрошаем и сами отвечаем—сия фигура возбуждает внимание»².

¹ Стуруа М., Брожение, М., 1971 г., стр. 24.

² Коменский Н., Общая риторика, СПб., 1849 г., стр. 110.

კითხვა-პასუხის ფორმა შიდატექსტური რეფერენციისა მკითხველთან უშუალო კონტაქტის დამყარების, მისი ყურადღების მობილიზების, მისი თანამოაზრედ ქცევის ხერხია, საშუალებაა. ნიმუშად მოვიყვანოთ ილიას პუბლიცისტურ წერილს — „რა გითხრათ, რით ვაგახართ?!“, რომელიც მთლიანად აგებულია ამ რიტორიკული კითხვა-რეფერენის პასუხთა ფეიერვერკზე. ეფექტური, შთამბეჭდავი ფორმითაა გამოხატული პუბლიცისტის დამოკიდებულება მისი თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემებისადმი.

პუბლიკაციის საკვანძო კითხვა ზოგჯერ კამათის, პოლემიკის ილუზიასაც ქმნის. იგი გამიზნულია ოპონენტის მხილებისათვის. ყურნა-ლისტი მ. სტურუა თავისი პოზიციის გამოსახატავად ხშირად მიმართავს ამგვარ ხერხს: „ზოგ დვთისმოსავში ფრიად უადგილოდ გაიდვიმა სინდისმა და ისინი ძალიან უხერხულად ქადაგებენ ისეთ მცნებებზე, როგორცაა „არა კაც ჰკლა“ და „არ იქურდო“... გეთაყვათ, აბა რა ჰქნან პენტაგონისა და უოლ-სტრიტის საბრალო მკვიდრთა?!“¹. როგორც ხედავთ, ავტორმა პიროვნებათა გარკვეული სოციალური ჯგუფის დასახასიათებლად ისეთი კითხვა დასვა, რომელზეც პასუხი, ფაქტობრივად, გაცემულია, ნაგულისხმევია. მეტყველი რიტორიკული კითხვით გაცხადდა არსი პენტაგონისა და უოლ-სტრიტის მკვიდრთა, მათი შეუთავსებლობა ჰუმანურ მცნებებთან.

ზოგჯერ პუბლიცისტური წერილი წარმოადგენს პასუხს დასაწყისში დასმული კითხვისა. ამასთან, რიტორიკულ შეკითხვათა სინტაქსური კონსტრუქციები გაჯერებულია სხვა სახის რიტორიკული ფიგურებით: სიტყვათა გამეორება შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, პარალელიზმი და ა. შ.

ზოგჯერ პუბლიცისტურ ტექსტში რიტორიკული ფიგურა — მოვლენის არსის გამომხატველი სემანტიკური ბირთვი, ჩართული დიალოგის ფორმითაა შემოთავაზებული: მ. სტურუა აღწერს ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაფიცვის ეპიზოდს: «Особенно шумно было в знаменитой профессорской. Здесь держала речь девушка из Редклифского колледжа, одетая в белое индийское сари. Она лихо крыла Вашингтон и Гарвард за агрессию во Вьетнаме, за расизм, за гонку вооружения.

¹ Стурва М., Время: по Гринвичу и по существу, М., 1969 г., стр. 158.



Неожиданно в зал влетел профессор права Арчибальд Коке:

— Пол в профессорской слабый, он может не выдержать такого количества людей и провалиться, — обратился Коке к присутствующим.

— Вот видите, — сказала с улыбкой девушка из Редклифского колледжа в белом индийском сари — даже пол в профессорской «Юниверсити Холла» не в состоянии выдержать тяжести нашей аргументации.

Часть студентов и преподавателей вышли в коридор.

— Да, сегодняшний Гарвард уже мало чем напоминает Сорбону эпохи Абеяра, увлекавшуюся софизмами. Логика борьбы вытеснила логику Аристотеля.

— К сожалению, коллега, к сожалению. Это два профессора, — прислонившись к стене и понизив голос, обменивались невеселыми впечатлениями»¹.

სემანტიკური ბირთვი: «Логика борьбы вытеснила логику Аристотеля», შემზადებულია წინა პასაჟით — ინდურ სარიში გამოწყობილი სტუდენტი გოგონას მსჯელობაში „დაჭერილი“ სათანადო ნიუანსით — „ბრძოლის ლოგიკის“ შეპირისპირებით „არისტოტელეს ლოგიკასთან“. ორი პროფესორის სევდიან დიალოგში „სარკისებური პრინციპით“ ირეკლება ვითარების შეფასება, კომენტარი, სიტუაციის ანალიზი.

პუბლიცისტურ ტექსტში გვხვდება სამსაფეხურიანი ფიგურა: შეკითხვა — უარყოფა — პასუხი (უარყოფითი შედარება). ამ ფიგურას რუსული ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები ძველი სლავური ეპოსის კუთვნილებად მიიჩნევდნენ და მას „სლავურ ანტითეზას“ უწოდებდნენ².

ე. წ. „სლავურ ანტითეზაში“ სინტაქსური სტრუქტურის სიმეტრია აგებულია ანტითეზა-შეპირისპირებაზე: არა ეს, არამედ ის. „სიმეტრიული რიტორიკული ფიგურები“ რიტმულს ხდიან თსრობას“³. მოვიყვანო ნიმუშს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკიდან: „შურს ისა სწყინს

¹ Стур у а М., Брожение, М., 1971 г. стр. 49: стр. 35.

² Журн. «Вестник МГУ», Серия—10, Журналистика, 1988 г., № 1, стр. 35.

³ იქვე.

და გულს უკლავს, სხვას ჩემზე მეტი რაღა აქვსო, ნატვრა კი პატი-
ოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სი-
კეთემდე, ღირსებადღე მივალწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას,
ნატვრა კი შეჭნარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა კი ეტრფის“¹.

მტკიცება-უარყოფის ფორმულით გვევლინება რიტორიკული ფიგურ-
ები არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტურ წერილში: „რომ ვსთქვა, თეატ-
რალური ხელოვნება ერთგვარი დათრობის და, აღმაფრენის გამომწვევი
საშუალებაა, დამცინებთ, მაგრამ კარგად რომ ჩაუკვირდეთ, არც ისე
სასაცილოა ეს აზრი“... თუ თეატრში „არ არის ერთუზიანში, აღმაფ-
რენა, შეერთება ერთ ნაკადულში მრავალ პიროვნებათა, არ არის ხე-
ლოვნება და არ არის მაშინ არც აღზრდა, არც განათლება და თეატ-
რიც კულტურულ პრობლემის მისიას ვერ ასრულებს“².

აქაც, სინტაქსური სტრუქტურის სიმეტრია აგებულია ანტითეზა-
შეპირისპირებაზე: „არა ეს, არამედ ის“. ამასთან, ა. ჯორჯაძე მისე-
ული ევროპეიზმით, ჭეშმარიტი ინტელიგენტური დახვეწილობით, და
პრინციპული უკომპრომისობით ამკვიდრებს იდეას — მოვლენის მი-
სეულ შეფასებას. იგი შესაძლო (სავარაუდო) ოპონენტს რიტორიკულ
ფიგურათა „დიპლომატიური“ მონაცვლეობით თანდათან მიიმხრობს
და აყენებს საკუთარ პოზიციასზე. გვხვდება სხვაგვარი ფიგურაც —
კომპონენტთა, შეცვლილი რიგით: მოსაზრების მტკიცება-შეკითხვა—
პარალელიზმი—დადასტურება. მაგ., ტიცინან ტაბიძე თავის ცნობილ
ნარკვევს „ტოლსტოის დღეები“³. ასეთი მოსაზრების მტკიცებით იწ-
ყებს: „უკანასკნელი სურვილი, რომელიც აწვალბდა ლევ ტოლსტოის
იმ საბედისწერო დამეს, როცა მან დატოვა იასნაია პოლიანა და წავიდა
სიკვდილის შესახვედრად, ის იყო, როგორმე კავკასიამდე მიედწია. ეტ-
ყობოდა, სიკვდილი. თან ახლდა იმ დამეს და ტოლსტოისაც უნდოდა
მომკვდარიყო კავკასიაში. რამდენის მთქმელია ეს აგონიის სიყვარუ-
ლი!“ ამას მოსდევს II საფეხური—რიტორიკული კითხვა: „რატომ
მოაგონდა სიკვდილის წინ ტოლსტოის კავკასია?“ და თავდაპირველი
დებულების დასტურად (III საფეხური) ნაწყვეტი კნუტ ჰამსუნის წიგ-
ნიდან „მოგზაურობა ზღაპრულ ქვეყანაში“: „რუსეთის იმპერატორებს

¹ ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ V. პუბლიცისტური წე-
როლები, თბ., 1987, გვ. 25.

² საქართველოს რაინდი, არჩილ ჯორჯაძე, თბ., 1991, გვ. 126.

³ ტ. ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. 3, ნარკვევები, თარგმანები, თბ., 1966,
გვ. 7.



ერთი ბარბაროსული ჩვეულება ჰქონდათ — თავიანთ საუკეთესო პოეტებს სასჯელის მოსახდელად კავკასიაში აგზავნიდნენ, მაგრამ სია ამ პოეტებისთვის შთაგონების წყარო ხდებოდაო“¹.

ზოგჯერ, უბრალოდ, შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნითაა დას-მული რიტორიკული კითხვა, რომლის პასუხიც ცალსახაა და წინ უსწრებს კითხვას: «Много думаю о нашем деле и прихожу к выводу, что, наверное, только искусству до человека есть дело. Ведь люди должны быть добрыми. Кто же научит их этому, кроме искусства? Кто расскажет, что простой, добрый человек, сам по себе интересен?»². წერდა ვასილ შუკშინი. რიტორიკულ კითხვას დიალოგის, მკითხველთან უშუალო განდობის განწყობა შემოაქვს და აუდიტორიასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას, მის თანამოაზრედ ქცევას უწყობს ხელს.

სხვაგან, რიტორიკულ კითხვათა მთელი წყებით პასუხობს ვ. შუკშინი ჟურნალისტის მაინტრიგებელ კითხვას: „რატომ უნდა ისწრაფოდეს მწერალი ეკრანისაკენ?“. საყურადღებოა საპასუხო კითხვების პოლემიკური ტონი, გამომწვევ კონტრ-შეკითხვათა სერია მხოლოდ ცალსახა პასუხს გულისხმობს: «Скажите, кто из писателей откажется выступить со своей программой перед многочисленной аудиторией... Какой из писателей откажется войти в самый тесный контакт с публикой, которая тут же, не сходя с места, дает ему доказательства своего одобрения, понимания, сочувствия (или недоумения, непонимания), заставит его взглянуть на себя со стороны такими требованиями, испытующими глазами, какими отроду ему не приходилось смотреть на себя? Какой художник откажет себе в искушении предстать перед таким чудом, чтобы познать самого себя?... Если понимают режиссера, то понимают и писателя. Вынося свой

¹ ტ. ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. 3, ნარკვევები, თარგმანები, თბ., 1966, გვ. 7.

² Шукшин В., Необходимость в родном, близком, газ.: «Советская Россия», 1979 г., 22 июня, стр. 4.



рассказ на экран, я проверяю правильность своего метода в искусстве»¹.

სინტაქსურ საშუალებათა სიმეტრიული ორგანიზების სხვა ხერხი— რიტომომლოდიური და აზრობრივი მთლიანობა მიიღწევა გარკვეული რიტორიკული ფიგურების განმეორებით სინტაქსურ წყობაში. ანუ ამ რიტორიკულ ფიგურათა სიმეტრიული ორგანიზაცია შიდატექსტური კავშირების დამყარების საშუალებად იქცევა.

სინტაქსურ საშუალებათა სიმეტრიული აგებულება და მოწესრიგებულობა საერთოდაა დამახასიათებელი რიტორიკული ფიგურებისთვის. ტექსტის ასეთ ორგანიზებას მივყავართ პროზაში (პროზაულ ნაწარმოებში) თავისებური რიტმის წარმოქმნასთან².

მაგრამ განსხვავებით რიტმულ-ფონეტიკური მოწესრიგებულობი-საგან, ეს მოწესრიგებულობა ლექსიკურ-სემანტიკურია და განსაკუთრებით სინტაქსური. ამასთან, ტექსტის „რიტორიკულ მთელში“³ აზრი ღრმავდება, ინფორმაციით მაქსიმალურად გაჯერებული ხდება, ძლიერდება ტექსტის აზრობრივი დატვირთვა. ი. მ. ლოტმანი ამის თაობაზე წერდა, რომ პოეტურ ტექსტთან დაკავშირებით ტინიანოვმა ამგვარ მოვლენას უწოდა: «Теснота поэтического ряда»⁴.

პუბლიცისტურ ნაწარმოებში ტექსტის კომპაქტურობასთან შერწყმულ ტევადი აზრის კონცენტრაციას, რიტორიკულ ფიგურათა სიმეტრიული ორგანიზების ამ მეორე ხერხს შემოაქვს ეფექტურობა, შემფასებლური მიდგომა, ექსპრესიული შთამაგონებლობა⁵. ამგვარი სტილი უპირატესად ახასიათებს მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრებს და, განსაკუთრებით საზოგადოების განვითარების მძაფრ, რთულ პერიოდებში. მაშინ, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პუბლიცისტური სიტყვის დამაჯერებლობას, იმ ინფორმაციის სარწმუნოობას, რომლის ჭეშმარიტებაში მკითხველის დაჯერებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განსაკუთრებით ძვირად უღირთ.

¹ Шукшин В., От прозы к фильму, ж. «Искусство кино», 1971 г., № 8, стр. 35.

² Журн. «Вестник МГУ», С.—10, Журналистика, 1988 г., № 1, стр. 36;

³ იქვე.

⁴ Лотман Ю. М., Риторика//Учен. зап. Тартуского ун-та, вып. 518, Тарту, 1981 г., стр. 23.

⁵ Кожин А. Н., Лексико-стилистические процессы в русском языке периода Великой Отечественной войны, М., 1985 г., стр. 303.

სიმეტრიულად განლაგებული რიტორიკული ფიგურების სიტყვიერი შემოქმედების ძალაზე წერდა რ. იაკობსონი:

„ამგვარ ხერხთა ქმედითობა უეჭველია და, ყოველი გრძნობაგაფაქიზებული მკითხველი აზრობრივი ანალიზის გარეშეც ინსტიტუტურად განიცდის ამ გრამატიკული სვლების ზეგავლენას“¹.

არცთუ იშვიათად, სინტაქსური აგების ამ პრინციპს ეფუძნება ენობრივი საშუალებებით შთაგონება პუბლიცისტიკაში.

პუბლიცისტი ფოლკლორული ტრადიციებიდან ან ლიტერატურის ცნობილი ძეგლებიდან სესხულობს სინტაქსურ კონსტრუქციებს და მათ საფუძველზე ქმნის ახალ სახეებს, რომლებშიც ახალი შინაარსია ჩადებული, და, რომლებიც გათავისუფლებულია პირველსაწყისი მნიშვნელობისაგან, მაგრამ ისეთივე მძაფრი შემოქმედების უნარი აქვს. როცა მსატერულ-პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელი შემფასებლური დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რიტორიკულ ფიგურათა სიუხვით, გამომსახველობის სინტაქსურ საშუალებათა ინტენსივობით მიიღწევა, შთაბეჭდილება განსაკუთრებით ღრმა და ემოციური რჩება. ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, ისტორიული ან ლიტერატურული წყაროებიდან ანალოგიების გამოყენება ტექსტის მაწარმოებელი სტრუქტურის გავლენა პუბლიცისტური წერილის (ან—ცალკეული პასაჟის) სინტაქსურ აგებაზეც ახდენს შემოქმედებას. ასეთი სტილიზაცია შეიმჩნევა იქ, სადაც ლიტერატურული, ისტორიული ან ლეგენდური პარალელები შთამბეჭდავ ემოციურ დატვირთვას, ემოციურ ინფორმაციას მატებენ ტექსტს: «Цепь гвардейцев преследовала их (студентов, Д. Т.), как тема рока в древнегреческих трагедиях»².

სინტაქსურ ფიგურათა სიმეტრია გარკვეულ ვიზუალურ შემოქმედებასაც ახდენს მკითხველზე: იგი ყურადღებას იპყრობს, როგორც სივრცული მოწესრიგებულობა, ქმნის „ენობრივი სივრცის შეგრძნებას, აიძულებს მკითხველს „დაინახოს“ ენა“³.

„რიტორიკული ფიგურები“, ნასესხები ისტორიული ან ლიტერატურული ანალოგიებიდან (იმიტირებული ან ციტირებული ფაქტები), შთამ-

¹ Якобсон Р., Поэзия грамматики и грамматика поэзии//Семиотика, М., 1983 г., стр. 468.

² Стурья М., Брожение, М., 1971 г., стр. 55.

³ с. Дюбуа Д., Менге Ф., Пир Ф. и др. Общая риторика, М., 1985 г., стр. 430.


ბეჭდავ ისტორიულ „ტონალობას“ განაპირობებენ, ემოციურ, ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენენ მკითხველზე, დამაჯერებლობის, სარწმუნოობის გარანტიად იქცევიან: „უკან დასახვევი გზები ჩახსრტვით“¹ სოხუმის დაცემის დღეებში ასე დაასათაურა აკაკი ბაქრაძემ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო, ექსპრესიითა და ემოციით დამუხტული, მამულიშვილური პათოსით ანთებული პუბლიცისტური წერილი. ისტორიული ანალოგიის გამოყენება, ყოველი განათლებული ქართველისათვის კარგად ცნობილი ფრაზა მამაცი მეფისა, შთამბეჭდაობას მატებს თავისთავად ტევად მოწოდებას. მძაფრი ექსპრესიითაა გაცხადებული სიტუაციის ავტორისეული შეფასება, მთელი ტრაგიზმი მის მიერ შეფასებული მოვლენისა.

განვიხილავთ კიდევ ერთ ნიმუშს: მსოფლიოში ევროპის როლი, ეტიაშბლის შეფასებით, მისი განსაზღვრიდან გამომდინარე, ვადასახინჯია: „სადღესოდ ევროპა ევრაზიის საბერძნეთია. ვუსურვოთ მას, რომ ახალ ბაირონს არ მოუწიოს ერთ დღეს ბრძოლაში დაცემა, რომ გაანთავისუფლოს იგი თურქებისაგან! (რაო, იგავია? თუ ასეა, ამ იგავს მორალიც მოჰყვება...)“¹. უდაოდ ეფექტურად მოწოდებული მოსაზრება ინტელექტუალურად მის გასაგებად მზადმყოფ მკითხველზეა გათვლილი. მასზე, ვინც კარგად იცის საბერძნეთის ისტორიული როლი ევრაზიასთან მიმართებაში და ბაირონის ტრაგიკული პიროვნებაც ჭეშმარიტ ფასეულობად მიაჩნია. აქ ტენდენცია ცალსახად, ამასთან დიდოსტატის ხელოვნებითაა გამჟღავნებული, ისე, რომ ღირსეული მკითხველისათვის რენე ეტიაშბლის ბრძნულ „იგავს“ უთუოდ მოჰყვება შესაბამისი მორალი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „რიტორიკული შეკითხვა“ განსაკუთრებით გავრცელებული რიტორიკული ფიგურაა, მას იშვიათი დინამიზმი, ექსპრესია, უშუალობა და, აქედან, დამაჯერებლობა შეაქვს პუბლიცისტურ ტექსტში.

ვაჟა-ფშაველა ერთგან სვამს კითხვას, რომლის პასუხიც ცალსახაა და შეუვალად დასაბუთებული: „განა მწერალი იმას უნდა ფიქრობდეს, მკითხველს რა ეწყინება ან რა ეამება, რა მოსწონს, ან რა ეწყინება? ამისთანა მწერალს განა მწერალი ჰქვია, მმართველი საზოგადოების აზროვნებისა, გზის მიმცემი საზოგადოების გრძნობათა, ამწონ-დამ-

¹ გა ს ტ ო ნ ბ უ ა ჩ ი ძ ე, წახნაგები, თბ., 1986, გვ. 196.



წონი იმის წადილთა და მისწრაფებათა? არა, ეს მწერალი კი არაა, არაა და, მამასადამე, მეც მონა ვიქნები, თუ ამ აზრების გზას დავადგინებ. ეს ხომ გამოვა ის, რომ მოვიწონოთ, რაც საზოგადოებას მოსწონს ან დავიწუნოთ ის, რასაც იწუნებს. თუ ყველა მწერალი ამ ცნებას გაჰყვება, მაშინ მწერლობა საჭირო აღარც კი არის“¹.

ანალოგიურ ნიმუშებს უხვად გვთავაზობს ილიას პუბლიცისტურ შედეგთა გაცნობა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წავართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა, ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლითმოსეულმა ვერა დაგვაკლო რა, შრომითა და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომას და გარჯას, ცოდნას და ხერხს ვერავინდა გაუძღვება, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველივე ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?...“².

ხშირად პუბლიკაციის საკვანძო კითხვა პოლემიკის, კამათის ილუზიას ქმნის. კამათში კი „იბადება ჭეშმარიტება“ და მკითხველს ამ ცოცხალი, დინამიური პროცესის მონაწილის, უშუალოდ განმცდელის განწყობა ეუფლება, რაც ავტორის პოზიციაზე მის დაყენებას ყველაზე მოკლე გზით — ემოციების გზით უწყობს ხელს. ამგვარი კითხვებითაა დაყურსული ილიას შედეგები — „ქვათა დაღადი“³, კითხვებით, რომელზე პასუხის გაცემაც მეტ-ნაკლებად მოაზროვნე მკითხველისათვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს: „ვაუკაცი წყნარი სჯობია, ჩაღად არა ღირს მკვებარი“ — განა გლეხკაცის ნათქვამი არ არის? სხვაგან — „ლიბერალობა განა მკლავისა ანუ ხელის წაფარებაა ტყუილებისა, ოინბაზობისა... და არა მხილება ყოველივე ამისი?“⁴.

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზ., თბილისი, 1979, წ. გვ. 299.
² ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. 4, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“? თბ., 1982, გვ. 176.
³ ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. 5.
⁴ იქვე.



განვიხილოთ რიტორიკული შეკითხვის ნიმუში თანამედროვე პუბლიცისტური პრაქტიკიდან: «Применимо ли понятие «интеллигент» к человеку, который убежден, что нравственно все, что служит интересам рабочего класса, кто полагает, что для него законы, мораль, религия не более, как буржуазные предрассудки?»¹.

ესაა შეკითხვა, რომელიც ნაწილია რიტორიკული ფიგურისა: „შეკითხვა—პასუხი—დასაბუთება“, პირველ საფეხურს (რიტორიკულ კითხვას) მოჰყვება შემდეგი საფეხურებიც: «Не случайно же весь цвет русской интеллигенции после гражданской войны вынужден был покинуть Россию: Не случайно и то, что в самой большевистской партии образованные люди составляли ничтожное меньшинство»².

ზოგჯერ პუბლიცისტური წერილი მთლიანად დასაწყისში დასმული კითხვის პასუხს წარმოადგენს, კითხვისა, რომელშიც ავტორის პოზიცია, მისი დამოკიდებულება, ტენდენცია გამოსჭვივის. ნიმუშად უთუოდ გამოდგება ი. ჭავჭავაძის „ვის ნათესა ვმკით?“³.

საინტერესოა „რიტორიკული ფიგურაა“ შემოთავაზებული ვაჟა-ფშაველას წერილში „ქვეყანაზედ რა მოვლენა რას მომაგონებს?“, სადაც ავტორმა მწვავე ეროვნული პრობლემები ასოციაციური აზროვნების, ალეგორიების, მოვლენათა შეპირისპირების ექსპრესიულ ხერხთა გამოყენებით წარმოაჩინა და სათქმელი ამგვარ „მიკროსახეთა“ გამოყენებით შთამბეჭდავად მიიტანა მკითხველამდე.

„რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი?“ კითხულობს ვაჟა და ამ კითხვის პასუხია პუბლიცისტური წერილის არსი.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ შიგატექსტური რეფერენცია ხორციელდება რიტორიკულ შეკითხვათა მიხედვით ჯაჭვით (დიალოგური ფორმა), იქმნება „დიალოგის ლიტერატურული ილუზია“ (ვ. ვინოგრადოვი) და ყალიბდება ავტორის პერსონის დრამატული დაძაბულობის განცდა⁴. ნიმუშად კვლავ ვაჟას პუბლიცისტიკას ვუხმობთ: „ამას ჰქვიან განა

¹ Журн. «Новый мир», 1990 г., № 4, стр: 178, Александр Ципко, Хороши ли наши принципы?

² იქვე.

³ ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. 5, გვ. 204.

⁴ Журн. «Вестник МГУ», 1988 г., № 1, стр. 34.

სამშობლოს სიყვარული? განა ამისთანა ოინებით აყვავდება ქართული ენა და მწერლობა? განა ეს ღვაწლია? ღვაწლი კი არა, ეს პირდაპირ ღალატია, თაღლითობაა, ამას ჰქვიან ციხის შიგნიდან გატყევა¹.

სხვაგან ჟურნალისტი, ავტორი დიალოგური ფორმით დაწერილი პასაჟისა, რესპოდენტის მიერ დასმულ რიტორიკულ კითხვას მოულოდნელ გაგრძელებას უძებნის, თავისთვის სასურველი მიმართულებით წარმართავს საუბარს, რაც მას ტენდენციის გამჟღავნების საშუალებას აძლევს: „შექსპირის პიესებში ბევრი საინტერესო ქალის სახეა, მაგრამ არცერთი მათგანის შესრულების სურვილი არ მქონია, ჩემი სასუკვარი ოცნებაა ჰამლეტი ვითამაშო“, — ამბობს მსახიობი ქალბატონი და დასძენს: „დიას, ჰამლეტი, მაგრამ, რომელ რეჟისორს გაუმხელ ამას?! თუ ამ გეგმის განხორციელებას შევძლებ, ძალიან ბედნიერი ვიქნები“.

რაღა უნდა ითამაშო კაცმა „ჰამლეტის“ შემდეგ? ამ რიტორიკულ კითხვას მოჰყვება ავტორის მრავალმნიშვნელოვანი შენიშვნა: „მართლაცდა, ნეტავ რა იქნება „ჰამლეტის“ შემდეგ?!“².

მკითხველს უჩნდება ავტორისათვის სასურველი განწყობა, რომ მიანიც იქნება „რაღაც“ „ჰამლეტის“ შემდეგაც და ეს „რაღაც“ განსაკუთრებით საინტერესოა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პუბლიცისტურ ტექსტში, როგორც „რიტორიკულ ჟანრში“ რიტორიკული ფიგურები გვევლინებიან ფორმის ელემენტებად, რომელთა საშუალებითაც რელიეფურად გამოიკვეთება უმთავრესი აზრი, არსი ავტორისეული პოზიციისა. რიტორიკული ფიგურები იდეისაკენ ზესვლის ეფექტურ საშუალებებს წარმოადგენენ, რიტმულობას, სიმძაფრეს, ემოციურ მუხტს სძენენ თხრობას და სინამდვილის მოვლენებისა და ფაქტების ავტორისეულ შეფასებებს დამაჯერებლობას მატებენ.

ჩვენს მიერ შესწავლილ პუბლიცისტურ ტექსტებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მრავალფეროვანია მათში გამოყენებულ რიტორიკულ ფიგურათა არეალი:

1. რიტორიკული ფიგურები — იმიტირებული ან ციტირებული ფაქტები.
2. რიტორიკული შეკითხვა.

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IX, გვ. 229.

² ვაზ. „მშვიდობა ყოველთა“, 1996, № 1, მ. ნადარეიშვილი, „რა იქნება „ჰამლეტის“ შემდეგ?!“.



3. ე. წ. „სემანტიკური ბირთვი“.

4. რიტორიკული ფიგურა — პუბლიკაციის საკვანძო მელიც კამათის, პოლემიკის ილუზიას ქმნის.

5. სამსაფეხურიანი ფიგურა — „შეკითხვა—უარყოფა—პასუხი“ ე. წ. სლავეური ანტითეზა (ანუ — უარყოფითი შედარება).

6. შიდატექსტური რეფერენცია ხორციელდება რიტორიკულ შეკითხვათა მთელი ჯაჭვით.

ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია, რიტორიკული ფიგურა პუბლიცისტური ტექსტის ფორმის ელემენტია, მაგრამ, როგორც შინაარსის უმთავრესი აზრის, არსის რელიეფურად, ეფექტურად, შთამბეჭდავად წარმოჩენის საშუალება, იგი უეჭველად უნდა გაანალიზდეს შინაარსობრივ ელემენტთა არეალშიც. აქ ფორმისა და შინაარსის კატეგორიულად გამოჯვანა ხშირ შემთხვევაში არც კი ხერხდება — ფორმა ავსებს, აკონკრეტებს შინაარსს, ამრავალფეროვნებს ემოციური ინფორმაციით, წარმოაჩენს ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ ასპექტებს ფაქტების შინაგანი ლოგიკის, მათი ლოგიკურ-მოვლენური თუ ასოციაციური ურთიერთმიმართების უფაქიზეს ნიუანსებს, რაც ტექსტის ინფორმატულობას, მის ქვეტექსტებით გაჯერებულობას განაპირობებს.



გარინა ლომიძე

არკუზენტაციის ზოგირით ხარხი თანაგედროვე ქართულ სტატიაში

სტატია პუბლიცისტიკის ანალიტიკურ ჟანრთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი მკვეთრად გამოირჩევა მიზნობრივი დანიშნულებით, ფაქტობრივი მასალის განზოგადების ხასიათით, ფორმით, ენობრივ-სტილური და სხვა თავისებურებით.

სტატია ფაქტებისა და აზრთა გადმოცემის რთული და სერიოზული ფორმაა, რომლის კონსტრუქციული საყრდენი ჟურნალისტის აზრი, მისი იდეა და კონცეფციაა.

ამ ჟანრის ნაწარმოებში ცხადად ვლინდება ავტორის დამოკიდებულება ცხოვრებისეული ფაქტებისა და მოვლენებისადმი, ყოველდღიური სინამდვილისადმი, რაც პუბლიცისტის მუდმივი დაკვირვების ობიექტს შეადგენს. სტატია, თუ შეიძლება ითქვას, პუბლიცისტურ ჟანრთა შორის ყველაზე უფრო პუბლიცისტურია. მასში თვალსაჩინოა წარმოდგენილი პუბლიცისტიკისათვის ნიშანდობლივი ცნებებით აზროვნება, შეფასება და განზოგადება.

პუბლიცისტური ოსტატობის საკითხთა შორის ჟანრის პრობლემა სპეციფიკურია, რაც უმთავრესად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „ჟანრთა საზღვარი ფრიად მოძრავია, ხშირია „მოულოდნელი ფერისცვალება“¹.

მიუხედავად იმისა, რომ ჟანრებმა სხვადასხვა ეპოქაში სწორედ

¹ ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის „იერია“ 1877—1885 თბ., 1977, გვ. 188.



რომ მრავალი „ფერისცვალება“ განიცადეს, უცვლელი დარჩა მისი ტიპისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი — არგუმენტაცია.

სტატია არგუმენტების — მისი შინაარსის ყველაზე უფრო აქტიური ელემენტების¹ — გარეშე არ არსებობს. მწყობრი და ლოგიკური მტკიცება განსაზღვრავს ჟურნალისტური გამოსვლის დამაჯერებლობასა და ეფექტურობას.

როგორც ცნობილია, ლოგიკაში მტკიცებათა სტრუქტურა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან: თეზისი, არგუმენტი და მტკიცების სერხები.

მტკიცების ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ელემენტები ფართოდ გამოიყენება ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. ამ ელემენტთა არსებობა მჟღავნდება ჟურნალისტიკაშიც.

ლოგიკაში არსებული მტკიცების წესი თავს იჩენს პუბლიცისტიკაშიც, რომლის თანახმად არსებული თეზისი, როგორც მსჯელობის სახეობა, საჭიროებს დასაბუთებას და მტკიცების პროცესში არ იცვლება. ხოლო არგუმენტი უნდა იყოს ჭეშმარიტი მსჯელობა. რომელიც მოცემულ თეზისს დასაბუთებს². ამასთან, ლოგიკაში მიღებული არგუმენტაციის სისტემა ჟურნალისტიკაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამ ცვლილებათა მიზეზს ორგვარი ასსნა აქვს: ერთი მხრივ, ჟურნალისტიკა გარკვეულ იდეოლოგიურ კონცეფციას ატარებს და არგუმენტაციის ხასიათი დამოკიდებულია ჟურნალისტის იდეოლოგიურ პოზიციასა და პოლიტიკურ მიზანზე.

პუბლიცისტიკა ვალდებულია მოვლენის პოლიტიკური ინტერპრეტაცია მოგვცეს, ე. ი. განსაზღვროს მოვლენის როლი და ადგილი დღევანდელობის პოლიტიკური თვალთახედვიდან, უნდა გაარკვიოს, თუ რას წარმოადგენს კონკრეტული მოვლენა სადღეისოდ და როგორი იქნება მისი შედეგები უახლოეს მომავალში³.

მეორე მხრივ, ჟურნალისტიკაში არგუმენტაციის თავისებურებას განაპირობებს ობიექტზე (მკითხველზე) ზემოქმედების სპეციფიკა —

¹ Горохов В. М., Основы журналистского мастерства, М., 1989, с. 98.

² იქვე.

³ Ученова В. В., Гносеологические проблемы публицистики, М., 1971, с. 81.

მასობრივი ზეგავლენა საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების მიზნით, რაც არგუმენტთა სავანგებო შერჩევას მოითხოვს.

ცნობილია, რომ მცდარი მსჯელობის დამტკიცება არ შეიძლება, მაგრამ მის ჭეშმარიტებაში პიროვნების დარწმუნება შესაძლებელია. ემოციათა და ფსიქოლოგიური ეფექტების გავლენით სინამდვილე, ცხოვრებისეული რეალობა შეიძლება მოგვეჩვენოს სიცრუედ, ხოლო ტყუილი, აბსურდიც კი — სიმართლედ.

სტატიის ძირითადი ღერძი-იდეა ავტორის მსოფლმხედველობის გამომხატველია. ამასთან, სტატიაში ყოველთვის მთავარია აქტუალური საზოგადოებრივი უღერადობის იდეა, რომელიც უმთავრესად ჩამოყალიბებულია მსჯელობის „ცენტრალური პუნქტის“¹ ანუ თეზისის სახით. თეზისი, როგორც მტკიცების სტრუქტურის უპირველესი კომპონენტი, ყოველთვის ემყარება ავტორის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მის მიერ საკითხისა თუ პრობლემის კომპეტენტურ სიღრმისეულ ცოდნას.


ქმედითობა, რაშიც იგულისხმება ის ცვლილებები, რაც ცხოვრებაში მოხდა „ჟურნალისტის გამოსვლის შემდეგ“², პირდაპირ დამოკიდებულებაშია პუბლიკაციის დამაჯერებლობასთან — რამდენადაც მაღალია დარწმუნების კოეფიციენტი, იმდენად ეფექტურია ქმედითობა. ის, თუ რამდენად სწორია სტატიის დებულება-თეზისი, რამდენად მართებულადაა იგი გამყარებული ლოგიკური არგუმენტაციით, განსაზღვრავს კონკრეტული საკითხისადმი ადეკვატურ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას.

პუბლიცისტური ნაწარმოების თეზისისადმი ლოგიკის ზემოხსენებულ ორ მოთხოვნას (თეზისი უცვლელი უნდა დარჩეს მტკიცების პროცესში და უნდა მტკიცდებოდეს არგუმენტის საშუალებით) უნდა მივათვალოთ მესამე და უპირველესი — თეზისი უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტი, განსაზღვრული, კონკრეტული. მასში მკაფიოდ უნდა იქნას ჩამოყალიბებული ჟურნალისტის პოზიცია განსახილველი პრობლემის მიმართ.

სტატიაში მტკიცება რთული პროცესია. მისი მიზანია მკითხველი დააჯეროს ამა თუ იმ დებულების სისწორეში. ბუნებრივია, მტკიცე-

¹ Тертычный А. А., Методы идеологической работы журналиста, Аргументация в публицистике, 1985, с. 14.

² Ученова В. В., Беседы о журналистике, М., 1978, с. 114.



ბის გარეშე ძნელია აუდიტორიის დარწმუნება, ამდენად მტკიცება ამ შემთხვევაში გვევლინება, როგორც დარწმუნების პროცესის სეპარირებული ელემენტი.

ლოგიკა გვასწავლის: „Доказательство — это логическое рассуждение, в процессе которого подтверждается или опровергается истинность какой-либо мысли с помощью других положений, проверенных практикой“¹.

პუბლიცისტურ ნაწარმოებში მტკიცების პროცესში უმეტეს წილად ეფექტურადაა გამოყენებული არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმა და მეთოდი: ინდუქცია, დედუქცია, ანალოგია, სინთეზი და უარყოფა². არგუმენტაციის ყველა ამ სერხით სარგებლობა შესაძლებელია სტატიაში, მაგრამ აუცილებელ პირობად უნდა იქნას მიჩნეული ის გარემოება, რომ იგი კომპოზიციური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსაზღვრე ჟანრებისაგან, „მასში თავისებურ დედუქციასთან გვაქვს საქმე“³.

მტკიცების ძირითადი საფუძველი არგუმენტია, რომლის საშუალებითაც ხდება ჟურნალისტიკის მოსაზრების, კონცეფციის დადასტურება ან უარყოფა. ა. ტერტიჩნის განმარტება რომ მოვიშველიოთ, არგუმენტები „მტკიცებითი მსჯელობის ის ელემენტებია, რომლებიც ადასტურებენ პუბლიცისტური ნაწარმოების ძირითადი თეზისის ჭეშმარიტებას“⁴.

ჩვენ ვიზიარებთ პუბლიცისტიკის თეორიაში არგუმენტის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის იმ მოდელს, რომელიც განიხილავს ფაქტობრივი არგუმენტების ვრცელ ნუსხას (მეცნიერული ემპირიული ფაქტები, მეცნიერული კანონები, მეცნიერული პრინციპები, მეცნიერული იდეები, სტატისტიკური მონაცემები, დოკუმენტური ფაქტები, მოწმობები) და ღირებულებით არგუმენტებს, ე. წ. „заемстителей аргументов“⁵.

ამ ტიპის არგუმენტები ა. ტერტიჩნის განსაზღვრებით არსებობენ


¹ Хоменко Е. А., Логика, М., 1976, с. 176.

² Тертычный А. А., Методы идеологической работы журналиста, Аргументация в публицистике, 1985, с. 54, 62.

³ Б. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის „ივერია“, თბ., 1977, გვ. 190.

⁴ Тертычный А. А., Методы идеологической работы журналиста, Аргументация в публицистике, 1985, с. 32.

⁵ იქვე, გვ. 32—45.



შეფასებისა (შიდა — внутренние და გარე — внешние или литарные) და ნორმის (იდეოლოგიური, პოლიტიკური, მორალური, სამართლებრივი, კულტურული, რელიგიური) ფორმებით¹.

გასათვალისწინებელია პუბლიცისტიკის მკვლევარის ვ. გოროხოვის მოსაზრება ფაქტობრივ არგუმენტთა ორი ძირითადი ჯგუფის შესახებ; მეცნიერული და „საღი გონების“ (სინამდვილის მოვლენათა უშუალო აღქმის შედეგი) ფაქტები².

ბოლო წლების ქართული პრესის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჟურნალისტები აქტუალურ საკითხებზე მსჯელობისას უპირატესობას ანიჭებენ პრობლემურ სტატიებს. ჟანრის სპეციფიკის შესაბამისად მსჯელობის ძირითად ფორმად გამოყენებულია დედუქციური მეთოდი.

ფაქტობრივი მაგალითები სტატიაში ყველაზე უფრო მეტყველი და ეფექტური არგუმენტებია.

სტატიაში „უმაღლესი განათლების კონცეფციის ზოგიერთი მიმართულების შესახებ“³ ავტორები აყენებენ აქტუალურ საკითხს. თეზისი უდავოდ ჭეშმარიტია და მკითხველში ეჭვს არ იწვევს — ეროვნული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე უმაღლესი განათლების ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც მოქნილად აპყვება საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს, შემოქმედებითად გამოეხმაურება ნებისმიერ ცვლილებებს.

სტატიის თეზისი კონკრეტულია და ზუსტი. არგუმენტებად მოყვანილია:

— ფაქტები და ციფრები ამერიკისა და ინგლისის უმაღლესი განათლების სისტემებიდან;

— ჩვენში განათლების დარგსა და საზოგადოებას შორის არსებული შეუსაბამობის მიზეზები: უმაღლესი განათლების სისტემის ინერტულობა, მატერიალურ-ფულადი რესურსების უკმარისობა, განათლებაზე საზოგადოებრივი მოთხოვნების არასწორი წარმოდგენა.

¹ Тертычный А. А., Методы идеологической работы журналиста, Аргументация в публицистике, 1985, с. 32—45.

² Горохов В. М., Основы журналистского мастерства, М., 1989, с. 99.

³ მ. აღეიშვილი, ა. სამაღაშვილი, უმაღლესი განათლების კონცეფციის ზოგიერთი მიმართულების შესახებ, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, 18 მაისი.



— უმაღლეს სასწავლებელსა და პროფესიულ გაერთიანებებს შორის კავშირის მაგალითად დასახელებულია ინგლისის პრაქტიკული კრიზისის თანახმად „60-იანი წლებიდან ინიცირებული პროფესიული გაერთიანებები უშუალოდ მონაწილეობენ თავიანთი მომავალი პოტენციური წევრების აღზრდის დაგეგმვაში“.

უცხოეთის წამყვანი ქვეყნების უმაღლესი სკოლების მაგალითებთან შეპირისპირებით ავტორები გვთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს:

- უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მკვეთრად შემცირება;
- დაუსწრებელი სწავლების უპირატესობა;
- 3—4 წლიანი ციკლის შემოღება მასობრივ პროფესიათა ახალ-გაზრდა სპეციალისტთათვის;

— უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რისთვისაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ არა მარტო დამატებითი ფინანსური რესურსების გამოძებნა, არამედ იმ თანხების უფრო გონივრული ხარჯვა, რაც ეროვნული ბიუჯეტიდან გამოეყოფა განათლების სისტემას. ამ საკითხის გადაწყვეტის უნივერსალურ საშუალებად სტატიაში ფასიანი სწავლების შემოღებაა დასახელებული.

პრინციპული მიდგომის ერთ-ერთ შესაძლო ფორმად მიჩნეულია ის ორგანიზაციული მოდელი, რომელსაც საფუძველი ეყრება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში: უმაღლესის სტრუქტურაში ავტონომიური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების შექმნა, მათი დამოუკიდებლობა სასწავლო პროცესის ფორმირებაში, მუშაობის ეფექტურობისა და პრიორიტეტების შეფასების სისტემის შემუშავება, საინჟინრო განათლების პლურალისტური მოდელის შექმნა.

სტატიაში მოყვანილი თითოეული ფაქტი რეალობის ამსახველია და ვ. გორხოვისეულ „საღი გონების“ ფაქტების ჯგუფს მიეკუთვნება.

სტატიის მიზანი — დასაბუთების გზით მივიღეთ დასკვნამდე, რაც საზოგადოებრივ ინტერესსაც მოიცავს — მიღწეულია კერძოდ, რიგი სიახლეების ფონზე უმაღლეს სასწავლებელში „სტრატეგიული მართვა ცენტრალიზებული რჩება, რაც იმის გარკვეული გარანტიაა, რომ სპეციალისტების მომზადება იმ მიმართულებითა და ხარისხით იწარმოებს, რომელიც ეკონომიკის განვითარების ამოცანებით არის ნაკარნახევი და არა წუთიერი კონიუნქტურით“.



ავტორები საკითხს განიხილავენ პროფესიული თვალთახედვით. პუბლიკაციის დამაჯერებელი, ლოგიკური მსჯელობის სტილი ნათელს ფენენ პრობლემის რეალურ მხარეს, სახავენ კონკრეტულ გზას საკითხის გადასაწყვეტად, რისთვისაც აუცილებელია სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

პუბლიკაციაში „მეგონა, მეფეო, შენ ფხიზლობდი“¹, წამოწეულია ქართული სინამდვილის მწვავე თემა — სავაჭრო-სამარეწველო კომპანიების, კერძო ბანკების გაკოტრება-გაქცევის შემდეგ ათასობით მეანაბრე მოტყუებული და დაზარალებული დარჩა. სტატიის მთავარი თეზისია — მთავრობამ დროულად არ გამოიჩინა პოლიტიკური ადლო და არ გააკეთა შექმნილი სიტუაციის კომპეტენტური ანალიზი-პროგნოზი; მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა აუცილებელია.

სტატიის იდეა დასაბუთებულია ქართული და უცხოური საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური მაგალითებით: ერთი მხრივ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის არასაკმარისი მონდომებისა და ქმედების დამადასტურებელი ფაქტები, ხოლო მეორეს მხრივ, უცხოეთის გამოცდილების ამსახველი ფაქტები კოტრობის, მთავრობის პასუხისმგებლობის, მეანაბრეთა და დეპოზიტორთა დაცვის მექანიზმის შესახებ. კერძოდ, „FDIC ბანკების სადაზღვევო კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბანკები, რომლებიც FDIC-ში აზღვევენ თავიანთ ქონებას, იხდიან პირველად გადასახადს კორპორაციის სასარგებლოდ, რითაც ასიათასი დოლარით ავტომატურად დაზღვეული ყოველი დეპოზიტორი. 1984—87 წლებში ამერიკაში გაკოტრდა 130 ბანკი რისთვისაც FDIC-მა სადაზღვევო კომპენსაციის სახით თითქმის 7 მილიარდი დოლარი გასცა“. „რუსეთში უკვე შეიქმნა კოტრობის ფედერალური სააგენტო“ და სხვ. ამ ფაქტობრივ არგუმენტთა დემონსტრირების გზით ავტორები ადასტურებენ თავიანთ ძირითად სათქმელს — ჭეშმარიტებას, რაც, თავის მხრივ, პუბლიკაციის გამოქვეყნების დროისათვის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ბაზას წარმოადგენდა, ხოლო მთავრობისათვის — შემდგომი პრაქტიკული ნაბიჯის გადასადგმელად ერთგვარ რჩევა-რეკომენდაციას.

სტატიისტიკური მონაცემების ეფექტური და გამიზნული გამოყენება სტატიაში პუბლიკაციის დამაჯერებლობის უტყუარი გარანტია.

¹ მ. ადგიშვილი, ხ. მაისაშვილი, მეგონა მეფეო, შენ ფხიზლობდი, გაზეთი „7 დღე“, 1994, 15—21 ნომბერი.

ასეთი მასალის მომარჯვება ძირითადად ხდება ეკონომიკისა და წარმოების საკითხებზე მსჯელობისას. მაგალითისათვის, სტატიაში „როცა რკინაც ვეღარ უძლებს“¹ ავტორის მსჯელობა საქართველოს რკინიგზის სავალლო მდგომარეობის შესახებ მთლიანად სტატისტიკას ემყარება: „...10%-მდე დაეცა ტვირთბრუნვა, შემცირდა ქვანახშირის (2358-დან 225 ათას ტონამდე), მარგანეცის (4057-დან 578-მდე), სამშენებლო მასალების (27889-დან 2097-მდე) მოპოვება და გადაზიდვა. შემცირდა, აგრეთვე, საქართველოს ფარგლებს გარედან მიღებული ტვირთების მოცულობა (9936-დან 5155-მდე) და სხვ.“ კილომეტრებში, ტონებსა და მანეთებში გამოსახული ციფრობრივი მონაცემები — სარწმუნო არგუმენტებია. რამაც უნდა დააფიქროს მკითხველი და უპირველესად ის დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები, რომელთაც ევალებათ კონკრეტული საკითხების დროული და ოპერატიული გადაჭრა.

დოკუმენტალური მასალის (დოკუმენტების) დამოწმება სტატიაში ავტორის ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურება. ყურნალისტი დ. ბუხრიკიძე მარიონეტების თეატრის დასსა და რეჟისორ რ. გაბრიადეს შორის არსებულ კონფლიქტზე მსჯელობს პუბლიკაციაში „პატარა მოცარტი, პატარა სალიერი“²... სხვა ფაქტობრივ არგუმენტთა შორის დამოწმებულია მარიონეტების თეატრის ბრძანებები:

„1991 წლის ნოემბერში მარიონეტების თეატრში იწერება ბრძანება:

15. 10. 91 (№ 103).

„ჩაეშვას წარმოებაში რევაზ გაბრიადის პიესა „ფიროსმანი“. დამდგმელი რეჟისორი რ. გაბრიადე, ნოემბრის შუა რიცხვებისათვის წარმოდგენილი იქნას როლების განაწილება და მხატვრული ესკიზები. გამოშვების ვადა 1992 წლის დეკემბერი. რ. გაბრიადე“.

შემდეგ იწერება ახალი ბრძანება:

25. 10. 91 (№ 106).

„ჩაეშვას წარმოებაში რ. გაბრიადის პიესა „პატარა მოცარტი, პატარა სალიერი“. დამდგმელი რეჟისორი რ. გაბრიადე, იანვრის შუა რიცხვებისათვის წარმოდგენილ იქნას როლების განაწილება და მხა-

¹ ა. კუკულაძე, როცა რკინაც ვეღარ უძლებს, გაზეთი „7 დღე“, 1994, 22-28 აპრილი.

² დ. ბუხრიკიძე, პატარა მოცარტი, პატარა სალიერი., გაზეთი „7 დღე“, 1994 წ. 9-15 სექტემბერი.

ტერული ესკიზები. გამოშვების ვადა 1992 წლის დეკემბერი. რ. ვაბ-
რიაძე“.

როგორც სტატიიდან ჩანს, დოკუმენტით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ შესრულებულა. მათზე და სხვა ფაქტებზე დაყრდნობით ჟურნალისტი აფიქსირებს რეალურად არსებულ კლასიკურ თეატრალურ კონფლიქტს და გეთავაზობს საკითხის მოგვარების თავისუფლ მოძღვლს — ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენელთა შემადგენლობის კომისიას, რომელიც შეძლებისდაგვარად გადაწყვეტს თეატრისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ურთიერთობას.

ნორმატიულ-ღირებულებით არგუმენტებს დასაბუთების მთლიან სისტემაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. უდავოდ გასაზიარებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ნორმატიულ-ღირებულებითი არგუმენტები აუდიტორიაზე ასდენენ არა მარტო დამარწმუნებელ, არამედ შთაგონებით ზეგავლენას“¹.

სტატიაში „კბილი კბილისა წილ“² ჟურნალისტი რ. ლორთქიფანიძე ავითარებს აზრს, რომ ბოლომდე მართებული არაა სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება. არგუმენტად გამოყენებულია მკვლელობის ისეთი შემზარავი ცხოვრებისეული მაგალითები, რომლებიც ძლიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე და ეჭვს გარეშე მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია დამნაშავეთა გარკვეული კატეგორიის მიმართ ჰუმანური მორალით, ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებით იხელმძღვანელო. აღნიშნული საკითხის მიმართ მთელი რიგი სახელმწიფოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მაგალითებია დამოწმებული, რაც უტყუარ ფაქტობრივ არგუმენტებს წარმოადგენენ. მით უფრო, რომ მათ შესახებ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი საუბრობს. ვფიქრობთ, არანაკლებ ღირებულია არგუმენტად ჩამოყალიბებული ჟურნალისტის პოზიცია:

ბირველი — „მე რომ მკითხონ, სიკვდილით დასჯას ყველა ჩამოთვლილ დანაშაულზე გავაუქმებდი, გარდა იმ დანაშაულისა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალადობით განზრახ ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს, ... თუნდაც იმიტომ, რომ ის, ვინც წინასწარი

¹ Горохов В. М., Основы журналистского мастерства, М., 1989, с. 101.

² რ. ლორთქიფანიძე, კბილი კბილისა წილ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 30 ნოემბერი.

განზრახვით მოქმედებს, შედეგად წინასწარ იცის. რადგან იცის და მაინც სჩადის — ავკაცია. ავკაცებით კი სახელმწიფო ვერ აშენდება სამწუხაროდ, ამგვარნი თითო-ოროლა როდი არიან და საზარელი დანაშაულებანიც ღამის ეროვნულ უბედურებად გვექცეს“.

მეორე — „...როგორც მოქალაქე და ორი ვაჟის დედა მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებიდან ვამბობ: ამ ეტაპზე საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრე არა ვარ!“.

ორივე მაგალითი ე. წ. „შიდა შეფასების“¹ არგუმენტის ნიმუშია, როცა ავტორი ამკარად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ასახვის ობიექტისადმი.

ამ არგუმენტებს ორმხრივი მნიშვნელობა აქვთ: მსჯელობის პროცესში ისინი კავშირს ამყარებენ ლოგიკურ დასკვნებს შორის და, ამავ დროს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე. სწორედ მათი გამოყენება ზღის შესაძლებელს ხელი შეუწყოს ადეკვატური საზოგადოებრივი ფსიქოლოგიისა და განწყობის ჩამოყალიბებას.


არგუმენტაციის საკითხთა წრეში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მტკიცებისა და ახსნა-განმარტების (როგორც ერთ-ერთი არგუმენტის) მიმართების, საკითხს. ორივე დასაბუთების სხვადასხვა ფორმაა, რომელთაც სხვადასხვა მიზანი, ობიექტი და სტრუქტურა ახასიათებთ².

ხშირ შემთხვევაში პუბლიცისტი არა მარტო დასაბუთებს ჭეშმარიტებას, იმავდროულად უხსნის მკითხველს საკითხის, პრობლემის არსს. ამდენად, თუ მტკიცება მიზნად ისახავს თეზისის ჭეშმარიტების დადგენას, ახსნა-განმარტების დანიშნულება უფრო ფართოა, ლოგიკის ენით რომ ვთქვათ, ახსნა-განმარტება გულისხმობს «Установить достоверность суждений относительно какого-либо неясного, запутанного дела или имеющих целью вызвать более ясное и отчетливое представление о более или менее известном явлении»³.

¹ Тертычный А. А., Методы идеологической работы журналиста, Аргументация в публицистике, 1985, с. 46.

² Никитин Е. П., Объяснение — функция науки, М., 1970, с. 20.

³ Кондаков Н. И., Логический словарь-справочник, стр. 404.



ბ. მასისაშვილის სტატია „ირაციონალური ბიუჯეტი ირეალური სივრცისათვის“¹ შემეცნებითი ხასიათის პუბლიკაციაა. მთავარი თეზისი ასეა ჩამოყალიბებული: „საქართველოს ბიუჯეტი ვეღარ მართლდება ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტის ფუნქციას, მაგრამ მას მაინც ჰქვია ბიუჯეტი“. ჟურნალისტი გვისხნის, თუ რას წარმოადგენს უდენციტო ბიუჯეტი. „მეოთხე კვარტალური ბიუჯეტის აგებისას მახვილი შემოსავლებზე დაისვა. მოხდა ხარჯების მიზნობრივი შეკვეცა, რაც საკმაოდ გავრცელებული მეთოდია მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში, მაგრამ საინტერესოა ბიუჯეტში მზარდი შემოსავლების მოლოდინისას რა მექანიზმზე ამყარებდა იმედებს სახელმწიფო? რა იძლეოდა ოპტიმიზმის საფუძველს პირობებში, როცა ქვეყანას არ გააჩნია ერთიანი საგადასახადო პოლიტიკა, თუნდაც კონცეფციის დონეზე; არსებული საგადასახადო ინსტიტუტები, უმთავრესად საგადასახადო ინსპექციის სახით, ვერ უზრუნველყოფს იმის აკრეფასაც კი, რაც ეკუთვნის სახელმწიფოს და ბოლოს — სამეურნეო საქმიანობის დიდი ნაწილი საბიუჯეტო და საბანკო სისტემების კონტროლს არ ექვემდებარება“. აღნიშნული ახსნა-განმარტების მოხმობა ჟურნალისტური ოსტატობის ხერხად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი წარმოადგენს ძირითად არგუმენტს, რომელიც სპეციფიკური საკითხის არსის გარკვევაში გვეხმარება.

აზრის ან იდეის განსამტკიცებლად პუბლიცისტები სშირად იყენებენ ციტირებას. სწორედ იგი გვევლინება ავტორის პოლიტიკური პოზიციის აუცილებელ ელემენტად კონკრეტული მოსაზრების დასასაბუთებლად. ციტირებული ტექსტი ორგანულადაა დაკავშირებული შეფასებასთან, პუბლიცისტის განზრახვასთან. სტატიაში „VITA NUOVE?“² ავტორს მოჰყავს ციტატა: „ლენინის რუსეთში ერთადერთი ხელისუფლებაა: მისი ხელისუფლება; ერთადერთი თავისუფლება — მისი თავისუფლება; ერთადერთი აზრია — მისი აზრი და ერთადერთი კანონი — მისი კანონი“. ეს ციტატა ორიგინალობით არ გამოირჩევა, რადგან მსგავსი აზრი ლენინის ხელისუფლებაზე სხვებსაც აქვთ გამოთქმული, მაგრამ, ვფიქრობთ, სტატიის ავტორს ბ. მუსოლინის ავტორიტეტის მოშველიება აღნიშნული ციტატით ამ შემთხვევაში საკუთარი კონცეფციის გასამყარებლად დასჭირდა.

¹ ბ. მასისაშვილი, „ირაციონალური ბიუჯეტი ირეალური სივრცისათვის“, გაზეთი „7 დღე“, 1994, 3—9 დეკემბერი.

² ბ. დროზდოვი, VITA NUOVE? გაზეთი „დრონი“, 1991 წ., 25 აპრილი.

ცალკეულ შემთხვევაში სტატიაში არგუმენტაციის ხერხად გამოყენებულია ისტორიული ექსკურსი.

სტატიაში „კავკასიური სამშვიდობო წრე: რეტროსპექტივა და პერსპექტივა“¹ ავტორები ავითარებენ აზრს იმის შესახებ, რომ ურთულეს პირობებში საქართველოს დიპლომატიის წინაშე მთელი სიმწვავეთ დადგა მრავალსაქეტრიან პრობლემათა მთელი რიგი — მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ფორმებისა და მეთოდების ძიება, დიპლომატიური მოდელის შემუშავება საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად. თეზისის გასამაგრებლად მოყვანილია უტყუარი ფაქტობრივი არგუმენტი: „ჩამოყალიბდა „მშვიდობიანი კავკასიის“ იდეა, რომელიც თავისი არსით, მიზნებითა და უნიფიცირებული ფორმით ქართული დიპლომატიის მემკვიდრეობითობის პერმანენტული პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს.

ამასთან, პუბლიკაციაში მიზნობრივადაა გამოყენებული საქართველოს რეგიონალურ-კავკასიური პოლიტიკის ისტორიული მაგალითები დავით აღმაშენებლის ეპოქიდან მოყოლებული. ამ ისტორიული ექსკურსის — პუბლიცისტური ხერხის მეშვეობით ავტორები შეეცადნენ იგი დღევანდელი ცხოვრებისათვის დაეკავშირებინათ ისე, რომ მკითხველმა იგრძნოს — საქმე ეხება არა მარტო გარდასულ დროთა ამბებს, არამედ ისტორიის გაკვეთილებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე გაძნელებდა დღევანდელი გზების გაგება და აღქმა.

გ. თვალთვალე სტატიაში „საჭიროა თუ არა რუსის ჯარი საქართველოში?“² საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის აქტუალურ საკითხს აყენებს. რუსეთთან ურთიერთობის განსაზღვრის მიზნით ავტორი იხსენებს საქართველოს ისტორიის ერთ ეპიზოდს: „როგორ უნდა დაგვაფიწყდეს ქართველთა სათაყვანო მეფის დავით აღმაშენებლის ნაბიჯი, რომელმაც 1118 წელს ქართველთა ჯარის გასაძლიერებლად 40000 ყივჩაღური ოჯახი ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოიყვანა და 200000 კაცი, თუმცა მოკავშირე, მაგრამ მაინც უცხო ჯიშისა, ქართლში ჩაასახლა. ეს გადაწყვეტილება

¹ ს. კილაძე, ვ. მასხუღია, კავკასიური სამშვიდობო წრე: რეტროსპექტივა და პერსპექტივა, ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 18 მაისი.

² გ. თვალთვალე, საჭიროა თუ არა რუსის ჯარი საქართველოში?, ვაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1992, 31 ოქტომბერი.


რომ სწორი გამოდგა, საქართველოს გადარჩენისათვის შემდგომ წარმოებულმა ბრძოლებმა დაამტკიცა“. ამ ფაქტს, როგორც ტექსტში მოყვანილ სხვა არგუმენტებს, დიდი ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნია. იგი გვევლინება ავტორის თვალსაზრისის — არავითარი დემოგრაფიული საშიშროება რამდენიმე ათასი რუსი სამხედრო სპეციალისტისა და მათი ოჯახების საქართველოში დარჩენით არ გვემუქრება — მართებულობის ძირითად განმსაზღვრელ პარამეტრად, რათა თანმიმდევრულად მიგვიყვანოს გარკვეულ პოზიციამდე, დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტება, რომ ჯერჯერობით საჭიროა რუსის ჯარი საქართველოში. მხოლოდ „თუ საქართველო შეძლებს თავისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის მოწინავე ქვეყნების დონეზე აყვანას, ამის შემდგომ შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოდან რუსის ჯარების კონტიგენტის მოლაპარაკების გზით გაყვანაზე. ეს ყოველივე უნდა მოხდეს შემჭიდროვებულ ვადებში, მაქსიმუმ 5—8 წელიწადში“. ასეთი დასკვნა, ბუნებრივია, თვალსაჩინოს ხდის სტატიის მიზანს და პასუხს იძლევა დასმულ შეკითხვაზე.

გრძნობებისა და ემოციების მართვა აუცილებელი ფაქტორია ჟურნალისტის საბოლოო მიზნის მისაღწევად. რადგან „ничто — ...не выражают так ясно и верно нас самих и наши отношения к миру, как наши чувствования; в них слышен характер не отдельной мысли, не отдельного решения, а всего содержания души нашей и ее строя“. სწორედაც „სულის მთლიანი შინაარსის ხასიათის“ განსაზღვრა უნდა მოხდეს პუბლიცისტური ოსტატობის ხერხებით — არგუმენტაციის ფორმები ავტორის პოზიციის გასამყარებლად უნდა იქნას მიმართული.

ამ მხრივ სტატიაში დაფიქსირებულია ფსიქოლოგიური დასკვნის სხვადასხვა ფორმა, როგორც არგუმენტაციის ერთგვარი სახეობა. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად სტატიაში „თამარ მეფის ქოშები“² მ. სტურუა მიმართავს შედარებას: ბირმელ ქალებს უჩვეულოდ მაღა-

¹ Ушинский К. Д., Человек как предмет воспитания. Опыт педагогической антропологии, М., 1950, т. II, с. 117—118, ,

² მ. სტურუა, თამარ მეფის ქოშები, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1996, № 12.



ლი ყელი აქვთ იმის გამო, რომ ბავშვებიდანვე ყელზე რგოლებს მკვდრად მკვნი. როდესაც მათ განთავისუფლების მიზნით რგოლები ჩამოართვეს, რეს, აღმოჩნდა, რომ კისრებმა ვერ აიტანეს თავისუფლება და თავს ვეღარ იმაგრებდნენ. პუბლიცისტის აზრით ასე დამართა საქართველოსაც — რუსეთის „რგოლებიდან“ განთავისუფლებულმა ვეღარ შეიმაგრა თავი და თითქმის კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ეს ასოციაციური შედარება შეიძლება განვიხილოთ პუბლიცისტური ოსტატობის ხერხად — არგუმენტად, რომელიც გამოხატავს ავტორის ჩანაფიქრს — წარმოაჩინოს პრობლემის სიმწვავე.

პუბლიცისტური არგუმენტაციის თავისებურება მდგომარეობს ფაქტობრივი და ღირებულებითი (ლოგიკური და ალოგიკური) არგუმენტების ერთიანობაში. მტკიცების საფუძველი არა მარტო დოკუმენტური ფაქტი და მეცნიერული კანონია, არამედ ჟურნალისტის პოლიტიკური მრწამსი, იდეოლოგიური პოსტულატი.

სტატიაში „დამარცხება დანაშაულია“¹ მთავარი იდეა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „აწმყოს ამოცანა წარსულის წაშლაში ან მიჩქმალვაში კი არ მდგომარეობს, არამედ ისტორიის გაკვეთილების ათვისებაში. ე. ი. კი არ უნდა წაშალო, არამედ შეისწავლო და მისი ანალიზიდან დასახო სამომავლო პროგრამა“.

ავტორი მთავარი თეზისის დასასაბუთებლად კომპლექსურად განიხილავს ისტორიულ მოვლენებს. ლ. ტუხაშვილი მიმართავს არგუმენტთა ნაირსახეობას:

1. ისტორიული ფაქტები („ნაპოლეონ I-მა მოსპო ანარქია, ოღონდ ეროვნული კონსოლიდაციაც მსოფლიო იმპერიის შესაქმნელად გამოიყენა“, „ინგლისის დიდი სახელოვანი 1688 წლის რევოლუციის დროს მოხდა კრომველის წინანდელი და კრომველის დროინდელი საუკეთესო ტრადიციების შერწყმა“ და სხვ.).
2. ისტორიული კანონზომიერება („მოვლენის ჭეშმარიტი განჭვრეტა ხდება შედეგიდან, შედეგი ანუ ნაყოფი თავისთავად რაიმეს პროდუქტია, ყველაზე უტყუარი განმსაზღვრელი თვით ამ ნაყოფის მშობელი პროცესებია“, „ისტორიას მკაცრი კანონი აქვს: დამარცხება დანაშაულია“).

¹ ლ. ტუხაშვილი, დამარცხება დანაშაულია, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1992, 20 თებერვალი.

3. განმარტება („საერთო სახალხო რევოლუცია ნიშნავს სწორედ მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების დაცვას“).

4. მხატვრული შედარება („მრგვალი მაგიდა“ დაემსგავსა პროსპერ მერიმეს „ტამანგოს“. ალბათ, გახსოვთ, აჯანყებულმა მონებმა ზღვაში გადაყარეს მათი დამმონებელი ევროპელი ეკიპაჟი... და შერჩინენ აღელვებულ ოკეანეს ბელადის უნარის ამარა. ბელადმაც უცებ გადაატრიალა გემის საჭე და შედეგიც ნათელია — დამსხვრეული საჭე, აღელვებული ოკეანე, ერთიანად დაღეწილი ანძები და თავისუფლების იმედები“, „უნდა ჩანდეს ტეხილი 1992 წლის 6 იანვრის „იქით“ და „აქით“ პროცესებს შორის, ალბათ, გინახავთ, როგორ ასახავს ფოლკლორი „ჯადოქარის დამარცხებას“: გაქვავებული ადამიანები ცოცხლდებიან, გამხმარი ხეები იფოთლებიან, დამშრალი წყაროები აღმოცენდებიან, ფრინველები იწყებენ გალობას და ა. შ. აი, თუ ყველაფერი ეს ან რაღაც ამის მსგავსი იგრძნო მოსახლეობამ, მაშინ იგი ერთიანად და ერთბაშად დაიჯერებს, რომ დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი“).

5. საკუთარი პოზიცია წარმოდგენილი შემფასებლური არგუმენტის სახით („არ ვეთანხმები იმ „კრიტიკოსებს“, რომელთაც მთლიანად გადაუსვეს ხაზი უზენაეს საბჭოს“, „ჩემი აზრით, — ეს — 1990 წლის 11 ნოემბრიდან 1992 წლის 5 იანვრამდე — იყო განუხორციელებელი დიქტატურისკენ წარმართული ავტორიტარული ხელისუფლება, რომელიც ემყარებოდა „პირველი კაცის“ უინიანობას აბსოლუტური უმრავლესობის ინდიფერენტიზმის პირობებში“; „დროებითი მთავრობა, ჩემი აზრით, ცოტას ჩქარობს. მე მეშინია, რომ არ უნდა აჩქარდეს ის განსაკუთრებით ახალი არჩევნების თარიღის დანიშვნაში“ და სხვ.).

პუბლიკაციაში ფაქტოლოგიური არგუმენტაციის თავისებურება მრავალი ფაქტის ურთიერთმიმართებაში მქლავნდება. სტატიის თეზისის გასააზრებლად სხვადასხვა ტიპის არგუმენტთა „ადრევა“ არათუ შესაძლებელი, აუცილებელიც კი გახდა, რადგან სწორედ სინამდვილის მოვლენების უშუალო აღქმის შედეგს შეუძლია სასურველი ზეგავლენა მოახდინოს მკითხველთა ფართო აუდიტორიაზე¹.

¹ Горохов В. М., Основы журналистского мастерства, М., 1989, с. 99.

აღნიშნული ხერხების გამოყენებით ავტორი ახორციელებს თავის ჩანაფიქრს — აანალიზებს წარსულს, გვთავაზობს წარსულის მოვლენათა მისეულ კვალიფიკაციებს, თუმცა ისინი მკითხველთა ფართო და არაერთგვაროვანმა აუდიტორიამ შეიძლება ბოლომდე არ გაიზიაროს.

როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ადამიანის მოქმედების ჭეშმარიტი მამოძრავებელი „ემოციები-იმპულსებია“, ხოლო წამაქეზებელი ემოციები პირდაპირ ასახავენ „რეაქციის ხარისხს“ — ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ხასიათს. იმისათვის, რომ ყოველი მოთხოვნილება შემოქმედების (მოქმედების) მამოძრავებელ ძალად იქცეს, უნდა მიიღოს გარკვეული შემაგულიანებელი განცდის შესატყვისი მოტივის ფორმა.¹

სწორედ ასეთი განცდის გამომწვევი უნდა იყოს ყოველი თეზისის დამადასტურებელი არგუმენტი სტატიაში და მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული პუბლიკაციის მიზანი. მკითხველი უნდა წააქეზოთ პრაქტიკული საქმეებისაკენ, მისი გონება მიემართოთ კონკრეტული საზოგადოებრივი პრობლემისაკენ საკითხის გადაჭრაში საკუთარი როლის განსაზღვრის მიზნით.

სტატიის იდეა ცხოვრებიდან იბადება. ჟურნალისტის უნარი და აკვირდეს, იფიქროს, შეუპირისპიროს — განსაზღვრავს თემას. თეზისის მარგი ქმედების კოეფიციენტს, რასაკვირველია, არგუმენტაცია განსაზღვრავს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ ვისგან მოდის არგუმენტი, ვინ გვთავაზობს მას, როგორია ჟურნალისტის კომპეტენტურობისა და გულწრფელობის ხარისხი. ამდენად, როგორც აღნიშნავენ, პროფესიული ოსტატობა ჟურნალისტიკაში გამოთლიანებულია მოდვაწეობის იდეურ, ზნეობრივ პრინციპებთან.

სტატიაში „ბუტერბროდები „უსნიკერსოდ“ დარჩენილთათვის“² ნ. ხარაზიშვილი აყალიბებს თეზისს — მშობლებისა და საზოგადოების მხრიდან არასათანადო ყურადღებისა და უპასუხისმგებლობის გამო მოზარდები მათხოვრობენ, მაწანწალობენ, პოტენციური დამნაშავეები ხდებიან. პუბლიცისტური ნაწარმოების იდეა — ჟურნალისტის პოზიცია სწორია, აქტუალურია, რადგან მას საფუძვლად უდევს საგ-

¹ Рейнвальд Н. И., Психология личности, М., 1987, с. 103.

² ნ. ხარაზიშვილი, ბუტერბროდები „უსნიკერსოდ“ დარჩენილთათვის, გაზეთი „ქალთა გაზეთი“, 1996, აგვისტო.

ნის ღრმა ცოდნა საზოგადოების განვითარების საჭირობოტო პრობ-
ლემების თვალთახედვით.

თეზისის დასამტკიცებლად ავტორი იმარჯვებს არგუმენტთა მთელ
კომპლექსს:

1) ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითები, ოფიცია-
ლური ცნობები („დღეს საქართველოში მცხოვრები დაახლოებით მი-
ლიონნახევარი ბავშვიდან არცთუ ისე ცოტა, ფაქტიურად ქუჩის ქო-
მაგობასაა მინდობილი“, „დღეს საქართველოში თითქმის არ ფიქ-
სირდება დანაშაულის სახეობა..., რომელშიც მოზარდი დანაშავე არ
იყოს მხილებული და მსჯავრდებული“).

2) დოკუმენტები (საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1
თებერვლის № 142 ბრძანებულება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
კაბინეტის 1995 წლის 21 სექტემბრის ბრძანება).

3) რელიგიური შეგონება („შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა, სიკეთის
ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ
ობოლი“ — ესაია წინასწარმეტყველი).

თითოეული მათგანის მოხმობა სტატიის ტექსტში აუცილებლობით
არის განპირობებული და ამდენად, მათი დანიშნულება მიზნობრივა-
დაა გამოყენებული. მაგ., მოზარდთა შრომითი დასაქმების საკითხ-
თან დაკავშირებით სრულიად გამართლებული და საგნობრივია სახე-
ლმწიფოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისი პუნქტის მოხმო-
ბა, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანთა, განსაკუთრებით
კი უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდთა დასაქმებისა და შრომითი
მოწყობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას.

ზემოჩამოთვლილ არგუმენტთა ორგანული ურთიერთკავშირი გა-
ნსაზღვრავს მსჯელობის დამაჯერებლობას, ხოლო სტატიის ფსიქო-
ლოგიურ დასკვნას დიდი ემოციური დატვირთვა აკისრია: „ბავშვებს
უნდა მივეშველოთ. საქართველოს მომავალს გადარჩენა სჭირდება. ეს
რეალობაა და არა გუშინდელი პათეტიკური ღოზუნგი. აი, უპირვე-
ლეს ყოვლისა, რა უნდა დაევიჯეროთ ხელმოკლეებმა და შეძლებუ-
ლებმაც იმიტომ, რომ არ არსებობს უფრო დიდი სასჯელი ქვეყნისა-
თვის, ვიდრე მის მიმე სოციალურ გარემოს შეწირული ზნეკეთილი
ადამიანებია. ბავშვი კი, ყველას ცნობიერებაში, რაც არ უნდა მი-
მე პირობებში ცხოვრობდეს ის, სიკეთესა და სინათლესთან ასოცირ-
დება, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგჯერ მაინც შეუძლია ადამიანთა

გაუტანლობით შესხმული ტალახი თუნდაც მხოლოდ „სნიკერსის“ მი-
რომევის ბედნიერებით ერთბაშად ჩამოიშრება“.

პუბლიკაციის პრობლემატიკა თავისთავად საზოგადოებრივი უკმა-
რადლობისაა, მაგრამ ამასთან, სუბიექტური მნიშვნელობისაა მასში
საკითხების დასმისა და გადაჭრის მხრივ.

მკითხველთა აღქმის კანონზომიერებას მნიშვნელოვნად განაპირო-
ბებს ნაწარმოების ტექსტი. მისი შინაარსი. კმათს არ იწვევს ის
გარემოება, რომ აღქმის მაღალი კოეფიციენტი მოდის იმ სახის პუ-
ბლიკაციაზე, რომელშიც ჭარბობს სუბიექტური მომენტი ან მკითხვე-
ლთა მიერ გადატანილ ემოციათა ასოცირება. ამასთან, გადატანილ
გრძნობათა ასოციაცია განისაზღვრება იმითაც, თუ როგორაა ასა-
ხული სინამდვილე ტექსტში და რა ემოციებია დაპროგრამებული¹.

განცდილ გრძნობათა ასოციაცია ხსენებულ სტატიაში განსაზღვ-
რულია იმით, რომ სინამდვილე ასახულია რეალურად, პრობლემა
დასურათებულია ობიექტურად. ამასთან, დაპროგრამირებულია ადა-
მიანურ ემოციათა შორის ერთ-ერთი უპირველესი, რასაც ეურნალის-
ტიკა იყენებს — ალტრუისტული ემოცია (სხვაზე ზრუნვის მოთხოვ-
ნილება)².

განსახილველ საკითხთან მიმართებაში გვინდა გამოვყოთ ერთი
ასპექტი — ავტორი — დარგის სპეციალისტი. პროფესიონალის მიერ
წამოყენებული არგუმენტი უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს და
მკითხველისათვისაც უფრო მისაღები და გასაზიარებელია. საილუსტ-
რაციოდ, სტატიაში „უფერხორცო აჩრდილი“³ თეზისად ჩამოყალიბებუ-
ლია პოლიტიკურ ძალთა ერთი ნაწილის გამოკვეთილი პოზიცია —
პროკურატურა, როგორც აღმასრულებელი და სასამართლო ხელი-
სუფლებისაგან დამოუკიდებელი, უნივერსალური ორგანო კანონიერე-
ბაზე ზედამხედველობისა, ზედმეტადაა მიჩნეული.

ამ მოსაზრების არამართებულობის დასამტკიცებლად ავტორი
გვთავაზობს წონად ფაქტობრივ არგუმენტს: „ყოფილ სსრ კავშირის
სახელმწიფოთაგან უკრაინამ, უზბეკეთმა, ყაზახეთმა, ლიტვამ, ახალი
კანონმდებლობით პროკურატურას არათუ შეუნარჩუნეს სსრკ პრო-

¹ Горохов В. М., Основы журналистского мастерства, М., 1989, с. 103.

² იქვე.

³ ი. გაბისონია, უფერხორცო აჩრდილი, გაზეთი „საქართველოს რესპუბ-
ლიკა“, 1995, 16 მაისი.

კურატურის შესახებ 1979 წლის კანონით მინიჭებული ძირითადი ფუნქციები, არამედ გაუფართოვეს კიდევ უფლებამოსილებათა ფარგლები“, რასაც მოჰყვება კონკრეტული მაგალითები. ი. გაბისონია საკუთარი პოზიციის გასამყარებლად პოსტსოციალისტური ევროპული ქვეყნების — პოლონეთისა და უნგრეთის გამოცდილებასაც იშველიებს. ფაქტობრივი მასალის მიზნობრივი გამოყენების გზით იგი აკეთებს დასკვნას, რომ „საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტებში... პროკურატურა უფერხორცო აჩრდილათდა გამოიყურება... აუღერდება რეჟიემიც, რომელიც... მაუწყებელი სიმბოლო იქნება... საქართველოში კანონიერების რეჟიმისა... და აქედან გამომდინარე, ნორმალური სახელმწიფოს აშენების იდეისა და ხალხის იმედების დიდი ხნით დასამარებისა“¹. გასაზიარებელი მოსაზრებაა, მით უფრო, რომ მისი ავტორი რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, ადმინისტრაციული სამართლის რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრია.


პუბლიცისტური ნაწარმოების ეფექტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პარამეტრია, თუ როგორ ხერხდება მისი საშუალებით პიროვნების პოზიციის ფორმირება შემდგომი პრაქტიკული საქმიანობის განსაზღვრის მიზნით. პიროვნების პოზიცია თავისთავად ურთიერთობათა რთული სისტემაა, რომლის ჩამოყალიბება ხანგრძლივი და სათუთი პროცესია. სპეციალისტების აზრით, პიროვნების პოზიცია წარმოადგენს პიროვნების ურთიერთობების, განწყობის, ქმედების განმსაზღვრელი მოტივების, მისი საქმიანობისაკენ მიმართული მიზნებისა და ფასეულობათა რთულ სისტემას².

სტატიის, როგორც პუბლიცისტური ჟანრის, მიზანდასახულობაც ისაა, რომ სწორად წარმართოს მკითხველის ფიქრი, აზიაროს იგი საზოგადოებრივ ჭეშმარიტ ღირებულებებსა და ნორმატივებს, დაეხმაროს სწორი ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებაში.

ჩვენს მიერ განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ სტატიაში თეზისის სახით წარმოდგენილი პრობლემა ძირითადად დინამიკურია. იგი ასახავს ფაქტობრივ

¹ ი. გაბისონია, უფერხორცო აჩრდილი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995, 16 მაისი.

² Ананьев Б. Г., Человек как предмет познания. Л., 1969, с. 288.



არგუმენტთა სისტემას, საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა და საგანთა ურთიერთკავშირის ერთობლიობას. სტატიის რთული სტრუქტურა განპირობებულია მისი სპეციფიკით. იგი წარმოგვიდგება როგორც ფაქტებისა და იდეების სინთეზი, ანალიზი, გამოხატავს ავტორის თვალსაზრისს, სახავეს წარმოშობილი წინააღმდეგობების გადაჭრის გზებს. ამდენად, პუბლიცისტიკის სხვა ჟანრის ნაწარმოების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი არგუმენტაციის და, საერთოდ, პუბლიცისტიკის არგუმენტაციის საყოველთაოდ აღიარებული დადგენილი წესები თითქმის მთლიანად ვერცელდება სტატიანზე. უფრო მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატია, როგორც პუბლიცისტური ჟანრი არგუმენტაციის გარეშე არ არსებობს: მტკიცების პროცესი სტატიის შინაარსის შემადგენელი ნაწილია, ხოლო არგუმენტები — ყველაზე აქტიური ელემენტები.

არგუმენტაციის საკითხები უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე სტატიის მდგომარეობას, მისი განვითარების ტენდენციებს. პუბლიცისტური ოსტატობის კანონზომიერება განაპირობებს არგუმენტაციის სისტემის შემდგომ სრულყოფასა და დახვეწას.

ლავა ქორიძე

მარკეტინგის ჟურნალისტიკის შესახებ

ჩვენს ქვეყანაში მრავალი გაზეთი და ჟურნალი გამოდის, ტელევიზიაც მძლავრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომა არ იგრძნობა. ბევრს წერენ პოლიტიკაზე, სოციალურ საკითხებზე, მაგრამ ის, რასაც დღეს ქვეყანა უნდა აკეთებდეს სამეურნეო განვითარებისათვის, თითქმის უგულებელყოფილია.

როდესაც ვამბობთ, რომ მატერიალური წარმოება და მასთან ერთად მიმოქცევა უნდა იდგეს წინა პლანზე, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოება უნდა იყოს მოხმარებისათვის, მოხმარება კი წარმოების ფუნქციონირებისათვის. ამ ერთიანობის პრინციპს უნდა განმტკიცება, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება. მატერიალური წარმოების ამ ახალ განვითარებას ესადაგება „მარკეტინგი“, რომელიც ინგლისური სიტყვიდან „market“ წარმოდგება. ეს ნიშნავს საქმიანობას ბაზარზე, ფართო გაგებით კი — გასაღების საქმიანობას. „მარკეტინგი“ წარმოიშვა აშშ-ში ამ საუკუნის 20-იან წლებში. პირველად იგი შეზღუდული ფორმით გამოიყენებოდა და მხოლოდ გასაღების სფეროს ემსახურებოდა. მისი დანიშნულება იყო საქონლის სარფიანად გასაღება. მარკეტინგის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბება 1929—1932 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით მოხდა. ცნობილია, რომ მაშინ პროდუქციის გასაღების პრობლემა იდგა ამის შესაბამისად წარმოიშვა საბაზისო კონცეფციები, რომლებიც საფუძვლად დაედო მარკეტინგის შემდგომ განვითარებას, რამაც განსაზღვრა ძი-

რითადი ფუნქციური (ფუნქციური, ინსტიტუციური, საქონლური) ტენდენციების ჩამოყალიბება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მყიდველთა მოთხოვნების შესწავლას, რომლის მიხედვით უნდა დამზადდეს პროდუქცია.

თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნის შესაბამისად ვითარდება მარკეტინგის დღევანდელი კონცეფცია, როგორც „ბიზნესის ფილოსოფია“. მარკეტინგი დამკვიდრდა მსხვილ კორპორაციებში; დაიწყო სამმართველო მარკეტინგის აღმავლობა, რომლის არსია მარკეტინგის პრინციპების გავრცელება საწარმოს მართვის ყველა რგოლში — საწარმოო პერსონალში, საფინანსო, გასაღების და სხვა სამსახურებში. და მაინც, მთავარ მიღწევად ითვლება მარკეტინგის პროცესისა და სტრუქტურის კონცეფციის შექმნა, ბაზრის კომპლექსურად შესწავლა. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას.

მრავალმხრივი ეკონომიკის განვითარებისათვის დამახასიათებელია მარკეტინგის გაძლიერება ბაზარზე ორიენტირებული საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მართვისათვის. მარკეტინგი ამ შემთხვევაში გვევლინება როგორც მართვის სისტემა, რომელმაც მოიცვა კვლავწარმოების ყველა სტადია და გლობალური გახდა. ნებისმიერ სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღებას და მათ შეფასებას საფუძვლად უდევს ინფორმაცია ბაზრის შესახებ.

ამ ინფორმაციის მიღებას და გავრცელებას არსებითად უნდა ემსახურებოდეს ჟურნალისტიკა. მან გარკვევით უნდა უჩვენოს, რომ მარკეტინგი არის შეხედულება წარმოებისა და მომსახურების შესახებ. მარკეტინგი მთელი კონცეფციაა და საქმიანობის ურთულესი სისტემა.

მარკეტინგის სისტემის ფუნქციონირება მოითხოვს, რომ საწარმოს მთელი საქმიანობა დაემყაროს მოთხოვნისა და მისი ცვლილებების ცოდნას. მთავარია, ვიცოდეთ, როგორია საწარმოს პროგრამა, მეცნიერულ-ტექნიკური დონე, ფინანსური საშუალებანი, და ა. შ. მარკეტინგმა უნდა უზრუნველყოს იმის წარმოება და გასაღება, რაზეც არის მოთხოვნა. მარკეტინგის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისად, საწარმოს მუშაობას, საფუძვლად ედება საქონლის გასაღების ეფექტიანი პრინციპი, ე. ი. უნდა დადგინდეს, რა სახეობის საქონელი, რა სამომხმარებლო თვისებებით, როგორი ფასით, რა რაოდენობით და სად უნდა შეიძინოს მყიდველმა. ამის შემდეგ იწყება წარმოების ორგანიზაცია. ეს ნიშნავს, რომ მატერიალური წარმოებისა და



ბაზრის ერთიანობის მთავარი ნიშანსვეტია თავისუფალი ეკონომიკური განვითარება. მარკეტინგში სწორედ ესაა ძირითადი და განმარტოვებულია იგი ყველაზე ეფექტიანი წარმოებისა და საქონლის რეალიზაციის ყველა ადრე არსებულ მეთოდთან შედარებით.

ჟურნალისტიკა ესმარება მარკეტინგს ფუნქციონირებაში. კერძოდ, საჭიროა დეტალურად აღრიცხვა იმისა, თუ როგორი მოთხოვნები დგას წარმოების განვითარების წინაშე. მარკეტინგმა უნდა უზრუნველყოს ისეთი წარმოება და გასაღება, რაზედაც არის მყიდველის მოთხოვნილება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საწარმოს უნდა გააჩნდეს თავისუფალი სიმძლავრეები, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ისინი იმ საქონლის დასამზადებლად, რომელზეც მოთხოვნაა ცხადია, კონკურენტუნარიანი საქონლის რეალიზაცია გარანტირებული იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარია ბაზრის მოთხოვნილების შესწავლა, ეკონომიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინება, ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც საწარმოებს შესაძლებლობას მისცემს დამოუკიდებლად არეგულირონ და განახორციელონ გაფართოებული კვლავწარმოების ღონისძიებანი. საწარმომ თვითონ უნდა შეარჩიოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომწოდებლები და პროდუქციის გამსაღებლებიც. ამასთან, ჩამოაყალიბოს შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების, წარმოების განვითარების ფონდები. ფასწარმოქმნის მოწესრიგებას, ფასების ელასტიკურობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მარკეტინგი მოითხოვს რეკლამის კარგ ორგანიზაციას, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საქონლის ასორტიმენტის დადგენას, სავაჭრო ოპერაციების განსაზღვრას, პროდუქციის რეალიზაციას და სხვ.

ჟურნალისტიკამ, რომელიც სარკვეა საზოგადოებისა, ხელი უნდა შეუწყოს მარკეტინგის მეთოდების დანერგვას ყველა რგოლში. ამისათვის საჭიროა ინფორმაციის მიღება ყველა მიმართულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბაზრის კომპლექსური შესწავლა.

ასე დგას საკითხი ზოგადად. ახლა ჩვენ გვიანტერესებს, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მარკეტინგი გამოყენებული იქნას ჩვენს ცხოვრებაში. ჯერ ერთი, ჟურნალისტიკის ამოცანაა მარკეტინგის, როგორც მეურნეობის მართვის ახალი მეთოდის, პოპულარიზაცია. შეიქმნას მარკეტინგის საკუთარი კონცეფცია, რომელიც არსებული საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი ურთიერთობის ადეკვატური იქნება.

მეორე, ჩვენს ეკონომიკას უურნალისტიკამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მატერიალური წარმოების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ფართოდ დანერგვისათვის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანი საქონლის დამზადების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკას აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ძვირფასი ნედლეული, რაც დაბალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური დონის პირობებში მიუღწეველი რჩება. მაგალითად, ჩვენს ქვეყანას აქვს მაღალი ხარისხის ღვინის მასალა, ხოლო ღვინის ხარისხის დონე ამის შესაბამისი არ არის. უურნალისტიკამ უნდა გააშუქოს ეს საკითხი. ხომ ცნობილია, რომ თავის დროზე ღვინო „кахетинское“ რუსულ ბაზარზე კონკურენციას უწევდა ევროპულ ღვინოებს.

მესამე, უურნალისტიკამ უნდა დაასაბუთოს ამა თუ იმ საწარმოში ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა. ჩვენი სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია და ამისი გათვალისწინება საჭიროა. უნდა გაიმიჯნოს ძირითადი და დამხმარე დარგები, შეწყობილად უნდა ვითარდებოდეს მევენახეობის, მარცვლეულის, მეცხოველეობის და სხვა დარგები. მათ შესაბამისად უნდა განვითარდეს დამატებითი დარგებიც. აღმოფხვრილი უნდა იქნეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ცალმხრივი განვითარება. რესპუბლიკის მრეწველობა და ენერგეტიკა ერთიან სახალხო განვითარების კომპლექსში უნდა მოთავსდეს. სამწუხაროდ, ჩვენი ენერგეტიკა სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული. წყლის ენერგორესურსების მარაგით საქართველო მეორე ადგილზეა მსოფლიოში (პირველი ადგილი შვეციას უჭირავს). ქვეყანა უმწვავეს ენერგოკრიზისს განიცდის, რამაც დაამუხრუჭა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ უურნალისტიკას ხმა უნდა აღემადლებინა ენერგორესურსებისადმი არამართებული დამოკიდებულების გამო, განემარტა, რომ საჭიროა არა ატომის, არამედ ჰიდროელექტროსადგურების რაც შეიძლება ფართოდ მშენებლობა. იბადება კითხვა, ხულონჰესის მშენებლობის შეჩერება სწორი პოლიტიკა იყო? ჩვენი აზრით, უმართებელო მოთხოვნა არ უნდა აეტაცა უურნალისტიკას. შეიძლება ეკოლოგიური თვალსაზრისით მის მშენებლობას ნამ-



დვილად ჰქონდა ნაკლოვანებები, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მისი დეაწლი დაუფასებელი იქნებოდა.

მეოთხე, ჟურნალისტიკამ უნდა გაუქვალოს გზა მარკეტინგის იმ მოთხოვნას, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმართოს ახალი სახეობის პროდუქციის შესაქმნელად, რასაც შეიძლება დიდი ეფექტი მოჰყვეს. ამასთან ერთად, საჭიროა პროდუქციის გადიდებისა და რეალიზაციის სისტემის და მეთოდების სრულყოფა. განსაკუთრებულა ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო, გასაღების და საფინანსო საქმიანობის შერწყმას, ცხადია, საწარმოს ყველა საქმიანობა უნდა რეგულირდებოდეს წარმოებისა და გასაღების დასახული მიზნის მისაღწევად. ამ პირობების შესაბამისად ხორციელდება ჩვენთან ჩაის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, ან ციტრუსების დახარისხება-შეფუთვა და გაგზავნა მოხმარების ადგილზე? ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მას განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ჟურნალისტიკა. იგი უნდა ააშკარავებდეს ხარვეზებს, ცხადყოფდეს თუ როგორ ირღვევა რეალიზაციის პირობები (მაგალითად, ციტრუსების მიწოდება თურქმენეთში და ა. შ.).

მეხუთე, მარკეტინგის სტრატეგიისა და ტაქტიკის ელემენტების მოქმედება კომპლექსურად უნდა შეუხამდეს არა მარტო წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებაში დაბალანსებას, არამედ საზოგადოებრივი ზედნაშენის ფუნქციონირებას, პოლიტიკას, იდეოლოგიას, საერთაშორისო ტურიზმს, ქვეყანათა შორის თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიმართულებით აქტიური როლი უნდა შეასრულოს მარკეტინგმა საქართველოში.

ჩვენს რესპუბლიკაში ახალი ეკონომიკური ვითარების შესაბამისად საჭიროა მარკეტინგი მოერგოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ქართულ მოდელს, რომელიც ვითარდება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და ყალიბდება ეროვნული ტრადიციების ბაზაზე. მარკეტინგის სტრატეგია და ტაქტიკა უნდა შეეხამოს იმ მაგისტრალურ მიმართულებას, რომელსაც მიეყავართ დემოკრატიული წყობილების გამარჯვებისაკენ. თავისუფალი ეკონომიკის სრულყოფისაკენ.

სამეურნეო განვითარების ახალი პირობები მოითხოვს კვალიფიციურ კადრებს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა შესაბამისი ლიტერატურა ქართულ ენაზე. ახალი ეკონომიკური წყობილების განვითარების, სახელმწიფოს ფუნქციონირების საკითხები თავისებურია. ეს უნდა გაითვალისწინოს მარკეტინგმა. საჭიროა ქართულმა ჟურნალის-

ტიკამ მუშაობა ამ მხრივ გაშალოს. ეს შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: ჟურნალ-გაზეთებმა და ტელევიზიამ უნდა აუხსნას მოსახლეობას თუ რა იგულისხმება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებაში როგორია მისი დამკვიდრების პოზიციები, რა ძირითად საკითხებს აყენებს იგი? როგორია დემოკრატიული ძიების ყველაზე მთავარი საზი? ამასთანავე უნდა აჩვენოს, ამ ახალი საზოგადოებრივი წყობილების წარმოშობა და განვითარება მართლა კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებაა, თუ იგი „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებისაკენ“ მიმავალი გზაა? დასაბუთებას მოითხოვს ისიც, რომ მარკეტინგი, როგორც მეურნეობის მართვის ახალი მეთოდი რამდენად უწყობს ხელს ახალი წყობილების გამარჯვებას, როგორ მოერგო ახალ ვითარებას. აი, რა მდგომარეობაა ჩვენთან, რა საკითხები გვაქვს განსახილველი.

მარკეტინგის ჟურნალისტიკა ჩვენთან ახალი დარგია და ბუნებრივია, რომ მისი შესწავლა და გამოყენება გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული. მისი პრობლემურად განხილვა, შემოქმედებითი აღქმა და გამოყენება მნიშვნელოვანი საქმეა.

მარკეტინგის ჟურნალისტიკა, მისი სტრატეგია და ტაქტიკა ზუსტად ითვალისწინებს ეკონომიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ, სულიერ მოთხოვნებს და ნათელჰყოფს, თუ როგორ უნდა გამოიკვეთოს ძირითადი მიმართულება. მისი მთავარი პოზიცია ისაა, რომ გაცვლითი ურთიერთობანი (ბაზარი) დამაკავშირებელი რგოლი გახდეს წარმოებასა და მოხმარებას შორის; ადგილი ჰქონდეს საზოგადოებრივ სოციალ-ეკონომიკურ გაფართოებულ კომპლექსურ განვითარებას.

რა მიგვაჩინა უპირველეს ამოცანად? საჭიროა გამოინახოს საშუალება, რათა შევიმუშაოთ მუშაობის ორიგინალური მეთოდი. ეს დარგი ჩვენთან სრულიად ახალგაზრდაა და, როგორც დისციპლინა, არ ისწავლება. საქართველოს ჟურნალ-გაზეთები არსებითად პოლიტიკური ცხოვრებით არიან დაკავებული და პრესის ფურცლებზე იშვიათად თუ შეეხვდებით ეკონომიკურ საკითხებზე საუბარს, მარკეტინგის ჟურნალისტიკაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ვფიქრობთ, ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში შეინიშნება მარკეტინგისა და მისი შესაბამისი ჟურნალისტიკის შესახებ ყურადღების გამახვილება. აქაც პირველი სიტყვა ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ილი ილია გვასწავლიდა, რომ პრესა საზოგადოებრივი განვითარების სარკეა, რომელშიც აირეკლება ქვეყნის წარსული, თანამედროვეობა და მომავალი. იგი ხშირად მიმართავს ფილოსოფოს დიდი ნიცს, რომელიც ამბობდა: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“. საკითხთა განხილვის ერთიანობა და პრობლემატურობა ყოველთვის დამახასიათებელი იყო მისთვის.

„ივერიის“ საპროგრამო წერილში ვკითხულობთ: „ამ სახით, ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით, იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიღწევა“¹.

შემთხვევითი არ არის, რომ ილია პრესას ადარებს სკოლას; ჟურნალ-გაზეთების უბირველეს ამოცანად მიიჩნევს საზოგადოების აღზრდას, თანაც არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურად, ზნეობრივად და სხვა. როგორც ილია აღნიშნავდა, ჟურნალისტიკის უდიდესი ამოცანაა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

ამ დებულებებს ვეყრდნობით ჩვენს მიერ დასმული საკითხის გაგებისას და გადაწყვეტისას. ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა საბანკო საქმეში, შრომის საზოგადოებრივი დანიშნულების განვითარებაში, მისი შესაბამისი პუბლიცისტური ძიებანიც უფლებას იძლევა ვთქვათ, რომ მარკეტინგის ჟურნალისტიკის შესავალი მოცემულია ილიას ნაშრომებში.

თუ ჩვენ გვსურს ნათლად წარმოვიდგინოთ მარკეტინგის ჟურნალისტიკური და სისტემური მიდგომა მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისადმი. შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: 1929—1932 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, რომელმაც შეაზანზარა მთელი მსოფლიო, მარკეტინგის მოთხოვნათა გათვალისწინებამ და სახელმწიფოს რეგულირების გაძლიერებამ ლიკვიდაცია უყო ასეთი კრიზისების გამოვლენას და საზოგადოება განთავისუფლდა კატაკლიზმური მოვლენისაგან. ამასთან ერთად, დაირღვა კაპიტალისტური კვლავწარმოების ციკლური ხასიათი და საზოგადოებამ შედა-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. ათ ტომად, ტომი 3, გვ. 257.

რებით თავისუფლად დაიწყო განვითარება. დიდია ამ საზოგადოებრივი მოვლენის საერთაშორისო მნიშვნელობა.

მარკეტინგის ჟურნალისტიკამ უნდა ნათელჰყოფს ის, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, როგორია მარკეტინგის პოზიციები განვითარების „ქართულ მოდელში“. ეს მეთოდი უნდა დაემყაროს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ტრადიციებს, გააძლიეროს მისი საუკეთესო მხარეები და ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს. ამასთან ერთად, იგი უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო განვითარების ტენდენციას, რომელიც გამოიყენება „ქართულ მოდელში“. — მაგრამ საკითხავია, არსებობს კი ასეთი მოდელი?

მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველია ენერგეტიკა, იგი მოძრაობის აბსოლუტური ძალაა. მარკეტინგის ჟურნალისტიკა მოითხოვს ელექტროენერგეტიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობას. ეს არსებითად დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებზე.

სოფლის მეურნეობის სრულყოფა განსაკუთრებულ პირობებს უნდა ქმნიდეს ეკონომიკის განვითარებაში. როგორც ცნობილია, „მწვანე რევოლუციის“ განხორციელებამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია, რამდენადაც პროდუქციის გასაღება პრობლემად იქცა. მარკეტინგის ჟურნალისტიკამ სხვა ორგანიზაციებთან ერთად ეს პრობლემა მოაწესრიგა (მაგალითად, უთანხმოებანი წითელი ღვინის გაყიდვაში იტალიასა, გერმანიასა და ესპანეთს შორის). ჩვენ ეს პრობლემა არ გვქონია. აქ იდგა უკმარისობის პრობლემა, რაც გამოიხატებოდა სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების დაბალი პროდუქტიულობით. მარკეტინგის ჟურნალისტიკას უნდა შეესწავლა ეს საკითხი, ეჩვენებინა, რომ აშშ (კალიფორნიის შტატში) და საქართველოში დაახლოებით ერთნაირი ბუნებრივი საწარმო-ეკონომიკური პირობებია, ხოლო შედეგიანობა კი განსხვავებული. აშშ-ში ერთ ჰექტარ ფართობზე, საშუალოდ მოდიოდა 140 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ხოლო ერთ ძროხაზე (ერთი ლაქტაციის პერიოდში) — 10000 ლიტრი რძე. ჩვენში კი, დაახლოებით იმავე პირობებში ჰექტარზე მოდის 14—18 ცენტნერი სიმინდის მარცვალი და 800 ლიტრი რძე (საშუალო წველადობა). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის 2—3 პროცენტი, საქართველოში კი—

— 48 პროცენტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პროდუქცია არსებითად ხელის შრომით იქმნება.

აი, რას უნდა მიექცეს ყურადღება მარკეტინგის ყურნალისტიკის სამეურნეო საქმიანობაში.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ როგორ დგას ხარისხის საკითხი მარკეტინგის ყურნალისტიკაში, კერძოდ, რის მოთხოვნას აყენებს. ჩაის კულტურის დამზადებასა და გასაღებას ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა. ახლა? რატომ ხდება, რომ აგარის შაქრის ქარხანა გაჩერებულია მაშინ, როცა მის შემოგარენში სანედლეულო ბაზა შესაძლებელია მაღალ დონეზე იყოს? ასეთი მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ და სათანადო დასკვნებიც გამოვიტანოთ.

მარკეტინგის ყურნალისტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს საქონლის ისეთი სახეობების წარმოებას, რომელიც „დაიპყრობს“ გასაღების სივრცეებს და გამარჯვებული გამოვა საკონკურენტო ბრძოლიდან. ეს ნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას კანონზომიერი ხასიათი უნდა მიექცეს.

ჩვენ შევეცადეთ და წარმოვადგინეთ მეცნიერების და სოფლის მეურნეობის ერთობლივი საქმიანობის ანალიზი; რაა საჭირო რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორ შეიძლებოდა დახმარებოდა მეცნიერება წარმოებას, რათა გადაჭრილიყო დასახული ამოცანები. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ განვითარება, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარიმართოს სოფლის მეურნეობის სრულყოფის გზით, რაც საშუალებას მოგვცემს თანდათანობით და თანმიმდევრულად გადავწყვიტოთ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გავგაჩნია შრომის კულტურის მაღალი დონე. საიდან მოდის შრომისადმი ასეთი უპატივცემულობა? ქართულმა ყურნალისტიკამ ამ საკითხებს უნდა გასცეს პასუხი.

აქვე დავსძენთ, რომ თვით მარკეტინგის ყურნალისტიკის ჭრილში შრომები არ მოგვეპოვება. საჭირო კია, რომ ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პირობებში გავვეთვალისწინებინა მარკეტინგის ყურნალისტიკის მოთხოვნები.

ყურადღება უნდა მიექცეს ჟანრებს. მთავარია იმ ფორმებისა და მეთოდების ჩვენება, რომელთა მომრავლებითაც მიზანს აღწევენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში იქმნება შთა-

ბეჭდილება, რომ სახელმწიფოს მიერ სათანადო დაფინანსების პირობებში მეცნიერებას შეუძლია ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა. ანუ გრამ თუ ასეა, — მეცნიერულ გამოკვლევათა ბედს სწვევტყნ არა მეცნიერები, არამედ პოლიტიკოსები... თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, მეცნიერების განვითარება გადაიქცა უდიდეს სოციალურ მოვლენად.

კანადის პარლამენტის დეპუტატი ფ. მერნი ჟურნალ „Science forum“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „კანადელ მეცნიერთა უმრავლესობამ ცოტა რამ იცის პოლიტიკის შესახებ და ამ ფაქტს ემატება ისიც, რომ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თითქმის არაფერი იციან მეცნიერების შესახებ... მეცნიერები ჯეროვნად ვერ აფასებენ პოლიტიკისა და მისი როლის დიდ მნიშვნელობას საზოგადოებაში, ხოლო პოლიტიკურ მოღვაწეებს წარმოდგენა არა აქვთ მეცნიერებისა და მისი როლის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე“¹.

კომუნიკაცია და ინფორმაცია, არსებითად, თანამედროვე საზოგადოებათა თავისებურ ნერვიულ სისტემას წარმოადგენს. ისინი აბსოლუტურად აუცილებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, განსაკუთრებით ეკონომიკურ ასპექტში („კურიერი იუნესკო“, 1982 წ.).

მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის მეოხებით კომუნიკაცია-სა და ინფორმაციის საშუალებები ურთიერთშედწევადი და ურთიერთშემოქმედნი არიან.

ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიაღწევს ჯეროვანი განვითარებისათვის სასურველ ტემპს, თუკი ის იქნება მოკლებული კომუნიკაციებისა და ინფორმაციის უახლეს საშუალებებს (პერიოდული პრესა, წიგნები, რადიო, ტელევიზია), როგორც მეცნიერული ცნობიერების, საერთოდ, პრაქტიკული და თეორიული, ტექნიკური და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცოდნის ძირითად წყაროებს.

¹ ჟურნალი „Science forum“, 1982, № 3

მანანა ლათუჯიანი

იონა მეუნარგიასა და ნიკო ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობის პირველი პერიოდი

გასული საუკუნის ცნობილ პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწესა და ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ პირველ მკვლევარს — იონა მეუნარგიას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის თითქმის ყველა გამოჩენილ მწერალსა და პიროვნებასთან, მათ შორის ნიკო ნიკოლაძესთან, რასაც მოწმობს ის უამრავი პირადი წერილი, რომელთა ნაწილი ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია.

იონა მეუნარგია და ნიკო ნიკოლაძე, გარდა მეგობრობისა, თითქმის მთელი ოცი წლის მანძილზე ერთგულად ედგნენ სათავეში ქალაქ ფოთის კეთილმოწყობის საქმეს, მაგრამ მეტად სამწუხარო და გულსატკენია ის ფაქტი, რომ ფოთში მოღვაწეობის ბოლო წლებში მათი კეთილი ურთიერთობა შეიცვალა.

რა იყო მიზეზი, რომ ეს ორი მოღვაწე ერთმანეთს გადაუდგა?

როგორც ცნობილია, 1894 წლის ოქტომბერში ქალაქ ფოთის საქმეებს სათავეში ჩაუდგა ნიკო ნიკოლაძე. 1907 წელს ნიკომ თავის მოადგილედ იონას კანდიდატურა წამოაყენა და ეს უკანასკნელი აირჩიეს კიდევ. ქალაქის თავის მოადგილედ იგი იმყოფებოდა 1912 წლის 19 დეკემბრამდე.

ნიკო ნიკოლაძე თავის შემცველად იონას თვლიდა. 1911 წელს, როცა მან ფოთიდან წასვლა გადაწყვიტა, ქალაქის ხელმძღვანელად თავისი ერთგული თანამებრძოლი დაასახელა. ამის შესახებ თვით იონა მეუნარგია წერს: „წარსულს თვეებში, როცა იმან (ნ. ნიკოლა-

ემ — მ. დ.) ქალაქის სამსახურიდან გასვლის სურვილი საბოლოოდ გამოუცხადა ხმოსნებს, ქალაქის თავის ადგილზე ჩემი კანდიდატურა წამოაყენაო.¹ მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე სხვანაირად წარიმართა. იგი არათუ ქალაქის თავად, მოადგილედაც არ აირჩიეს, არჩევნებში დამარცხდა. ამის მიზეზს ი. მეუნარგია მასსა და ნ. ნიკოლაძეს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაში ხედავს, რასაც საჯაროდ აცხადებს კიდეც. 1913 წლის 10-13 იანვრის გაზეთ „იმერეთში“ აქვეყნებს თავის დღიურებს სათაურით — „რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში“. ამ წერილით ი. მეუნარგია მძიმე და შეურაცხყოფელ ბრალდებებს უყენებს ნ. ნიკოლაძეს. მარტო სათაურიც კი ამის დადასტურებაა, მაგრამ ეს კიდეც არაფერია. ი. მეუნარგია სცილდება ყოველგვარი ეთიკის ნორმებს და საჯაროდ ნ. ნიკოლაძეს უპიროს, შურიანს, თვითმპყრობელს, ეგოისტს უწოდებს. საკვირველია, ისინი ხომ 40 წლის მეგობრები იყვნენ და ეს ხდება იმ დროს, როცა ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ სხვადასხვა ძალები მოქმედებდნენ, იგი თანამდებობიდან გადააყენეს და პასუხისგებაშიც მისცეს. არადა მას ახლა ესაჭიროებოდა მხარში დგომა და არა საქვეყნოდ დაუმსახურებელი ლანძღვა. ეტყობა, იონას იმ დროს წამქეზებელიც ბევრი ჰყავდა და ისიც შეცდა.

როდესაც პრესის საშუალებით ცილს დაგწამებენ, გაჩუმება შეუძლებელია და ნ. ნიკოლაძეც იძულებული გამხდარა საგანგებო წერილი დაეწერა ამ ბრალდებების უარსაყოფად და თავის დასაცავად.

1913 წლის 31 იანვრის გაზ. „იმერეთში“ იბეჭდება მისი წერილი „კეთილი სიტყვისგება ბ. იონა მეუნარგიაზე“.

ნ. ნიკოლაძეს პასუხის ვარეშე არ დაუტოვებია ი. მეუნარგიას არც ერთი ბრალდება. ლოგიკური მსჯელობით, ფაქტების მოხმობით იგი ცდილობს მკითხველი გაარკვიოს საქმის ნამდვილ ვითარებაში. ამისი შესრულება თავად ნ. ნიკოლაძეს არც გასჭირვებია. იგი ხომ შესანიშნავი პოლემისტი იყო.

მართლაც, რაში იყო საქმე?

როგორც იონა მეუნარგია თავის დღიურებში აღნიშნავს, 1907 წელს მასსა და ნ. ნიკოლაძეს შორის ჯერ კიდეც კეთილი განწყობილებაა, თუმცა იგრძნობა, რომ ბოროტი ენები ცდილობენ მათ შორის

¹ ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში. გაზ. „იმერეთი“, 1913. № 9.

ურთიერთობის გაფუჭებას, რასაც ი. მეუნარგია გრძნობს კიდევ. იგი წერს: „ნიკოლაძეს არჩევნებში ჩემი მხარე სჭერია (საუბარია 1907 წლის არჩევნებზე — მ. დ.), თუმცა ბოროტი ენები კი წერენ: თხუთმეტ ხმოსანს ეუბნებოდა თურქია აირჩიეთო და თხუთმეტს — მეუნარგიაო“¹.

6. ნიკოლაძე კი სამართლიანად შენიშნავს: „მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი და ამისთანა ეჭვი აზრში შემპარვოდა, ამგვარ ადამიანს გვერდში ამოვუდგებოდი? დავფიქრდეთ ამ მხრივადაც ამ საგანზე. ვინ „თვითმპყრობელი“ და ვინ ამგვარი საქციელი? ან რა ბუმბერაზი რამ იყო მეუნარგია, რომ აზრის გამოთქმა ვერ გამებედნოს და ორპირობას შეეფაროდი? როდის აქეთ დამაჩნდა ესრეთი ლაჩრობა? განა დიდი ხრიკები დამჭირდებოდა მისი ხელმეორედ გასაშაველად, მისი უჩემოდ გაშავების ორი თვის შემდეგ ხმის ამოუღებლად შემემლო გამეშავებინა ჩემი საკუთარი კენჭი რომ დამერთო მისი წინააღმდეგების კენჭებზეო“².


6. ნიკოლაძის გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ი. მეუნარგიამ ასე მტკივნეულად განიცადა არჩევნებში დამარცხება. მისი თქმით, იგი მანამდეც რამდენჯერმე დამარცხებულა, მაგრამ ასეთი განგაში არ აუტეხიაო და ყველას გასაგონად აცხადებს: მას იონა მეუნარგიას გაშავებასთან არავითარი კავშირი არა აქვს და რომც ამ საქმეში მისი ხელი ერიოს, მომაკვდინებელ ცოდვას არ ჩაიდენდა, რადგან „მისი თანამოაზრე არც ვყოფილვარ და ვერც ვიქნებოდიო“. თვითმმართველობისას არჩევნების დროს კი ყოველი ადამიანის მოვალეობაა თავისი ხმა თანამოაზრეს მისცესო.

6. ნიკოლაძის ეს აზრი სრული ჭეშმარიტებაა და ვერც შეედავები, მაგრამ ცოტა ხნის წინ რომ თავის შემცვლელად იონას თვლიდა? მაშ, რაშია საქმე? რატომ შეიცვალა პოზიცია?

იონა მეუნარგიას თუ ვერწმუნებით, იმისი მიზეზი პირადი უთანხმოება ყოფილა: მას ქალაქის გამგეობის წევრთა, ფინანსთა და სარევიზიო კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ნ. ნიკოლაძისათვის უარი უთქვამს (მიუხედავად კომისიის ზოგიერთი წევრის თანხმობისა) 8000 მანეთის გაცემაზე, რომელსაც იგი მოითხოვდა ქალაქის სათათ-

¹ ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 9.

² ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 25.



ბიროსაგან იმ ხარჯების დასაფარავად, რაც მან გასწია პეტერბურგში ყოფნისას ქ. ფოთის პორტის საქმეების მოგვარების გამოწვევით. მანარგია მეტად პრინციპულია, როდესაც ნ. ნიკოლაძეს მიმართავს: „როგორ შემიძლია ქალაქის კასიდან 8000 მანეთი ავიღო და თქვენ მოგცეთ გარეშე ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილებისა და გუბერნატორის დასტურისა. თქვენ პეტერბურგს სათათბიროს არ გაუგზავნიხართ ქალაქის საქმისათვის, თქვენ თქვენი კერძო საქმისათვის იყავითო“¹. იონა მეუნარგია სთავაზობს ქალაქის მოურავს, თავისი ხელწერილით აიღოს ეს თანხა სალაროდან, მაგრამ იგი ამის წინააღმდეგია.

იონა მეუნარგია, თუ ეს მართლაც ასე იყო, სამართლიანია თავის გადაწყვეტილებაში, სათათბიროს გარეშე მას რა უფლება ჰქონდა ქალაქის სალაროდან 8000 მანეთი გაეცა? მისი მოქმედებიდან ჩანს საქმის ერთგული, პატიოსანი და უღალატო ადამიანი და, ვფიქრობთ, ნ. ნიკოლაძეც ამ ფაქტის გამო არ უნდა განაწყენებულიყო. მაგრამ 1911 წლის 31 დეკემბრის დღიურში ი. მეუნარგია წერს: „გუშინ სადამოს, როცა ნიკოლაძეს 8000 მანეთზე უარი ვუთხარე, ფოთის თვითმპყრობელმა ლაპარაკში გამიტარა. თუ ჩვენ ერთმანეთს არ ვუჯერებთ, ერთად სამსახურიც არ შეგვიძლიაო. ესე იგი, მდაბიოდ რომ ვთქვათ, გზიდან გამეცალეო“² და მალე ხმოსნებიც ჩემს წინააღმდეგ განაწყობო.

მეტად სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, ნ. ნიკოლაძე ამ ფაქტის გამო თავის პოზიციას არ შეიცვლიდა. ეტყობა, უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო. თვით ნიკოლაძე უარყოფს ი. მეუნარგიას ამ ბრალდებას: „მართლა რომ მომეთხოვა (საუბარია 8000 მანეთზე — მ. დ.), ვითომ დამიკავებდა ის კაცი, რომელმაც საჯაროდ აღმითქვა — თვალდახუჭული ავასრულებ ყოველ შენს სურვილსო“³.

როგორც იონა მეუნარგიას დღიურებიდან ირკვევა, 1912 წლის 12 ოქტომბერს ქალაქის ხმოსნების კრებაზე ნ. ნიკოლაძეს აშკარად გა-

¹ ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 10.

² იქვე.

³ ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 26. „იმერეთი“, 1913, № 26.

ნუცხადებია: „პირადად იონას წინააღმდეგი მე არაფერი მაქვს, მშრომელიც არის, ქალაქის საქმეების მცოდნეც, პატიოსანიც, ჩვენ დიდ ხნის მეგობრები ვართ და უეჭველია მეგობრებადვე დავრჩებით, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ იმ ადგილისათვის, რომელზედაც იმას დღეს ირჩევთ, შესაფერისი არ არის“.¹

ნ. ნიკოლაძე არც უარყოფს ამ ფაქტს. იგი იონა მეუნარგიას ამ თანამდებობისათვის, მართლაც, შეუფერებლად თვლის, რადგან „იგი ისევ ძველი წესებით ცდილობს ქალაქის მართვა-გამგეობას, არადა ცხოვრება წინ მიდის, საჭიროა უფრო გაბედული მოქმედება, რომ ქალაქს ფეხი წინ წავადგმევინოთ“.² იონა მეუნარგიას კი მიაჩნია, რომ ფოთი ღარიბი ქალაქია და ის მცირე შემოსავალი, რომელიც ქალაქს შემოსდის, გამოზოგვეთა და ფრთხილად უნდა მოიხმარონ. იგი მეტად გაბედულად მიმართავს ნ. ნიკოლაძეს: „თუ თქვენ ეს გამოზოგვეთ ცხოვრება არ მოგწონთ და სხვისი ხარჯით ცხოვრებას არჩევთ (თავი შევიკავე, რომ არ მეთქვა: თუ ქურდობას პროგრამაში ჩაუწერთ თქვენს მოსამსახურეთ), რაღა ბევრს მალაპარაკებთ, მარცხნივ შავში ჩამიჩხრიალეთ კენჭები, მორჩით და გაათავეთ“.³

ცხოვრების საუკეთესო მცოდნეს, ნიჭიერ და განათლებულ ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმის, რომ ქალაქის მართვა რთულდება და ერთი კაცის ჭკუა საკმარისი აღარ არის იგი საჭიროდ თვლის, ქალაქის სამმართველოში მცოდნე სპეციალისტების მოწვევას და სათათბიროს განახლებას. ნ. ნიკოლაძე ისწრაფვის ფოთში თვითმმართველობის დასამკვიდრებლად, იონა კი, ნიკოს თქმით, ცდილობს შემოკლებული თვითმმართველობა შემოიღოს ოზურგეთივით.

მართლაც, გასათვალისწინებელია ეს განცხადება. ნ. ნიკოლაძე მეტად პრინციპული და გულახდილია ი. მეუნარგიას შეფასებისას. მისი საქციელიც სამართლიანად გვეჩვენება. მან ხომ თავისი აზრი ი. მეუნარგიაზე აშკარად გამოთქვა, ი. მეუნარგიას თანდასწრებით და არა პირს უკან. ნ. ნიკოლაძე ხომ თავადაც აცხადებს: „ამით მე ჩემი მოვალეობა ავასრულე, თორემ არავითარი ჩურჩული, ბეზღობა,

1 ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 11.

2 იქვე.

3 იქვე.

ინტრიგა არ მიკადრებია ამ აშკარა აზრის პირდაპირ გამოთქმის მეტიო¹.

ვფიქრობთ, მეუნარგიასათვისაც ასეთი საწყენი და საგანგამო არ უნდა ყოფილიყო ყოველივე, მაგრამ ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ცოტა ხნის წინ ნ. ნიკოლაძე სწერდა იონას: „დამიჯერე, შენთვის სასარგებლოა, რომ დაესწრო რჩევას და საქმე გაათავებინო ქალაქის სასარგებლოდ. უფრო დამშვიდებით დაიჯერებენ ფოთელები ჩემს რჩევას, რომ ახალი ფანტაზიორების და ფორმალისტების ძებნას ჩემ მაგიერ ბევრად სჯობს შენ მოგანდონ ქალაქის მოურავობა“². მაშინ სად იყო მისი მოვალეობა? მართლაც, პირადი უთანხმოება ხომ არ უღევს საფუძვლად ნ. ნიკოლაძის პოზიციის შეცვლას? მაგრამ, როგორც ირკვევა, ნ. ნიკოლაძეს იონას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია, თუ იგი სათათბიროს განაახლებდა და მესამე წევრად განათლებულ და მცოდნე სპეციალისტს მოიწვევდა. აკი თვითონაც გვეუბნება: „რაც გურია-სამეგრელოში სასწაულმოქმედი ხატი იყო, მეუნარგიამ ყველა ფოთში ჩამოასვენა და ზედ შემომფიცა: დღეის იქით ბრმად ავასრულებ ყოველ შენს განკარგულებასო. ფიცის შემდეგ მეუნარგიამ საჯაროდ გამოუცხადა ხმოსნებს: „ვეთანხმები ნიკოლაძეს გამგეობის განახლების საჭიროებაში. ვინც გსურდეთ ის აირჩიეთ III! წევრად. ვისაც მეტყვიით, იმას დავნიშნავ ინჟინრად, მედავთრედ. სათათბიროს აღარ ვეწინააღმდეგებო. მე სრული თანხმობა გამოვაცხადე ამ შეთანხმებისა. ხმოსნებს ცალ-ცალკეთაც და კერძო კრებაზეც მოვახსენე — რაკი გამგეობაში ახალ, განათლებულ პირს შევიყვანო, მეუნარგიას დარჩენა სარგებლობის მეტს ვნებას არ მოიტანს-მეთქი“³.

იონა მეუნარგიას განცხადებით, ნ. ნიკოლაძეს ამის შემდეგაც კარგა ხანს გაურკვეველი პოზიცია სჭერია. მისი თქმით, ხან ხმოსნებს ამხედრებდა ჩემ წინააღმდეგ, ხან ისევ ჩემი მომხრე იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადამიდგაო, რასაც მეტად გულუბრყვილოდ ხსნის: ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ მისი მომხრეებისა და ნ. ნიკოლაძის საუბარს 4-5 გარეშე პირი დასწრებია. ნიკოლაძეს კი ასეთი

1 ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, ვაზ. „იმერეთი“, 1913, № 26.

2 ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძე ფოთში, ვაზ. „იმერეთი“, 1913, № 9

3 ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, ვაზ. „იმერეთი“, 1913, № 26.

თვისება ჰქონია: „ეს მტრედევით მშვიდი და ტკბილი კაცი, როდესაც მარტო ელაპარაკები იმას, რაც უნდა უთანხმო იყო მასთან, თვალს თვალში გაგიყრის და წამლაუწუმ „ხომ, ხომ“-ის ძახილით ვითანხმებს და გიტკობს ან გეთანხმება და გატკობს — ეს წყნარი ნიკოლაძე უეცრად კარგავს სიმშვიდეს, როცა მესამე პირი შეიქნება მისი მუსაიფის მოწმე და მთლად ბრანზმორეული ხდება, როცა სამი, ოთხი, ხუთი კაცი ყურს უგდებს“. ასე დამართნიათ იონას მომხრეებს — კე-შელავასა და ქავთარაძეს. ნიკოლაძე სულ ერთიანად გააფთრებულა მათთან საუბრის დროს: „როგორ! თქვენ გინდათ მე შემაშინოთ? ტყუილად გარჯილხართ. ან მე უნდა ვიყო ფოთში ან მეუნარგიაო. — უპასუხია მათთვის. თუ მეუნარგია ამოურჩევიათ, მე ფოთში 24 საათსაც არ დავრჩებიო, — უთქვამს მოხუც ეგოისტს და ამ ლაპარაკის მოწმეთ გაავრცელებს ხმა ქალაქში: თუ მეუნარგია აირჩიეს, ნიკოლაძე ფოთიდან წავა და ქალაქი დაიდუპებაო“.¹

ნ. ნიკოლაძე აღშფოთებულია ამგვარი ტყუილით და თავის ვერსიას გვთავაზობს: „დამსწრეების რიცხვმა კი არ გამიტეხა საბოლოოდ გული მეუნარგიაზე, პატივცემული ბ. ქავთარაძის ნათქვამმა, მეუნარგიას არჩევა იმიტომ გვინდა, გვერიდება, მტრად არ გავვიხდეს და გამოძიებაში არ გვაწვდოს რაო. აი, რა საშუალებით იკრებდა თურმე კენჭებს მეუნარგია“.²

ბ. ქავთარაძე კი უარყოფს ამ ფაქტს. 1913 წლის 19 თებერვლის გაზეთ „იმერეთში“ იგი ნ. ნიკოლაძეს მიმართავს: „სიტყვები „ბ. მეუნარგიას არჩევა იმიტომ გვინდა, გვერიდება, მტრად არ გავვიხდეს და გამოძიებაში არ გვაწვდოს“, მე არათუ არ მითქვამს, აზრადაც არ მქონიაო. ხუთიოდე გარეშე პირის თანდასწრებით მკაფიოდ გაგვაგებინეთ თქვენი აზრი ამ საგანზე და მეორე დღეს მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო: გაშავდა ბ. მეუნარგიაო“.

ვის დაუჯეროთ? ახლა, რაღა თქმა უნდა, ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ ამბობს მართალს, რამ გაუტეხა საბოლოოდ გული ნ. ნიკოლაძეს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი მეუნარგიას არჩევის წინააღმდეგია. აკი ამას არც მაღავეს, მაგრამ აღშფოთებულია იმის გამო რომ ხმოსნების გადაბირებას აბრალებენ, მეუნარგია ხომ საჯაროდ აცხადებს: ნ. ნი-

¹ ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 12.

² ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 26.

კოლაძემ გამაშავაო. ნიკოლაძე კი წერს: „ნამდვილი ჩემი საქციელი მეუნარგიას სრიკის შეტყობის შემდეგ ის გახლავთ, რომ ორ ხმოსანს, რომლებიც მე მეწვია ამ თინზე ჩემი აზრის გასაგებად, ფუთხარია „ბ. მეუნარგიას არჩევა ჩემთვის საჭირო არაა-თქო. ამას ისიც დავძინე: თხა და ხარი უდელს ერთად ვერ გაწვევენ-თქო. თორემ სხვაფორივ არც მერმე მიკადრებია მის წინააღმდეგ მემოქმედა. ბევრმა ბოლოს მისაყვედურა: რით არ შეგვატყობინე გადადგომაო“.¹

ნ. ნიკოლაძე გარკვევით აცხადებს: მეუნარგიას განუწყვეტელმა წინააღმდეგობამ სათათბიროსთან ხმოსნები მის წინააღმდეგ განაწყო და მეუნარგია მე კი არა, ხმოსნებმა გააშავესო.

ნ. ნიკოლაძის ეს განცხადება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. იმ დროს იონა მეუნარგიას ებარა ქალაქის ფინანსები. ახალი საქმის წამოწყებას დაფინანსება სჭირდებოდა. მეუნარგია კი პატიოსანი, ფრთხილი კაცი იყო. მას არ ჰქონდა ის გაბედულება, ლავირების უნარი, რაც ნ. ნიკოლაძეს. ბევრ რამეს ეჭვის თვალით უყურებდა, ღრმად უფიქრდებოდა, შიშობდა. ასე რომ, ყველა მადლიერი ვერ ეყოლებოდა. ასე დაემართა მაშინაც, როცა ბანკის დაარსების წინააღმდეგი წავიდა, რომელსაც ასე მოითხოვდა ნ. ნიკოლაძე. იონას კი ეჭვი ეპარებოდა, რომ ბანკი რაიმე სიკეთეს მოუტანდა ქალაქს, თანაც „რატომ მოურავმა და ხმოსნებმა არ გახსნეს ეს ბანკიო, — დაეჭვებული კითხულობს იგი. — წესდების წერით და ნების გამოთხოვით რომ ბანკი კეთდებოდეს და სიმდიდრე შეიძინებოდეს, რომელი ქალაქი არ გახსნიდაო? სად არის ან ქალაქის ორგულობა, ან ქალაქის წინააღმდეგობაო“.²

ნ. ნიკოლაძე კი ნათლად ხედავდა ბანკის სიკეთეს და ავი არც შემცდარა. მის მიერ დაარსებულმა ბანკმა ხომ დიდი შემოსავალი მოუტანა ქალაქს, რომლის ნაწილი თვით ფოთის კეთილდღეობას მოხმარდა.

1912 წლის 19 დეკემბერს იონა მეუნარგია დამარცხდა არჩევნებში და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ამის მიზეზი ნ. ნიკოლაძე იყო, სწორედ მან განაწყო სათათბირო მის წინააღმდეგ. „მეგონა ნიკოლაძის ჯადოსნობისაგან თავისუფალი იყო ქალაქის სათათბირო, მაგ-

¹ ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, ვაზ, „იმერეთი“, 1913, № 26,

² ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში, ვაზ, „იმერეთი“, 1913, № 11.

რამ შევცდიო“, 1912 წლის 31 დეკემბრის დღიურში კი წერს: „მე ფოთის ვაკეთებდი და მეუნარგია კი ხელს მიშლიდაო“, — თქვა ნიკოლაძემ და ხალხმა მას დაუჯერა.


„გააკეთა ბატ. ნიკოლაძემ ფოთი, თუ ფოთში იმან მარტო ფულები დახარჯა და დღეს ქალაქი ფოთი და არა პორტი — იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც იყო მისი მოსვლის წინათ (თუ არ უარესშიც) ამას უფრო დამშვიდებით, უფრო დალაგებით მოვახსენებ, როცა მოცალეობა მექნება — იმ საზოგადოებას, რომელსაც სწამს — ნიკოლაძემ რომ თქვას მუხა ვაშლს მოისხამსო, ეს მუხა ვაშლს მოისხამს და ფოთლები წითლად აუჭრელებს სუფრას, მაგრამ ნიკოლაძის ისტორიის დაწერას არ ვჩქარობ.

დაიცადეთ, ბატონებო, ცოტა და როცა ბაბუის ნაჭამი ტყემალი შეილიშვილს კბილს მოჭრის, თვითონ დაინახავთ, რაც მოყვება ნ. ნიკოლაძის ფოთში მეუფებას“¹.

მაგრამ ცდებოდა ი. მეუნარგია. იგი მეტად აღელვებულია და ამიტომაც იჩინს ტენდენციურობას დიდი თერგდალეულის მოდვაწეობის შეფასებისას. მეუნარგია ივიწყებს იმ დამსახურებას, რომელიც ნ. ნიკოლაძეს ფოთის აღორძინებისა და აყვავებისათვის მიუძღვის. მარტო ის რად ღირს, რომ ნავსადგურის განახლებით ევრობა დაგვიახლოვა, აღებ-მიცემობა გააძლიერა, ააშენა ელექტროსადგური და ჩაბნელებული ქალაქი გაანათა, ნაცვლად დახავსებული ხის სახლებისა, ლამაზი, აგურის ორსართულიანი შენობები წამოჭიმა, ვზები გაიყვანა, ხიდები ააშენა, ქალაქს ირგვლივ ჯებირი შემოავლო და ქუჩები დატბორვისაგან იხსნა, გაიყვანა ცხენის რკინიგზის ლიანდაგი. თუ ფოთის ბიუჯეტი 1895 წელს 75000 მანეთი იყო, 1914 წელს 723327 მანეთი შეადგინა. და ეს ყველაფერი ხომ საქმის შესანიშნავი მცოდნის დაუღალავი შრომის შედეგია.

ცოტა უხერხულია იონა მეუნარგიასაგან ასეთი დაუსაბუთებელი განცხადება, მაგრამ იგი განაწყენებული კაცის პოზიციიდან გვესაუბრება და ვერ არის ობიექტური. მისი მიზანია ნ. ნიკოლაძე ხალხის თვალში დამნაშავედ გამოიყვანოს, არადა ცოტა ხნის წინ ისინი ხომ ერთმანეთის მხარდამხარ იღვწოდნენ ფოთის კეთილმოწყობისათვის.

¹ ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში, ვახ. „მებრეთი“, 1913, № 12.



და იონა მეუნარგიაც მისი ნიჭის, მოღვაწეობის ერთ-ერთი დამფასებელი იყო.

იონა მეუნარგია ამითაც არ კმაყოფილდება და ყველანაირად ცდილობს დაამციროს ყოფილი მეგობარი. იგი წერს: „ამათ კრებაზე მეც დამიბარეს, თუმცა გვიან, როცა ნიკოლაძეს ლაპარაკი უკვე გაეთავებინა. ეთიკა თხოულობდა, რომ უჩემოდ იმას არ ელაპარაკა რა ჩემზე, მაგრამ ეთიკის მქადაგებელი ის მხოლოდ კალმის წვერით არის და არა საქმით და ქცევით“; ან კიდევ: „კაცის ძაგებაში ნ. ნიკოლაძეს ბადალი არა ჰყავს. ვინც გინდა ასხენე მასთან, მალიუკოვი? — ИДИОТ, როდირევი? — КРЕТИН, გეგეჭკორი? — ბატიტვინა, სოფრომ მგალობლიშვილი — ყლაპია“.¹ ერთხელ ნ. ნიკოლაძეს ი. მეუნარგიასათვის უთქვამს, პეტერბურგის მოურავობა მთხოვესო და „თუ ვისმე არ სჯერა ეს, კითხოს კოვალევსკის და ის დაუმოწმებს ამასო“. იონა მეუნარგია კი დასძენს: „რომ ვკითხოთ და შემოთვალოს ეს მოჭორილი არისო, ნიკოლაძეს ვითამ შერცხვება თუ“² და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ, იონა მეუნარგია ემოციებს ვერ თოკავს და დინჯი პიროვნებისათვის შეუფერებლად იქცევა.

იმ დროს ფოთში მიმდინარეობდა დავა მე-4 სესხის შესახებ, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე თხოულობდა. ხმოსნების ერთი ნაწილის აზრით, იგი ვალებს მოუტანდა ქალაქს. იონა მეუნარგიასაც გაუმართლებლად მიაჩნია მისი აღება და დღიურში წერს: „შეოთხე სესხზე ორი წელიწადნახევარია აღძრა შუამდგომლობა ბ. ნიკოლაძემ და დღეს კიდევ ვერ მიგვიცია სამინისტროსათვის პასუხი ამ ორი მილიონი ორას ათას მანეთიდან, რომელსაც ქალაქი სესხულობს, რისთვის რამდენი უნდა დაიხარჯოს და რა შემოსავალს ვარაუდობს ქალაქი იმ დაწესებულებათაგან, რომელთა გაშენებისათვის ქალაქს თავზე ორი მილიონი ვალი ატყდება“³.

ნ. ნიკოლაძე აღშფოთებულია ი. მეუნარგიას ასეთი განცხადებით და ცდილობს მკითხველი გაარკვიოს საქმის ვითარებაში. იგი წერს: „რა სახელი ერქმის ამის გამეორებას იმ პირისაგან, რომელსაც ფოთის ფინანსების მართვა აკისრია? არ წაუკითხავს თუ ვერ გაუგია, ყველა ფოთის სესხების ფურცლებზე დაბეჭდილი კანონის მუხლი: „რაც ამ

¹ ი. მეუნარგია, რატომ და როგორ გამაზავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში, ვახ. „იმერეთი“, 1913, № 11.

² იქვე.

³ იქვე, № 9.



სესხს სარგებლად თუ გადასახადად ფული სჭირია, ყოველწლიურად უნდა ეძლიოს ფოთის ქალაქის მმართველობისაგან? შესაძლებელია, ამის შემდეგ, რომ ფოთს ამ სესხებით როდესმე რაიმე გასაჭირი ან პასუხისგება მიადგეს? ვინც ამისთანა ცხად, უეჭვო საქმეში ცრუობს, მას სწორი გზით რამე სარბიელზე სიარული შეუძლია?“.1.

სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით მე-4 სესხის ავკარგიანობაზე. ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია მას. ნ. ნიკოლაძის ახსნა-განმარტებას თუ ვერწმუნებით, იგი, მართლაც, ურიგო არ უნდა ყოფილიყო ქალაქისათვის და, ვფიქრობთ, არც ვალები უნდა მოეტანა მისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ი. მეუნარგიას გაბედულება აკლდა და ამ შემთხვევაშიც სიფრთხილე ალაპარაკებდა ასე.

ნ. ნიკოლაძეს უფრო წარმოუდგენლად, გაუგებრად მიაჩნია, როდესაც ი. მეუნარგია აცხადებს: ფოთი ღარიბი ქალაქია და იმასაც ამბობს, რომ ნ. ნიკოლაძემ ის ფულის ფლანგვით დაღუპაო. ნ. ნიკოლაძე მეტად დამაჯერებლად უარყოფს ი. მეუნარგიას ამ ბრალდებას და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ მიზეზს, რამაც იგი არჩევნებში გააშავა: „აი ამ ქალაქს, რომელსაც საკუთარი შემოსავლის გარდა, ყოველწლიურად თითქმის 600 000 მანეთი დახმარება ვუშოვე მთავრობისაგან, რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი ხელუხლებლად უწყევია ღღეს ხაზინაში, მეუნარგია ღარიბს, ჩემგან დაღუპულს ეძახის. განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ფოთის ვაჭრებს — ჩოთქში დახელოვნებულებს — მეუნარგიასი რამე სწამდეთ. ამ გაუგებრობამ გააშავა მეუნარგია, სხვა არაფერმაო“2.

აღშფოთებული ნ. ნიკოლაძე კარგავს ზომიერების გრძნობას და იონა მეუნარგიას მთელ მოღვაწეობას უნიჭოდ აცხადებს: „ფოთის სამსახურისათვის მეუნარგიას ვერ ეყო ის სტილისტი ნიჭი, რომლითაც მან ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ ორმოცი წლის წინათ, როცა მამულისათვის გამოსადეგ მსახურს ფარნით ვეძებდი და ყოველი შემიდან ისარს ვთლიდი. რა არ შეიტცვალა მას აქეთ ქვეყანაზე? ამაღლდა, გაფართოვდა, დაღრმავდა მწერლობა. შიგ არათუ ბ. მეუნარგიას დაწვრილებული სტილისტობა ნამდვილი ნიჭიც დიდს ვეღარას ახერხებს“3.

1 ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, ვაზ, „ივერიტი“, 1913, № 28.
 2 იქვე, № 29.
 3 იქვე, № 26.

6. ნიკოლაძე მართალია. ცხოვრება შეიცვალა, წინ წავიდა, გან-
ვითარდა. ქვეყანას უფრო განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდები
სჭირდება, რომლებიც არ შეუშინდებიან დაბრკოლებებს და უფრო
გაბედულად იმოქმედებენ ქვეყნის საკეთილდღეოდ, მაგრამ არ არის
მართალი, როდესაც იონა მეუნარგიას მოღვაწეობა, ცოდნა, გამოც-
დილება სტილისტის ნიჭამდე დაჰყავს. იონა მეუნარგია მთელი თავისი
ცხოვრების მანძილზე ხომ უანგაროდ ემსახურა თავის ხალხს, ქვეყა-
ნას და ახლა ყველაფერზე ხაზის გადასმა არ შეიძლება. მართალია,
იგი ვერ იყო ისეთი მრავალმხრივი ნიჭის, როგორიც ნ. ნიკოლაძეა,
მაგრამ მისი დამსახურების დაუნახაობა და დაუფასებლობა არ შეიძ-
ლება.

იონა მეუნარგია ხომ თავისი დროის ცნობილი პუბლიცისტი და
საზოგადო მოღვაწე, ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი პირ-
ველი მკვლევარია. მართალია, იგი არ იყო ისეთი დიდი და ფართო
მასშტაბის მქონე, როგორებიც იყვნენ პროფ. ალ. ხახანაშვილი და
კიტა აბაშიძე, მაგრამ ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა
შესახებ მან შექმნა ისეთი ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევები,
რომელთაც გვერდს ვერ აუვლის მე-19 საუკუნის ქართული ლიტერა-
ტურის ვერც ერთი მკვლევარი.

იონა მეუნარგიამ დიდი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის
დადგენის საქმეს და, რაც მთავარია, მისი ფრანგულ ენაზე თარგმნი-
თაც დიდებული საქმე გააკეთა, რაც საგანგებოდ და საჯაროდ აღნიშ-
ნა დიდმა ილია ჭავჭავაძემაც.

მას არც ქ. ფოთის კეთილმოწყობისათვის დაუშურია ძალ-ღონე.
1891 წლის თებერვალს იგი არჩეულ იქნა ქალაქის თავის მოადგი-
ლედ. მისი ფოთში მოღვაწეობა მაშინ დაიწყო, როდესაც ნავსადგუ-
რის მშენებლობის საკითხი მწვავედ იდგა დღის წესრიგში. 1891—94
წლებში იგი უაღრესად საპასუხისმგებლო და მეტად ძნელ სამუშაოს
ასრულებდა ნავსადგურის მშენებლობის გასაგრძელებლად. აღსანიშ-
ნავია მისი საქმიანობა ქალაქის მეურნეობის წარმატებისათვის. ქუჩე-
ბისა და გზატკეცილების გაყვანა, ჭაობების დაშრობა, მშენებლობა
და დასახლებათა გეგმიანად წარმართვა დამაბულ შრომას მოითხოვ-
და. 1907 წლიდან კი ნ. ნიკოლაძეს ედგა მხარში ფოთის აღორძინების
საქმეში.

ონა მეუნარგიამ ჩვენს დიდ მოღვაწეებთან ერთად გაილაშქრა იმ ველიკორუსული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ხაზდა ქართველი ხალხის ხელოვნურად დაყოფას ქართველებად და მეგრელებად, სამეგრელოში ქართული ენის აკრძალვასა და სკოლებში მეგრულ ენაზე მეცადინეობას. ამასთან დაკავშირებით, მწერალი როდიონ ქორქია 1973 წლის გაზ. „ახალ კოლხეთში“ წერს: „მე-19 საუკუნის დასასრულს ფოთში და სამეგრელოში მეფის აგენტებმა იერიში მიიტანეს ქართული ენის წინააღმდეგ და შეეცადნენ მის გაძევებას დაწყებითი სკოლებიდან. სახელმძღვანელოც კი შეადგინეს მეგრულ ენაზე. ამტკიცებდნენ, რომ მეგრელები და ქართველები სხვადასხვა ხალხებია. მეუნარგიამ ფოთში დიდი წინააღმდეგობა გაუწია მეფის აგენტებს და გაიმარჯვა. ქართული ენა დარჩა სკოლებში“.

როგორც ვხედავთ, არც თუ მცირე ჩამონათვალია. ნ. ნიკოლაძემ, რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგად იცოდა და პატივსაც სცემდა და აფასებდა მის მოღვაწეობას, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გაცხარებულია. როდესაც საქვეყნოდ შეურაცხყოფენ, ალბათ, ძნელია ობიექტური იყო.

ნ. ნიკოლაძე წერილის დასასრულს აცხადებს: „მეუნარგია მექადნება, შენს ისტორიას დავწერო. ჩემი ისტორიის დამწერს ჭკუის გარდა ცოდნა უნდა ჰქონდეს იმ საენისა, რომელსაც გვიამბობს. ზეიდან და ქვეიდან უნდა შეეძლოს დანახვა იმ სარბიელის, რომელსაც სჯის. მარტო მაშინ განარჩევს რა შემიტანია ახალი იმ ასპარეზში, სადაც მოქმედება შემხვდა, სად რა გამიკეთებია თუ წამისდენია. ზედმიწევნით შესწავლილი უნდა ჰქონდეს მწერლობის, კრედიტის, მრეწველობის, პორტის, რკინიგზის წარსული და მდგომარეობა შედარება უნდა შეეძლოს ჩემი მოღვაწეობისა სხვისასთან. ცარიელი „არ მჯერით“ აქ არა ვარიგდება რა, ინებოს ღმერთმა მალე და ბლომად ელირსოს ჩვენს მამულს ამ საქმეების განვითარებული მსაჯულები, მაგრამ მეუნარგია მათ რიცხვში ვერ გაერევა. ჩემი ნაშრომის გაჩხრეკის როდი მეშინია. ცხრა დოღონაკში გაატარეს ის ბ. მეუნარგიაზე ბევრად უკეთ დაიარაღებულებმა და წუნი ვერ უნახეს. რაგინდ მკაცრი და სასტიკი მსაჯული მხედეს, ის დაამოწმებს, რომ თავიდან ბოლომდე ისეთ ველურ ნიადაგზე და უტებ ტევრებში მარტოხელა შემხვედრია მუშაობა, სადაც არც ჩემამდი, არც ჩემ დროს, ჩვენთაგანს არავის უვლია. თვით ამ მარტოყოფის მიზეზით ყოველად შეუძლებელი იყო, რომ რაიმე მეთაურობის, მით უფრო მეუფების, მიზანი მქონოდა, თუ

ზოგ რასმეში შევმცდარვარ, თუ მიზანს ავცილებივარ, შემენდობა ყველა საგანს, ვისაც გაეგება—ტევრში გზის გაკვლევა რა ძნელია, თუნდაც უმოწყალოდ დამემონ, თვით ეს ძიება არგებს ქვეყანას: ჩემგან ნავალი გზის შინჯვა უმჯობეს მოაძებნიებს და ჩემ მიზანს გაამართლებს. ამ რწმენას უნათია ჩემთვის მარტოყოფაში. მის გამართლებამდი ბევრი აღარ დარჩენილა. ჩვენშიც თენდება. გვეზრდებიან ყმაწვილები, მეცნიერების, სწორი ცოდნის მირონით ცხებულნი. ადრე თუ გვიან მათ ხელში გადავა ჩვენი მწერლობა და საზოგადო მოღვაწეობა იმ ჩემი ღრის მეთაურთაგან, ვისაც ფერშლის სკოლაშიც კი ვერ მოუხერხებია შესვლა, არათუ სწავლის დამთავრება. მათ თვალში ბ. მეუნარგიასაგან დაწერილი „ისტორია“ ფონს ვერ გავა“¹.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ამ პოლემიკიდან ძნელია დაადგინო, თუ ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. ფაქტია, რომ ნ. ნიკოლაძე იონა მეუნარგიას ქალაქის თავის მოადგილედ არჩევის წინააღმდეგია, ისიც ნათელია, რომ მას ფოთში ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს და თუ მის აზრს ანგარიშს უწევენ, ეს ნიკოლაძის დამსახურებაზე მეტყველებს. მეტად სამწუხარო კი ის არის, რომ ნ. ნიკოლაძესა და ი. მეუნარგიას ნერვებმა უღალატეს და საჯაროდ, დაუმსახურებლად შეურაცხყოფა მიაყენეს ერთმანეთს. ზოგს, ალბათ, უხაროდა კიდევ, რომ ნ. ნიკოლაძემ კიდევ ერთი მოწინააღმდეგე შეიძინა იმ ღროს, როცა იგი პასუხისგებაში არის მიცემული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მის წინააღმდეგ სხვადასხვა ძალები მოქმედებდნენ, ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდნენ და ცილს სწამებდნენ. იგი ხომ იძულებული შეიქნა თავიც კი ემართლებინა და 1913 წლის გაზ. „იმერეთის“ საპასუხოდ დაეწერა თავის დასაცავი წერილი — „ჩემ პოლიტიკაზე“.

ნ. ნიკოლაძისა და ი. მეუნარგიას კონფლიქტში გამარჯვებული არ ჩანს, დაზარალებული კი ისევ ორმოცი წლის მეგობრობაა. როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავს: „ეს შუღლი ისეთივე გულსატკეპნი, სამწუხარო და სავალალოა, როგორც ილიასა და ივანე მაჩაბლის დავა საბანკო საქმეთა გამო... ორივე ფიქრობდა, რომ სხვათა ფეხის ხმას არ უნდა აპყოლოდა, მაგრამ ადამიანი ადამიანია და ემოციების მართვას ყოველთვის ვერ ახერხებს“².

¹ ნ. ნიკოლაძე, კეთილი სიტყვისგება, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 29.

² აკაკი ბაქრაძე, ნ. ნიკოლაძე, თბ., 1989, გვ. 215.

გულნარა მარუაშვილი

ილია ხონელის (გახტაქე) პუბლიცისტიკა

ილია ხონელი (1856—1900) თითქმის ოცი წლის მანძილზე ემსახურა ჟურნალისტიკის წინსვლის საქმეს. მის შემოქმედებაში XIX საუკუნის 80—90-იანი წლების კავკასიის ცხოვრებისეული სინამდვილე — „სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ყოფითი რეალიები დოკუმენტური სიზუსტით აისახა. იგი აქტიურად იბეჭდებოდა ისეთ წამყვან პერიოდულ გამოცემებში, როგორცაა „დროება“, „ივერია“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კავკაზი“, „მომამე“, „კვალი“. პეტერბურგში სწავლისას წერილებს ათავსებდა გაზეთებში „პორიადოკ“ და „სტრანა“. ხანმოკლე დროით მოღვაწეობდა გაზეთ „კასპში“, რომელიც ქ. ბაქოში გამოდიოდა. ცნობილი რუსი პუბლიცისტი ალ. ამფითეატროვი ილია ხონელს უბადლო ფელეტონისტად თვლიდა და დაბეჯითებით სთხოვდა გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ თანამშრომლობას, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ეს წინადადება ვერ განხორციელდა.

ილია ხონელის მკვეთრად ინდივიდუალურმა ხელწერამ, დახვეწილმა გემოვნებამ, მანკიერების უმაღლეს დანახვისა და კრიტიკულად აღნუსხვის იშვიათმა უნარმა, ჭეშმარიტი პუბლიცისტის ალღომ მის წერილებს დიდი პოპულარობა მოუპოვა. ყველაზე სრულად პუბლიცისტის ნიჭი მაინც ფელეტონებში გამობრწყინდა,

რომლებიც ლადი, ხალისიანი იუმორითაც ხასიათდებიან და მძაფრი, მამხილებელი სატირის იშვიათ ნიმუშებსაც წარმოადგენენ. სატირული
პიესების

თუ სატირის მიზანია „გვიჩვენოს ობიექტის მანკი, მისი უხეშობა, ზნეობრივი სიმდაბლე... და აბრაად აქციოს იგი ჩვენს თვალში“¹, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილ. ხონელმა ეს მისია პირნათლად შეასრულა.

სატირიკოსის ფელეტონების თემატიკა ერთობ მრავალფეროვანია. მისი უღმობელი კრიტიკის ობიექტია დაკნინების გზაზე მდგომი თაყადაზნაურობა, მთავრობის ბიუროკრატიული, აპარატი. პლუტოკრატია, ბანკირები და მევახშეები, ცრუპატრიოტები; საზოგადოებრივი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარე.

პუბლიცისტის ფელეტონებს ძირითად საფუძვლად უდევს ფაქტობრივი მასალა. აგრეთვე, არცთუ იშვიათია მხატვრული გამონაგონი. ჟურნალისტი ეყრდნობა ასოციაციურ ელემენტებს, სატირულ ანალოგიებს, მოულოდნელობის ეფექტსა და კურიოზულ შემთხვევებს. წარმატებით იყენებს როგორც ინდუქციურ (კერძოდან ზოგადამდე), ისე დედუქციურ (ზოგადიდან კერძომდე) მეთოდს. მოვლენის სატირულ-იუმორისტული განსჯისას მიმართავს ირონიას, სარკაზმს, პიპერბოლას, გროტესკს, პაროდიას და სხვა.

ილ. ხონელის შემოქმედებაში გამოძახილი პოვა საქართველოში კაპიტალიზმის დამკვიდრებით გამოწვეულმა მასშტაბურმა სოციალურმა ძვრებმა. თავის ადრეულ ფელეტონებში მან დამაჯერებლად ასახა ქართველი თავადაზნაურობის კლასობრივი კვდომის პროცესი, გვიჩვენა მისი არა მარტო ეკონომიკური და ფიზიკური დაძაბუნება, არამედ მორალური დაცემაც.

ფელეტონში „ვიცინოთ თუ ვიტუროთ“² აღწერილია ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა პეტერბურგში გამგზავრება ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით. ახალნაკურთხ იმპერატორს რეფორმების ჩატარების შესაძლებლობით დაიმედებულმა ჩაგრულმა ერებმა პეტიციები წარუდგინეს. მაგალითად, პოლონელმა დეპუტატებმა სასწავლებელში ეროვნული ენის აღდგენა მოითხოვეს. სატახტო კარზე ქართველ თავადაზნაურთა მისიაც საზოგადოების სა-

¹ გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, 1953, გვ. 44.

² გაზ. „დროება“, 1881, № 68.

სიკეთოდ უნდა წარმართულიყო. მათ კი მამულის „სიყვარული“ იმით გამოხატეს, რომ ალექსანდრე III-ის სამახსოვროდ დაწესებული ვენწელეები მოითხოვეს. ილ. ხონელი დეპუტატებს დაუზოგავად დაესხა თავს. ფელეტონში პეტერბურგული ვოიაჟი ისე იყო გაშარყებული, რომ შერცხვენილ მოგზაურებს საზოგადოებაში არ გამოესვლებოდათ. მომხდარი ფაქტის სატირული მიმოხილვისას მწერალი რეალურ სიტუაციას გამონაგონ ელემენტებსაც ურთავს. თავადწაურთა ვაიპატრიოტიზმის, გონებაშეზღუდულობისა და უცილობის გამოაშკარავებისა და განქიქებისათვის იგი დეპუტატთა შორის მართავს დიალოგს, რომელიც შეგნებულად დაჰყავს აბსურდულ მსჯელობამდე. „ღმერთო მომკალი და რით ჩამოუვარდებით პოლმელებს, — ცხარედ ალაპარაკებს მწერალი დეპუტაციის მეთაურს ა. ნიჟარაძეს. — ჩვენც უნდა ვთხოვოთ, რასაკვირველია, მაგრამ... ენა, მადლობა ღმერთს, პირიდან არავის ამოუგლეჯია...“ საჭმელი და სასმელი გვარიანად არის და რადაა მოსათხოვი. მეთაური, რომელმაც არც კი იცის, რას ნიშნავს სიტყვა „რეფორმა“, შიშობს ვაითუ „საჭმელია ეს რეფორმები, არ გაგვიწყრეს ღმერთი, და ცუდი რამ საჭმელი, ფრანცუზების ბაყაყისა არ იყოს, არ შემოგვაპარონო“. კონკრეტული პიროვნებისადმი მიწერილ სიტყვებს ი. ხონელი დაცინვის ტონის გასამწვავებლად მიმართავს და სასურველ ეფექტსაც აღწევს. მდიდარი ფანტაზიით დაჯილდოებული სატირიკოსი სასაცილო, კარიკატურულ დეტალებს თხზავს, რათა მკითხველს ანეკდოტური სცენები ცოცხლად, შთამბეჭდავად წარმოუსახოს. ეყრდნობა რა მომხდარ ფაქტს, სატირიკოსი მის განმსაზღვრელ მიზეზებს საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში ეძებს. არაპატრიოტობის კერძო შემთხვევა მან განაზოგადა და მძლავრი არისტოკრატიული წრის ნაშიერებში მთელი კლასისათვის დამახასიათებელი მანკი დაინახა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფელეტონმა საკმაოდ დიდი გამოხმაურება პოვა. ზემოხსენებულ ამბავს საგანგებოდ შეეხო „შინაური მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე. დიდი მწერალი, მართალია, უმსგავსობად მიიჩნევდა დეპუტატთა უბადრუკ მოთხოვნას, მაგრამ მომხდარი ფაქტის მეორე მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას: „ამ ერთისთვის განმავლობაში ჩვენში თითქმის სხვაზედ არაფერზედ ლაპარაკობენ, გარდა ჩვენის ესრეთ-წოდებულ „დეპუტატებისაგან“ კონფოვლებისათვის ვენწელეების თხოვნისა...“

პირველად დიდი ილია ბასტაძემ დაჰკრა, მას მოჰყვა „დედა-
ცების“ და „მამაკაცების“ ხმაც და მთელმა საზოგადოებამ მიხედა
ყაყანი. ყველა სწუსდა, ყველა ცხარობდა.

...ჩვენი დეპუტატები თვით-ამორჩეულნი იყვნენ, პოლშელები —
ამორჩეულნი საზოგადოებისაგან... პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი
ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისათვის სხვადასხვა უფლება.
პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთის სიტყვით, თურმე ერთბაშად სთქვეს,
რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან
რამოდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა, და ეჭირვებოდა, რომ
სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედა-ენა შემოედოთ; ამ
გზით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა, დარწმუნ-
ებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედ“ უკეთ
იცოდინებოდათ...

ერთის სიტყვით, პოლშელს დეპუტატებს უნდა საზოგადოებაზედ
ეზრუნათ და იზრუნეს კიდეც. ჩვენებს უნდა ეზრუნათ ან თავიანთ
თავზედ, ან თავიანთ მეგობარ-ნათესავებზედ.


კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმაც ჩვენივე იზრუნონ, თვით-
ამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვიჩიოთ, ჩვენი
სურვილი გამოუფხვადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია;
თორემ არ ვიცით, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა, და
ვიძახით კი — რატომ ესა და ეს არ ითხოვესო, ერთმანეთს ველრი-
ჭებით, ვიცინით, — დახე, დახე, ჩვენმა დეპუტატებმა რა სახელი გა-
ითქვეს, როგორ მალე უშოვნეს კონვოლუტებს ვენზელებიო.

ახი არ იქნება, რომ „რევიზორის“ გოროდნიჩი გაგვიჩნდეს საი-
დანმე და გვითხრას, — რო იცინით, რას იცინით? თქვენს თავს დას-
ცინითო“¹.

ილია ჭავჭავაძე ზედმიწევნით ზუსტ დასკვნას აკეთებს, როცა
ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პეტერბურგს გამგზავრებული თავადები
ერის წარგზავნილები კი არა, თვითმარქვია დეპუტატები იყვნენ და
ამიტომ საზოგადოების ნება-სურვილის აღმსრულებელნი ვერც გახ-
დებოდნენ.

ილიას რკინისებური ლოგიკა, რასაკვირველია, ოპონენტობას არ სა-
ჭიროებს. მაგრამ ხსენებულმა ფაქტმა რომ დიდი რეზონანსი გამოი-
წვია, რომ აკაკის ამ ამბავმა დააწერინა ფელეტონი „იმიე“, ალბათ,

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1984, გვ. 846—848.



არ იყო შემთხვევითი. ჩვენი აზრით, ი. ხონელი არ დაუთმობდა ამ ამბავს ასე დიდ ყურადღებას, რომ იგი მხოლოდ ერთეულ, ანეკდოტურ შემთხვევად მიეჩნია. დეპუტაციის მონაწილენი თავად-აზნაურთა კლასის, გარკვეული სოციალური ძალის წარმომადგენლები იყვნენ. ავტორმა არაპატრიოტულობის, ერის ინტერესების უგულებელყოფის ეპიზოდში მთელი კლასისათვის ტიპური ნიშან-თვისებები ამოიკითხა. ი. ხონელი სატირის ქარ-ცეცხლში ატარებდა არა მარტო დეპუტატებს, არამედ თავადაზნაურობას მთლიანად. ეს ქირქილი კი არა, მწარე სიცილია, რომლის მიღმა დიდი სულიერი ტკივილი იმალება. თვით სათაურიც ხომ შესანიშნავად შიფრავს ფელეტონის არსს — „ვიცინოთ თუ ვიტროთ“. ამ სასაცილო, კურიოზულ შემთხვევაში არეკლილია მეტად დამაფიქრებელი, „სატირელი“ სოციალური მანკი მაღალი წოდების ეგოიზმისა, პირადული ინტერესებით შემოფარგლული არსებობისა.

თუ ფაქტისა და გამონაგონის შერწყმა მწერლისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს, წმინდა გამონაგონით ცხოვრებისეული სინამდვილის ჩვენება მთელი ხელოვნებაა. ი. ხონელი „ამა ქვეყნის ძლიერთა“ დაკნინებას კონკრეტული ფაქტობრივი მასალის გარეშეც გვიჩვენებს. „იჩუჩი და ნაჩუჩი, ანუ ველური თავადაზნაურობა“¹ მთლიანად წმინდა გამონაგონზეა აგებული.

მარჩენალი გლეხობის გარეშე დარჩენილი მებატონეები საკუთარი თავის მოვლა-პატრონობას ვერ ახერხებენ და თანდათან ველურდებიან — გადაჩვევიან ტანსაცმელს, ადამიანურ საკვებს, ტყეში დასახლებიან, პირველყოფილთა სახეს მიიღებენ და ერთმანეთს მხოლოდ გვარიშვილურ უპირატესობაზე ექიშებიან.

არარეალური სიტუაციის შეთხზვით სატირიკოსი ახერხებს თავადაზნაურობის გადაგვარების პროცესის თვალსაჩინოდ წარმოჩენას და, აქედან გამომდინარე, თავადაზნაურობას საბედისწერო მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ასეთივე სარკასტული სურათია მოცემული მწერლის გამოუქვეყნებელ ფელეტონში „სამი დღე ტფილისის საბჭოში“². ძველი ცხოვრების უკანასკნელი მოპიკანები ვერ მიმხვდარან დროის სიახლეს. მიუხედავად ეკონომიკური სივიწროვისა, ზნე-ჩვეულებებს არ

¹ გაზ. „დროება“, 1882, № 164.
² ფელეტონი ინახება ი. ხონელის დისშვილის თ. ბახტაძის პირად არქივში.



დალატობენ. ი. ხონელი გვიჩვენებს თავადთა ნადიმს, სადაც უნდა წყლიანი თამადა ტრადიციულ სადღეგრძელოებს წარმოთქმას, სუფრაზე კი მხოლოდ მწვანილი და მჭადია და მოქეიფენი ალავერდს წყლით სავსე ჭიქებით გადადიან, რადგან არათუ საქეიფო, საზიარებელი ღვინის წვეთიც არ გააჩნიათ. „რაკი ერთხელ დაეჩვივნენ კაპუეტ მიმინოსავით სხვისი ხელით ჩაპურებას, — წერს ავტორი, — ასე ჰგონიათ ამ დალოცვილებს, პირს დავაბრენთ და ზეციური მანანა ისე, ჯიქურ ჩაგვივარდება პირშიო. რით ვერ მიხვდნენ ეს საწყლები, რომ ის დრო წავიდა... მამული შემოეცალათ, ზოგი ქალაქში წააგეს, ზოგი დაავირავეს, ფული მიფლანგ-მოფლანგეს და ახლა დამირჩნენ ყუყუე“.

ეს ჰიპერბოლური სურათები ამხელენ „ბრწყინვალე“ წოდების ჭეშმარიტ ბუნებას. გვიჩვენებს რა თავადაზნაურობის გროტესკულ სურათს, ი. ხონელი ლოგიკურად განჭვრეტს ამ კლასის არსებობის დასასრულს. უფრო ხელშესახები, თვალნათლივი რომ გახდეს ეს პროცესი, სატირიკოსი შეგნებულად აზვიადებს, ამუქებს ფერებს, ფაქტებს მძაფრ კომიკურ საბურველში ხვევს.

ი. ხონელმა თავის ფელეტონებში წარმოგვიდგინა თავადაზნაურობის, როგორც გარკვეული სოციალური ძალის რაობა, მისი ფსიქოლოგიური წყობის განმსაზღვრელი ტენდენციები.

უნდა საგანგებოდ ითქვას, რომ 60—80-იანი წლების სატირული ლიტერატურის ძირითად თემას ცრუპატრიოტიზმი წარმოადგენს, რადგანაც იმ დროს საქმესა და სიტყვას შორის შეუსაბამობა სახიფათო საზოგადოებრივ მოვლენად იქცა. სიტყვებს — „მამული“, „ერი“, „ხალხი“, რომლებსაც ახალი ჯურის ფილოსოფოსები გაუთავებლად იმეორებდნენ, შინაარსი გამოეცალა და ისინი ცარიელ კეკლუც გამოთქმებად იქცნენ. ი. ხონელი აბუჩად იგდებს „ერისკაცებს“, რომლებსაც სახალხო ტრიბუნების პრეტენზია აქვთ და დაცინვით „ახალმოდურ პატრიოტებს“ უწოდებს. პუბლიცისტის აზრით, ისინი სახალხო საქმის მსახურები კი არა, თავისი კუჭის ყურმოჭრილი ყმები არიან. ამიტომაც შესანიშნავად მოერგნენ დროს, როცა „ადამიანის აწმყო და მომავალი კეთილდღეობა დამყარებულია მხოლოდ ოსტატობაზე და თვალთმაქცობაზე“¹. ერის ჭირ-ვარამზე ფიქრი კი მხოლოდ ერთე-

¹ გაზ. „ივერია“ 1886, № 111.


ულთა ხვედრია. „ადამიანო, რომელი საუკუნის კაცი ხარ, რომ მაგა-
ებს ლაპარაკობ? კატომოყვარებო, გულმტკივნეულობაო, გოყ-
ვასის სიყვარულიო, მოძმისთვის თავის დადებაო. ვისა სცალიან ესლა
მაგ ლამაზ-ლამაზ სიტყვისათვის? — მწარე ირონიით წერს ი. ხონე-
ლი. — მაგ სიტყვებმა თავისი დრო მოჭამეს და წავიდნენ. ესლა მაგ
სიტყვებს მოლექსეები თუ ხმარობენ, ისიც რითმის მოსაწყობად...
ბარაქლა დროვ. აფერუმ ამ დროს! ძლივს ქვეყანა არ მოაჭკვიანა და
დიდსულოვანი კატომოყვარება დიდგულა თავმოყვარეობად არ გარ-
დაქმნა“¹.

აღბათ, საგანგებო მინიშნების გარეშეც ნათელია, თუ რამდენი
ნადველია ჩაქსოვილი ამ მოჩვენებით ხოტბაში! ი. ხონელის სიტყვით,
„ახალმოდური პატრიოტები“, ანუ „ლაყე ინტელიგენტები“ სულ იმის
ცდაში არიან, რომ ცულად მოწყობილი ქვეყანა გადააკეთონ, მაგრამ,
როგორ და რანაირად, არ გაეგებათ. ისინი მხოლოდ მაღალ მატე-
რიებზე საუბრობენ, უხვად აფრქვევენ უდიდეს მოაზროვნეთა ციტა-
ტებს, ხოლო ერის ყველაზე საჭირობოროტო პრობლემებს ჯიუტად უვ-
ლიან გვერდს. მხოლოდ იმათ დისკრედიტირებას ბედავენ, ვინც სახიფა-
თონი არ არიან და არას ავნებენ. რათა მკაფიოდ გამოეყვეთა „ლაყე
ინტელიგენტის“ ჭეშმარიტი პორტრეტი, ილიამ ცნობილ ლიტერატუ-
რულ გმირებთან ანალოგიის ხერხს მიმართა. მან თავის თანამედროვე-
ებში დაინახა დიდი მწერლების მიერ შექმნილ უარყოფით ტიპთა და-
მახასიათებელი თვისებები, ისინი სატირული განზოგადების ნიმუშებად
გამოიყენა და ასეთი სახე მისცა: „წარმოიდგინეთ ერთ ქვაბში ფონვი-
ზინის მიტროფანუშკა, გოგოლის ნოზდრიოვი, მისი ბრწყინვალეობა
ლუარსაბ თათქარიძე — გადაადულეთ ყველა ესენი, დაუმატეთ ზედ
ბლომად კუდაბზიკური ზნე და ქცევა და დაგრჩებათ ხელში ჩვენი ეგ-
რეთ წოდებული „ლაყე ინტელიგენტი“².

ი. ხონელი სწორედ მთვლემარე საზოგადოების გამოსაფხიზლებ-
ლად, უმეცრებისა და უმოქმედობის წინააღმდეგ იბრძვის. მას სწამს,
რომ ათასნაირი „ყბადასალები“, კაცთაგან ჩადენილი „წყალ-წასალები“
ამბები სააშკარაოზე უნდა იქნეს გამოტანილი და საზოგადოებრივი
მსჯავრი დაეღოს. ინტელიგენტისას, საზოგადოების მოწინავე ფრთას,
მწერლის ღრმა რწმენით, აკისრია უდიდესი მისია — ხალხის წინა-

¹ გაზ. „ივერია“, 1886, № 41.

² გაზ. „დროება“, 1882, № 217.



მძლოლობა. პუბლიცისტი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს ინტელიგენციის პრაქტიკულ მოქმედებას. მას კარგად ესმის, რომ ინტელიგენციის კრავიერულ ფლანგს ყოველდღიური, დაძაბული, „არაგმირული“ მუშაობა ელის. და მაინც, მიაჩნია, რომ მან ბოლომდე უნდა ზედოს ცხოვრების მძიმე ჯვარი, უნდა ახლოს იდგეს პროზაულ სინამდვილესთან, ჩაებას პრაქტიკული საქმიანობის ორომტრიალში, მოწინავე იდეალების განხორციელების ყველა პირობა მოამზადოს. ილია ხონელს ინტელიგენციის მეტრძოლ ტრიბუნად ბეჭდვითი სიტყვა ესახება და მთელი სისასტიკით ილაშქრებს იმ ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ, რომლებიც „არხეინად დასეირნობენ... და ცირკულივით ტრიალებენ ყველა კანცელარიაში“¹.

„კვირის საუბარში“ პუბლიცისტი თავს დაესხა პროგრესული გაზეთის „თერგის“ დახურვის ინიციატორებს, რომელთა გასაბიბრუებლადც მწვავე და გამჭირდავ სარკაზმს მიმართა: გაზეთი „თერგი“ დაღუპდა და თერგის ხეობის გამგეობასაც მოაკლდა ისეთი მეტიჩარა მტერი, რომელიც ეჩრებოდა ხალხის საქმეში... თავისთვის რომ ყოფილიყო გაზეთი, ეწერა მთვარისა და მზის გარემოებაზედ, დედამიწის თავის გარშემო ტრიალზედ, მთიულების ველურობაზე, — კიდევ შეეძლო ეცხოვრა რამდენიმე წელი; თუ არა, დალოცვილი „თერგი“ დაიბადა თუ არა, მაშინვე ააყოლა თვალი ადგილობრივს ადმინისტრაციას და სულ მასზედ ლაპარაკობდა. მოდი შენა და მოითმინე ასეთი გაზეთის არსებობა ჩვენს ბელნიერ კუნძულში“².

„მეტიჩარა“ „თერგს“ სანიმუშო, მისაბამ მაგალითად სატირიკოსი ოფიცოზ „კავკაზს“ უსახელებს: „ჭაი, გიდი, ისევე ჩვენი თბილისელი „კავკაზი“. მორჩილი, ყველას გამგონე, რბილი, ჩეილი, უფხო, ყველას ხელქვეითი! ჩვენებური ჩინოვნიკი „კავკაზს“ შეჭხარის ისე, როგორც თავის დარგულს სურნელოვანს ვარდს, მერე ახალი ჯიშის უეკლო ვარდს“³.

მოჩვენებით-აღტაცებული ქება ნაკლისა, მოვლენისადმი რეალური დამოკიდებულების საპირისპირო განსჯა სრულად გამოხატავს ავტორის შეურიგებელ პოზიციას. ი. ხონელი ნდობას უცხადებს მკითხველის გამჭრიახობას, რომელიც კარგად მიუხვდება სათქმელს. ამ

¹ გაზ. „დროება“, 1884, № 5.
² იქვე.
³ იქვე.

ქება-დიდებაში ჩაქსოვილი მწარე გულისტკივილი, ალბათ, უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე პირდაპირი კრიტიკა.

მოვლენის მასშტაბურობის, მისი საზოგადოებრივ-პრობლემატური მნიშვნელობის წარმოსაჩენად მწერალი წარმატებით იყენებს ინდუქციურ მეთოდს და გაზეთ „თერგის“ მაგალითზე ოსტატურად გვიჩვენებს მკაცრი ცენზურის, ყოველივე პროგრესულის ჩახშობის პირობებში იმდროინდელი ადგილობრივი მოწინავე პერიოდიკის უნუგეშო ბედს. პუბლიცისტი იქვე მწარე ირონიით დასძენს, რომ ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც „ყოველი ხალხის საქმე ჩვენს დროს ვიღაც ქვეყანაში მარტო მოხელის ხედვრიაო“.

ი. ხონელს სწამს, რომ ბეჭდვითმა სიტყვამ უნდა ზუსტად აირეკლოს ცხოვრებისეული სინამდვილე, სჯერა, რომ სადღეისო პრობლემები არ ითმენენ გადადებას, რაც უნდა უმნიშვნელო ჩანდნენ ერთი შეხედვით. მომავლის თვალთ აღქმული და აწონილი ცხოვრებისეული წვრილმანი ხშირად უდიდეს ისტორიულ გარდატეხათა წინამორბედია. თვით მწერლის სიტყვებია, რომ „მეფელეტონე იგივე წინასწარმეტყველია, მხოლოდ უდროო დროს დაბადებული და ეჭა, არ ცნობილი უგუნურთავან“¹.

ნიჭიერი ჟურნალისტი ლიტერატორთა გარკვეულ ნაწილს შერჩეულ თემატიკას უწუნებს, მათი მოღვაწეობა მწერალში იმ უგერგოლო მეზადურთა ასოციაციას იწვევს, რომლებიც დიდ თევზზე ოცნებაში მხოლოდ ლიფსიტებს იჭერენ. ასეთი ლიტერატორი არ ერევა ჩინიანთა საქმეში, რადგანაც რუსული ანდაზა: „Моя хата с краю“ გაუხდია სამოღვაწეო დევიზად. სატირიკოსი დიდი იუმორით გვიხატავს გაუბედავი მწერლის ტიპურ პორტრეტს ფელეტონში „ჩემი აღსარება“. „რაც მე მტანჯავს და სევდით მივსებს გულს, ეს ჩემი საოცარი უძღურებაა ერთის მხრივ და კიდევ საოცარი და მართლა რომ სასაცილო ძალგულოვნება მეორეს მხრივ... — წერს იგი, — ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობ... ამყრალბულია ყოველიფერი სიბინძურით. ვცდილობ და ვერ დამიწერია — გავწმინდოთ-მეთქი. სამაგიეროდ, ნეტავ განახათ, როგორ შევდივარ უცხო ქვეყნების სამინისტროებში — აფთარი, ნამდვილი აფთარი!... ბისმარკმა რაიმე ახალი ხრიკი მოსდო ვინმეს — ვაკცხავ, ჩაუფიქრდა რასმეს — ვურჩევკლემენსო, რადაც მიზეზის გამო, ალაპარაკდა ცხარედ — არ ვუწო-

¹ ჟურნ. „მოამბე“, 1895, № 1, გვ. 108.

ნებ. ხანდახან თვით ხვანთქარსაც ვაძლევ შენიშვნას¹. ამ ირთნიულ აღსარებაში აშკარად გამოსჭვივის ავტორის პოზიცია. იგი მოითხოვს, რომ თითოეულმა პუბლიცისტმა საკუთარი ქვეყნის ავ-კარგის განსჯისას პირველ რიგში პრინციპულობა და ობიექტურობა გამოავლინოს, საკუთარი პრობლემების მოგვარებისათვის იბრძოლოს! სხვის თვალში ბეწვს რომ ხედავ, საკუთარში დირე შენიშნეო! ი. ხონელი-სათვის ცხადია, რომ არსებობენ ისეთი მოღვაწენიც, რომლებიც საზოგადოებისაგან დაუმსახურებელ პატივს ითხოვენ. თუ ისინი გრძნობენ, რომ „საზოგადოება არ მიდის მასთან თავყანისსაცემად. მაჰმადივით, თვითონ მიდის საზოგადოებასთან“².

სატირიკოსმა დაუზოგავად გააქილიკა „ნორ-დარის“ რედაქტორი სპანდარიანი, რომელმაც გაზეთი საკუთარი პერსონის დემონსტრირებისათვის გამოიყენა: „გააკეთა თუ შეემთხვა რაიმე რედაქტორს, ყველაფერი აუცილებლად გაზეთში უნდა აისახოს, — ამასხარავეებს ავტორი სპანდარიანს. — ისაუზმა — ქრონიკაში იმ წამსვე, იყიდა ახალი ქამარი — ესეც ქრონიკაში, დაიხარჯა შარვლის შესაძენად — აბა, ფელეტონი; ცოლმა ბუთხუზა მეგვეიდრე შვა — მოწინავე წერილი, რაც არ უნდა თქვა, რედაქტორის ვაჟის დაბადება შობადობის სტატისტიკურ მონაცემებს ამდიდრებს“³.

ი. ხონელი იმ სამოქმედო პროგრამის მიმდევარი და თანმიმდევრული განმასორციელებელი იყო, რომელიც 60-იან წლებში შეიმუშავა ქართველმა პროგრესულმა ინტელიგენციამ. ამიტომაც ცდილობდა თავის ფელეტონებში სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ მორალურ-ეთიკური პრობლემები წამოეჭრა და შეძლებისდაგვარად გადაეწვია. ლიბერალ მოღვაწეთა საპირისპიროდ პუბლიცისტმა გაზეთის ფურცლებზე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა მთავრობის მთელ ბიუროკრატიულ აპარატს. იგი განსაკუთრებული სიმწვავეით ესმოდა თავს პლუტოკრატებს, რომლებსაც სხვადასხვა მაქინაციის შემწეობით ხელთ ეპყრათ მმართველობის სადავეები და ყველაფერს კერძო ინტერესებს უქვემდებარებდნენ. სატირის მახვილი ილიამ მიმართა მოხელეებისაკენ, რომლებიც, მისივე სიტყვით, მამონას მონები იყვნენ, იუპიტერობას კი იჩემებდნენ.

¹ გაზ. „ივერია“, 1886, № 14.

² გაზ. „დროება“, 1882, № 217.

³ გაზ. „Новое обозрение“, 1887, № 1391.

სატირიკოსმა წარმოგვიდგინა თემიდას პირმოთნე მსახური ვინმე ევლასოვი, რომელსაც მსაჯულის მუნდირი ემოსა, ფსიქოლოგია კი მეწვრილმანე ვაჭრისა ჰქონდა. ხონელის სიტყვით, იგი „როგორც შეჭფერის ნამდვილ დემოკრატს, ხეყვდა იმას, რისი მოხვეჭაც შეიძლებოდა“¹. აქ შეგნებულადაა შეცვლილი სიტყვა „დემოკრატის“ შინაარსი. იგი დამაკნინებელ მნიშვნელობას იძენს. ეს ხერხი ხონელს არა მარტო ევლასოვის, არამედ ყველა იმ ჩინოვნიკის ზნეობრივი სიმდაბლის საჩვენებლად აქვს გამიზნული, რომლებიც თავს ურცხვად უწოდებდნენ დემოკრატებს და საქმით სრულიად საპირისპირო სახელს იმსახურებდნენ. სატირიკოსი გამანადგურებელ დახასიათებას აძლევს ყველას, ვინც დემოკრატის სახელს ამოჰფარებია და ამ სიტყვის მნიშვნელობას აუფასურებს.

მკითხველზე ემოციური ზეგავლენის გაძლიერების მიზნით ი. ხონელი სშირად იყენებს შედარების ხერხს, ასოციაციით მოაზრებულ ნიშან-თვისებას მიაწერს თავის გმირებს. მართლმსაჯულების მსახურთა კლასიფიკაციას იგი შინაურ და გარეულ ცხოველთა ანალოგიით აწარმოებს. ვექილნი, ხონელის აზრით, თუმცა ერთი და იმავე კორპორაციის წარმომადგენლები არიან, იყოფიან ორ სახეობად: მოშინაურებულ, ანუ კერძო გარიგებით დაქირავებულ ადვოკატებად და გარეულ, ანუ სამსახურებრივად დანიშნულ დამცველებად. თვინიერი ვექილი, რომელიც დამქირავებლისაგან კარგ გასამრჯელოს მოულის, ერთგულების დასამტკიცებლად წელში ოდნავ მოდრეკილა, დათაფლული მეტყველება და ცრემლმომდგარი ალერსიანი თვალები — მისი პორტრეტის უტყუარი ნიშნებია. დამცველის ეს სახეობა პროკურორთან ორთაბრძოლაში მჭევრმეტყველების მწვერვალებს აღწევს, რადგანაც შეცნობილი აქვს, რომ კლიენტთა უმრავლესობის თვალში მისი ღირებულება წარმოთქმული სიტყვის სიგრძის პირდაპირპროპორციულია. ამიტომაც ლაპარაკობს ქანცგაწყვეტამდე, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე. ერთი სიტყვით, კანიდან ძვრება, რომ დაპირებული ჰონორარი ხელიდან არ გაუსხლტეს. სულ სხვა თვისებებს ამჟღავნებს ოფიციალურად დანიშნული ადვოკატი. იგი არავითარ გამორჩენას არ ელის ბრალდებულის ახლობლებისაგან, ამიტომ საშინლად დადვრემილა. თავის კლიენტს მოსისხლე მტერივით უბღვერს და დრო ამ

¹ გაზ. „ივერია“, 1886, № 109.



უკანასკნელის კარიკატურების ხატვით გაჰყავს. დროდადრო, გახედილი
 ლი თვალებით თვლემს და მილიონიანი პროცესი ეზმანება. სასამართლო
 ლოს დამთავრებისთანავე იგი შურდულივით გაქეანება შინისაკენ
 და წყველ-კრულვას უთვლის კლიენტსაც, სასამართლოსაც და საერ-
 თოდ ყველას, ვისი მიზეზითაც მოუხდა ამ აუტანელი საქმისათვის
 დროის ფლანგვა¹.

ცხოველებთან ადამიანთა გაიგივებას სატირიკოსი სრულიად შე-
 გნებულად ახდენს, რათა დაგვანახვოს ოქროს კერპის მონებად ქცე-
 ულ ჩინოვნიკთა ნამდვილი სახე. მათ ყოფაში ფული გვევლინება
 იმ მძლეოთა მძლე ძალად, რომელიც წარმოაჩენს ცხოველურ ინსტინქ-
 ტებს და პიროვნების საკვირველი მეტამორფოზის მოწმედ გვხდის.

ფელეტონის ბასრი ენის მსხვერპლი გახდნენ თბილისის თვით-
 მართველობა და ხმოსნები. მის ფელეტონებში არაერთხელ ასახულა
 სათათბიროს სხდომებზე გამგეობასა და ოპოზიციას შორის ატენილი
 დავიდარება, რომელიც მწერალს მონტეგებისა და კაპულეტების სი-
 სხლიან შუღლს ასხენებს. აკრიტიკებს რა ქალაქის საბჭოს უმოქმე-
 დობას, ხონელი შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ხშირად მიმარ-
 თავს სიტყვათა თამაშის ხერხს. „საკვირაო სხარტულაში“² იგი შენი-
 შნავეს, რომ საბჭომ ხმოსნების გამოუცხადებლობის გამო დაუსრუ-
 ლებლად გაწელილ ორშაბათამდე გადადო საქმე. „მაგისტანა ხალხს,
 სანამ ხმოსნების სახელს დაიმსახურებდნენ, ჯერ ფეხოსნობაში უნ-
 და გამოეჩინა თავი“, — გამჭირდავად ასკვნის ავტორი. იგი „ხმოს-
 ნების“ ანალოგიით აგებს სიტყვას „ფეხოსანს“ და შესანიშნავად მიუ-
 სადაგებს ქალაქის საბჭოს წევრების სიზანტეს.

ასეთივე ხერხით გაათამაშა მან რუსული ზმნა „Думать“ და არ-
 სებითი სახელი „Дума“ (სათათბირო). ი. ხონელი თვლის, რომ თუ
 ეს სიტყვები რაიმე აზრობრივ კავშირში არიან, მაშინ სათათბიროს
 მუშაობის ანალიზი მას სრულ უფლებას აძლევს ისინი აბსოლუტურ
 შინაარსობრივ შეუსაბამობამდე დაიყვანოს³.

სატირიკოსის ხელწერისათვის დამახასიათებელია ირონიული
 რჩევა-დარიგება და მოწოდება, ე. წ. დიდაქტიკური სატირა. ავტორი
 ამა თუ იმ მანკიერ მოვლენას და მისგან გამომდინარე შედეგებს დამ-

¹ გაზ. „Новое обозрение“, 1890, № 2127.

² გაზ. „ივერია“, 1886, № 60.

³ გაზ. „Кавказ“, 1895, № 179.



ცინავ კომენტარს უკეთებს და ირონიულ-დამრიგებლურ რჩევას ვაზობს. ეს ხერხი აქვს გამოყენებული ი. ხონელს იმის ნათელსადაც ფად, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იყო ჩაყენებული სასკოლო განათლების საქმე სიღნაღის მაზრაში. „სიღნაღი უნდა შეადგენდეს ჩვენი ქვეყნის იდეალს, სამაგალითო მაგალითს, რომლიდგანაც უნდა ვსწავლობდეთ უზრუნველს, აუშფოთებელს და წყნარ ცხოვრებას... — სარკასტულად წერს ავტორი. — მართლაც, აბა, ერთი თვალი გაუშტერეთ ამ ქალაქს, რა გეტაკებათ ყველაზე უწინ თვალში? ისა, რომ სიღნაღს აქვს ერთი პაწაწვინტელა სასწავლებელი და კლუბი კიორი. ერთ კლუბში მოგწყინდება, გასწი მეორეში, თუ იქაც მოგწყინდა, გამოტრიალდი პირველში; თუ მაინც კიდევ მოგწყინდა გასწი დუქანში... ვინატრებდით კია, რომ ძველი კლუბის ადგილზე სიღნაღს მიცემოდეს ათი სხვა პატარ-პატარა, ქორფა კლუბები, რომელთა დღევრძელობა და სიმრავლე მჭიდროდ იქნება დამოკიდებული იქაური სასწავლებლის დახურვაზე“¹.

ი. ხონელი ძალზე მტკივნეულად განიცდიდა, რომ სასწავლებლები მომრავლების ნაცვლად იხურებოდა. სწორედ ამ უარყოფითი მოვლენის გამოსაკვეთად აჩვენა მან სიღნაღის შემდგომი ცხოვრების ტენდენციურად გამარჯვებული მომავალი, სატირული პროგნოზი გაუკეთა დღევანდელი მოსალოდნელ შედეგს.

სატირული რჩევა-დარიგების შესანიშნავი მაგალითია ფელეტონი „ქართველ მეღობინას ტაძარში“. ი. ხონელი ჩვენი კულტურის წინსვლის საქმეში განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენდა ქართულ თეატრს და დაუნდობლად აკრიტიკებდა ყველაფერს, რაც მის პროგრესს წინ ედობებოდა. პუბლიცისტი მკაცრად მოითხოვდა, რომ ქართულ სცენაზე მხოლოდ მაღალმხატვრული დრამატული ნაწარმოებები წარმოედგინათ. აღნიშნული ფელეტონი თეატრის რეპერტუარში გრაფომანთა უმწეო ქმნილებების მოჭარბების წინააღმდეგ ილაშქრებს. სატირიკოსი დამწყებ მწერლებს სარკასტულად ურჩევს, რომ, ვინაიდან მათი პიესების დადგმას არაფერი შეუშლის ხელს, ძალები დრამატურგიაში სცადონ და დრამის შექმნის რეცეპტს აწვდის.

ვინაიდან დრამის დაწერა ხელოსნობაა და არა ხელოვნება, — ირონიულად შენიშნავს ავტორი, — სრულიად საკმარისია მოიმარჯ-

¹ გაზ. „დროება“, 1884, № 44.




ვო კალამი, გამოძებნო გმირები, შეარქვა სახელები და ერთმანეთში შეაყვარო. სიყვარულის პრობლემა ძალზე მარტივად წყდება. რბილის დასარწმუნებლად ემარა ავტორის სიტყვა, რომ მათ ერთმანეთი უყვართ. იმ შემთხვევაში, თუ ურწმუნო მაინც გამოჩნდება... ხელთ გვაქვს შიშვენიერი საშუალებები. აუცილებელია ქალთან შეხვედრისას გმირი მკერდში მჯილის ცემას მოჰყვეს... დაიდრიალოს: „ყელს გამოვიჭრი!“, ქალმა კი გადაატრიალოს თვალები, შესძახოს „აჰ“ და ვითომ გრძნობების მოზღვავეების გამო, გონება დაკარგოს. ცხადია, რომ ამის შემდეგ ყველაზე უკიდურესი სკეპტიკოსიც კი ვერ შეიტანს ეჭვს ავტორის გენიალობაში. მთავარი გმირების გარდა, საჭიროა ბოროტი გმირიც, რომელიც მათ სიყვარულს ხელს უშლის და დრამის სიუჟეტს ამძაფრებს. მისი როლი მთლიანად აგებულია შიშის-მომგვრელ შემახილებზე, კბილების ღრჭიალზე და თოფისა თუ ზარბაზნის ბათქაბუთაზე. რამდენიც გსურთ, იმდენი მოქმედი პირი შემოიყვანეთ. რაც მეტი იქნება, უკეთესი! ნუ იზრუნებთ დიალოგებზე, მონოლოგებზე, სცენების პლასტიკაზე, ხასიათთა გამოკვეთაზე. საჭიროა, რომ მოქმედმა პირებმა რაიმე, თუნდაც ყველაზე დიდი სისულელე, ილაპარაკონ. სალაყო მასალის ნაკლებობის შემთხვევაში, ლექური იცეკვონ... „დრამისმცნობლის“ დიდების შარავანდედს დრამის ფინალი წარმოადგენს და ზედმიწევნით კარგი უნდა გამოვიდეს... აქ ყველაზე დროულია განსაკუთრებულ ბუნებრივ მოვლენებს — მიწისძვრას, წარღვნას — მივმართოთ, ან მტრის მოულოდნელი თავდასხმა გამოვიგონოთ... ისე, რომ ყველა, ვინც სცენაზე იმყოფება თვალისდახამსამებაში გამოვასალმოთ სიცოცხლეს“¹.

თანამედროვეობაში საკმაოდ ფენომოვიდებული ბანალური, ტრივიალური დრამების მიხედვით შედგენილი „ნიმუში“, სატირიკოსმა ძალზე მარჯვედ გამოიყენა ქართული დრამატურგიის დაკნინების მიზეზთა საილუსტრაციოდ. პუბლიცისტის შენიღბული აგრესიული ტონი ძალზე მწვავე და შედეგიანია მდგომარეობის სიმძიმის წარმოსაჩენად.

ი. ხონელს ემოციის გასაძლიერებლად ზოგიერთი ფელეტონი მოულოდნელობის ეფექტზე აქვს აგებული. მკითხველი ელის ერთს და მხოლოდ თხრობის დასასრულში ხვდება, რომ საუბარი სულ სხვა საგანზე ყოფილა. ნიმუშად მოგვაქვს ამონაწერი ფელეტონიდან „კომედია“: „ტალანტების სრული უქონლობის პირობებში, ხელოვნების,

¹ ვაზ. „Кавказ“, 1892, № 337.



შემოქმედ ძალთა დაცემის ეპოქაში, ძალზე სასიამოვნოა ხალასი ნი-
 ჯით აღბეჭდილ ნაწარმოებთან შესხედრა. მჩქროლვარე გულით ვინა
 აუწერელი სიტყბოთი აღვსილნი, ფურცელ-ფურცელ ვაკვირდებით ამ
 ქმნილების შინაარსობრივი ქარგის განვითარებას... წუთით გვავიწყ-
 დება ყოველდღიურობა. ცხოვრებისეული წვრილმანი და მთელი არ-
 სებით გადავეშვებით უმაღლესი ტკობისა და ოცნების იმ ჯადოსნურ
 სამყაროში, სადაც პოეზია და ხელოვნება სუფევს. ასეთი შთაბეჭდი-
 ლება მოახდინა ჩვენზე ახალმა კომედიამ, ცოტა გაწეილი და ტრი-
 ვიალური სათაურით: „ტფილისის ურთიერთდამხმარე საკრედიტო სა-
 ზოგადოების წევრთა საერთო კრება“, რომელიც ერთი კვირის წინ
 დაიდგა ე. წ. „ტფილისის კრების“ კლუბის სცენაზე“¹.

დასაწყისში მკითხველი სატირიკოსის საგანგებოდ გამიზნული ინ-
 ტრიგის ქსელში გულუბრყვილოდ ეხვევა. ელის, რომ საუბარი ხე-
 ლოვნების შედევრზე წარმართება, და მხოლოდ ბოლოთქმით ხვდება,
 რომ ფელეტონისტის მიერ ოსტატურად დაგებულ მახეში გაება. ამ ხე-
 რხით ერთიორად მდლდება და მახვილდება ფელეტონის ირონიული
 ტონი.


ი. ხონელი ზოგჯერ ფოლკლორში, ლიტერატურაში ფესვგადგმულ
 მოდელებსაც იყენებს. მან ხოლერას, რომელიც საქართველოში მძვი-
 ნვარებდა, მისცა აზიიდან ჩამობარგებული, გაკაპასებული დედაბრის
 სახე, რომელიც სიდედრად მოევილინა თბილისს. ებიდემიის წინააღ-
 მდეგ საბრძოლველად ქალაქი სრულიად მოუშზადებული და უსუსური
 აღმოჩნდა². ანჩხლი სიდედრისა და უმწყო სიძის გავრცელებული მო-
 დელი მრავლისმეტყველად გათამაშდა.

ფელეტონების ეპიგრაფებად, თხრობის ორნამენტად ი. ხონელს ხში-
 რად გამოყენებული აქვს ცნობილი მწერლების აფორიზმები, ლექსები,
 ეპიგრამები. მაგალითად, ფელეტონში „სახელდახელო შენიშვნა“³. სა-
 ტირიკოსი თავად გრუზინსკის მიმართ ირონიული განწყობის საჩვე-
 ნებლად საკუთარ თავს დაშინებულ, სუსტ არსებად წარმოგვიდგენს,
 რომელსაც ბრწყინვალე თავადთან პაექრობაში ხმის ამოდების უფ-
 ლება ჩამორთმეული აქვს. იგი თითქოს თავს ბედნიერად გრძნობს,

¹ გაზ. „Новое обозрение“, 1889, № 1814.

² გაზ. „ივერია“, 1886, № 77.

³ საქ. ცსა, ფ, 480, აღწ. I, საქმე № 1342, გვ. 27.



რომ „კეთილშობილმა“ მასთან საუბარი იკადრა. დაცინვის ტონს ვიდევ უფრო აძლიერებს ეპიგრაფად წამძღვარებული ნაწყვეტი ბერან-ჟეს ლექსიდან „დიდგვაროვანი მოკეთე“, რომელიც პოეტ ვ. კუროჩინის ბრწყინვალე თარგმანიდან არის მოტანილი:

«Какое счастье! Честь какая!
Ведь я червяк в сравненьи с ним!».

პუბლიცისტი ხშირად მიმართავს ხალხურ თქმებსა და ანდაზებს. ფოლკლორში გავრცელებული ენის გასატეხის მსგავსად შექმნილი ნიმუში მან ძალზე მახვილგონივრულად გამოიყენა ეკლესიის ხარბი მსახურის სატირული პორტრეტისათვის. ხონის ეკლესიის ბლადოჩინმა პეტრე ქუთათელაძემ, მეტსახელად „პეტორიკა ხუცესმა“, თავისი სამრევლო მექრთამეობის, მრუშობისა და ლოთობის ბუდედ გადააქცია. გლეხობისაგან ღვინის ხარკს იგი სპეციალური ზომის დოქით იღებდა. ხუცესის სიხარბემ, მის მიერ დაწესებულმა ხარკმა ხონელს ასეთი ენის გასატეხი შეათხზვევინა: „პეტრე-დოქი-პეტორიკა-ხუცესი მოდის, მოისვამს, მოიჭამს, მოიპეტრე-დოქი-პეტორიკა-ხუცებს; როდის იქნება ცხრა მთას იქით რომ წავა, წაისვამს, წაიჭამს. წაიპეტორიკე-დოქი-პეტორიკა-ხუცებს“¹.

მრავალრიცხოვანი სატირული ხერხები ზემოაღნიშნულ ფელეტონებს მიმზიდველობას მატებენ და მათ მიზანდასახულობას ნათელყოფენ.

ი. ხონელი უდიდესი რუსი მწერლის მ. სალტიკოვ-შჩედრინის შესამჩნევ გავლენას განიცდიდა. იგი აღიარებდა, რომ შჩედრინი მისთვის უზარმაზარი ავტორიტეტი იყო. ხონელის ფელეტონებში რუსი სატირიკოსის გმირებს, მის ცნობილ აფორიზმულ გამოთქმებს ხშირად ვხვდებით.

მკვლევარი ქ. გიორგაძე სტატიაში „მ. სალტიკოვ-შჩედრინი „ივერიის“ ფურცლებზე“ უდავოდ სწორად ასკვნის, რომ „ხონელის კრიტიკული პათოსი არსებული წესწყობილებების შეფასებაში, წერის მანერა, მისი პუბლიცისტიკის თემატიკა და განწყობილება ძლიერ გვაგონებს დიდი რუსი სატირიკოსის მხატვრული და პუბლიცისტური წერილების ხასიათს“².

¹ გაზ. „დროება“, 1883, № 223.

² ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. II, 1971, გვ. № 210.


ზოგიერთი თანამედროვე ი. ხონელს შჩედრინის მიმბაძველობაში სდებდა ბრალს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ იდეალიზმი არასოდეს ყოფილა ბრმა მიმბაძველი. მას ძალზე სწორად და საფუძვლიანად ჰქონდა გააზრებული შჩედრინის სატირის ფილოსოფიური სიღრმეები. იგი შემთხვევით როდი ამბობდა, რომ შჩედრინის ნაწარმოებებში „მართალი სიტყვა და დატანჯულის გულის ტკივილი და კვნესა ისმის“¹, რომ სარკასტულ სიცილშიც უკუღმართი ცხოვრებისაგან გამოწვეული ცრემლიანი ნაღველი გამოსჭვავის. დიდი რუსი მწერლის მიერ მოცემულ კონფლიქტურ სიტუაციებში ხონელი თავისი ქვეყნის წინააღმდეგობრივ ცხოვრებას ხედავდა, ხოლო მის სატირულ ტიპებში იმ ზოგადადამიანურ თვისებებს, რომლებითაც ყველა ერის წარმომადგენელი შეიძლება ხასიათდებოდეს.

ცენზურის მიერ აკრძალული ფელეტონი „ძველი სიმღერა“² სალტიკოვ-შჩედრინის სატირული მოთხრობის „იდეალისტი კარჩხანას“ ასოციაციითაა შეთხზული. დაშინებული გლეხობისა და დაუსჯელობით გათავსებული სოფლის ბოლოების დამოკიდებულება, პუბლიცისტს კარჩხანასა და ქარიყლაპიას შეუთავსებელ ცხოვრებას ახსენებს. უმწეო კარჩხანა, მარტო ილუზიური, იდეალური მომავლის იმედით რომ არსებობს და მწარე სინამდვილის მსხვერპლი ხდება, გლეხობის მდგომარეობის თვალხილულ ანალოგიას წარმოადგენდა, ხოლო ქარიყლაპიას ფილოსოფია ტოლფასი იყო ძლიერთა რწმენისა, რომ მათ მოპოვებული აქვთ სუსტის დამორჩილება-განადგურების სრული უფლება. იმერეთის სოფელში მომხდარი ფაქტის გაანალიზებისას ხონელს ფელეტონში პირდაპირ გადმოაქვს სატირული შხამით ადვსილი შჩედრინისეული სტრიქონები, რადგანაც ისინი ავტორის ჩანაფიქრს და თვალსაზრისს ზუსტად მიესადაგა. ეს კი უბადლო ლიტერატურული განზოგადების გონივრული გამოყენებაა და არა უბრალო მიმბაძველობა.

ფელეტონი „ველური თავადაზნაურობა“ რომ შჩედრინის მიმბაძველითაა დაწერილი, თვით ავტორი გვამცნობს. მოქმედება ვითარდება ფილოსოფიური ზღაპრის „ველური მემამულის“ მსგავსად და მას სასტიკი, მამხილებელი სატირითაც ენათესავება. მაგრამ თითოეული პერსონაჟი იმდენადაა ეროვნული თავისებურებების მატარებელი, იმ-

¹ გაზ. „ივერია“, 1886, № 198.

² საქ. ცსა, ფ. 480, აღწ. 1, საქმე № 992. გვ. 286.



დენად მყარად დგას ნაციონალურ ნიადაგზე, რომ უთუოდ ორიგინალურ ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

პუბლიცისტიკისათვის უცხო იყო ე. წ. „დაშაქრული იუმორი, რომელიც მხოლოდ მკითხველის გართობას ისახავდა მიზნად და ატროფირებული ჰქონდა სატირული შეტევის, მწვავე კრიტიკის უნარი. ი. ხონელის პუბლიცისტური სატირა მებრძოლი ხასიათისაა, რომელიც კიდევ უფრო გამმაფრებელია ნაირგვარი სატირული ხერხებით. მის ფელეტონებში ყოველთვის მკაფიოდ იკვეთება ავტორისეული „მე“, საზოგადოებრივი ორიენტაცია, დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილისადმი. მტკივნეული პრობლემის დანახვისა და წინ წამოწევის უნარით დაჯილდოებული სატირიკოსი ფაქტებსა და მოვლენებს მიზეზ-შედევობრივ კავშირში, დიალექტიკურ განვითარებაში განიხილავს.

ი. ხონელს ასასიათებდა მკვეთრი ინდივიდუალობა. გ. ქიქოძის აზრით, პუბლიცისტი იძლევა თავისი „ეპოქის მატრიანეს, მეტად საინტერესოს თავის გონებამახვილობით, დაკვირვების ნიჭითა და მოვლენების და ადამიანების პირუთენელი ასახვით“¹.

მრისხანე, ქმედითმა გამოსვლებმა ი. ხონელს მრავალი მტერი და აუგად მომხსენიებელი შესძინა, მაგრამ მან შესანიშნავად იცოდა, რომ „ჟურნალისტს, თუკი ის განუხრელად ისწრაფვის მიზნისაკენ... უნდა ესმოდეს, რაკი ცხოვრების ამმორებულ ჭაობს შეეხო, კისრად უნდა იდოს ყოველივე „მშვენიერება“, რაც განუყრელად უკავშირდება ბეჯითი სანიტრის როლს“².

¹ გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1963, გვ. 217.

² გაზ. «Новое обозрение», 1889, № 1812.



თამარ მაღალურაძე

ლეო ქიაჩელი ადრეული კუზლიცისტური წარჩლავის არქონულ-პოლიტიკური პროგნოზები

ლეო ქიაჩელი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც არასოდეს მოკლებიათ კრიტიკოსთა ყურადღება. ეს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა 1905 წლის რევოლუციის თემაზე შექმნილმა „ტარიელ გოლუამ“. მოთხრობის ავტორი იმთავითვე სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელთა რიგებში ჩააყენეს და მისი შემოქმედებაც ამ თვალსაზრისით შეაფასეს თუ გააანალიზეს. რაც შეეხება მწერლის ჟურნალისტურ მოღვაწეობას, ის მკვლევართა ინტერესის მიღმა აღმოჩნდა. არადა „პაკი აძბას“ ავტორის პუბლიცისტური წერილების შესწავლის გარეშე ლეო ქიაჩელის, როგორც მოქალაქისა და შემოქმედის, სრულყოფილად წარმოჩენა შეუძლებელია.

წინამდებარე სტატია სწორედ აღნიშნული ხარვეზის შევსების მოკრძალებული ცდაა და მკითხველს აცნობს გაზეთ „ალიონში“ 1917 წელს გამოქვეყნებულ რამდენიმე წერილს.

როგორც ცნობილია, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ძირეულად შეცვალა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება. იმპერიაში დაიწყო რადიკალური დემოკრატიული რეფორმები, რამაც დამონებულ ერებს ძალით თუ ნებაყოფლობით დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი ჩაუსახა. განსაკუთრებული სიმწვავეით დადგა ავტონომიის მოპოვების საკითხი. ქართული სოციალ-დემოკრატების ეროვნულად განწყობილმა ნაწილმა, რომელთა რიცხვს ლ. ქიაჩელიც მიეკუთვნებოდა, განიზრახა დამოუკიდებლობისათვის



ბრძოლა. 1917 წლის 11 ივნისს უნდა გახსნილიყო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების საოლქო ყრილობა და პარტიის რომელმაც თავი მოიყარა გაზეთ „ალიონის“ გარშემო, დაიწყო ავტონომიის იდეის აქტიური და მიზანმიმართული პროპაგანდა.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო, ფართო მასებისათვის განემარტათ, რას ნიშნავდა ავტონომია, რას მოუტანდა იგი მთლიანად საქართველოს და ცალკეულ დაბასა თუ სოფელს, თითოეულ მოქალაქეს. სხვაგვარად მოსახლეობის აქტიური და შეგნებული მხარდაჭერის იმედი ვერ ექნებოდათ. ლეო ქიაჩელმა, როგორც საკმაოდ გამოცდილმა პრაქტიკოსმა რევოლუციონერმა და ბრწყინვალე ორგანიზატორმა, შესანიშნავად უწყობდა ჯერ კიდევ 1905 წლის მაგალითზე, რომ ხალხი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმას, თუკი თავისთვის უეჭვო სარგებელს დანახავდა.

გაზეთ „ალიონის“ 1917 წლის მეოთხე და მეხუთე ნომრებში დაიბეჭდა მწერლის საუბარი ავტონომიის შესახებ სათაურით „გზა და გზა“. წერილს ავტორმა ეფექტური და მოხდენილი ფორმა გამოძებნა უაღრესად საჭირობოროტო პუბლიცისტური გამოსვლისათვის: დილითანში გაესაუბრა შვიდ თანამგზავრს: ორ ქალს, სამ გლეხს, ვაჭარსა და „გამოურკვეველი წოდებისა და პროფესიის ახალგაზრდას“. სავსებით აშკარაა, რომ საუბრის მონაწილენი ნებისმიერად არ განლდათ შერჩეული. მგზავრთაგან ყველაზე ბევრნი გლეხები იყვნენ — სამნი. ეს შემთხვევითი როდია. იმხანად საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა სოფლად ცხოვრობდა და რეფერენდუმ-არჩევნების დროს სწორედ მასზე იქნებოდა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. გლეხების შემდეგ მგზავრთა შორის ქალები სჭარბობდნენ. არც ეს იყო შემთხვევითი. 1917 წლის რევოლუციის დროს (როგორც ახლახან მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, საერთოდ ყოველი სოციალურ-პოლიტიკური გარდატეხების ყამს) ქალები უაღრესად პოლიტიზირებულ და აქტიურ ძალას წარმოადგენენ და მათი მხარდაჭერა აუცილებელი იქნებოდა ავტონომიის მოსურნეთათვის. დანარჩენ ორ მგზავრთაგან ერთი ვაჭარი იყო და ერთი „მუდმივი სტუდენტის“ ტიპის ახალგაზრდა. ვაჭარი უთუოდ მხარს დაუჭერდა ავტონომიას, თუკი თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნევდა, მაგრამ უკანდასახევ გზას აუცილებლად დაიტოვებდა, თავს არ გაწირავდა. „გამოურკვეველი წოდებისა და პროფესიის“ ახალგაზრდებს ძველის განადგურება ეხალისებო-

დათ და ემარჯვებოდათ კიდევ, მაგრამ ახლის შენება კი არ შეეძლოთ, რადგან, მოგეხსენებათ, ამას რუღუნებით შრომა და ჯაფა სჭირდება. ეს კი მათი ბუნებისათვის, ჩანს, უცხო ხილი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, წოდებაც გარკვეული ექნებოდათ და პროფესიაც. ლეო ქიაჩელმა ყოველივე ეს შესანიშნავად იცოდა და სწორედ ამ პრინციპით შეარჩია თანამოსაუბრენი.

მწერლის პუბლიცისტურ ოსტატობაზე მიუთითებს წერილის სიუჟეტის შერჩევაც — მგზავრობისას ყოველთვის ადვილად იმართება საუბარი თანამგზავრებს შორის. ის, რომ საუბრის მონაწილენი ადრე ერთმანეთს არ იცნობდნენ, გამორიცხავდა პირადი პრობლემების ჩხრეკა-განხილვას. ასეთ დროს უთუოდ ის საკითხი წამოიჭრებოდა, რაც იმ მომენტში ყველაზე მეტად აწუხებდა მთელ საზოგადოებას, ერს, ქვეყანას. საგულისხმოა, რომ ავტონომიაზე საუბარი მწერალმა ვითომდა თავის ნაცნობ გლეხს დააწყებინა (და არა ვაჭარს ან „მუდმივ სტუდენტს“) არც ეს იყო შემთხვევითი. ამით ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოების ყველაზე ნაკლებ პოლიტიზირებული ფენაც კი თვალს ადევნებდა პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებს და აინტერესებდა, მაინც რა ხილი იყო ასეთი „განხეთქილების ვაშლი“ — ავტონომია: „როდესაც საუბარი ჩვენში პარტიულ განხეთქილებას შეეხო, ჩემი ნაცნობი გლეხი მომიბრუნდა და მკითხა:


— ყველაფერი პატიოსანი და კეთილი, მაგრამ გამაგებინე ერთი: რა არის ავტონომია, რომელიც ასეთ უთანხმოებას იწვევს თქვენს შორის?... უნდა გამოვიტყუდეთ, ჩვენ არ გვესმის კარგად მისი შინაარსი. ბევრი აძაგებს, ბევრს კი მოსწონს! ხალხი კი საერთოდ გარკვეულად ვერ არის მიხვედრილი...

— ძირს ავტონომიას ვიძახით, იქნება იგი კარგი საქმეა და ჩვენთვის სასარგებლო! — გააწყვეტინა და სიტყვაში ჩაერთო ჩემს ნაცნობ გლეხს მის გვერდით მჯდომარემ, ჭადარა შერეულმა და ხმელსახიანმა გლეხმა.

ავტონომიის გაგონებაზე ყველამ ყური ცქვიტა. სიჩუმე ჩამოვარდა და საერთო სმენა მე მომეპყრო“¹.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო საუბარი ლეო ქიაჩელმა. მან განუმარტა თანამგზავრებს, რას ნიშნავდა სიტყვა ავტონომია და რას

¹ ლეო შენგელაია-ქიაჩელი, „გზა და გზა“, ვაზეთი „ალიონი“, 1917, № 4, გვ. 2.



მოუტანდა იგი თითოეულ მათგანს. რამდენადაც ავტორს საკუთარი
 ერუდიციისა და განათლებულობის დემონსტრირება კი არ სჭირდება,
 მიზნად, არამედ ამომრჩევლის, თავისუფალი ქვეყნის მომავალი მო-
 ქალაქის გათვითცნობიერება, მსჯელობა კონკრეტულ მაგალითებზე
 ააგო და არა ზოგადფილოსოფიურ კატეგორიებზე. საკითხისადმი ამ-
 გვარი მიდგომა მწერლის პუბლიცისტურ აღლოსა და ადამიანური
 ფსიქოლოგიის შესანიშნავ ცოდნაზე მიუთითებს. დიდი ხანია, დად-
 გენილია, რომ ადამიანს სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი კეთილ-
 დღეობა და საჭიროება აინტერესებს. დანარჩენი ყველაფერი მის
 ყურადღებას მხოლოდ იმდენად იპყრობს, რამდენადაც მისსავე მატე-
 რიალურ თუ სულიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ან საშიშრო-
 ებას უქმნის. სწორედ ამის გათვალისწინებით წარმართა თავისი
 მსჯელობა ლეო ქიაჩელმა. სოფლის ცხოვრების შესანიშნავმა მცოდ-
 ნემ მოკლედ შეახსენა თანამოსაუბრეებს თვითმმართველობის მთა-
 ვარი პრინციპი: სოფელი ირჩევდა მამასახლისს, მის თანაშემწეს,
 მოსამართლეს. საჭირობოროტო საკითხთან დაკავშირებით იწვევდა
 ყრილობას, დებულობდა, გადაწყვეტილებას, რომელიც სისრულეში,
 დავალებისამებრ, მამასახლისს უნდა მოეყვანა. ამ წესს დილიჯანსის
 ყოველი მგზავრი და, ცხადია, საქართველოს მთელი მოსახლეობა
 იცნობდა, ამიტომ ნდობა პუბლიკაციის ავტორისა და ავტონომიის
 სხვა მომხრეთადმი უთუოდ გაიზრდებოდა, რადგან „არც ერთი სოფე-
 ლი არ დასთანხმდება იმას, რომ მისი შინაური კერძო საქმეები
 მაგ. რომელიმე ქალაქში იყოს წარმოებული, სოფლიდან დაშორებუ-
 ლად. არც იმას დათანხმდება სოფელი, რომ მისი შინაური საქმეების
 შესახებ უცხო, გაუგებარ ენაზე წარმოებდეს მსჯელობა, რადგან
 თუ სოფლელებმა ვერ გაიგეს, რას ამბობენ ამა თუ იმ სასოფლო სა-
 კითხის შესახებ, მონაწილეობასაც ვერ მიიღებენ გადაჭრაში“...¹
 მწერლის მიერ მოშველიებული უკანასკნელი არგუმენტი თითქმის
 ყოველი ქართველისათვის უმტკივნეულეს პრობლემას — საქმეთა რუ-
 სულ ენაზე წარმოებას — შეეხო. ძნელად თუ მოიძებნებოდა ისეთი
 მოქალაქე, რომელსაც არ ეცოდინებოდა, „თუ რა უბედურებაა „პე-
 რევიორიკებთან საქმის დაჭერა“². თითქოს საუბრის გაგრძელება ამ

¹ ლეო შენგელაია-ქიაჩელი, „გზა და გზა“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 4, გვ. 2.

² იქვე, გვ. 3.

საჭირბოროტო საკითხზე უფრო უპირიანი იქნებოდა, მაგრამ ლეო ქიაჩელმა ახლა ზოგად პრობლემაზე გადაიტანა მკითხველის ყურადღება — ვინა ვართ ქართველები? ვართ კი ღირსი ავტონომიისაკენ კითხვაზე პასუხის გაცემა ლეო ქიაჩელმა თანამგზავრებს მიაწოდო. თავად კი შეახსენა მათ, რომ ერის რაობას ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, მორთულობა და ზრდილობიანობის წესი, საერთო ჭირი და ღვინი განსაზღვრავდა: „ამიტომ არის, —წერდა იგი, — რომ თუმცა ჩვენ რუსებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მაგრამ რუსები კი არა ვართ... ისე როგორც თვითოეულს სოფელს, როგორც მოგვხსენებათ, აქვს თავისი შინაური კერძო საქმე მოსაწყობი და მოსაგვარებელი, სწორედ ამნაირადვე მთელს ქართველობას, მთელს საქართველოს რუსეთის სახელმწიფოში აქვს საკუთარი საქმეები, რომლებიც თვითონ უნდა განაგოს!.

ზოგადად ქართველობისა და საქართველოს საკითხზე საუბრის შემდგომ, პუბლიცისტი კვლავ სოფლის თვითმმართველობის საკითხს დაუბრუნდა, რადგან კარგად იცოდა, რომ გლეხის გულისა და გონებისაკენ მიმავალი გზა სოფელზე, მის სატკივარზე გადიოდა. მან შეახსენა თანამგზავრებს, რომ ყოველ სოფელს თავისი საზღვარი ჰქონდა, რითაც მეზობელ სოფლებს ემიჯნებოდა. ერთი ყრილობის დადგენილება და მამასახლისი მეორეს ხელს არ უშლიდა, საკუთარ პრობლემას კი აგვარებდა. თანაც სავსებით გამოყოფილი მომიჯნავე დასახლებიდან სრულებითაც არ იყო. საქართველოს ავტონომიაც არ მოასწავებდა რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას.

თავისი მოსაზრების ნათელსაყოფად ლეო ქიაჩელმა უადრესად საჭირბოროტო და მტკივნეული პრობლემა შეარჩია — კოლხეთის დაბლობის ამოშრობა. მთელი დასავლეთ საქართველოსათვის ციებ-ცხელება ხომ გამანადგურებელ, მოუშორებელ ჭირად იყო ქცეული, ყველა ოჯახის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას უქმნიდა საფრთხეს. ამიტომაც მიზანს უთუოდ მიაღწევდა ქიაჩელის მიერ ოსტატურად დასმული კითხვა და მასზე გაცემული პასუხიც: „ისეთ დიდ სახელმწიფოში, როგორც რუსეთია, რომელშიაც ჩვენი ხალხი ისეა გარეული, როგორც წვეთი ზღვაში, ამისთანა კუთხურ, ადგილობრივ გასაჭირს ვინ მიაქცევს ყურადღებას? ათასი ერთისათვის ველარ მოი-

¹ ლეო შენგელაია-ქიაჩელი, „გზა და გზა“, ვაზეთი „ალიონი“, 1917, № 4, გვ 3.

ცლის. მით უმეტეს, ამისთანა გასაჭირები მრავალი იქნება. როცა ადგილობრივი საქმეები თვითონ ადგილობრივ ხალხს ებარება, რა თქმა უნდა, თავის ჭირს ის უფრო გულმოდგინედ და დაუგვიანებლად გამოუნახავს წამალს“¹.

ცხადია, ამგვარი კონკრეტული არგუმენტებით გამყარებული პუბლიცისტური წერილი უაღრესად ეფექტური იქნებოდა და ავტორისათვის სასურველ საზოგადოებრივ აზრსაც აუცილებლად შექმნიდა. ამიტომ შეიძლებოდა უფრო თამამი განცხადების გაკეთებაც. ლეო ქიაჩელმაც არ დააყოვნა: „თუ მე შენ გიწერ კანონს და მით გეუბნები, ასე იცხოვრე შენსა და ასე მეოქი, მე უთუოდ შენი ბატონი ვარ. თავისუფლებას კი ეს არ შეეფერება“².


ბუნებრივია, მწერალს სურდა, მკითხველები ავტონომიის შევენებულ მომხრეებად, ამ იდეისათვის მებრძოლებად ექცია. მასზე კი სხვისი მაგალითი ჯადოსნურად მოქმედებს. ამიტომ ლეო ქიაჩელმა თავისი წერილის I ნაწილი მანამდე სკეპტიკურად განწყობილი თანამგზავრების აღტაცებული შეძახილებით დაასრულა: „ეს უპირველესი საქმე ყოფილა ჩვენთვის!“³

ამგვარად შემზადებულ აუდიტორიასთან უფრო სერიოზულ და ზოგად საკითხებზე შეიძლებოდა საუბარი, კერძოდ, პარლამენტის რაობასა და დანიშნულებაზე. ავტონომიის მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატებს სურდათ, საქართველოს პრობლემები კვლავ პეტროგრადში გადაჭრილიყო, რუსეთის პარლამენტში. ცხადია, საზოგადოებას კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით უნდა განმარტებოდა, რეალურად ეს რას ნიშნავდა. სწორედ ეს ფუნქცია შეასრულა ქიაჩელის წერილის II ნაწილმა. ორმილიონიან საქართველოს ასი დეპუტატი (ოცი ათას კაცზე — ერთი) მაინც უნდა წარედგინა რუსეთის პარლამენტში, რათა თავისი ინტერესები ჯეროვნად დაეცვა. ცხადია, იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყანა ამდენივე (თუ უფრო მეტს არა) წარმომადგენელს გაგზავნიდა პეტროგრადში. ამ რაოდენობის ხალხის დამტევი შენობა კი საერთოდ არ ეგულებოდა მწერალს პეტრეს ქალაქში. თანაც, ესეც რომ არ ყოფილიყო, ხალხმრავალ კრებაზე გამწელებოდა კონკრეტული საკითხების გადაჭრა. ეს ყოველმა მკითხველმა

¹ ლეო შენგელაია-ქიაჩელი, „გზა და გზა“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № გვ. 2.

² იქვე, გვ. 3.

³ იქვე.



იცოდა. ამდენად, პუბლიცისტის მიერ ნაპოვნ გამოსავალს („ის ასი დე-პუტატი, რომლებსაც ჩვენი ხალხი აქ ამოირჩევს, აქვე დარჩნენ ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივ საქმეთა საწარმოებლად. იმსჯელონ ჩვენს გასაგებ ენაზე საქვეყნო ვასაჭირზე და იკანონმდებლონ ადგილობრივი პირობების მიხედვით!“) მრავალი მკითხველი მიიჩნევდა ერთადერთად და თანაც გონიერულად.

ცნობილია, რომ მრავალი ფილოსოფოსი და მოაზროვნე კაცობრიობის მამოძრავებელ ვნებათაგან უძლიერესად ძალაუფლებისმოყვარეობას მიიჩნევს. სწორედ ეს სიმი (პატიმოყვარეობისა და საკუთარი თავის განსაკუთრებულობის შეგრძნების) შეარხია ლეო ქიაჩელმა, როცა კვლავ დაუბრუნდა რუსული ენის პრობლემას.

მან შეახსენა მკითხველ საზოგადოებას, რომ თუ პარლამენტი მაინც და მაინც პეტროგრადში უნდა ყოფილიყო; მაშინ დეპუტატად მხოლოდ რუსულის კარგი მცოდნე გაიგზავნებოდა. რუსული კი საქართველოში მხოლოდ „ნასწავლებმა იცოდნენ“. მწერალმა ეს ხალხის უფლების შეზღუდვად მიიჩნია და რამდენიმე კითხვა დასვა: „იქნება მე არ ვიცი რუსული, მაგრამ ჩვენი ქვეყნის საქმე კარგად ვიცი და ხალხის ინტერესებს, მის უფლებას ჩინებულად დავიცავ? რატომ მე არ უნდა ამირჩიოს ხალხმა და მაინცა და მაინც რუსულის მცოდნე? (ხაზი ჩვენია თ. მ.) სოფელში ვინ იცის მაინცა და მაინც რუსული?!“¹

ალბათ, ძალიან არ შეეცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ეს კითხვა (რატომ მე არ უნდა ამირჩიოს ხალხმა და მაინცა და მაინც რუსულის მცოდნე?) სოფლის ბევრ პატივმოყვარე თავკაცს არ მოასვენებდა და პასუხსაც მალე აპოვნინებდა: თუ ავტონომიას მოვიპოვებთ, გვექნება ქართული პარლამენტი, დეპუტატობისათვის რუსულის ცოდნა აღარ იქნება გადამწყვეტი და შესაძლოა, მეც ამირჩიონ, რადგან ჭკვიანი, პატიოსანი, სოფლის გულშემატკივარი ვარ. ასეთი კაცი უთუოდ ავტონომიის მომხრეთა შორის აღმოჩნდებოდა და აქტიურ პროპაგანდასაც გაუწევდა ლეო ქიაჩელისათვის სასურველ იდეას. თანაც, როგორც წესი, ამგვარად მოაზროვნენი სოფლის ადიარებულ თავკაცთა შორის სჭარბობდნენ და, ცხადია, დიდ გავლენას მოახდენდნენ თანასოფლელთა არჩევანზე.

¹ ლეო შენგელაია-ქიაჩელი, „გზა და გზა“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 5, გვ. 3.




მწერლის პუბლიცისტური გამოსვლა კი სწორედ ამას ისახავდა. მიზნად — საქართველოს ავტონომიის მომხრეთა რიცხვის გზავლას და შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

მას შემდეგ, რაც თებერვლის რევოლუციამ ერთა თვითგამორკვევის უფლება ცნო, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ადვილად ირწმუნა იმპერიის შემობრუნება ჰუმანისტური იდეალებისაკენ და ფიქრობდა, ახალი რუსეთი სხვა ერთა ჩაგვრა-დამონებას აღარ ისურვებსო. ჩანს, პოლიტიკური გულუბრყვილობა ჩვენი ეროვნული თვისებაა. ამით აიხსნება „გეორგიევსკის ტრაქტატიცა“ და ბოლოდროინდელი მოვლენებიც. 1917 წელს მრავალნი ამტკიცებდნენ, რუსეთი გამოიცვალა, ის აღარაა ხალხთა საპყრობილე, დემოკრატიის აღმშენებლობის გზას დაადგა და ცნობს ყველა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ ხელშეუხებლობასო. მათგან განსხვავებით, ლეო ქიაჩელს არ სჯეროდა, რომ იმპერიული მსოფლმხედველობა, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული და ნალოლიავეები, ასე ერთი ხელის დაკვრით შეიცვლებოდა. მაგრამ ხმამაღლა ამის განცხადება იმხანად სახიფათო იყო. არც ვაჩუმება შეიძლებოდა. პუბლიცისტმა შესანიშნავი ფორმა მოძებნა — „ალიონის“ მეთორმეტე-მეცამეტე ნომერში გამოაქვეყნა არაკისებური (ტერმინი ავტორისეულია) მოთხრობა „ბერი და ყორანი“. მოკლე შინაარსი ასეთია: ერთ მთაზე, გამოქვაბულში, ცხოვრობდა დეთისმოსაობით და ტკბილი გალობით სახელგანთქმული ბერი. მისი ხმა ვერცხლის ზარის ჯადოსნურ რეკვას ჰგავდა. საიდან აღარ მოდიოდნენ მასთან. მხეცებიც და ფრინველებიც სულგანაბულნი უსმენდნენ. გამოქვაბულის მახლობლად ერთი, სამას წელს მიღწეული, ყორანი ბინადრობდა. ბერის ხმამ მისი ყურადღებაც მიიქცია, მაგრამ ადვილად ვერ ირწმუნა, რადგან დიდხანს ცოდვიან დედამიწაზე ნაცხოვრებს აღარაფრის სწამდა და ეშინოდა, სიკვდილის გარდა. მაგრამ ბოლოს ისიც „შეაკრთო ბერის ხმამ. მოეჩვენა, თითქოს ისეთი რამესათვის მოეკრას ყური, რასაც შეეძლო მთელი მისი არსების შეცვლა-გარდაქმნა¹. მაგრამ არც ამის შემდეგ დაუგდია თავისი ყორნული ცხოვრების წესი, თუმცა ბერის მოსმენა მოთხოვნილებად გადაექცა.

ერთხელ ყორანმა დაინახა, რომ ბერის ირგვლივ ყველა ჯურის

¹ ლეო ქიაჩელი, „ბერი და ყორანი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 12, 33. 3.



ფრინველსა და ცხოველს მოეყარა თავი. „განსაკუთრებით იმან კავა-
კვირვა, რომ იქ შეკრებილთ ნაცვლად მათი ბუნებრივი მკაცრ-რისხ-
ვიანი გამომეტყველებისა, ბერის ლმობიერი და ღვთიანი სახის იერი
გადაჰკრადა“¹. ყორანმა გულში გაიფიქრა; „ის რაც ხდება, უამესი
და უკეთესი არის იმაზე, რაც აქამდის იყო“². ამიტომ მივიდა ბერ-
თან და სთხოვა, შევედრებინა უფლისათვის მისი ცოდვილი სუ-
ლი. წმინდა კაცმა დაამშვიდა, შემოქმედის მადლი შენაირ არსებასაც
გათეთრებსო და ღმერთს მადლობა შესწირა სასწაულის მოვლენისა-
თვის.

იმ დღიდან ფრთოსანმა ყორნული ცხოვრების წესს უკლო და ბე-
რისას მიბაძა. „ეს იყო იღუმალი სულიერი მოთხოვნის დაკმაყო-
ფილება ახალი ცხოვრების დაწყებით და უკვდავება-მარადისობის შე-
მეცნება-მოპოვებით!“³, მაგრამ კეთილშობილურ სურვილს, თუ ის
ცოცხალი არსების, მით უმეტეს ერის, სახელმწიფოს ჭეშმარიტი
ბუნებიდან არ მომდინარეობს, განხორციელება არ უწერია. ეს კი-
დევ ერთხელ დადასტურდა ამ არაკვიც. ერთხელ ბერი ჩვეულებრი-
ვად აღარ გამოვიდა საგალობლად. პირველ დღეს ამაოდ უცადა ყო-
რანმა, მეორე საღამოს კი სენაკში ფრთხილად შევიდა. ღმრის სუნი
ეცა, მაგრამ იფიქრა, მეზმანაო და აფორიაქებული გარეთ გამოვიდა.
„თითქო ისიც იყო, რომ მისი გულის სიდრმეში იღვიძებდა ძველი
ცნობიერება, ძველი, თითქმის სამასი წლის ცხოვრების გამოცდილე-
ბაზე აგებული, და ამ ცნობიერებას უკანასკნელი სამი დღის ნახულ-
განცდილიც ადასტურებდა — დონეშემატებული გაემართა იგი სენა-
კისაკენ... ძველი სული ჩაუდგა ყორანს. მის წინ სათაყვანებელი ბე-
რის უბრალო ლეში ეგდო. რომლის სუნი მშობლიურ ბუნებას უღვიძე-
ბდა მას და ცხოველურ გემოს უძრავდა...“

— სიკვდილი! — უფრო დაბეჯითებით სთქვა, და ამით თითქო
საბოლოოდ დადასტურა ქვეყნის წინაშე როგორც ბერის, ისე მისი
ზღაპარი ცხოვრების ამაოება...“⁴ (ხაზი ჩვენია თ. მ.).

ალბათ ძალიან არ შეეცდებით, თუ სამას წელს მიღწეულ ყორან-

¹ ლეო ქიაჩელი, „ბერი და ყორანი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 12, 33.3.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ ლეო ქიაჩელი, „ჩემი სიტყვა ამხანაგებისადმი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 13, 33. 1.

ში რუსეთის იმპერიას დავინახავთ, ბერის ტკბილ გალობაში საქართველო
კრებულის
ტომი
ველთაო სოციალური სამართლიანობის უტოპიურ იდეალს, უხსოვარი დროიდან ხიბლავდა კაცობრიობას, ტკბილხმოვან ბერში —
იმ ადვილად მორწმუნე, გულუბრყვილო და პატიოსან ადამიანებს,
რომელთაც სწამდათ ყორნის (იმპერიის) გათეთრების შესაძლებლო-
ბის, ხოლო არაკის ტრაგიკულ ფინალში — ქიაჩელის მიერ ნაწინას-
წარმეტყველებ 1921 წლის 25 თებერვალს.

თუკი ფერშეცვლილი იმპერიის ჭეშმარიტ ბუნებაზე მინიშნება
მხოლოდ იგავ-არაკით შეიძლება, ქართველი ერის ისტორიულ წა-
რსულზე, ღირსებებსა და ხასიათზე საუბარი ნაკლებ სახიფათო იყო.
ამიტომაც გაზეთ „ალიონის“ იმავე მეცამეტე ნომერში, არაკის დასას-
რულთან ერთად, პირველ გვერდზე დაიბეჭდა ლეო ქიაჩელის წერი-
ლი-მისაღმება „ჩემი სიტყვა ამხანაგებისადმი“. აღნიშნული ნომერი
გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ყრილობის გახ-
სნის დღეს, 1917 წლის 11 ივნისს. ამ ყრილობაზე უნდა გადაწყვე-
ტილიყო საქართველოს ავტონომიის ბედი. ამიტომ ლეო ქიაჩელმა
აუცილებლად ჩათვალა, აუდიტორიისათვის შეეხსენებინა, ძალიან მო-
კლედ და გაკვირთ, თავისი რევოლუციური წარსული და ერთგვარად
დაესაბუთებინა საკუთარი უფლება ამგვარი მიმართვის გამოქვეყნები-
სა. იგი წერდა: „ვიმადლებ კი ხმას, როგორც თქვენი თანამებრძოლი,
იმიტომ, რომ კარგად მესმის პოლიტიკური მნიშვნელობა თქვენის
ყრილობის არა მხოლოდ პარტიისათვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნი-
სათვის, ამასთანავე, როგორც მწერალი მწვავედ ვგრძნობ, თუ რამდენ-
ნად არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ბედი მომავალი ყრილო-
ბის იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეეხება საქართველოს წყობი-
ლებას, როგორც ისტორიულ-ეროვნულ ერთეულს“¹.

საგულისხმოა, რომ ამგვარი პასუხისმგებლობა ერის წინაშე სა-
კუთარი სურვილით როდი დააკისრა მწერალმა აღნიშნულ ყრილობას.
იმ დროისათვის უკვე სავსებით გარკვეული იყო, რომ ქართველი
დემოკრატია და, მაშასადამე, ერიც ამ პარტიის დროშის ქვეშ იბ-
რძოდა „სახელმწიფოებრივის და საერთაშორისო თავისუფლებისა-
თვის“². პუბლიცისტიმა შეახსენა ყრილობის მონაწილეებს, რომ ქარ-
თველებს არასდროს არ უღალატიათ ამ დიდი დროშისათვის უდი-

¹ ლეო ქიაჩელი, „ჩემი სიტყვა ამხანაგებისადმი“, გაზეთი „ალიონი“,
1917 № 13, გვ. 1.

² იქვე.

დესი განცდელის დროსაც კი და იქნება, „ერთად ერთს დაუჭერიათ მაგ ღლა საუკეთესო გმირშვილთა სიცოცხლისა და თავისი საბედების შეწირვით“¹. ავტორისათვის ეს ქართველი ხალხის „ისტორიული და ეროვნული თვისება“ გახლდათ, რომელსაც, სამწუხაროდ, როგორც „ქრისტიანობის დროშამ ვერ განუხორციელა... სანუკვარი საკაცობრიო იდეები, ისე მისმა პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის წინანდელმა ხელმძღვანელებმა სხვა და სხვა დინასტიების სახით ვერ იხსნეს საბოლოოდ დამარცხებისა და ჩაგვრა-წამებისაგან“².

ლეო ქიაჩელი, შესანიშნავი ფსიქოლოგი და ადამიანური სისუსტეების ბრწყინვალე მცოდნე, ცხადია, კარგად იცნობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების პატივმოყვარე ბუნებას და მათი უსაზღვრო ამბიციურობის სიმს შეეხო: ის, რაც ვერ შეძლო ვერც ქრისტეს ჯვარმა და ვერც ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანმა დინასტიამ, თქვენ, ქართველი პროლეტარიატის ბელადებს ხელგეწიფებათო, მუშური ინტერნაციონალური დროშა, „მოწოდებულია ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას ყოველნაირი ჩაგვრა დედამიწაზე და, თავის-თავად ცხადია, ეროვნულიც, გარდაქმნას როგორც საზოგადოებრივი ცხოვრება, ისე ერთა და სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულება და დაამყაროს ახალი ურთიერთობა, დაფუძნებული სამართლიანობასა და სრულ თავისუფლებაზე“³. რასაკვირველია, „ბერი და ყორანის“ ავტორს ამგვარი ფერიცვალების ნაკლებად სჯეროდა, მაგრამ არ უნდოდა, რეალური შესაძლებლობა დამოუკიდებლობის მოპოვებისა არ გამოეყენებინათ, რადგან მაინც იმედოვნებდა, ეგება „საერთაშორისო სოც.-პოლიტიკურ თავისუფლებას“ „პატარა ერების საბოლოო და ნამდვილი ხსნაც“ მოეტანა⁴. ამიტომ მიმართა ყრილობის მონაწილეებს: „ჩვენში ამ საძირკვლის კალატოზები თქვენა ხართ, თქვენ ქართველი პროლეტარიატისა და დემოკრატიის მებაირახტრენი და განა შეიძლება, რომ ერთ-ერთი ქვა ამ დიდის საძირკვლისა ქართველი ხალხის თავისუფლება არ იყოს? დღეს, როცა ერთა თვითგამორკვევა ერთი ლოზუნგთაგანია რუსეთის რევოლუციისა, და საერთაშორისო დემოკრატიაც მედგრათ მოითხოვს ამასვე, განა შესაძლებელია, თა-

¹ ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, „ჩემი სიტყვა ამხანაგებისადმი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 13, გვ. 1.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.



ვისუფალ ერთა შორის არ მოჰყვეს ქართველი ერიც, რეჩეღსაჲსა
 ესოდენი ენერგია და სისხლი დაუხარჯავს თავისუფლებისათვის. მხოლოდ ჩვენს დროში, არამედ თავისი მრავალწლოვანი ისტორიის
 დასაბამიდანვე?¹. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყრილობის დელეგა-
 ტების უმრავლესობა დაავადებული არ ყოფილიყო საერთო ქართული
 სენით — „რას იტყვის საზღვარგარეთი?“ სწორედ ეს სიმი შეარხია
 ლეო ქიაჩელმა თავისი მისალმებით და მის მიერ დასმულ რიტორიკულ
 შეკითხვებსაც თავადვე უპასუხა, თანაც იმგვარი ტონით, რომელიც
 საერთოდ გამორიცხავდა სხვაგვარი პასუხის არსებობას: „დიადაც,
 რომ არ შეიძლება! გაწბილება იქნებოდა საშინელება! იმედის გაც-
 რუება — ხალხის მოკვდინება!“². ამ პუბლიცისტური ხერხის გამოყენე-
 ბა უთუოდ მიუთითებს ლეო ქიაჩელის იშვიათ ფსიქოლოგიურ აღლო-
 ხე. აღნიშნული პუბლიკაციის ეფექტურობის გადაჭარბებით შეფასება
 შეუძლებელია. აკი იმთავითვე სწორედ განსაზღვრა წერილის ზემო-
 ქმედების ძალა „ალიონის“ რედაქციამ და გაზეთის პირველ გვერდზე
 მოათავსა იგი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლეო ქიაჩელის გამოსვლა შეუმჩ-
 ნეველი არ დარჩენილა და მას მაშინვე გამოეხმაურა ბოლშევიკური
 პრესა. მაგრამ სანამ ლევან ნათაძის საპასუხო წერილს შევეხებოდეთ,
 შევჩერდეთ „ალიონში“ გამოქვეყნებულ „თეზისებზე ეროვნული სა-
 კითხის შესახებ“. აღნიშნული „თეზისების“ დაბეჭდვამდე, გაზეთში
 დიდხანს მსჯელობდნენ ავტონომიის შესახებ. ამ პრობლემას რამდენიმე
 ვრცელი წერილი მიუძღვნა პ. საყვარელიძემ, ხოლო სოციალ-
 დემოკრატების საოლქო ყრილობაზე წარდგენამდე პარტიის ეროვნუ-
 ლად განწყობილი ფრთის დებულებები საჯარო მსჯელობის საგანი
 გახდა. საბოლოო ვარიანტი კი დაიბეჭდა 1917 წლის 18 ივნისს.

ქიაჩელ-ნათაძის პოლემიკის მიზეზების უკეთ წარმოსაჩინად აუ-
 ცილებელია აღნიშნული პროექტის გაცნობა. საქართველოს მომავალი
 ალიონისტებს შემდეგნაირად წარმოედგინათ: „მომავალი სოცი-
 ალისტურად შეკავშირებული კაცობრიობა დაემყარება თავისუფალ
 ავტონომიურ ერებს.

ყოველ ერს აქვს ხელუხლებელი უფლება ეროვნული თვითგამო-
 ბეჭევისა. ეროვნული თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს ერის უფ-

¹ ლეო ქიაჩელი, „ჩემი სიტყვა ამხანაგებისადმი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 13, გვ. 1.

² იქვე.


ლებას თავის საკუთარი ნების თავისუფალი გამოსახვით განსაზღვროს თავისი ეროვნული არსებობისა და განვითარების პირობები.

2. ტერიტორიალურ ერებს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. უტერიტორიო ერებს ექსტერიტორიალური ეროვნულ-კულტურული ავტონომია და ზოგადსახელმწიფოური უფლებრივი გარანტიები მათი ეროვნულ-კულტურული ინტერესებისათვის.

9. ამნაირად, თითოეული ავტონომიური ერის პარლამენტის განკარგულებაში გადადის: კულტი, მართლმსაჯულება, შკოლა, ყველა კულტურული კითხვები, ადგილობრივი ფინანსები, საერობო და საქალაქო თვითმართველობა, ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი სანიტარია და ვიგიენა, საწყლო საქმეები, ტერიტორიალური კითხვები, სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და აღებ-მიცემობა, მიმოსვლა, ადგილობრივი ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი, კოლონიზაცია, აგრარული კანონმდებლობა (მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა), სამთამადლო და ტყის საქმე, სამოქალაქო, სისხლის სასამართლო, საგაჯრო და სოციალური კანონმდებლობის ნაწილი, რამდენადაც ამ დარგში საჭირო იქნება განსაკუთრებულ დებულებათა შეტანა ადგილობრივი ეკონომიურ-კულტურული, ტომობრივი თუ სხვაგვარი სპეციფიკური პირობების მიხედვით, ზოგადსახელმწიფოებრივი საქმეების ასრულება და გაძლოა ცენტრალური პარლამენტის დავალებით თანახმად რუსეთის კონსტიტუციისა; საზოგადოდ ყველა კითხვა და საქმე, რომელიც ეხება შინაურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების მოთხონილებებს და რომელიც არ შედის ცენტრალური პარლამენტის საკომპეტენტო სფეროში¹.

ცხადია, ბოლშევიკებისათვის ამგვარი პოზიცია სრულიად მიუღებელი იყო — „მსოფლიო რევოლუციის“ მოხდენა სახელმწიფოებად დაქუცმაცებულ პროლეტარიატს ერთობ გაუძნელდებოდა. მართლაც, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ყრილობაზე „ალიონში“ დაბეჭდილი პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა ლევან ნათამემ, ხოლო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების ორგანოში „ერთობა“ 1917 წლის 23 ივნისს (№ 79) დაიბეჭდა მისი წერილი, სათაურით „რა მინდოდა მეტქვა პარტიულ ყრილობაზე“. როგორც ბოლშევიკთა დიდი უმრავლესობა, ლ. ნათა-

¹ „თეზისები ეროვნული საკითხის შესახებ“, ვაზეთი „ალიონი“, 1917, № 15, გვ. 1.



მეც შესანიშნავად ფლობდა დემაგოგიური მსჯელობის მეთოდებს და იმგვარად მიაწოდა საკუთარი მოსაზრებები მკითხველს, რომ მნიშვნელოვან მათ მიღმა დაფარული აზრის სწრაფად ამოკითხვა. მან შეასწავა ოპონენტებს, რომ მათი პარტია (სოციალ-დემოკრატიული) ინტერნაციონალური ორგანიზაცია იყო, თუმცა ქართველები ჭარბობდნენ. სოლო ინტერნაციონალურ პარტიას უფლება არ ჰქონდა, ერთი რომელიმე ერის ინტერესები დაეცვა „იმისთანა საკითხებში, რომელიც ყველა ერებს ერთნაირად შეეხება.. ნაციონალური კითხვა ინტერნაციონალურ დაწესებულებაში ისე კი არ უნდა იყოს დაყენებული, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ცალკე ქართველების, ან ცალკე სომხების, ან ცალკე თათრების ცხოვრება. კითხვა ასე დგას: როგორ მოვაწყოთ კავკასიაში ერთა ცხოვრება ისე, რომ ამ ერებს საჩხუბარი არაფერი ჰქონდეთ, რომ ამ ერთა ცხოვრება-კულტურა თავისუფლათ და ბუნებრივად, ძალდაუტანებლათ ვითარდებოდეს“¹. ლ. ნათაძის აზრით, „ერთი ერის გამოყოფა და მისი გადაქცევა განსაკუთრებით ზრუნვის საგნათ—არ არის ინტერნაციონალური საქციელი, ორგანიზაციაში შესულ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლობისადმი ეს საქციელი არა ამხანაგურია, ეს ერთნაირ ნაციონალურ უკმაყოფილებას დაბადებს შიგ პარტიაში“², „ალიონისტების“ პროექტი კი, წერილის ავტორის რწმენით, ამგვარ განხეთქილებას უეჭველად წარმოშობდა. ავტონომიის მომხრენი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ — ლ. ნათაძის ზოგადეთიკური ბრალდებების უარყოფა უეჭველად შოვინიზმად მოინათლებოდა. საბედნიეროდ, ნათაძე ჰუმანისტური იდეალების ქადაგებას არ დასჯერდა და კონკრეტულ საკითხებზე გადავიდა. კერძოდ, იგი აღაშფოთა „ალიონში“ დაბეჭდილმა ნ. საქარელის წერილმა, რომლის ავტორს ერთობ მკრეხელური აზრი გამოუთქვამს — აგრარული საკითხი, ქვეყნის მიწის ბედი ქართველმა ხალხმა, მისმა ავტონომიურმა პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოსო. ლ. ნათაძე იმდენად განარისხა ნ. საქარელის კადნიერმა განცხადებამ, აგრარული კითხვა ჩვენში მხოლოდ ჩვენი ხალხის საქმეა და სხვისი არავისიო,³

¹ ლ. ნათაძე, „რა მინდოდა მეთქვა პარტიულ ყრილობაზე“, გაზეთი „ერთობა“, 1917, № 79, გვ. 2.

² იქვე.
³ იქვე.



რომ გახაზა, როგორც ყოველად მიუღებელი და ნაციონალისტური ტაყაყინული დგან წინასწარვე განჭვრიტა, რომ ქართული ავტონომიის სახელმწიფოებრივ რეგისტრში მაინც მოექცეოდა არაქართველი მოსახლეობის გარკვეული პროცენტი და შეწუხდა: „ვთქვათ იმ ტერიტორიაზე, რომელიც რომელიმე არაქართველი ერთი არის დასახლებული, აღმოჩნდა მაღანი, რომელსაც მთელი რუსეთის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება. „ალიონის“ ლოდიკით ეს მაღანი უნდა ჩამოერთვას იმ წვრილ (მუნიციპალურ) ერთეულს, რომელშიაც ის პატარა არაქართველი ერის ფეფუფი ცხოვრობს, და უნდა გადაეცეს არა სახელმწიფოს, არამედ ქართველი ხალხის პარლამენტს (ხაზი ჩვენია თ. მ.). არ ვიცი, რამდენათ სამართლიანი იქნება ეს, მაგრამ ამასთან, პროექტში მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის ინტერესებია მიღებული და არაქართველების ინტერესები შეზღუდული, ეს კი ეჭვს გარეშეა. თუ „ალიონი“ ამ გზას ჯადაგება. ლოდიკა მოითხოვს, რომ მან პირდაპირ აღიაროს: მე მზათ ვარ ქართველი ერის სარგებლობას ვანაცვალო სხვა ერთა სარგებლობაო“¹. ლ. ნათაძის რწმენით. სწორედ ამ აზრს ამკვიდრებდა ლეო ქიაჩელის წერილი „ჩემი სიტყვა ამხანაგებისადმი“, რადგან მწერლისათვის ქართველი ერის წარსული შარავანდედით იყო მოსილი. „ტარიელ გოლუას“ ავტორის „ნაციონალიზმი“ იქამდეც კი მივიდა, რომ მან საუკეთესო გმირშვილთა მსხვერპლად შეწირვა ქართველი ხალხის ისტორიულ და ეროვნულ თვისებად მონათლა და განაცხადა: „მან (სოც-დემ. ყრილობამ) უნდა აღიაროს მთელი თავისი ავტორიტეტით ქართველი ერის უფლებამოსილება საქართველოს ტერიტორიაზე“². ლ. ნათაძემ ამგვარი განცხადება ლ. ქიაჩელის მიერ ინტერნაციონალიზმის წმიდაწმიდა კანონების ხელყოფად მიიჩნია. ბრალდება საკმაოდ მძიმე იყო და შესაძლოა, ერთობ არასასურველი გამოხმაურება მოჰყოლოდა. ამიტომ პ. საყვარელიძემ აუცილებლად ჩათვალა, ლ. ნათაძესთან პირად საუბარში ქიაჩელის წერილის ტონი მის ბელეტრისტულ ნაწარმოებად გამოცხადებით შეერბილებინა და გაემართლებინა.

სხვა გზა აირჩია ლ. ქიაჩელმა. „ალიონის“ 25 ივნისის მეჩვიდმეტე ნომერში დაიბეჭდა მწერლის „მოკლე პასუხი ამხ. ლევან ნათაძეს.“

¹ ლ. ნათაძე, „რა მინდოდა მეთქვა პარტიულ ყრილობაზე“, გაზეთი „ერთობა“, 1917, № 79, გვ. 3.

² იქვე.

უპირველეს ყოვლისა, პუბლიცისტმა განიზრახა ზოგადპოპულარულ ფორ-
მებს ამოფარებული კრიტიკოსის პიროვნება გაეცნო მკითხველისათვის
და მისდამი ნდობა შეერყია. ამ მიზნით, ლ. ქიაჩელმა საზოგადოებას
შეახსენა ნათაძის ერთობ მერყევი პოზიცია ერთგულ საკითხში და
თანაც ისე, რომ კრიტიკის ობიექტი ძალიან არ გაენაწყენებინა:
ლ. ნათაძის ურთიერთგამომრიცხავი გამოსვლები გულწრფელობად მო-
ნათლა. როგორც წერილიდან ირკვევა, პარტიულ ყრილობაზე პუბლი-
კაციის ადრესატი ჯერ 'ნოე ყორღანას' წინააღმდეგ გამოსულა, ხო-
ლო როდესაც საქართველოს მომავალი პრეზიდენტის ერთგულ პრო-
ექტს კენჭს უყრიდნენ, საჯაროდ მხარი დაუჭერია მისთვის. ლ. ქიაჩე-
ლი წერს, რომ პირადად მას ძალიან მოსწონებია მაშინ ეს საქციელი.
რადგან „იგი ფრიად დამახასიათებელი იყო“¹ (ხაზი ჩვენია თ. მ.) და
დასძინა, „გულწრფელობა მშვენიერი თვისებაა. ყოველ შემთხვევაში
იგი ყველასაგან მოწონებულია“². შემდეგ კი, ჩვენი აზრით, ერთობ სა-
ინტერესო და მრავლისმთქმელი ახსნა გამოუძებნა საზოგადოების ამგვარ
დამოკიდებულებას გულწრფელობისადმი: „იქნებ ეს იმიტომ არის,
რომ ლოგიკის კანონებს (ხაზი ჩვენია თ. მ.) ეს თვისება მაინც და
მაინც არ ემორჩილება“³.

მას შემდეგ, რაც ნათაძის პრინციპულობისადმი მკითხველის ნდო-
ბა საკმაოდ ოსტატურად შეარყია, ლ. ქიაჩელმა შეფარული ირონიით
განაგრძო, მე პირადად „ერთობაში“ დაბეჭდილი წერილის ავტორის
გულწრფელობა მწამს და მომწონს, მაგრამ რადგანაც გამოსვლა პუ-
ბლიცისტურია, „მისი გასინჯვა მხოლოდ ლოგიკისა და აზრის საზო-
მით არის შესაძლებელი, და... ამ შემთხვევაში ადგილი სწორედ ლო-
გიკასა და აზრს უნდა დაეთმოს-“⁴.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მსჯელობა ლ. ქიაჩელმა ლ. ნათაძის
წერილზე და ზოგიერთი ლოგიკური უხერხულობა შენიშნა. როგორც
უკვე აღვნიშნეთ, ნათაძის მთავარი ბრალდება იყო „ალიონის“ მიერ
ინტერნაციონალიზმის პრინციპების დარღვევა და ქართველთა ეროვ-
ნული ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭება. იმხანად ეს მომა-
კვდინებელ ცოდვად და პროლეტარიატის დიდი მიზნის — მსოფლიო

¹ ლ. ქიაჩელი, „მოკლე პასუხი აშხ. ლევან ნათაძეს“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 17, გვ. 1.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

რევოლუციის — დალატად ითვლებოდა. ყველა უფროსი ამგვარ ბრალდებას და აკი პ. საყვარელიძემაც სცადა, თავი ემართლებინა ლ. ქიაჩელის წერილი ბელეტრისტული ნაწარმოებიაო. ცხადია, წერილის ავტორისაგანაც ამასვე ელოდნენ. მწერალმა კი კვლავ გამოიჩინა მისთვის ჩვეული გამბედაობა და პირველ რიგში შემდეგით დაინტერესდა: მართალს ბრძანებს ამხ. ლ. ნათაძე, როდესაც ამტკიცებს, რომ „პარტიაში სდგას კითხვა: „როგორ მოეწყოს კავკასიაში ერთა ცხოვრება“, ეს უკვე იმას მოასწავებს, რომ პარტია უნდა შეეხოს თითოეული ერის ეროვნულ საკითხს კავკასიაში და თავისი პრინციპების მიხედვით გადაჭრას იგი“¹, მაგრამ კავკასიის ერებს შეადგენენ ქართველები, სომხები და თათრები და „უცნაურია, რატომ უნდა დავმალოთ, რომ კავკასიის ერები ესა და ეს ერებია?.. თუ ფიქრობთ „კავკასიის ერების“ თქმის ნაცვლად სომხების, თათრების და ქართველების და სხვათა უფრო იცავთ ინტერნაციონალურ პრინციპს, ეს ხომ, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილობაა“².

ამის შემდეგ ლ. ქიაჩელმა საკმაოდ ეფექტურ პუბლიცისტურ ხერხს მიმართა: ჯერ ირონიული გულუბრყვილობით დაინტერესდა, თუკი ჩვენს პარტიას „რუსული“ ჰქვია, ის უთუოდ ინტერნაციონალურია. „ან თუ ვიტყვით მაგ.: აგრარული კითხვა რუსეთში მხოლოდ რუსეთის ხალხის საქმეა და სხვისი არვისი, ინტერნაციონალიზმს არ ვღალატობთ, მაგრამ როგორც კი ვიტყვით: „აგრარული კითხვა ჩვენში მხოლოდ ჩვენი ხალხის საქმეა და სხვისი არავისი“, უთუოდ ვცოდავთ ინტერნაციონალიზმს!“³. შემდეგ კი თავადვე უპასუხა საკუთარ კითხვას და ფეტიშიზმად მონათლა ლ. ნათაძის და მისთა მსგავსთა პოზიცია. მწერალმა კარგად იცოდა, რომ შინაურ მღვდელს საქართველოში შენდობა არასდროს ჰქონია და ამიტომ ევროპულ სახელმწიფოთა მაგალითი მოიხმო და დაინტერესდა: თუკი გერმანელი სოციალ-დემოკრატები მუშების სახელით იბრძვიან სოციალიზმისათვის, იტალიელი სოციალ-დემოკრატები — იტალიელი მუშების სახელით და ეს, საფუძვლით სამართლიანად, ინტერნაციონალიზმად ითვლება, „მანცა და მანც რად ჰგონიათ, რომ სიტყვა „ქართველის“ ხსენება საქართ-

¹ ლ. ქიაჩელი, „მოკლე პასუხი ამხ. ლევან ნათაძეს“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 17, გვ. 2.

² იქვე.

³ იქვე.



ველოში ინტერნაციონალ ს. დ. მიერ საფათერაკო და სახეფათნა??:
ობიექტურად განწყობილი მკითხველისათვის პასუხი ძნელი მოსაძებნია
ნი არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ლ. ქიაჩელი ამით არ დაკმაყოფილდა. მას სურდა, ფართო საზოგადოებისათვის ცხადად დაენახებინა ბოლშევიკთა, ინტერნაციონალიზმით შენიღბული, ანტიეროვნული პოზიცია და ამგვარ ხერხს მიმართა: „ალიონის“ ფორმულა მოითხოვდა ტერიტორიალური ერებისათვის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, უტერიტორიო ერებისათვის კი — ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას. ეს მოთხოვნა ლ. ნათაძემ ისე გაიგო, თითქოს ჩვენი გაზეთი მხოლოდ ქართველი ერის სასურველ მოწყობაზე ფიქრობდესო, რადგან „ეს ზოგადი ფორმულა... სხვა კავკასიის ერებთან ერთად ქართველ ერსაც შეეხება!-ო? ბრალდების ოდნავ შესარბილებლად ქიაჩელმა დასძინა: „მე რომ თქვენ გიცნობთ, ამხანაგო, დამეთანხმებით, რომ ეს უბრალო გაუგებრობაა თქვენის მხრით!“¹.

რასაკვირველია, მწერალმა შესანიშნავად უწყოდა, რომ არავითარ გაუგებრობას არ ჰქონდა ადგილი. წერილის დასასრულიც ამას მიაწინებებს. პ. საყვარელიძისაგან განსხვავებით, ქიაჩელმა არ ისურვა თავის მართლება. პირიქით, კატეგორიულად აღნიშნა, რომ არა როგორც ბელეტრისტი, არამედ როგორც „შეგნებული მოქალაქე“ თავის ქვეყნისა ამაყოფა იმით, „რაც კი კარგი გაგვანჩნია ეროვნულად“ და ლ. ნათაძესაც ამისკენ მოუწოდა, თანაც აშკარა ირონიით დაინტერესდა: „განა თქვენს მოქალაქეობრივ შეგნებას უფრო შეეწყობოდა, ასე რომ მეთქვა მაგ: „ალიარე რუსეთის ცენტრალური მთავრობის უფლება-მოსილება საქართველოს ტერიტორიაზე მეთქი?!“².

ცხადია, ლ. ნათაძე უპასუხოდ არ დატოვებდა „ნაციონალისტ“ ქიაჩელის წერილს, მით უმეტეს, რომ „ალიონში“ დაიბეჭდა მისი განმაქიქებელი პ. საყვარელიძის სამი პუბლიკაცია.

მართლაც, „ერთობის“ ოთხმოცდამეთერთმეტე ნომერში, მ ივნისს, გამოქვეყნდა წერილი, სათაურით „ალიონის“ სულის ჩამდგმელის


¹ ლ. ქიაჩელი, „მოკლე პასუხი აშხ. ლევან ნათაძეს“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 17, გვ. 3.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.


⁵ იქვე.



საპასუხობთ“, რომლის მთავარი ადრესატი პ. საყვარელიძე გახლდათ, თუმცა ქიაჩელის წერილსაც შეეხო. უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ნათაძემ შეძლო პ. საყვარელიძის ძირითადი ბრალდების უსაფუძვლობის დამტკიცება, ლ. ქიაჩელმა კი არ ისურვა უკან თუნდაც ერთი ნაბიჯით დასევა და თავისი გამოკვეთილი ეროვნული პროგრამის ინტერნაციონალიზმის გაურკვეველი ფერებით შენიღბა. 1917 წლის 13 ივნისს „ალიონის“ 22-ე ნომერში დაიბეჭდა პუბლიცისტის „პასუხის პასუხი“, სადაც ავტორმა თამამად დასდო ბრალი ნათაძეს: „როგორც ირკვევა ამხ. ლ. ნათაძე განსაკუთრებით იმიტომ მეკამათება, რომ მე ვაღიარებ საქართველოს „უფლებამოსილებას“ (სუვერენიტეტს) საკუთარ ტერიტორიაზე და შინაურ საქმეებში. „უფლებამოსილება“ — „სუვერენიტეტი“ უფრო მეტს ნიშნავს, ვინემ ავტონომია, ჩემი ოპონენტის აზრით, და ამას კი იგი ვერ შერიგებია, თორემ მხოლოდ ავტონომია რომ ყოფილიყო ჩვენი სადავო საგანი, ჩვენს შორის მაინც და მაინც კამათი არც კი ატყდებოდა“¹. ლ. ქიაჩელმა მკითხველისათვის ცხადყო: ნათაძისათვის ტერმინი სუვერენიტეტი კატეგორიულად მიუღებელი იმიტომ გახლდათ, რომ აღნიშნული ცნება გულისხმობდა ერის უფლება-მოსილებას პოლიტიკურ-სოციალურ სფეროში. ნათაძე კი ქართველთათვის მხოლოდ სკოლებზე, გზებზე, საავადმყოფოებსა და თეატრებზე ზრუნვის უფლებას იმეტებდა. თუ პირველ წერილში, „მოკლე პასუხი ამხ. ლევან ნათაძეს“, ლ. ქიაჩელმა სცადა, შეერბილებინა წერილის ტონი და ყველაფერი ადრესატის „გულუბრყვილობისა“ და „გაუგებრობისათვის“ მიეწერა, ახლა უკვე იმდენად აღაშფოთა ოპონენტის რუსეთის ერთგულქვეშევრდომულმა გამოხდომამ, რომ პირდაპირ, დაუფარავად დასდო ბრალი: „ამხ. ლ. ნათაძეს სმენა — მათათვის ასეთი თქმა — ქართველი ხალხის განსაზღვრულ სფეროში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ უფლების აღიარებას ვერ ეთვისება, ხოლო თუ საქმე მიდგა მაგ.: ფინების, პოლონელების, ბელგიელების, ირლანდიელების, სერბიელების და სხვ. ეგრეთ წოდებულ პატარა ერების უფლებებზე, დარწმუნებული ვარ, ლ. ნათაძე თავგამოდებით გამოექომაგება ყველას, როგორც ბევრი მისებრი ამხანაგი ჩვენში“². მწერალმა კარგად უწყოდა, რომ მხოლოდ ამგვარი გან-

¹ ლ. ქიაჩელი, „პასუხის პასუხი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 22 გვ. 2.


² იქვე.



ცხადებით დაინტერესებულ და გონიერ მკითხველს ვერ დააღწევენ და ბოლშევიკი პუბლიცისტის მიკერძოებასა და არაობიექტურობაში. ამიტომ მან ნათაძისავე ციტატა მოიხმო, სადაც სავსებით ნათლად და გარკვევით ეწერა, რომ „აგრარული კითხვა რუსეთში რუსეთის ხალხის საქმეა.. აგრარული საკითხის გადაწყვეტა რუსეთის ხალხის საქმედ მხოლოდ მაშინ გადაიქცევა, როდესაც რუსეთის ხალხი დამფუძნებელ კრების სახით სუვერენი, უფლებამოსილი გახდება“¹. მხოლოდ ამის შემდეგ ჰკითხა ოპონენტს მწერალმა, როცა იმასვე ვიტყვიეთ ქართველ ხალხზე, ლევან ნათაძე ყიფინს რატომ დასცემს ხოლმეო.

მწერალმა მოწინააღმდეგის იარაღი მოიმარჯვა და დაინტერესდა: ლ. ნათაძე სოციალისტია, დემოკრატიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპები მისთვის წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი უნდა იყოს და როგორ აპირებს, მათ მიუსადაგოს თავისი წერილის დედააზრი. ამის შემდგომ კი მკითხველს გააცნო ოპონენტის პუბლიცისტური გამოსვლის ნამდვილი არსი: „ქართველი ხალხის ბატონი (სუვერენი) სხვა ხალხი უნდა იყოს (სახელდობრ რუსეთის ხალხი)“². სავსებით ბუნებრივია, ავტორს (და მკითხველსაც) დაბადებოდა კითხვა: „სოციალისტია იგი ინტერნაციონალისტი, თუ რუსი-იმპერიალისტი პოლიტიკურად?“³ პასუხი თავისთავად ნათელი უნდა გამხდარიყო იმ მკითხველისათვის, ვისაც ჭეშმარიტების დადგენა სურდა და არა წინასწარ აკვიატებული მოსაზრების დასაბუთება, მაგრამ ლეო ქიაჩელმა წერილი ამით როდი დაასრულა. მან კიდევ ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა მიანდო საზოგადოებას: შეიძლება „ინტერნაციონალისტი და ისიც უფლება აყრილი ხალხის შვილი ზემოაღნიშნულ შეუსაბამობას ქადაგებდეს რევოლუციური და სოციალისტური ორგანოს ფურცლებზე“-ო?⁴ თავად კი ხმამაღლა განაცხადა, რომ ვერ მიიღებდა ლ. ნათაძის წინადადებას და ხელს არ აიღებდა „ალიონში“ გამოქვეყნებულ მოსაზრებებზე, რადგან ამ შემთხვევაში უღალატებდა „დემოკრატიზმს და სოციალისტობას“, „სამშობლოსა და მის იმედს — მებრძოლ დემოკრატიას“⁵.

1 ლ. ქიაჩელი, „პასუხის პასუხი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 22, გვ. 2.
 2 იქვე.
 3 იქვე.
 4 იქვე.
 5 იქვე.



მოგეხსენებათ, უეცრობას მუდამ თან სდევს ამბიციურობა და თვითდაჯერებულობა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ წაიძემ დასავლეთის მოაზროვნეთა მოსაზრებების ციტირებით მოისურვალ. ქიაჩელის დამუნათება. ის კი ვეღარ გაითვალისწინა, რომ ანბანურ ჭეშმარიტებას ევროპაში განათლებულ ინტელიგენტს უმტკიცებდა ბავშვური ტიტინით. ცხადია, ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ქიაჩელმა და ოპონენტი შვეიცარიის კონსტიტუციის და ობიექტური რეალობის შესხენებით დაარწმუნა: „უფლებამოსილების (სუვერენიტეტის) მოთხოვნა განსაზღვრულ სფეროში არ ნიშნავს უთუოდ განცალკევებას, დამოუკიდებლობას, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს (შვეიცარიის მაგალითი). და შემცდარხართ, რომ „სუვერენიტეტი“-ს განსაზღვრისათვის მხოლოდ და მხოლოდ ივლინეკის წიგნიდან ერთი ციტატა მოგიტანიათ, ისიც განყენებული და ზოგად ლოგიკური ხასიათისა. იურიდიული მეცნიერება ხიფათიანია, თუ კარგად არ ჩაუკვირდით“¹.

ჩანს, ლ. ქიაჩელის უკანასკნელმა ფრაზამ თავისი გავლენა მოახდინა ადრესატზე, რადგან მეტად აღარ უცდია მწერალთან კამათი და გაჩუმება ანჯობინა.

როგორც ვიცით, 1918 წლის 26 მაისს დავა ავტონომიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა. ალბათ, ძალიან არ გადავაჭარბებთ, თუკი ვივარაუდებთ, რომ ეროვნული იდეის გამარჯვებაში ლ. ქიაჩელმაც შეიტანა წვლილი, როგორც პუბლიცისტი და როგორც მოღვაწემ.

¹ ლ. ქიაჩელი, „პასუხის პასუხი“, გაზეთი „ალიონი“, 1917, № 22, გვ. 2.



ლ. ქ ა თ ა მ ა ძ ე

მხატვრულ-პუბლიცისტური პარალელები იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში

ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის სისრულისათვის საინტერესოა მის პოეტურ ქმნილებებსა და ჟურნალისტურ ნაღვაწში მხატვრულ-პუბლიცისტური პარალელების დადგენა. ჟურნალისტური საქმიანობა მისთვის ისეთსავე შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენდა, როგორსაც ლექსის თქმის პოეტური წყურვილი. ამას, სხვათა შორის, მისი შემოქმედებითი პროდუქციის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც ცხადყოფენ. პოეტურ ქმნილებათა სიუხვეს პუბლიცისტურ ნაწარმოებთა ოდენობა არაფრით ჩამოუვარდება. გრიშაშვილის პუბლიცისტიკა, ისევე როგორც პოეზია, მისი თვითგამოხატვის ერთ ფორმას წარმოადგენდა, შესაბამისად მისი მოღვაწეობა ჟურნალისტიკის სფეროში არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იზოლირებულად, პოეტური აზროვნებისგან მოწყვეტილად. ცხადია, უნდა არსებობდეს შემხვედრი წერტილები მის პუბლიცისტურ ნაწერებსა და პოეტურ ქმნილებათა შორის. მათი გამოვლენის შედეგად, რამდენადაც აზროვნების განსხვავებულ ფორმებთან გვაქვს საქმე,¹ შეგვიძლია ვისაუბროთ ურთიერთშემოქმედების ხარისხზე. „სულ სხვაა, როცა პუბლიცისტიკის გამოძახილს მხატვრობაში ვხვდებით,

¹ ნ. ტ ა ბ ი ძ ე, მხატვრულ-პუბლიცისტური პარალელები, წიგნში: „წერილები“, თბ., 1978, გვ. 72.


ან მხატვრობისას პუბლიცისტიკაში. ამ შემთხვევაში იმის გარკვევა-
საც ვცდილობთ, თუ რით გაამდიდრა ერთმა მეორე, რა შემატა პუბ-
ლიცისტურმა ელემენტმა მხატვრულ ტილოს და მხატვრულმა ელ-
ემენტმა პუბლიცისტურ თხზულებას¹.

ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზე დაკვირვების შედეგად უნდა გა-
მოვლინდეს ამ მხატვრულ-პუბლიცისტურ პარალელთა ხასიათი, რა
შემთხვევაში კვებავს მხატვრული სამყარო მისი პუბლიცისტური მა-
სალის ფაქტურას და რა შემთხვევაში იქცევა პუბლიცისტური აზრი,
ტენდენცია მისი პოეტური ქმნილებების იმპულსად, მასაზრდოე-
ბელ წყაროდ. ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ამ
თვალსაზრისით თავისებურ და საინტერესო სურათს ქმნის. აქ
მხატვრულ-პუბლიცისტური ინტერესების თანხვედრის არაერთნაირი
გამოვლენა იჩენს თავს, მისი პუბლიცისტური და მხატვრული ქმნილე-
ბები ურთიერთს ძალუმაღ კვებავენ. უნდა შევნიშნოთ, რომ გრიშა-
შვილის ბევრი პოეტური ქმნილება მიძღვნილია. ამაზე, როგორც წესი,
თავად პოეტი მიგვითითებს, სათაურის ქვეშ ადრესატის მოხსენებით.
მიძღვნილი ხასიათის ლექსთა რაოდენობა 110-ს აღემატება. ასეთი
ლექსების შექმნას საფუძვლად ედება კონკრეტული სახე და
ამ სახით გამოწვეული მძაფრი ემოციური იმპულსი. მხატვრულ-პუბ-
ლიცისტური პარალელების ძიებას მივყავართ ერთ საგულისხმო და-
კვირებასთან. მიძღვნილი ხასიათის ლექსის ადრესატისადმი დამო-
კიდებულებას ი. გრიშაშვილი იმავე თემაზე შექმნილ პუბლიცისტურ
ნაწარმოებებშიც გამოხატავს. ასეთი პუბლიცისტური ნაწარმოების
შექმნა დროითი თვალსაზრისით ხან ზუსტად ემთხვევა ლექსის დაწე-
რის თარიღს, ხანაც გარკვეული პერიოდი აშორებს, მაგრამ დროში
სხვაობა სათქმელზე არსებით ზეგავლენას ვერ ახდენს. ფაქტად რჩება
ი. გრიშაშვილის თვითგანმეორების ტენდენცია, რაც ერთი და იმავე
თემის სხვადასხვა სიბრტყეზე — მხატვრულსა და პუბლიცისტურზე —
გაშლის სურვილს ათვალსაჩინოებს.

ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით თვალში საცემია ი. გრიშა-
შვილის იმ ლექსებსა და წერილებში, რომლებიც ეხება ქართულ თე-
ატრსა და თეატრალურ მოღვაწეებს, ქართულ მწერლობასა და ქართ-
ველ მწერლებს.

ბუნებრივია, რომ პოეტურ ქმნილებებში განცდათა ენით არის

¹ ნ. ტაბიძე, მხატვრულ-პუბლიცისტური პარალელები, წიგნში: „წერილები“,
თბ., 1978, გვ. 72.



გადმოცემული მოვლენის, ფაქტის, პიროვნების მხატვრული სახე-
 პუბლიცისტურ ნაწარმოებში კი აქცენტი გადატანილია მოვლენის,
 მოღვაწის ნამუშავეის პროპაგანდაზე, ამ ფონზე გამოკვეთილია პუბ-
 ლიცისტური ტენდენცია — ასახვის საგნის საზოგადოებრივი აქტუა-
 ლობის ჩვენება, მისი დამოკიდებულება ამ საგნისადმი. აქედან გამომ-
 დინარე, საინტერესოა ასეთი მხატვრულ-პუბლიცისტური პარალელე-
 ბის დადგენა, იმის გამოკვეთა, თუ რა განაპირობებს სათქმელის თა-
 ვისებურ გამეორებას, რა წარმოადგენს მის საფუძველს — მთლიანად
 თემა, ცალკეული ფრაზა, თქმა თუ სხვა.

1919 წლის 8 სექტემბერს ი. გრიშაშვილი დასწრებია „აბესალომ
 და ეთერის“ პრემიერას. იგი განსაკუთრებით აღუფრთოვანებია რუსი
 ბალერინის ბაუერზაკის ხელოვნებას, მის მიერ შესრულებულ ქარ-
 თულ ცეკვას. რუსი ბალერინის ფიზიკური მშვენიერება, მისი გრაციო-
 ზულობა და მაღალი ოსტატობა პოეტის წარმოსახვაში მძლავრ იმ-
 პულსად იქცა და ლირიკის მშვენიერი ნიმუში წარმოშვა.

„რა მომეწონე! და სხვა ჩვენში ვინ მეგულება,
 რომ შენებრ ცეკვით ექართულა, ცეკვით ელოცა!“²

მოყვანილი ფრაგმენტი ცხადყოფს, რომ მსახიობის ღირსება, მისი
 ხელოვნება ი. გრიშაშვილისთვის სპეციფიკური შინაარსით დაიტვირ-
 თა, „ცეკვით ქართულობა“ გახდა ამ ღირსების საზომი. ბაუერზაკის
 მშვენიერების ხატიც კი უფრო მნიშვნელოვანმა — ოპერისა და ბა-
 ლეტის საეროვნო ღირებულებამ დაჩრდილა. ზ. ფალიაშვილის ეს სა-
 ოპერო დადგმა და მთლიანად ზ. ფალიაშვილის შემოქმედება გრიშაშ-
 ვილისთვის მნიშვნელოვანია თავისი ქართულობით, ეროვნული
 თავისთავადობით, აქ ხელოვნებით ესთეტიურ ტკობა-ჭვრეტას მისი
 საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგრძნება-დაფასება ჭარბობს.
 ზ. ფალიაშვილამდე პროფესიული ქართული ოპერა არ არსებობდა
 და თავისთავად ცხადია, რა მნიშვნელობის ფაქტი იყო ქართული
 სულიერი კულტურის ისტორიაში „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა.
 როგორც ჩანს, ი. გრიშაშვილს ამ დღესთან დაკავშირებით გააჩნდა
 სრულიად გამოკვეთილი სათქმელი, რომელიც ზ. ფალიაშვილის შემო-
 ქმედების საეროვნო მნიშვნელობას უკავშირდებოდა. შესაბამისად, ამ

¹ საზგასმა ჩემი.

² ი. გრიშაშვილი, „რუსი მოცეკვავე“, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 1, თბ.,
 1980, გვ. 246.



საოპერო წარმოდგენით მიღებული მძაფრი შთაბეჭდილება ვერ დაი-
ტია მხოლოდ პოეტურმა სიტუაციამ და სათქმელმა თავისი აქტუალ-
ობით, საზოგადოებრივი მნიშვნელობით და საქმიანი ხასიათით გადა-
ინაცვლა პუბლიცისტიკის სიბრტყეზე. რაღა თქმა უნდა, მხატვრულმა
ხატმა, რუსი ბალერინის ცეკვით გამოწვეულმა შთაბეჭდილებამ შე-
საფერისი პუბლიცისტური სამოსი მოირგო და ტენდენციაც აშკარად
გამოიკვეთა: „აღტაცება ვერ დამიფარავს ბალეტის გამო. ის მუდმივი
პრიმიტივობა და ერთფეროვნება, რომელიც ახასიათებდა ჩვენს ქორე-
ოგრაფიას, მე მგონია უკვე დამსხვრეულია. აქაც რევოლუციის
გზა გახსნილია და ეს საუცხოვო სინაზის ბალეტი საუკეთესო მოწმეა
მისი, რომ ჩვენს ქორეოგრაფიასაც ისეთი დიდი მომავალი აქვს, რო-
გორც ჩვენს მუსიკას. ეს ხელუხლებელი განძია. რომელსაც მალე
დაეწაფება ევროპა, სადაც თითქმის ამოიწურა მასალა და სადაც
ხელოვნების ქურუმნი ახალ გზებსა და ფორმებს ეძებენ“.¹ ასე გადა-
იზარდა რუსი ბალერინის პლასტიკის გრაციოზულობით გამოწვეული
და ლირიკულ ლექსში გაჟღერებული „ცეკვით ქართულობა“ ქართუ-
ლი ქორეოგრაფიული ხელოვნების პოტენციური სიდიადის განცდა-
ში, მისი წინ წამოწევის ტენდენციაში. ი. გრიშაშვილმა ამ კონკრეტუ-
ლი ფაქტის განზოგადება სცადა და მისი დიდი მნიშვნელობა გაუთ-
ვალსაჩინოვა მკითხველს — დააყენა ქართული ქორეოგრაფიის მიერ
ევროპული საბალეტო ხელოვნების განახლება-გამდიდრების საკითხი
და მიუთითა მის საყოველთაო ღირებულებაზე.

ი. გრიშაშვილი საგაზეთო გამოსვლებში, რომლებიც ქართულ
ხელოვანთა ნაღვაწის შეფასება-წარმოჩენას ემსახურებოდნენ, არა-
ერთგზის აყენებდა ერთ აქტუალურ საკითხს და საზოგადოებას ხში-
რად მისი გადაჭრის გზებსაც სთავაზობდა. ეს იყო ქართველ ხელო-
ვანთა უმძიმესი ყოფითი პირობები და ეკონომიკური სიდუხჭირე. მას
არაერთი მოღვაწის შესახებ აქვს დასტამბული წერილები და თითქ-
მის ყველგან ეხება ამ თემას. მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ გზად
მას ესახებოდა „თავშესაფარი სახლის“ აგება მძიმე მატერიალურ
პირობებში მყოფ ხელოვანთათვის². მაგრამ თუ პუბლიცისტურ მასა-
ლაში ეს პრობლემა პირდაპირ, ღიად და მწვავედ არის დასმული,
პოეზიაში იგი მოღვაწეთა ღვაწლის საზოგადოებისაგან დაფასების

¹ ვაზ. „სახალხო საქმე“, 1919, № 645, 5 ოქტომბერი, გვ. 4.

² ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 31,




ეთიკურ საკითხად იქცევა და არასდროს ატყვიან ერთგვარად (საჩინო) თირო პირდაპირობის კვალი; პოეზია, როგორც უფრო ფაქტური სფერო, მისგან მოითხოვს ტენდენციის მაქსიმალურად შენიღბვას.

სულიერი სიახლოვე და მეგობრობა ლადო მესხიშვილთან ი. გრიშაშვილმა არაერთი ლირიკული ნიმუშით გამოხატა („ლადო მესხიშვილის იუბილზე“, „ლადო მესხიშვილის გარდაცვალებაზე“, „ლადო მესხიშვილი“), რომლებშიც შეძლო ნატიფ მხატვრულ სახეებში მოექცია ლ. მესხიშვილის შემოქმედი სულის სიტყვიერი პორტრეტი. 1920 წელს, ლ. მესხიშვილის გარდაცვალების წელს, ქვეყნდება ი. გრიშაშვილის ლექსი „ლადო მესხიშვილის ხსოვნას“. ეს ლექსი ლირიკის საკუთრებაა, მის დაწერას მხოლოდ განცდა უღვევს საფუძვლად, პოეტის ემოცია მხოლოდ გლოვასა და ტკივილში ვლინდება. 1930 წელს იმავე თემაზე კვლავ რექვიემული განწყობით დაწერილ ლექსში მჟღავნდება მოწიწება ლადო მესხიშვილისადმი, სევდა-ნაღველი, მისი ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეული და იქვე გაიეღვებს მხატვრულ სახეში მოქცეული წუხილი ამ შესანიშნავი მოღვაწის ძვალო-შესალავის მოუწესრიგებლობის გამო. ლადო მესხიშვილისგან სიცოცხლეში ბევრით დავალებული იოსებ გრიშაშვილი განიცდის იმას, რომ ლ. მესხიშვილს შესაფერისი საფლავი არ ელირსა. ეს განცდა ლექსში გადაჯაჭვულია დიდი საზოგადო მოღვაწის ცხოვრებიდან წასვლით გამოწვეულ ტკივილთან და პრობლემა პოეტური ხატის შექმნით ფაქტიურად შენიღბულ-გაუჩინარებულია.

„წახველ! დასტოვე — არ ვციც თუ რად —
ჩვენი ღიმილი, ჩვენი ქვეყანა
ბოლოს გვეწვიე... მესხიშვილურად,
რომ შენი ძველები აქ ჩაგეყარა“¹

პოეტის მიერ ლექსში გაჟღერებული ეს სიტყვები, მისი თვით-განმეორების აშკარა სურვილის გამოხატულებაა. ოღონდ ამ შემთხვევაში განმეორებადი თემა, სათქმელი ღიად, დაუფარავ და პრობლემურ ხასიათს იძენს და შესაბამისად პუბლიცისტიკის სფეროში გადაინაცვლებს. „მწერალთა კავშირთან არსებული ლიტფონდის გამგეობამ სხვათაშორის, იკისრა გარდაცვლილი მწერალ-მოღვაწეთა საფლავების მოვლა-პატრონობა. განზრახულია ზოგიერთი მოღვაწის ნეშტის გადატანა მთაწმინდის პანთეონში. მაგრამ როგორც გავიგეთ,

¹ ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 31,



მსახიობ ლადო მესხიშვილის საფლავის გადატანა მთაწმინდაში კიბეების ნიშნის ქვეშ არის დაყენებული. ჩვენ ამ წერილით გვინდა მოვაგონოთ ლიტონდის გამგეობას, რომ ლადო მესხიშვილის საფლავი არ უნდა დაშორდეს ვასო აბაშიძის საფლავს¹. ამ წერილში ი. გრიშაშვილი დაჟინებით მოითხოვდა ლადო მესხიშვილის საფლავის მთაწმინდაზე გადატანით საკადრისი პატივი მიეგოთ და სათანადო ადგილი მიეჩინათ მისთვის ჩვენი კულტურის ისტორიაში. ამის მიმანიშნებელია შემდეგი სიტყვებიც: „მესხიშვილი იმ დროს გარდაიცვალა, რომ მის შესაფერ დამარხვაზე არავის უზრუნვია. ამ ორი წლის წინათ ელბაქიძის დაღმარებზე (ბადში) თითქოს საძირკველიც ჩაუყარეს ლადო მესხიშვილის ძეგლს, მაგრამ დღემდე ამ დიდი მსახიობის ძეგლის აგების საკითხი განზრახვის ფარგლებს არ გასცილებია. თუ მთაწმინდის პანთეონი უნდა გახდეს დიდ ხელოვანთა სახელების სავანე, იქ ლადო მესხიშვილის სახელიც არ უნდა იყოს დავიწყებული“².


ასე მოხდა ლირიკული განცდა-ტკივილის განმეორება პუბლიცისტურ ნაწარმოებში და სწორედ ამ ორი სფეროს განმასხვავებელი სპეციფიკიდან გამომდინარე განცდაში შენიღბული გულისტკივილის შიშველ პუბლიცისტურ ტენდენციად ტრანსფორმირება.

კ. მარჯანიშვილის რეჟისორული ხელოვნება ი. გრიშაშვილისთვის ყოველთვის წარმოადგენდა აღფრთოვანების საგანს. კ. მარჯანიშვილის პიროვნებისადმი, მისი ოსტატობისადმი არაერთგზის უძღვნია პოეტს ლექსი თუ პუბლიცისტური წერილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა მხატვრული ხატი, რომელიც დაფიქსირდა როგორც მისდამი მიძღვნილ ლექსში; ისე პუბლიცისტურ ნაწარმოებში. „როცა შემოქმედი კონკრეტულ მოვლენასა თუ პიროვნებაზე დაჟინებით ფიქრობს და მკაფიო თვალსაზრისსაც იმუშავებს, ბუნებრივად ჩნდება ფორმულის მსგავსი ფრაზა, რომელიც სხვადასხვა დროს იჩენს თავს“³. პოეტი ქართული თეატრის მაჯისცემას მუდმივად მიყურადებული იყო, მას აწუხებდა ყველა პრობლემა, რომლის წინაშეც იდგა ქართული დრამატული ხელოვნება. ამ ინტერესს ი. გრიშაშვილი ავლენდა პუბლიცისტურ წერილებში, სულმოუთქმელად

1 ი. გრიშაშვილი, მწერალთა კავშირთან არსებულ ლიტონდის გამგეობის საყურადღებოდ, ვაზ. „მუშა“, 1935, № 60, 14 მარტი, გვ. 3.

² იქვე

³ ნ. ტაბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.



ელოდებოდა ახალი სეზონის გახსნას, ყოველი ახალი სპექტაკლი მისთვის მოვლენას წარმოადგენდა, რადგან ეს იყო მოლოდინი სპექტაკლით თეატრის აღორძინებისა. მისი რევოლუციური გარდაქმნისა, რომლის მოთავე და აღმსრულებელი კოტე მარჯანიშვილი გამოდგა. თეატრისადმი ი. გრიშაშვილის ინტერესის ინტენსიობასა და სიღრმეზე მეტყველებს ასევე ის ფაქტიც, რომ მოვლენის სიტყვიერი სამოსის მორგების მძაფრ ფორმებს აგნებს როგორც პოეზიაში, ასევე პუბლიცისტიკაში. ამის გამო პუბლიცისტურ თხზულებაშიც თხრობა-აღწერის ტენდენციას მისი ღრმა, ემოციური მუხტით დატვირთვის შინაგანი მოთხოვნილება ენაცვლება, პოეტური ხატი — მხატვრულობით უკიდურესად ავსებული მეტაფორა—პუბლიცისტიკაში გადაინაცვლებს და განსჯა-მტკიცებას ემსახურება.

1922 წლის 25 ნოემბერს „ფუნტე ოვეზუნას“ („ცხვრის წყაროს“) პრემიერაზე, კოტე მარჯანიშვილის პირველსავე სპექტაკლზე, ქართული დრამატული ხელოვნების ზეადსვლის მოლოდინის გამართლებამ აღძრა პოეტში მხატვრული ხატი, რომელიც ექსპრომტად შეთხზულ ლექსში პარტერის სავარძელზე შემდგარმა „ესროლა“ სცენაზე გამოყვანილ მარჯანიშვილს:

„გახვეული დრამის ფარდა გაპყვრეთ და აგვირისტეთ და მე ვივად ვინ მომნათლავს, რომ მივიღოთ ახალ ქრისტეთ“¹.

В описании природы ощущается всплеск чувств, захлестнувших автора, подобно тому, как разлив лесов захлестнул горы. Семантическим центром описания выступает словосочетание **разлив лесов**. Это наименование субстанции более других притягивает к себе лексический материал: простой подсчет относит **шесть слов к разливу**, **два слова к снегу и льду**, **по одному к скальным замкам, туманам и небу**. Детали описания расположены по убывающим степеням «кривых» разной авторской оценки. Во-первых, это «кривая» лексической сконцентрированности материала, выражающаяся количеством слов, которые приходятся на отдельные детали описания. Во-вторых, это «кривая» степени насыщенности цветового восприятия, идущая от высокой интенсивности цвета: **вечнозеленый разлив лесов** ясно различается на **белом фоне снега и льда** — более низкой интенсивности: **серые скальные замки** и **серо-сизобелый туман** выступают в приглушенных тонах на фоне **голубого неба**. В-третьих, это «кривая» контрастности окраски субстанций, резкой для первой пары деталей картины: **лесной разлив—снежный лед** и **затушеван-**



ной для второй пары: скалы—туманы. Деталь небо не имеет пары и выступает в качестве фона.

Мотив разлива повторяется при описании канадского леса, прекрасного своей первозданной красотой:

Стеной подступает он к самому шоссе, готов, кажется, ворваться в широкие, во всю стену, окна мотелей.. Из всех чудес Скалистых гор этот разгул первобытных лесов произвел на меня, пожалуй, наибольшее впечатление и, наверное, по своей притягательной силе не уступит он даже африканской экзотике.

Фразеологизм стеной стоит воспринимается как символ непобедимости и негибкости перед невзгодами, Его вариант стеной подступает приобретает дополнительное значение усиления действия с оттенком возможности его проявления готов, кажется, ворваться. Абзац характеризуется разными формами преломления художественного образа, олицетворяющего понятие лес, в сознании читателя. Причем всепобеждающая мощь субстанции, направляемая авторским «я», постепенно нарастает: стена—разлив—разгул. Лес как бы живет и дышит, и вместе с ним ощущается дыхание авторского «я». Глубокий и спокойный вдох, и мы ощущаем, как стеной подступает лес. Сильный, резкий выдох: готов ворваться лес. Снова спокойно-глубокий вдох, и мы видим зеленый разлив лесов, который сменяется мощным выходом: разгулом первобытных лесов.

Канадский лес, канадские парки — это волшебный мир. Здесь снежные вершины «купаются» в озерах, отражаясь на их зеркальной поверхности, а «добрые феи» — тропки ведут путников по чудесным местам мимо болотца, где между кочек блестят «оконца воды». Здесь «густой синевой вспыхивают лесные озера, обрамленные алыми факелами кленов». То тут, то там «томные оленухи с шеями Нефертити» провожают людей «любопытными взглядами», а птицы, одетые в «элегантный голубой наряд», вырывают хлеб прямо из рук туристов. Но как ни волнующе воспринимаются эти образы, автор не возвращается к ним повторно. Образ же леса пронизывает очерк, перебивая мысли и рассуждения автора или вклиниваясь в описания животных:

Серой тенью промелькнул поджарый койот, ленивой трусцой перебежала дорогу лисица. Леса вокруг пол-

нились жизнью, вздыхали и шумели, как и сто, и двести лет назад.


Художественно-образная составляющая выразительной функции слова вздыхали, усиленная приемом олицетворения, несет вполне реалистическое отражение действительности под воздействием последнего глагола отрывка шумели леса. Свежесть образаполнились жизнью чеканится архаической формой глагола (сравним с нейтральным наполнились) и способствует его логическому выделению.

В Канаде парков много, их тут «целое созвездие». Образ созвездия способствует восприятию беспредельного простора земель, где развернулись события, печальный исход которых не все могли предусмотреть:

...когда после долгого бега через континент волна переселенцев уперлась в Скалистые горы и люди перевели, наконец, дыхание, они обернулись на пройденный путь и ужаснулись. И поняли, что если не взять под защиту эти леса, сплошной шубой одевающие склоны Скалистых гор, и этих бизонов, оттесненных на самый край их исконных владений, и тех, и других ожидает неминуемый конец.

Первую фразу отрывка, посвященную переселенцам, оставим без разбора и сразу перейдем ко второй фразе, где говорится о природе. Выделение двух центральных образов очерка — бизонов и леса — здесь происходит однопланово: повторяется препозитивное местоимение этот и используется постпозитивное определение, выраженное причастным оборотом. Оба выделителя несут в своей конструкции усилительный элемент. Первый из них представляет семантическую неожиданность использования рядом несочетаемых по смыслу слов сплошная шуба лесов вместо нейтрального густые леса. Второй выделитель воспринимается как стилистическая неожиданность использования возвышенной лексики при описании факта действительности: и сконные владения бизонов вместо привычная среда обитания.

В очерке Черкасовой не случайным является превалирование образа леса над другими не менее яркими образами. Это логически оправданно и отмечено глубоким проникновением публициста в суть проблемы. Оно отражает законы среды, описанию которой посвящено публицистическое произведение: основу жизни на Земле представляет вода. Здесь



впервые зародилась жизнь простейших организмов, давших начало более сложным формам живых существ. Хранителем воды на суше является лес. Там, где лес уничтожен, отступает мир животных и птиц. И наступает пустыня, если только ее не сдерживает человек.

Берегите природу, заботьтесь о ней, — призывает очерк как всем своим содержанием, так и заключительными словами.

Центральная мысль очерка, насыщенная высоким публицистическим звучанием, — подлинная квинтэссенция авторского «я» — заполняет душу читателя, остается в ней надолго, быть может, навсегда, призывая к действию, борьбе и труду по защите природы и охране окружающей среды.

მედეა ლორთქიფანიძე

საქართველოს ტელევიზიის პირველი ნაბიჯები

ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს საქართველოს ტელევიზიის დაბადება, მცირე ეკრანის პირველი, ხშირად გაუბედავი, მაგრამ გულწრფელი სიხარულის მომტანი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენი მაყურებლის გამუდმებული გულშემატკივრობით, შემწეობითა და ხშირ შემთხვევაში, უშუალო მონაწილეობით გადაიდგა.

დღეს თბილისური პეიზაჟი სატელევიზიო ანძის გარეშე ვეღარც წარმოგვიდგენია, ისევე როგორც ჩვენი ბინა, სამუშაო, თუ საზოგადოებრივი ადგილსამყოფელი — ტელევიზიის ყოველდღიური სტუმრობის გარეშე.

.... მაშინ კი, 40 წლის წინათ, ყველაფერი უჩვეულო იყო, ყველა საქმე, — ტექნიკური, შემოქმედებითი, — თავიდან უნდა დაწყებულიყო.

1955 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ჩამოყალიბდა მშენებარე ტელეცენტრის დირექცია.

თბილისის პირველი სატელევიზიო ცენტრის დირექტორის ვახტანგ ლორთქიფანიძის, ინჟინრების ვახტანგ სალიბეგაშვილის, ვ. ენდელის, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთი ტრესტის საქმეთა მწარმოებლის გივი კვიციანის მეცადინეობით, ლენინგრადელ სპეციალისტთა დახმარებით, ფუნიკულიორის პლატოზე სარე-



კორდოდ მოკლე ვადაში — ერთ წელიწადში აშენდა სატელევიზიო ცენტრი.

„ლიტერატურული გაზეთი“ ჩქარობდა ანონსის გამოქვეყნებას: „მალე ეთერში გადაიცემა თბილისელთათვის უჩვეულო ფრაზა: „ყურადღება! მოისმინეთ სატელევიზიო გადაცემათა პროგრამა...“

ამ პროგრამის შემდგენელნი კი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, — ჟურნალისტები, რედაქტორები, რეჟისორები, მხატვრები, მუსიკალური გამფორმებელნი, ის-ის იყო იკრიბებოდნენ რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობის ერთ პატარა ოთახში, სადაც სტუდიის პირველი დირექტორის აკაკი ძიძიგურის ერთადერთი მაგიდა იდგა. ამ ახალბედა კოლექტივის მომავალი შემოქმედებითი ძიებანი სამუდამოდ უნდა დაკავშირებოდა ელექტრონული ჟურნალისტიკის ურთულეს სამყაროს...

მაშინ ამაზე არ გეიფიქრია. ყველას საზრუნავი ერთი იყო, — ეთერში გასაშვებად მოგვემზადებინა პირველი ქართული გადაცემა.

.... საკონტროლო მონიტორზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ტელეკამერის ობიექტივის დანახვით შემკრთალი გოგონების სანდომიანი სახეები. იმსანად დიქტორთა კონკურსში უცილობელი პრიორიტეტი ქალებს მიენიჭათ და ასი პრეტენდენტისაგან შეირჩა ორი დიქტორი — ლია მიქაძე და ალექსანდრა მაჭავარიანი.

ენთუზიაზმი უზომოდ დიდი იყო, გამოცდილება — არავითარი.

მთავარ მხატვრად მოიწვიეს თენგიზ სამსონაძე, რომლის უზადო გრაფიკულმა ნიჭმა კეთილისმყოფელი კვალი დააჩნია პირველი წლების ეკრანის გამომსახველობით სტილისტიკას. მისი ფუნჯით შეიქმნა საქართველოს ტელევიზიის ემბლემა, მან დაახურა ჩვენთვის კარგად ნაცნობი „მულტქუდი“ პირველ ქართულ გადაცემას.

და ბოლოს, დადგა 1956 წლის 30 დეკემბერი...

სადამოს 8 საათზე ეთერს მოედო საცნობები.

დაიწყო პირველი გადაცემა, რომელიც ორ საათსა და 15 წუთს გრძელდებოდა. ეს 2 საათი და 15 წუთი სამუდამოდ შევიდა საქართველოს ტელევიზიის ისტორიაში.

პირველი გადაცემის მეგზური სიმღერა იყო, — ნოდარ გურემიძის ლექსზე სპეციალურად ტელევიზიისათვის დაწერილი არჩილ კერესელიძის სიმღერა თბილისზე. სტუდიის მუშაკთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სიმღერის შემსრულებლების ეთერ გვაზავასა და



ციცინო ციციშვილის სახეებს ორმაგი ექსპოზიციით წაეფინა ქალაქის ხედები. ეს იმას ნიშნავდა, რომ ტექნიკამ მხარი აუბა პირველი პროგრამის შემდგენელთა გაუბედავ ჩანაფიქრს... ალბათ ამ წუთიდან დაიწყო ცისფერი ეკრანის უღვევ შესაძლებლობათა შეცნობის დიდი ვზა....

ჩვენი საზოგადოებრიობის ცნობილი, პატივსაცემი ადამიანები — ვიქტორ კუპრაძე და იოსებ გრიშაშვილი იყვნენ სტუდიის პირველი სტუმრები.

მაყურებელს კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა: პროგრამაში ჩაერთო მოსკოვიდან გამოგზავნილი კინომოლოცვა; შაბოლოვკაზე, მოსკოვის სატელევიზიო სტუდიის პაველიონში შევიდა დიქტორი ვალენტინა ლეონტიევა, რეპეტიცია შეაწყვეტინა რეჟისორს და საქვეყნოდ, ყველას გასაგებად გამოაცხადა, რომ ამ წუთში, საქართველოში ამუშავდა სატელევიზიო სტუდია!

ამ ტკბილად მოსაგონარ მოლოცვას მოჰყვა ახალი ფილმი „აბეზარა“.

პირველი გადაცემის პატარა კურორზსაც გავიხსენებთ.

რეჟისორების ჩანაფიქრით, „აბეზარას“ როლის შემსრულებელს ლეილა აბაშიძეს მისალმების შემდეგ ფილმის საწყისი კადრის შესაბამისი პოზა უნდა მიეღო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაეშვათ ფილმი.

რეპეტიცია კარგად ჩატარდა, გადაცემის დროს კი (როგორც არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე), კინობროექტორის მიზეზით მოხდა შეფერხება და მომღიმარი მსახიობი ფილმის დაწყების მოლოდინში რამდენიმე წუთით გაირინდა ტელეკამერის წინ, ე. წ. სტოპკადრის მონაში, უნდა ითქვას, რომ ლეილა აბაშიძემ ისე ოსტატურად შეასრულა ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური, თავისი პირველი სატელევიზიო როლი, რომ თვით პულტთან მყოფმა თანამშრომლებმაც კი ვერ განასხვავეს ცოცხალი მსახიობი კინოკადრისაგან.

მალე პირველი წარმატებით ფრთაშესხმული რედაქტორები ისე გათამამდნენ, რომ ერთ-ერთ გადაცემაში, ცნობილ მომთვინიერებელ მარგარიტა ნაზაროვასთან ერთად, კამერის წინ ვეფხვიც კი დაუსვეს ტელეოპერატორებს. ადვილი წარმოსადგენია, რა გულისკანკალით მიყავდათ მათ ეს უჩვეულო ინტერვიუ!

ძმაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ წერდა: „ტელევიზიის თანამშრომლებმა

გაიხარეს, ვეფხვის სტუმრობა კარგის მომასწავებელი ყოფილაო!“
გაზეთის კეთილი ხუმრობა საფუძველს მოკლებული არ გამოდგება.
ყოველ ახლად დაწყებულ საერო საქმეში გადადგმულ პირველ ნაბი-
ჯებს განსაკუთრებული შარავანდელით მოსაეს ადამიანის მეხსიერება.
ჩვენც ამიტომ შევეცადეთ, შედარებით უფრო დაწვრილებით აღგვე-
დგინა საქართველოს ტელევიზიის პირველი დღეების რამდენიმე სუ-
რათი.

გავისხენებთ მხოლოდ იმას, რაც ნიშანსვეტებად მოჩანს საქარ-
თველოს ტელევიზიის დაარსების, ჩამოყალიბებისა და განვითარების
ძნელად სავალ გზაზე.

ფრიად ნიშანდობლივად გვესახება ის ფაქტი, რომ მოსკოვის ტე-
ლევიზიის მოლოცვასა და კეთილ სურვილებს ფეხდაფეხ მოჰყვა გუ-
ლითადი მოლოცვები მოძმე რესპუბლიკებიდან, ჩეხოსლოვაკიის სო-
ციალისტური რესპუბლიკიდან. უკვე მაშინ აშკარა იყო, რომ სულ მა-
ლე ტელევიზია გახდებოდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის ის ასპარეზი, რომელიც ჩვენს ხალხს კიდევ უფრო გაუმრავლებდა
მეგობრებსა და კეთილისმსურველთ!

მთელმა შემდეგდროინდელმა პრაქტიკამ უცილობლად დაგვარწმუნ-
ა ამ ჭეშმარიტებაში.

... 1957 წელი. სატელევიზიო სტუდიის შემოქმედებითი კოლექტი-
ვის განკარგულებაში ერთადერთი სამაკეტო სადიქტორო სტუდია და
ერთადერთი სატელევიზიო კამერა იყო. აქ უადგილო არ იქნება ვაგი-
სხენოთ, რომ ხელოვნების განვითარების ისტორიამ იცის მაგალითე-
ბი, როცა შეზღუდული საწარმოო-ტექნიკური შესაძლებლობანი იწვე-
ვენ შემოქმედებით ძალთა განსაკუთრებულ მოკრებას. აქაც ასე მოხ-
და; კინოკამერისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის უქონლობამ
პირველ წლებში გამოიწვია ინტენსიური ძიება სტუდიური ტელემაუ-
წყებლობის, განსაკუთრებით კი ტელედრამატურგიის სფეროში.

შედგმაც არ დააყოვნა: ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის
სახელმწიფო კომიტეტის ოქროს ფონდში შესულია არაერთი დადგმა,
რომელიც სწორედ ტელევიზიის არსებობის პირველ წლებში შეიქმნა.

სტუდიის გახსნიდან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ განხორციე-
ლებულმა პირველმა ტელემინიატურამ „ბებრები“ (ნიკო ლორთქიფანი-
ძის მოთხრობის ინსცენირების ავტორი მ. ლორთქიფანიძე, რეჟისო-

რი მ. ჯალიაშვილი, დაგეანახვა, რომ ერთადერთი სატელევიზიო კამერის ოსტატური გამოყენებით, ვარიოობიექტივის გარეშეც შესაძლებელია ლიტერატურული ან თეატრალური ნაწარმოების ტელეკინური წაკითხვა.

მაყურებელმა მთხრობელის როლში იხილა ცნობილი რადიოდიქტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ქეთევან ლანდია.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პირველ სატელევიზიო დადგმაში ახალგაზრდა კოლექტივის ენთუზიაზმი ბოლომდე გაინაწილეს გამოჩენილმა მსახიობებმა სესილია თაყაიშვილმა და ალექსანდრე ჟორჟოლიანმა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ქართულ ორიგინალურ სატელევიზიო დადგმებს.

ერთი თვის შემდეგ მაყურებელმა ნახა მეორე პრემიერა — ღრმა აზრებისა და ემოციების შემცველი ტელედრამა „მოცარტი და სალიერი“, შექმნილი პუშკინის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით (პიესის მთარგმნელი კონსტანტინე ჭიჭინაძე, რეჟისორი მ. ჯალიაშვილი). დადგმაში მონაწილეობდნენ მსახიობები რამაზ ჩხიკვაძე და ეროსი მანჯგალაძე.

მერაბ ჯალიაშვილი თავის მესამე სატელევიზიო დადგმაში „პიესის ქალი“ აგრძელებს მცირე ეკრანის გამომსახველობით საშუალებათა ძიებას, მას ცოცხალ სატელევიზიო სანახაობაში პირველად შეაქვს კინოფირი, რომელიც სავსებით ორგანული აღმოჩნდა სპექტაკლის დრამატურგიული ქსოვილისათვის.

უფრო მეტიც: ვინაიდან რეჟისორის განკარგულებაში ერთადერთი კამერა იყო, მან სატელევიზიო მიზანსცენების აგებას შიდა კადრის მოქმედების პრინციპი დაუდო, რაც სავსებით ბუნებრივი აღმოჩნდა მცირე ეკრანის დრამატურგიისათვის.

კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ სესილია თაყაიშვილი თანხმდება ღია ეთერში, სპექტაკლის მიმდინარეობის დროს, კადრს გარეთ „ჩასვას“ მონოლოგი უტყვ კინოკადრებში. მსგავსი რამ მხოლოდ სატელევიზიო ხელოვნებაში შეიძლებოდა მომხდარიყო.

გადიოდა ღრო....

...ერთ-ერთ ანგარიშში ამოვიკითხეთ მშრალი ცნობა: „1957 წლის მარტიდან თბილისის სატელევიზიო სტუდიამ მიიღო მოძრავი სადგური. პირველი გადაცემა შედგა „დინამოს“ სტადიონიდან. რეჟისორი ჯემალ ანჯაფარიძე“.

იმდროინდელ პრესას კი შერჩა ნაკვალევი მღელვარე ინტერესითაა რომლითაც, სტუდიის თანამშრომლებთან ერთად, მათგანვე აღიქმებოდა, თუ როდის გავიდოდა ტელეკამერა სტუდიის ვიწრო კედლებიდან ქუჩებსა და მოედნებზე, საკონცერტო დარბაზებსა და სტადიონებზე.

და როგორც კი მოძრავი სატელევიზიო სადგური გამოჩნდა თბილისის ქუჩებში, გაზეთებმა უმალ აუწყეს მთელ რესპუბლიკას ეს ამბავი, როგორც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა.

ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს მოყვა ტრანსლაციები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან, რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის სახელობის თეატრებიდან, ფილარმონიის საზაფხულო თეატრიდან.

ტელევიზიის შემოქმედებითი კოლექტივისათვის თანდათან ნათელი ხდება, რომ ტრანსლირება მექანიკური პროცესი არ არის და ჟურნალისტურ საზრიანობასთან ერთად მოითხოვს ცოცხალი იმპროვიზებული მონტაჟის ხელოვნების თავისუფალ ფლობას.

პირველივე ტრანსლაციებმა მცირე ეკრანის რეჟისურა ხელოვნების ნაწარმოებთა, განსაკუთრებით, თეატრალური ხელოვნების ნაწარმოებთა ჩვენების სპეციფიკურ სამზარეულოშიც ჩაახედა.

პირველი ცდები ამ სფეროში ერთი უადრესად საყურადღებო ნამუშევრით დაგვირგვინდა. მის გახსენებას, უფრო სწორად კი აღორძინებას, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ტელერეჟისორთა ამჟამინდელი პლეადისათვის.

მხედველობაში გვაქვს ცნობილი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი დადგმის „როცა ასეთი სიყვარულია“ პირველი ტრანსლირება. სამაგალითოდ დარჩა ის ფაქტი, რომ სპექტაკლი ეთერში გადასაცემად საგანგებოდ დაამუშავა ტელერეჟისორმა ტარიელ კურცხალიამ. ტრანსლირების დროს თეატრის სცენაზე გამოყენებული დიაპოზიტივების პროეცირება სტუდიიდან ხდებოდა. თეატრალური სცენის, მოძრავი სატელევიზიო სადგურისა და სტუდიის გონებამახვილური სინთეზით მივიღეთ მცირე ეკრანისათვის სანიმუშოდ ტრანსფორმირებული სპექტაკლი-გადაცემა.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა ტელევიზიის ისტორიაში. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევა არ გვახ-

სენდება, როცა საკუთრივ ტრანსლირების პროცესი უშედავით მხატვრული შემოქმედების ხარისხში ავიდა.

შესაძლებელია, სწორედ ამ დღეს გადადგა საქართველოს ტელევიზიამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საკუთარ გამომსახველობით საშუალებათა ძიების გზაზე.

სტუდიის გარეშე გადაცემათა ტექნიკის შემოქმედებითა ათვისებამ ახალგაზრდა კოლექტივი სატელევიზიო მოღვაწეობის კიდევ ერთ, მანამდე უცნობ სარბიელზე გაიყვანა.

1958 წლის 16 მარტს მოეწყო პირველი რეპორტაჟი საარჩევნო უბნიდან. პირველს ბევრი სხვა მოყვა. მოძრავმა სადგურმა განსაკუთრებული ძალით წარმოაჩინა დოკუმენტური ტელევიზიის უპირველესი ნიშან-თვისება—დასწრების ეფექტი. თანდათანობით ცხადი გახდა, რომ სწორედ ტელეეკრანს შეეძლო თვისებრივად ახალი სიცოცხლე მიეცა პუბლიცისტიკის უძველესი ჟანრისათვის — რეპორტაჟისათვის, გაეხადა იგი სახიერი და სრულყოფილი.

სტუდიის განვლილი წლების ამსახველ დოკუმენტებში შემონახულია ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილია ერთ-ერთი პირველი ინტერვიუ ჩვენი ხალხის დიდ მეგობართან, პრალის უნივერსიტეტის პროფესორთან იარომირ ედლიჩკასთან. ტელეკამერის წინ, ოფიციალური ინტერვიუსთვის განკუთვნილ მაგიდაზე სტუდიის თანამშრომელ ქალებს მზრუნველობით გადაუფარებიათ გრძელი, ჭრელი, აშკარად ეტყობა, ოჯახიდან მოტანილი სუფრა...

ეს და სხვა მრავალი ამგვარი ფოტოდოკუმენტი ფასდაუდებელი გახდა სტუდიის კოლექტივისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აცოცხლებენ ტელევიზიის ისტორიის პირველ წლებს... არა, შინიდან მოტანილი სუფრა, ეს გულუბრყვილო დეტალი შემთხვევით არ მოგვხვედრია თვალში. მსგავსი მოგონებები აშკარად მეტყველებენ სტუდიის თანამშრომელთა პირველი თაობის ენთუზიაზმზე, გულწრფელი ადამიანური სიტბოს, თითქმის ოჯახური სიტბოს ატმოსფეროზე, რომელიც არცერთ თანამდებობრივ ინსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული და რომელიც აგრერივად აღულაბებს კოლექტივს. ამას ძალიან დიდი გაფრთხილება უნდა...

პირველი გადაცემის დღიდან თვენახევარი არც იყო გასული, ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო პირველი შეხვედრა ტელემაყურებელთან 1958 წლის 18 სექტემბერს, მე-200 გადაცემის შემდეგ

დაიბადა ორმხრივი სურვილი დიდი საუბრის დაწყებისა ქართული
ინჟინერული
სამსახური
გორ, რა გზებით უნდა ევლო ახალგაზრდა კოლექტივს.

შემთხვევით არ გავიხსენეთ ეს შეხვედრა დღესაც, ოთხი ათეული წლის შემდეგ, სერიოზული დაფიქრება გემართებს იმაზე, თუ როგორ გავალრმავოთ მაყურებელთან უკუკავშირის ყველა ნაცადი ფორმა, რა თქმა უნდა, უკვე სხვა დონეზე და სხვა ხარისხში.

ისევ იმ წლებს დავუბრუნდეთ... შემოქმედებითი ძიება განსაკუთრებით ინტენსიურად კვლავ სატელევიზიო თეატრის სფეროში გრძელდებოდა.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ რეჟისორმა შოთა ქარუხნიშვილმა მოამზადა სპექტაკლი „კაკო ყაჩაღი“, რომელშიც მოძრავი სატელევიზიო სადგურის გამოყენებით ჩართული იყო ღია ცის ქვეშ დადგმული სცენები. მსგავსი ექსპერიმენტი პირველი იყო არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელი კავშირის სატელევიზიო მაუწყებლობაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40-ე წლისთავზე მაყურებელმა ნახა ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ტელესპექტაკლი „თეთრი ღამეები“ (ინსცენირების ავტორი მ. ლორთქიფანიძე, რეჟისორი მ. ჯალიაშვილი). იმ წლებში რესპუბლიკის ყველაზე პოპულარული მსახიობები სიამოვნებით თანხმდებოდნენ მოესინჯათ თავიანთი ძალები ტელეეკრანზე. რეჟისორმა ჯვირან ვარდოსანიძის როლის შემსრულებლად აირჩია სერგო ზაქარიაძე. სპექტაკლში მონაწილეობდნენ გოგი გეგეჭკორი, დოდო აბაშიძე. „გაოცებას იწვევს, თუ როგორ მოახერხა შემოქმედებთმა კოლექტივმა მეტად შეზღუდულ ტექნიკურ პირობებში შეექმნა ესოდენ მთლიანი და ემოციურად ძლიერი სპექტაკლი“ — წერდა გაზეთ „კომუნისტში“ მიხეილ თუმანიშვილი.

თვითონ მიხეილ თუმანიშვილმა ქართული ტელევიზიის გარიჟრაჟზე შექმნა, შეიძლება თამამად ითქვას, ქრესტომათიული სატელევიზიო სპექტაკლი — დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, რომელიც დღემდე სანიმუშოდ ითვლება ქართულ სატელევიზიო რეჟისურაში სივრცის ორგანიზაციის, კადრირებისა და მონტაჟის ტელეგუნურობის თვალსაზრისით.

ფსიქოლოგიური წიაღსვლები გმირთა შინაგან სამყაროში, პიროვნების წარმოსახვა მსხვილი პლანით, განტვირთული საგნობრივი გარემო, — ასეთია ძალიან ზოგადად ქართველ ტელერეჟისორთა ინ-

ტუციური ძიებით მიგნებული ნიშანთვისებანი, რომელთაც შემდგომში თეორეტიკოსები სატელევიზიო სპეციფიკას უწოდებენ.

.... მაღაზიებში დღითიდღე იზრდებოდა მოთხოვნილება ტელევიზორებზე. მართალია, მაყურებლები წერილებში მორიდებით ჩიოდნენ, რომ სშირად გამოცხადებასა და გადაცემას ოთხ-ხუთ წუთიანი პაუზები აშორებდა, სშირად კინოფილმების ჩვენების დროს სმაური ამახინჯებდა სმას, ჩვენი გულშემატკივარი მაინც არ თიშავდა ტელევიზორს.... მოთმინებით ელოდა....

გაზეთები კორესპონდენციებსაც კი აქვეყნებდნენ ენთუზიასტი მაყურებლების შესახებ.

მაყურებელი კი შესაშური უშუალობით ერეოდა სატელევიზიო სამზარეულოში. ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, როცა გადავათვალიერეთ პირველი წლების ფოსტა, გულწრფელად გავვიკვირდა: იმთავითვე როგორ აღლოიანად გრძნობდა მაყურებელი, რომ გასართობი და სანახაობითი გადაცემების გვერდით ადგილი უნდა დაეკავებინა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყდერადობის პროგრამებს, რომლებშიც სრულად აისახებოდა ქვეყნის ავ-კარგი, ჩვენი თანამედროვეთა ყოველდღიურობა, საზრუნავი, მათი მიზანსწრაფვა და ინტერესები....

იმხანად ტელევიზიის მუშაკებს ალბათ ეგონათ, რომ ამ წერილებს ერთი დღის სიცოცხლე ეწერათ. მაგრამ დღეს მათ განუზომლად დიდი მნიშვნელობა შეიძინეს; მათში ნათლად გამოიხატა ის ძირითადი, ურომლისოდაც მასობრივი კომუნიკაციის ვერც ერთი საშუალება ვერ იარსებებს. მაყურებელი თანდათან ტელევიზიის თანამშრომელთა შრომის თანამონაწილე, თანაშემოქმედი ხდებოდა, მაყურებელს ეწადა საკუთარი თავისა და საზოგადოების თვითგამოხატვის საშუალებად ექცა მცირე ეკრანი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სატელევიზიო ცენტრის მეორე რიგის მშენებლობა.

მანამდე კი გადაუდებელ საზრუნავს შეადგენდა საკუთრ კინოგადაღებათა წარმოების ორგანიზაცია.

როგორც კი სტუდიაში კინოაპარატი გაჩნდა, პირველი კინოგადაღებები ითავეს ჟურნალისტმა შოთა არჩვაძემ, რეჟისორმა გიორგი კერესელიძემ, კინოოპერატორებმა თენგიზ ლომიძემ, გიორგი ბალახაძემ, გივი ქანთარიაძემ. მათი ინიციატივით ჩნდება კინოგადაცემათა პირველი ციკლი „კინოაპარატი რესპუბლიკაში“. მათი ხელიდან გამო-

დის პირველი დოკუმენტური კინონარკვევები „კოჯრის საბავშვო ინტერნატი“ და „თბილისის ბოტანიკურ ბაღში“ (ავტორები მ. ჩხეიძე და ლ. ბუაჩიძე), მათვე გადაიღეს პირველი კინორეპორტაჟი „ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია თბილისში“.

სტუდიის საწარმო-ორგანიზაციულ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა გივი ძნელაძე. კინოფირის წარმოებამ განუზომლად გაამრავალფეროვნა სტუდიის პროგრამების შინაარსი. სატელევიზიო დოკუმენტურ კინონარკვევებში მტკიცედ მკვიდრდება ახალი ადამიანის, ჩვენი თანამედროვის თემა.

ერთ-ერთი ასეთი პირველი ნამუშევართაგანია რეჟისორ ვიორგი კერესელიძის გადაღებული ნარკვევი ცნობილი მეფოლადის არჩილ ძამაშვილის ცხოვრებისა და შრომის შესახებ.

1958 წლიდან დაიწყო მცირე სიმძლავრის ტელერეტრანსლატორების მშენებლობა. ცისფერი ეკრანი ინთება გორში, ცხინვალში, გურჯაანში; ლენინგორში... მომდევნო წლებში (1960 წ.) სატელევიზიო ქსელში ჩაერთო თიანეთი, დმანისი, სიღნაღი... 1961 წლის 1 იანვრიდან ტელემაუწყებლობა ყოველდღიური ხდება.

ეკრანზე გაჩნდა პირველი სატელევიზიო ჟურნალები: „პიონერი“, „იზმის ნახტომი“, „იანანა“, „ახალგაზრდობა“... და თუ ამ ტიპის სატელევიზიო პერიოდიკას წინამორბედი ჰყავდა მოსკოვისა და მოძვერესპუბლიკების სტუდიებში, საქართველოს ტელევიზიის პირველი მთავარი რედაქტორის შოთა სალუქვაძის ინიციატივით დაარსებული „ოქრობირი“ იყო საბჭოთა კავშირში პირველი სატირულ-იუმორისტული ჟურნალი, რომელმაც თავისი გამოჩენით მცირე ეკრანის სასარგებლოდ გადაწყვიტა დავა ტელეფულეტონისა და, საერთოდ, ტელესატირის უფლებამოსილების შესახებ.

სატელევიზიო ფილმების სტუდიის დაარსებამდე ცხრა წლით ადრე, 1959 წელს, როცა ტელევიზიაში ის-ის იყო ფეხს იკიდებდა კინემატოგრაფიული ტექნიკა (ფილმების წარმოებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა), თამარ ჩხაიძის მოთხრობის მიხედვით შეიქმნა პირველი ქართული მხატვრული სატელევიზიო ფილმი „დედის ხელი“ (სცენარის ავტორი — მ. ლორთქიფანიძე, რეჟისორი — მ. ჯალიაშვილი, კინოოპერატორი — თ. ლომიძე, კომპოზიტორი — თ. გორდელი). ფილმის პრემიერა შედგა საქართველოს ტელევიზიის მაუწყებლობის მესამე წლისთავზე, ზუსტად სტუდიის გახსნის დღეს, 30 დეკემბერს.

პოეტური ლირიზმით გამსჭვალულმა ფილმმა-ნოველამ ტელეფილმების საკავშირო დათვალიერებაზე პირველი ხარისხის დიპლომი იღო.

ამ სერიოზული განაცხადით სტუდიის შემოქმედებითმა კოლექტივმა მოსინჯა ნიადაგი, რომელზედაც უნდა გავლებულიყო ახალი კვალი, ამჯერად უკვე სატელევიზიო კინოხელოვნების მისაღვომებისკენ.

..... თბილისის სტუდიის ნამუშევრები თანდათანობით სცილდება რესპუბლიკის ფარგლებს. ერევანი, ბაქო, სოჭი სისტემატურად გადასცემენ თბილისიდან გაგზავნილ სატელევიზიო პროგრამებს.

ამას მოჰყვა უადრესად საპასუხისმგებლო ეტაპი სტუდიის შემოქმედებით ცხოვრებაში — საქართველოს ტელევიზიის პერიოდული გასვლა საკავშირო ეკრანზე. 1960 წლის 8 სექტემბერს მოსკოვი პირველად უთმობს ეკრანს საქართველოს ტელევიზიის სამსაათიან პროგრამას, რომელსაც აღტაცებული რეცენზიებით გამოხემაურა საბჭოთა კავშირის ცენტრალური პრესა, პროგრამის ღერძს წარმოადგენდა ჭაბუა ამირეჯობის პიესის მიხედვით სერგო ევლახიშვილის მიერ განხორციელებული დადგმა „ველოსიპედი“. ეს იყო თანამედროვე თემატიკაზე შექმნილი პირველი ქართული სატელევიზიო სპექტაკლი, რომლითაც სტუდია წარსდგა მრავალმილიონიანი მაყურებლის წინაშე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა კავშირში პირველი სატელევიზიო ოპერის შექმნის პრიორიტეტი თბილისის სტუდიას ეკუთვნის. 1961 წლის 12 მაისს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით, ცენტრალური ტელევიზიით შედგა აკაკი წერეთლის პოემის მიხედვით განხორციელებული სატელევიზიო ოპერის „გამზრდელის“ პრემიერა. ინტერესმოკლებული არ არის ის ამბავი, რომ მუსიკა პირველი სატელევიზიო ოპერისათვის დაწერა იმხანად სტუდიის ხმის რეჟისორმა, კონსერვატორიის სტუდენტმა ნოდარ გიგაურმა. სატელევიზიო ოპერა დადგა რეჟისორმა სერგო ევლახიშვილმა, მხატვრულად გააფორმა თენგიზ სამსონაძემ.

როგორც აღვნიშნეთ, — „დედის ხელმა“ დასაბამი მისცა სატელევიზიო სტუდიის მთელ რიგ წარმატებებს. პირველი ფილმების წარმოების სფეროში.



შემდგომ პერიოდში საკავშირო დათვალეობაზე პირველი სარეზონანსო დიპლომით აღინიშნა მხატვრული ფილმი „მღერის ბოროტობის ნაძვი“ (ავტორი თ. შატბერაშვილი, რეჟისორი მ. ჯალიაშვილი, კინოოპერატორი თ. ლომიძე).

1962 წელი... საკავშირო კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა სატელევიზიო დოკუმენტური კინონარკვევი „დავით მახარაძის ოჯახი“ (ავტორი რ. ურუშაძე, რეჟისორი მ. ჯალიაშვილი, კინოოპერატორი თ. ლომიძე).

1963 წელი... საკავშირო პროფსაბჭოს და საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის დიპლომებით დაჯილდოვდა მ. ჯალიაშვილის და თ. ლომიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ფუნჯით ნათქვამი“.

1966 წელი... რეჟისორი სერგო ევლახიშვილი უნგრეთის ტელევიზიასთან თანამშრომლობით ქმნის ტელეფილმს „მიხაი ზიჩი“.

ამავე პერიოდში სტუდიამ პირველად მოკიდა ხელი ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მრავალსერიანი ფილმის „მე თვითონ“ გადაღებას (სცენარის ავტორი — ი. ნაგორნი). ფილმმა პირველი პრემია დაიმსახურა სატელევიზიო ფილმების ფესტივალზე კიევში.

1967 წელი... სატელევიზიო ფილმების მეორე საკავშირო ფესტივალმა გამარჯვება მოუტანა ა. ნინუას მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმს „კედელი“ (ავტორი — სანადირაძე).

ფილმ-პრიზიორების რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე „ფანჯარა“ (რეჟისორი დიმიტრი ბათიაშვილი), „ქართული ჩაი“ (რეჟისორი ნოდარ სურგულაძე), „აფრიკის გარშემო“ (რეჟისორები ს. შენგელია, რ. ჯობლაძე), „მამაკაცთა გუნდი“ (რეჟისორი ლ. ელიავა).

ამრიგად, პირველი ქართული სატელევიზიო ფილმების უბრალო ჩამოთვლაც კი აშკარად მოწმობს, რომ სატელევიზიო სტუდიამ თავისი არსებობის პირველივე წლებში სამართლიანად დაიმკვიდრა ინდივიდუალური ხელწერის მქონე შემოქმედებითი კოლექტივის სახელი.

1964 წელს ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში ტელერეტრანსლატორების დამონტაჟების შემდეგ დაიწყო მცირე სიმძლავრის რეტრანსლატორების მშენებლობა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში.

უკვე 1965 წლისთვის რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი იღებს ტელეგადაცემებს. გადაცემათა საწყისი ტიტრი „თბლისის

სატელევიზიო სტუდია“ შეიქმნა საქართველოს ტელევიზიის ემ-
ლეით.

ეს წელიც მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ტელევიზიის
ისტორიისათვის, სარეტრანსლაციო ხაზმა დაგვაკავშირა მოსკოვ-
თან. ცენტრალურ ტელევიზიას ცალკე მეცხრე არხი დაეთმო.

1966 წლის 1 ნოემბერს თბილისიდან მთელს საბჭოთა კავშირში
ტრანსლირებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილ-
დობისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ სამახსოვრო ფაქტს სულ რაღაც
ათი წელი ამორებს იმ დღიდან, როცა თბილისის სატელევიზიო სტუ-
დია პირველად გავიდა ეთერში.

ამიერიდან სტუდია უკვე სახლობს არქიტექტორ არჩილ ქურდია-
ნის პროექტით აშენებულ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის
სახელმწიფო კომიტეტის ახალ თანამედროვე შენობაში, მის ხელთაა
იმ დროისათვის არსებული სამამულო და საზღვარგარეთული წარმო-
ების სამაუწყებლო საშუალებებით აღჭურვილი ტექნიკური კომპ-
ლექსი.

ასე თანდათანობით გავიდა საქართველოს ტელევიზია ფართო
სარბიელზე.

1967 წელს მას წილად ხვდა პატივი მონრეალის საერთაშორისო
გამოფენაზე ერვენებინა სპეციალურად მომზადებული პროგრამა, რო-
მელიც გამოფენის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს აცნობდა
რესპუბლიკის მშრომელების ცხოვრებას, მიღწევებს.

...ტელევიზია სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერდა ჩვენი
მშრომელი ხალხის ცხოვრებაში.

შემოქმედებითი, ტექნიკური და ორგანიზაციული განვითარების
თავებრუდამხვევ ტემპში, მანამდე შეუცნობი ფენომენის ათვისებისა
და დაუფლების რთულ პროცესში იყო წარუმატებლობაც, მარცხიც,
მაგრამ კიდევ უფრო მეტი იყო საკუთარი ხმისა და ხელწერის მიგნე-
ბის დაჟინებული მისწრაფება.

ამიტომ საქართველოს ტელევიზიის არსებობის 10 წლისთავზე,
რომელიც 1967 წლის 29 მარტს აღინიშნა, სტუდიის კოლექტივს
უკვე ჰქონდა უფლება, გაწეული მუშაობის ანგარიში ჩაებარებინა
ხალხისათვის. დაჯამდა მიღწეული, გაანალიზდა წარუმატებლობის
მიზეზები, გამოიკვეთა მომავალი მუშაობის მასშტაბი და კონტურები.

სტუდიის შემოქმედებითი შესაძლებლობანი მკვეთრად გაიზარდა იმ სასიხარულო ფაქტის შემდეგ, როცა ჩვენმა რესპუბლიკამ, მსოფლიოში მეათემ დაიწყო ფერადი ტელევიზიის გადაცემები, 1968 წლის 16 ნოემბრიდან, მოსკოვისა და კიევის ფერადი სატელევიზიო სტუდიების გახსნის შემდეგ, თბილისში აშენდა და დამონტაჟდა ფერად გადაცემათა სტუდია, აღჭურვილი ცნობილი ფრანგული სისტემის „სეკამის“ მოწყობილობით.

ურთულესი სპეციფიკური აპარატურის სამონტაჟო სამუშაოები ძირითადად, კომიტეტის საკუთარი ძალებითა და „საქელექტრომონტაჟის“ დახმარებით შესრულდა. სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ საფრანგეთიდან მოწვეული სპეციალისტები.

ასეთია მოკლედ, ზოგად შტრიხებში, ჩვენი ეროვნული ტელევიზიის ზრდა-განვითარების პირველი ეტაპი, რომელიც, როგორც ვხედავთ, ზეავრიელი აღმოჩნდა და რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სტუდიის შემდგომი წარმატებები. მის პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს ერთი თაობის აღამიანთა სიცოცხლეზე ნაკლები ხანი გვაშორებს და დროის ეს შედარებით პატარა მონაკვეთიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა 70-იანი წლებისათვის რესპუბლიკურმა სატელევიზიო მაუწყებლობამ სავსებით გამოკვეთილი სახე მიიღო და ინფორმაციის გადაცემის არხიდან იდეოლოგიური უზრუნველყოფის მძლავრ იარაღად იქცა.

ბუნებრივია, საქართველოს ტელევიზიის ჩამოყალიბება მასობრივი კომუნიკაციის საშუალების მწყობრ სისტემად პირველ ხანებში უფრო ემპირიულად, ცდისა და მოსინჯვის გზით მიმდინარეობდა და ჩვენი პრესაც სატელევიზიო გადაცემებს კანტიკუნტად გამოქვეყნებული, მეტწილად მოყვარულთა დონეზე დაწერილი სტატიებითა და კორესპონდენციებით ეხმაურებოდა. დღეს მისი მრავალდარგოვანი პროგრამები სისტემატურ მეცნიერულ ანალიზს, პროფესიულ კრიტიკას საჭიროებენ; ჭეშმარიტად საშური საქმე გახდა დოკუმენტური და მხატვრული ტელეპუბლიცისტიკის, მცირე ეკრანის კინო და თეატრალური ხელოვნების ისტორიის, ამჟამინდელი შემოქმედებითი პრაქტიკის ყოველმხრივი შესწავლა.

ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში ამ მიმართულებით კარგა ხანია ფართოდ არის გაშლილი მუშაობა.

დროა, ჩვენც სათანადო შეფასება მივცეთ იმ ფაქტს, რომ ცისფერი ეკრანი მთელი თავისი სპეციფიკური იდეოლოგიური არსენალით, მდიდარი გამომსახველობითი საშუალებებით აქტიურად მოქმედებს მრავალრიცხოვან მაყურებელთა საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებაზე და, ამავე დროს, თვითონვე წარმოადგენს ერის საზოგადოებრივი შეგნების გამოხატვის მრავალსახოვან ფორმას, საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ამსახველ უნიკალურ საზოგადოებრივ ინსტიტუტს. და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფისათვის განკუთვნილი სატელევიზიო პროგრამების ანალიზი უშუალო მიმართებაშია თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ანალიზთან, ნათელი გახდება, თუ რა დიდი ასპარეზი იშლება არა მარტო ჟურნალისტიკის დარგში მოღვაწე მეცნიერთა, არამედ ხელოვნებათმცოდნეთა, სოციოლოგთა, ფსიქოლოგთა, ფილოსოფოსთა, საზოგადოებათმცოდნეთა წინაშე.

მარინა სხირტლაძე

კორნელი კეკელიძის უცნობი წერილი

საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის დირექტორმა ბ-ნმა ვახტანგ გურგენიძემ მიმითითა ხელოვნების განყოფილების საარქივო ფონდში დაცულ აკად. კ. კეკელიძის გამოუქვეყნებელ რეცენზია-წერილზე, რომელიც შეეხება ფართო საზოგადოებისათვის ასევე უცნობ რუსულ ჟურნალს „ნაროდი ი იაზიკი კავკაზა“ (№ 1).

ამ ჟურნალის სატიტულო ფურცელი გვამცნობს, რომ იგი დაბეჭდილია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ თბილისში 1921 წლის ივნის-ივლისში; რედაქტორია — პეტრე უშაკოვი (როგორც ამავე ჟურნალიდან ჩანს, უშაკოვი ითვლებოდა საერთაშორისო შრიფტის შექმნის ხელმძღვანელადაც). ჟურნალი 34 გვერდიანია, მასში დაბეჭდილია 12 სხვადასხვა სახის ნაწარმოები, სახელდობრ: პაოლო იაშვილის ლექსი „წითელ საქართველოს“ ქართულ ენაზე; საერთაშორისო შრიფტით დაბეჭდილი „ინტერნაციონალი“ თურქულ ენაზე; პ. უშაკოვის ლექსი „ინდოეთი“; პ. უშაკოვის რევოლუციური პიესა „გეორგი დარიანი“, პ. უშაკოვის ლექსი „განდევლის სიმღერა“; „სომხეთის წითელი ჰიმნი“ რუსულ ენაზე; „სომხეთის წითელი ჰიმნი“ სომხურ ენაზე; „სომხეთის წითელი ჰიმნი“ საერთაშორისო შრიფტით (სამივე მიეწერება პ. უშაკოვს); პ. იაშვილის ლექსის „წითელ საქართველოს“ პ. უშაკოვისეული რუსული თარგმანი; პ. უშაკოვის წერილი „კავკასიის ხალხები და ენები“ ე. წ. ისტორიული მიმოხილვა; პ. უშაკოვის ლექცია აღმოსავლეთის

სარწმუნოების ისტორიის შესახებ და ერვანდიანის მოხსენება, „რეფ-
ლათინური“ ანბანის პარალელები კავკასიური ალფავიტით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს მითითებული ჟურნალის ეს ნომერი გაუგზავნია კ. კეკელიძისათვის განსახილველად. კ. კეკელიძე 1921 წლის 15 აგვისტოს აკადემიური ცენტრის გამგეობას უგზავნის პასუხს:

„თანახმად თქვენი დავალებისა (10 აგვისტო № 6456), რომელიც მე გადმომიცა აგვისტოს 12, ამასთანავე გიდგენთ ჩემს აზრს და დასკვნას ჟურნალ „Народы и языки Кавказа“-ს შესახებ“ (სრული ტექსტი რეცენზიისა იხილეთ ქვემოთ).

როგორც რეცენზიიდან ჩანს, ეს ჟურნალი სულ სხვა მიზანს ემსახურებოდა და არა იმას, რისთვისაც მოწოდებული უნდა ყოფილიყო.

ამის შესახებ კ. კეკელიძე სამართლიანად დაასკვნის: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისეთი ორგანო, რომელშიც ერთი ლექსი ქართულია, ერთი სომხური, ერთი თათრული და სხვა ყველაფერი რუსული, ვერ დააკმაყოფილებს ვერც ქართველს, ვერც სომეხს, ვერც თათარს, ვერც რუსს და მით უმეტეს ვერც ერთს კავკასიის სხვა ერს“ (საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 181, აღწ. 1, საქმე 16, გვ. 9.).

კ. კეკელიძის დასკვნა-პასუხს აკადემიური ცენტრის გამგისადმი აქვს იმავე რიცხვით დათარიღებული დ. კანდელაკის მინაწერი:

„რეცენზიანტის აზრს სრულიად ვეთანხმები, ჟურნალის გამოცემა მიზანშეუწონელია დღევანდელ პირობებში“.

ჩვენი სასიქადულო მეცნიერის რეცენზია-განაჩენის შემდეგ ჟურნალ „ნაროდი ი იაზიკი კავკაზას“ მომდევნო ნომერი აღარ გამოსულა. ჟურნალ „ნაროდი ი იაზიკი კავკაზა“-ს შესახებ.

ჩვენს წინაშე ძევს პირველი და ერთადერთი ნომერი ამ ჟურნალისა, რომელსაც, სამწუხაროდ, არ აქვს დართული არავითარი გეგმა, რომ ადამიანმა გაითვალისწინოს რა მიზანი აქვს ორგანოს დასახული, და აქედან დაასკვნას—შეესაბამება იგი თავის დანიშნულებას თუ არა; ამიტომ მისი შეფასებისას დაგვრჩენია ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ განცხადებით, რომ ის არის ყოველდღიური „სალიტერატურო და სამეცნიერო“ ორგანო.

ჟურნალი, მართლაც, ორი ნაწილისაგან შედგება — სალიტერატუროსა და სამეცნიეროსაგან. პირველს ნაწილში მოთავსებული ლექსები, ჰიმნები და პიესა გარეგნული ფორმით მომეტებულ ნაწილად უფ-

რული და ულაზათოა, ხოლო შინაარსის მხრივ — ტენდენციურ-დი-
დაქტიური, რაც ნამდვილ პოეტურ ნაწარმოებს პლიუსებად ჩაეთვ-
ლება, სამეცნიერო ნაწილში სამი სტატიაა; ამათგან პირველი „На-
роды и языки Кавказа“ გვარწმუნებს, რომ კავკასიაში მოსახლე
ერები წარმოდგენენ ნაშთს იმ დიდი ეთნიური ოჯახისას, რომელიც
წინ უსწრებდა სემიტელებსა და არიელებს და რომელსაც ეჭირა მთე-
ლი წინა აზია და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები ატლანტიდამდე. ამ
უდიდესი პრობლემის ოდნავად მაინც გათვალისწინება, რასაკვირვე-
ლია, შეუძლებელია იმ შემთხვევითი ხასიათის ლინგვისტურ-გეოგრა-
ფიული ანალოგიებით, რომელიც ავტორს ანტიკვარული შრომებიდან
ამოუღია; ის რომ იცნობდეს ელემენტებს თანამედროვე იაფეტილო-
ლოგიისას, რომელიც უმთავრესად აკადემიკოსის ნ. მარის და მისი
შკოლის მიერაა შექმნილი და დადგენილი (იხ. მისი «Яфетический
Кавказ и третий этнический элемент съ созидании средизем-
номорской культуры». Лейпциг, 1920 г.).

მაშინ აღძრულ საკითხს სხვანაირად დააყენებდა და უფრო საინ-
ტერესოდ გააშუქებდა. მეორე სტატია — „Христианство и научная
мысль нашего времени“, ჰლამობს ქრისტიანობის შეფასებას
დაძველებული იარაღით, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის რაციონა-
ლისტების მიერაა შექმნილი; მეცხრამეტე საუკუნესაც რომ დავანებოთ
თავი, მას შეეძლო დღეს, როდესაც სოციალური რევოლუცია დაიწყო,
ქრისტიანობას სხვა მხრიდან მისდგომოდა და თანამედროვე, უფრო
საინტერესო, თვალსაზრისით შეხებოდა; მაგრამ ამისათვის სხვა პი-
რობებია საჭირო, — ისიც გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს, რომ პო-
ლიტეხნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი, რომელსაც უფრო შემ-
ვენის კვლევა-ძიება გამოეყენებითი სამეცნიერო დარგებიდან, რელი-
გიურ პრობლემებს ჰკიდებს ხელს. მესამე სტატია ეხება პრინციპია-
ლურ საკითხს, — კავკასიის ერებისათვის საერთაშორისო ანბანის შე-
მოღებას; ასეთ ანბანად აღიარებულია შეკეთებული ლათინური. ეგ-
რეთწოდებული, რეფლათინური შრიფტი, რომლითაც ამავე ნომერში
წარმოდგენილია ორი ნიმუში: თურქულსა და სომხურს ენაზე. ამ სა-
კითხს თავისი ისტორია აქვს, რომელიც, ალბათ, ავტორს არ სცოდნია;
თუ კავკასიის, განსაკუთრებით უმწერლობო, ენებისათვის საჭიროა
საერთაშორისო ანბანის შემოღება, ამისათვის, როგორც არსებითად,

ისე საუკეთესო ლინგვისტოა შეხედულებითაც, ყველაზე უფრო გამო-
სადგია ქართული ანბანი, ვინაიდან ქართულიცა და ეს ენებიც ერთი
მოდგმის, იაფეტური ჯგუფისა არიან და მათი ბგერები ერთმანეთს
უფრო ენათესავენაიან, ვიდრე ლათინურს. ამიტომ ცდა მათთვის საერ-
თო რეფლათინური ანბანის შემოღებისა ისეთივე ფუჭი და ამაო იქნე-
ბა, როგორც იყო ზოგიერთ რუსიფიკატორთა მიერ სევანურისა და აფ-
ხაზურისათვის, ქართულის მაგიერ, რაღაც ხელოვნური კუდმობმული
რუსული ანბანის შემოღება, ჩვენ კიდევ გვესმის, როდესაც უმწერ-
ლობო ენებისათვის ჰქმნიან ანბანს, მაგრამ პირდაპირ გაუგებარია და
თან მიუტყვევებელი კადნიერება, როდესაც ქართულსა და სომხურს ან-
ბანს, რომელთაც ათასწლოვანი ისტორია აქვთ და რომელთაც ჩვენ-
თვის დაუცავთ უძვირფასესი და უმდიდრესი ლიტერატურული განძე-
ბი, რაღაც ხელოვნურად შეთითხნილი ანბანით უპირებენ შეცვლას.

ამნაირად, შინაარსის მხრივ ჟურნალი ვერ აღწევს ვერც სალიტე-
რატურო, ვერც სამეცნიერო მიზანს; სასურველია თუ არა, შინაარსი-
ზაგან დამოუკიდებელივ, მისი არსებობა?

თანახმად დიდი რევოლუციის ლოზუნგებისა, ჩვენ უნდა ვზრუ-
ნავდეთ სადი ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის; ცდა კავკა-
სიაში საერთო ორგანოს და საერთო შრიფტის შემოღებისა უფრო ენა-
თესავენა იმპერიალისტურ სულისკვეთებას, რომლისთვისაც კავკა-
სიის ერების გაერთფეროვნება, რაშიაც არ უნდა გამოსახულიყო ის,
მუდამ სანუკვარ საგანს შეადგენდა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ
ისეთი საერთო ორგანო, რომელშიაც ერთი ლექსი ქართულია, ერთი
სომხური, ერთი თათრული, და სხვა ყველაფერი რუსული, ვერ დააკ-
მაყოფილებს ვერც ქართველს, ვერც სომეხს, ვერც თათარს, ვერც
რუსს და მით უმეტეს, ვერც ერთს კავკასიის სხვა ერს. მართლაც,
ჩვენ არ ვიცით რამდენად ფართოა წრე ამ ორგანოს მკითხველებისა,
მაგრამ მისი თანამშრომელთა და თანამოაზროვნეთა რიცხვი რომ
მცირეა, ეს ამ ნომრიდანაც ნათლად ჩანს: ჟურნალში 12 ნაწარმოე-
ბია, ამათგან ათი, თუ პ. იაშვილის ლექსის თარგმანსაც მივიღებთ
მხედველობაში (რომელიც მთარგმნელს საშინლად დაუმახინჯებია),
ეკუთვნის ერთ ადამიანს, პ. უშაკოვის კალამს; ეს გარემოება დამახა-
სიათებელია ორგანოსათვის, რომელსაც პრეტენზია აქვს თავის თავს
უწოდოს „Народы и языки Кавказа“ და უკანასკნელთა სალიტე-
რატურო და სამეცნიერო მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

ყველა ამის მიხედვით უნდა გულახდილად აღვიაროთ, რომ არსებობდა ასეთი ორგანოსი, როდესაც, სხვა არა იყოს რა, ქალაქის საშინელ კრიზისს განვიცდით, ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად და სასურველად.

პროფ. კორ. კეკელიძე (საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 181, აღწ. № 1, საქ. 16, ფურ. 8—9, დედანი ხელნაწერი).

შინაარსი

შოთა გაგოშიძე—XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართული ჟურნალის- ტიკის შესწავლის მეთოდოლოგიური ასპექტები	5
ივანე მჭედლიშვილი —პუბლიცისტური ცნებებისა და ტერმინების შესა- ხებ	12
დიანა ტყებუჩავა — რიტორიკული ფიგურები პუბლიცისტურ ტექსტ- ში	27
მარინე ლომიძე — არგუმენტაციის ზოგიერთი ხერხი თანამედროვე ქართულ სტატიაში	45
ლაშა ქორიძე — მარკეტინგის ჟურნალისტიკის შესახებ	65
მანანა დათუკიშვილი — იონა მეუნარგიასა და ნიკო ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობის ერთი ეპიზოდი	75
გულნარა მარუაშვილი — ილია ხონელის (ბახტაძე) პუბლიცისტიკა	89
თამარ მაღალურაძე — ლეო ქიაჩელის ადრეული პუბლიცისტური წერილების ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემატიკა	107
ლია ქათამაძე — მხატვრულ-პუბლიცისტური პარალელები იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში	128
ნატა ბასილაია, თეა ფუტყარაძე — დეფინიცია როგორც ნარკვევის ტიპი	145
ნათელა ებანოიძე — სახის თავისებურების გამოვლინება ნარკვევის ენობრივ ფაქტურაში	153
მედეა ლორთქიფანიძე — საქართველოს ტელევიზიის პირველი ნაბი- ჯები	163
მარინე სხირტლაძე — კორნელი კეკელიძის უცნობი წერილი	178

СОДЕРЖАНИЕ

Гагошидзе Ш. — Методологические аспекты изучения грузинской журналистики первого двадцатилетия XX века	5
Мchedlishvili И. — О публицистических понятиях и терминах	12
Ткебучава Д. — Риторические фигуры в публицистическом тексте	27
Ломидзе М. — Некоторые средства аргументации в современной грузинской статье	45
Коридзе Л. — О журналистике маркетинга	65
Датукишвили М. — Один эпизод из деятельности Иона Меунаргия и Нико Николадзе в Поты	75
Маруашвили Г. — Публицистика Ильи Хонели (Бахтадзе)	89
Малагуридзе Т. — Народно-политическая проблематика в ранней публицистике Лео Киачели	107
Катамадзе Л. — Художественно-публицистические параллели в творчестве Иосифа Гришашвили	128
Басилая Н., Путкарадзе Т. — Дефиниция как тип очерка	145
Эбаноидзе Н. — Особенность проявления образа автора в языковой фактуре очерка	153
Лордкипанидзе М. — Первые шаги грузинского телевидения	163
Схиртладзе М. — Неизвестное письмо Корнели Кекелидзе	178



საქართველოს
ხალხთა რესპუბლიკის
ხალხთა ბიბლიოთეკა

CONTENTS

Shota Gagoshidze—Methodological aspects of research into Georgian journalism in the first two decades of the 20th century . . .	5 12
Ivane Mchedlishvili—On publicistic concepts and terms . . .	27
Diana Tqebuchava—Rhetorical figures in a publicistic text . . .	45
Marine Lomidze—Some ways of argumentation in modern Georgian articles	65
Manana Datukishvili—One episode of the activity of Iona Mounargia and Niko Nikoladze in Poti	75
Gulnara Maruashvili—The publicism of Ilia Khoneli (Bakhtadze)	89
Tamar Malaghuridze—Popular-political problematics in Leo Kiacheli's early publicistics	107
Lia Katamadze—Literary-publicistic parallels in Ioseb Grishashvili's works	128
Nata Basilaia, Tea Putkaradze—Definition as a type of essay	145
Natela Ebanoidze—Manifestation of the peculiarity of image in the language texture of an [essay]	153
Medea Lordkipanidze—The first step of Georgian Television	163
Marine Skhirtladze—An unknown letter of Korneli Kekelidze	178



გამომცემლობის რედაქტორები: ნ. მუზაშვილი
დ. აღაფიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი

კორექტორი მ. ვარამაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.98

საბეჭდი ქაღალდი 60X84¹/₁₆ პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,75

სააღრ.-საგამომც. თაბახი 9,52

ტირაჟი 150 შეკვეთა № 300

ფასი სახელშეკრულებო



ქართული
ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჯავჭავაძის გამზ. 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჯავჭავაძის გამზ., 1.

ნ 204/2

99-105

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

15
35-98